

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი



„ზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების და ცნობა-აღსრულების  
პირობები საარბიტრაჟო წარმოებისას“

ოთარ მაჩაიძე

ხელმძღვანელი: გიორგი ცერცვაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

თბილისი

2019 წელი

## სარჩევი

I. შესავალი.....	9
II. საარბიტრაჟო განხილვის ძირითადი მახასიათებლები .....	15
1. არბიტრაჟის კონსესუალური ბუნება.....	16
2. საარბიტრაჟო განხილვის საგანი .....	17
3. დამოუკიდებელი მესამე პირის მიერ გადაწყვეტილების მიღება .....	19
4. არბიტრაჟის გადაწყვეტილების სავალდებულობა .....	19
5. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება.....	20
III. არბიტრაჟის განვითარების ტენდენციები .....	21
1. არბიტრაჟის განვითარების ტენდენციები საერთაშორისო დონეზე.....	21
2. არბიტრაჟის განვითარების ტენდენციები საქართველოში.....	24
IV. ტერმინოლოგიური განსხვავება UNCITRAL-ის მოდელურ კანონსა და არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონს შორის.....	27
1. UNCITRAL-ის მოდელური კანონის ტერმინოლოგია უზრუნველყოფის ლონისძიებებთან მიმართებით .....	27
2. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის ტერმინოლოგია უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით .....	28
V. უზრუნველყოფის ღონისძიებების მიზანი .....	30
1. სარჩელის/სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფა .....	30
2. მხარის „უფლების“ დაცვა/უზრუნველყოფა .....	33
3. მოპასუხის „უფლების“ უზრუნველყოფა .....	34
VI. არბიტრაჟის და სასამართლოს კომპეტენცია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას .....	36
1. არბიტრაჟის კომპეტენცია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას.....	36
1.1. არბიტრაჟის უფლებამოსილების განვითარების ტენდენციები .....	36
1.1.1. განვითარების საერთაშორისო ტენდენციები .....	36
1.1.1.1. საერთაშორისო აქტები.....	36
1.1.1.2. ქვეყნების შიდა კანონმდებლობა .....	37
1.1.2. განვითარების ტენდენციები საქართველოში.....	38

1.1.2.1. კერძო არბიტრაჟის შესახებ კანონი .....	38
1.1.2.2. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი .....	39
1.2. არბიტრაჟის უფლებამოსილება საერთაშორისო დონეზე.....	40
1.2.1. საარბიტრაჟო განხილვის ადგილას მოქმედი სამართალი.....	41
1.2.2. საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის წესები .....	43
1.2.3. მხარეთა შეთანხმება.....	44
1.2.4. ICSID არბიტრაჟის უფლებამოსილება .....	45
1.2.5. Emergency Arbitrator/Arbitration (საგანგებო არბიტრი) - ნოვაცია საარბიტრაჟო წარმოებაში.....	48
1.3. არბიტრაჟის უფლებამოსილება ქართული კანონმდებლობის მიხედვით	52
1.3.1. საკანონმდებლო რეგულირება.....	52
1.3.2. საარბიტრაჟო წესები.....	53
1.3.3. მხარეთა შეთანხმება.....	54
1.4. არბიტრაჟის უფლებამოსილების შეზღუდვის შემთხვევები.....	55
2. სასამართლოს კომპეტენცია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებისას .....	57
2.1. სასამართლოს კომპეტენცია საერთაშორისო პრაქტიკაში .....	57
2.2. ქართული სასამართლოს კომპეტენცია .....	59
2.2.1. ქართული სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია.....	62
3. არბიტრაჟისა და სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ლონისძიებების ურთიერთმიმართება .....	65
4. არბიტრაჟისა და სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ლონისძიებების ეფექტიანობის ანალიზი.....	67
4.1. აღსრულების მექანიზმი .....	67
4.2. სისწრაფე.....	68
4.3. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯები .....	69
4.4. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მესამე პირებთან მიმართებით .....	69

4.5. წინასწარი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.....	70
4.6. გადანყვეტილების მიღება მხარისათვის შეუტყობინებლად ( <i>ex parte</i> ).....	71
4.7. კონფიდენციალურობა .....	72
4.8. უზრუნველყოფის ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასება .....	73
VII. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები .....	75
1. არბიტრაჟის <i>Prima Facie</i> კომპეტენცია .....	76
2. შესაძლო (არაკომპენსირებადი) ზიანი .....	79
3. შესაძლო ზიანის ბალანსი (პროპორციულობა) .....	84
4. სარჩელის დაკმაყოფილების ვარაუდი .....	87
5. გადაუდებელი აუცილებლობა (Urgency and Necessity) .....	90
6. მხარეთა შეთანხმებით და საარბიტრაჟო წესებით დადგენილი წინაპირობები .....	92
7. მტკიცებულებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული წინაპირობები .....	93
VIII. უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები .....	96
1. პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნება ან აღდგენა.....	98
1.1. პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნების გამოყენება ქართულ საარბიტრაჟო პრაქტიკაში .....	98
1.2. პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნების გამოყენება საერთაშორისო პრაქტიკაში.....	99
2. მეორე მხარისთვის ან საარბიტრაჟო წარმოებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილება.....	103
2.1. Anti-Suit Injunction .....	105
3. აქტივების შენარჩუნება, რომლითაც აღსრულდება საბოლოო საარბიტრაჟო გადანყვეტილება .....	108
3.1. ხარჯების უზრუნველყოფა.....	110
4. მტკიცებულებების უზრუნველყოფა .....	113
5. ყადაღა, როგორც საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის სახე.....	115
6. საარბიტრაჟო გადანყვეტილების უზრუნველყოფა.....	118

7. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად მიყენებული ზიანის უზრუნველყოფა.....	120
7.1. არბიტრაჟის უფლებამოსილება უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენებისას .....	121
7.2. სასამართლოს უფლებამოსილება უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენებისას .....	124
IX. უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა, შეჩერება და გაუქმება.....	127
1. მხარეთა მოთხოვნით ან არბიტრაჟის ინიციატივით ღონისძიების შეცვლა, შეჩერება და გაუქმება .....	127
2. სასამართლოს მხრიდან არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება .....	128
X. ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება.....	131
1. არბიტრაჟისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება.....	131
2. სასამართლოსთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება .....	132
XI. უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა და აღსრულება.....	134
1. ცნობა-აღსრულების მიზანი .....	134
2. ცნობა-აღსრულების საერთაშორისო სტანდარტი და ქართული მონესრიგება .....	136
2.1. ცნობა აღსრულების საერთაშორისო სტანდარტი .....	136
2.2. ცნობა-აღსრულების ქართული მონესრიგება .....	138
2.2.1. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 2009 წლის რეგულირება .....	139
2.2.2. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 2015 წლის ცვლილებების შემდგომი რეგულირება .....	139
3. უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე კომპეტენტური სასამართლო .....	142
4. ნიუ-იორკის კონვენცია და არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმა.....	144
5. სასამართლოს მხრიდან არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეფასების სტანდარტი ცნობა-აღსრულებისას .....	147

XII. დასკვნა.....	150
ბიბლიოგრაფია.....	154

**შემოკლებანი:**

იხ.	იხილეთ
სსსკ	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
შეად.	შეადარეთ
AAA	American Arbitration Association (ამერიკის არბიტრთა ასოციაცია)
BIT	Bilateral Investment Treaty (ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება)
CJEU	Court of Justice of the European Union (ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო)
DRC	Dispute Resolution Center (დავების გადაწყვეტის ცენტრი)
GIAC	Georgian International Arbitration Center (საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი)
IBA	International Bar Association (ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაცია)
ICC	International Chamber of Commerce (საერთაშორისო სამრეწველო პალატა)
ICCA	International Counsel for Commercial Arbitration (კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო)
ICDR	International Center for Dispute Resolution (დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრი)
ICSID	International Centre for Settlement of Investment Disputes (საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრი)
LCIA	London Court of International Arbitration (ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო)
Para.	Paragraph

SCC	Stockholm Chamber of Commerce (სტოკჰოლმის სამრეწველო პალატა)
SIAC	Singapore International Arbitration Center (სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი)
TAI	Tbilisi Arbitration Institute (თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი)
UNCITRAL	United Nations Commission on International Trade Law (გაერთიანებული ერების საერთაშორისო სავაჭრო კომისია)
Vol.	Volume



„არბიტრაჟი არის ხელოვნება, საარბიტრაჟო

უზრუნველყოფის ღონისძიებები კი ამ ხელოვნების ნაწილი“

ჟოზე მარია აბასკალი<sup>1</sup>

## I. შესავალი

თანამედროვე მსოფლიო მონოდებულია და აქტიურად უწყობს ხელს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების განვითარებას, რომელიც მოდავე მხარეებს შესთავაზებს სახელმწიფო მართლმსაჯულებაზე უფრო ეფექტიან და სწრაფ დავის მოგვარების მექანიზმებს. ამ მხრივ, არბიტრაჟი არის ერთ-ერთი ფლაგმანი, რომელიც მნიშვნელოვან კონკურენციას უწევს სასამართლოს და მხარეებს სთავაზობს მათ ინტერესებზე მორგებულ დავის გადაწყვეტის მეთოდს.<sup>2</sup> არბიტრაჟის ეფექტიანობას და პოპულარობას განაპირობებს ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც არბიტრაჟს გააჩნია: დავის გადაწყვეტა კონფიდენციალურად, მხარეთა მიერ არჩეული წესებით და სამართლით, მათთვის სასურველ ადგილას, დამოუკიდებელი მესამე პირის მეშვეობით.<sup>3</sup>

საქართველოში არბიტრაჟის ინსტიტუტს, როგორც კომერციული დავების გადაწყვეტის მექანიზმს არ აქვს დიდი ისტორია. დამოუკიდებელ საქართველოში პირველად არბიტრაჟის საკანონმდებლო დონეზე მონესრიგება უკავშირდება კერძო არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონს, რომელიც მიღებულ იქნა 1997 წელს.<sup>4</sup> მიუხედავად ამისა, ქართულ სამართლებრივ საზოგადოებაში ჩამოყალიბებულია ერთიანი მოსაზრება, რომ კერძო არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონმა ვერ უზრუნველყო ეფექტიანი დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმის შექმნა, რაც განპირობებული იყო იმ ხარვეზებით, რომლებიც თან ახლდა მას.<sup>5</sup>

ამის გათვალისწინებით, საჭირო გახდა ახალი კანონის შემუშავება, რომელიც უპასუხებდა თანამედროვე საარბიტრაჟო წარმოების გამოწვევებს და ხელს შეუწყობდა არბიტრაჟის ინსტიტუტის განვითარებას საქართველოში.<sup>6</sup> 2009 წელს

<sup>1</sup> Abascal J.M., The Art of Interim Measures, ICCA Congress Series N 13, General editor Berg Albert Jan van den Berg, 2006, p. 758.

<sup>2</sup> განსხვავებული აზრი იხ., Thomas J. Stipanowich, “Arbitration New Litigation”, University of Illinois, Law Review, 2010, p. 3.

<sup>3</sup> Born G., International Arbitration: Law and Practice, Kluwer Law International, 2012, pp. 3-5.

<sup>4</sup> კერძო არბიტრაჟის შესახებ კანონი, მიღებულია 17/04/1997 წელს, ძალადაკარგულია 01/01/2010 წლიდან, ხელმისაწვდომია: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), უკანასკნელად იქნა გადამონშებული - 20.12.2018.

<sup>5</sup> Tsertsvadze G., Brief Commentary to the Georgian arbitration law 2009, Tbilisi, 2011, pp. 14-19. ასევე, ტყემალაძე ს., კობალაძე მ. და სხვები, არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, 2018, გვ. 9., Blechman M., Assesemnt of ADR in Georgia, 2011, p. 1.

<sup>6</sup> პიტერ მ. ბინდერი, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარები, ქართული სამართლის მიმოხილვა, N10/2007-2/3, 2007, გვ. 182-202.

მიღებულ იქნა და 2010 წლიდან ძალაში შევიდა არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, რომელიც დაეფუძნა გაერთიანებული ერების საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL- United Nations Commission on International Trade Law) მიერ შემუშავებულ მოდელურ კანონს საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ.<sup>7</sup> ახალი კანონის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ქართული საარბიტრაჟო პრაქტიკის დაახლოება საერთაშორისო საარბიტრაჟო სტანდარტებთან.<sup>8</sup> 2015 წელს კი კიდევ ერთხელ დადგა საჭიროება მომზადებულიყო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც უფრო ეფექტურს გახდიდა საარბიტრაჟო წარმოებას.<sup>9</sup> დღეის მდგომარეობითაც ქართული სახელმწიფოს მხრიდან არაერთი ნაბიჯი იდგმება აღნიშნული ინსტიტუტის პოპულარიზაციისა და განვითარებისთვის.<sup>10</sup> საარბიტრაჟო წესით დავების განხილვის შესაძლებლობის დანერგვა საქართველოში სასამართლო რეფორმის ნაწილად განიხილება.<sup>11</sup> ქართულ სახელმწიფოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი აქვს ვალდებულება განავითაროს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებები.<sup>12</sup>

საარბიტრაჟო წარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს საარბიტრაჟო უზრუნველყოფის ღონისძიებები, რომლიც მხარეებს შესაძლებლობას აძლევს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე განახორციელონ თავიანთი უფლებების სათანადოდ დაცვა და

---

<sup>7</sup> განმარტებითი ბარათი, 2009 წლის არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე. ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/107970>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018. UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration 1985 With amendments as adopted in 2006. შემდგომში ტექსტი მოიხსენიება, როგორც „მოდელური კანონი“. ხელმისაწვდომია: [www.uncitral.org/uncitral/en/uncitral\\_texts/arbitration/1985Model\\_arbitration.html](http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/arbitration/1985Model_arbitration.html), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>8</sup> განმარტებითი ბარათი, 2009 წლის არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე.

<sup>9</sup> განმარტებითი ბარათი, 2015 წელს არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე.

<sup>10</sup> 2018 წლის 20 დეკემბერს საქართველოში საერთაშორისო სავაჭრო პალატის არბიტრაჟის დასაფუძნებლად საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოსა და საქართველოს მთავრობას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. იხ.: <http://justice.gov.ge/News/Detail?newsId=7840>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 20.12.2018.

<sup>11</sup> <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=7652>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 20.12.2018.

<sup>12</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს, ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, მიღების თარიღი 27/06/2014, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/2496959?publication=0>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.12.2018. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების სამოქმედო გეგმა 2017-2020, გვ. 9. ხელმისაწვდომია: [http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/78447/annex\\_ii\\_-\\_eugeorgia\\_association\\_agenda\\_text?fbclid=IwAR0QhLyCxSVVzI0tuoFQxPKVpgGZGs9j3egFyLidJviN GqbBaCkYrFWvIo](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/78447/annex_ii_-_eugeorgia_association_agenda_text?fbclid=IwAR0QhLyCxSVVzI0tuoFQxPKVpgGZGs9j3egFyLidJviN GqbBaCkYrFWvIo), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.12.2018.

უზრუნველყონ საბოლოო გადაწყვეტილების ეფექტიანობა. ბოლო პერიოდში პოპულარული გახდა ხატოვანი მეტაფორა, რომლის თანახმადაც, „თუ არბიტრაჟი არის დავის გადაწყვეტის მექანიზმი კბილებით, მაშინ უზრუნველყოფის ღონისძიებები, არიან მისი წინა კბილები“.<sup>13</sup>

საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებას საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოებაშიც არ აქვს დიდი ისტორია.<sup>14</sup> მოდელური კანონის თავდაპირველი ვერსიაც კი მხოლოდ ზოგადი რეგულირებით შემოიფარგლებოდა.<sup>15</sup> 2006 წლის მოდელური კანონის ცვლილებების შემდგომ კი დეტალურად მოწესრიგდა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების, სახეებისა და ცნობა-აღსრულების საკითხები.<sup>16</sup> რაც შეეხება ქართულ სამართლებრივ რეალობას, კერძო არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებას<sup>17</sup> და მხოლოდ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესაძლებლობას იძლეოდა სასამართლოს მეშვეობით.<sup>18</sup> ახლად მიღებულმა არბიტრაჟის შესახებ კანონმა კი ამ ნაწილში გაიზიარა UNCITRAL-ის მოდელური კანონის მოწესრიგება და როგორც არბიტრაჟს, ასევე სასამართლოს მიანიჭა უფლება გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიებები საარბიტრაჟო წარმოების მიზნებისთვის, რაც თავისთავად მისასამლებელი ფაქტია. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ UNCITRAL-ის მოდელურ კანონში ასახულია საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოებისთვის დამახასიათებელი რეგულირება.

---

<sup>13</sup> Lenci F., General Principles of Law on the legal Force of Provisional Measures in International Investment Arbitration, General Principles of Law and Investment Arbitration, Nijhoff International Investment Law Series, Volume 12, 2018, p. 35. სიტყვები: “Arbitration is Mechanism with Teeth” ეკუთვნის პროფესორ ემანუელ გაილარდს, რომელმაც აღნიშნული კომენტარი გააკეთა არბიტრაჟის ეფექტიანობის დემონსტრირებისთვის, მას შემდეგ რაც საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საქმეზე *Yukos v. Russian*, რუსეთის სახელმწიფოს დააკისრა 1,846,000,687 აშშ დოლარის გადახდა. იხ.: PCA Case No. AA 227, Final Award, 18 July 2014. „იხ.: <https://www.economist.com/business/2014/08/02/now-try-collecting>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>14</sup> Lookofsky J., Hertz K., Transnational Litigation and Commercial Arbitration, 4<sup>th</sup> edition, Djof Publishing, 2017, p. 996.

<sup>15</sup> UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration (1985). ხელმისაწვდომია: [http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral\\_texts/arbitration/1985Model\\_arbitration.html](http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/arbitration/1985Model_arbitration.html), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>16</sup> UNCITRAL-ის მოდელური კანონი, მუხლები 17-17J. Explanatory Note by the UNCITRAL Secretariat on the 1985 Model Law on International Commercial Arbitration as amended in 2006, Section 4 (b).

<sup>17</sup> მართალია კერძო არბიტრაჟის შესახებ კანონი არ ადგენდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას, მაგრამ საარბიტრაჟო პრაქტიკაში მათი გამოყენება მაინც ხდებოდა, იმ შემთხვევაში თუ ამას ითვალისწინებდა დავის განმხილველი არბიტრაჟის საარბიტრაჟო წესები. იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 29 მაისის განჩინება საქმეზე *ნას-827-1190-06*.

<sup>18</sup> კერძო არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 23.

შესაბამისად, საერთაშორისო სპეციფიკის დამახასიათებელი მონესრიგების პირდაპირი გადმოტანა ქართულ სამართლებრივ რეალობაში ართულებს მის სწორ იმპლემენტაციას და აჩენს გარკვეულ ბუნდოვანებას.

საარბიტრაჟო წარმოებისას, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე ხშირია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნა მხარეებისგან. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში 2015 წელს შესული ცვლილებები შეეხო არბიტრაჟის უფლებამოსილებას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა და მისი ცნობა-აღსრულების საკითხებს, რაც მიუთითებს საკითხის აქტუალობაზე ქართულ რეალობაში.

საერთაშორისო სპეციფიკის მონესრიგების გამოყენება, კანონმდებლობის ხშირი ცვალებადობა და მწირი გამოცდილება ხელს უწყობს საქართველოში არაერთგვაროვანი, ხშირ შემთხვევაში არამართებული საარბიტრაჟო პრაქტიკის ჩამოყალიბებას და პრობლემატური საკითხების წამოჭრას. უზრუნველყოფის ღონისძიება ერთი მხრივ, უზრუნველყოფს მხარის უფლების დაცვას და საარბიტრაჟო განხილვის ეფექტიანობას, თუმცა, მეორე მხრივ, აღნიშნული ხორციელდება მეორე მხარის კანონიერი უფლებების შეზღუდვის ხარჯზე. აქედან გამომდინარე, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას მნიშვნელოვანია, გამოყენების წინაპირობების მართებული განსაზღვრა და უზრუნველყოფის ღონისძიების სახის სწორი შერჩევა, რათა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემსახურებოდეს მის რეალურ მიზანს და არ იქნეს რომელიმე მხარის მიერ ბოროტად გამოყენებული.

ქართულ იურიდიულ წრეებში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებებთან დაკავშირებული საკითხები აქტუალურია, თუმცა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი არ არის სათანადოდ გამოკვლეული.<sup>19</sup> აღნიშნული ინსტიტუტის სიღრმისეული შესწავლისა და საერთაშორისო გამოცდილების გაანალიზების გარეშე კი არსებობს იმის რეალური საფრთხე, რომ საარბიტრაჟო და სასამართლოს პრაქტიკა არასწორი მიმართულებით განვითარდეს, რაც ზოგადად არბიტრაჟის, როგორც დავის გადაწყვეტის ეფექტიანი მექანიზმის, ფუნქციონირებას საფრთხეს შეუქმნის.

---

<sup>19</sup> ამ საკითხს ეძღვნება მხოლოდ რამდენიმე სტატია, იხ. ჩომახიძე ნ., საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟოში, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული, 2013, გვ. 79. ცატუროვა ნ., საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, I სპეციალური გამოშვება, 2012, გვ. 29., მაჩაიძე ო., საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული, 2015, გვ. 90.

ნაშრომის მიზნია შეისწავლოს უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული საკითხები, წარმოაჩინოს მისი მიზანი საარბიტრაჟო განხილვისას, განსაზღვროს არბიტრაჟის და სასამართლოს უფლებამოსილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას და მათ მიერ გამოყენებული ღონისძიებების ურთიერთმიმართება; წარმოაჩინოს მხარეთა უფლებები უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებით და არბიტრაჟის და სასამართლოს უფლებამოსილების შეზღუდვის შემთხვევები, შესთავაზოს მკითხველს უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების წინაპირობების დეტალური ანალიზი, რომელიც აუცილებელს ხდის მათ გამოყენებას, წარმოაჩინოს უზრუნველყოფის ღონისძიების კანონისმიერი და საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული სახეები. ხაზი გაუსვას არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების მიზანს და პირობებს, საბოლოოდ კი, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის შედეგად წარმოადგინოს პრაქტიკული რეკომენდაციები ქართული საკანონმდებლო და საარბიტრაჟო პრაქტიკის განსავითარებლად.

ნაშრომი ძირითადად ეფუძნება შედარებითსამართლებრივ ანალიზს, კვლევის მიზნებისთვის, ასევე, გამოყენებულია ანალიტიკური და ისტორიული სამეცნიერო-კვლევითი მეთოდები. კვლევისას შესწავლილია ქართული და UNCITRAL-ის მოდელური კანონით დადგენილი უზრუნველყოფის ღონისძიებების მონესრიგება, ასევე სხვა ქვეყნების საარბიტრაჟო და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა. ნაშრომში გაანალიზებულია, როგორც საქართველოში მოქმედი, ასევე წამყვანი საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტების წესები. კვლევის ფარგლებში დამუშავდა ქართული და სხვა მართლმწესრიგების სასამართლოებისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU - Court of Justice of the European Union) სასამართლო პრაქტიკა, ასევე, საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრის (ICSID - International Centre for Settlement of Investment Disputes)<sup>20</sup> და სხვა საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ დადგენილი საარბიტრაჟო პრაქტიკა.

ნაშრომი შედგება XII თავისგან, I თავი წარმოადგენს შესავალს, ხოლო XII თავი ეთმობა კვლევის დასკვნას.

II თავში წარმოჩენილია საარბიტრაჟო განხილვის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრავს საარბიტრაჟო წარმოების ბუნებას და გავლენას ახდენს უზრუნველყოფის ღონისძიების ინსტიტუტზე საარბიტრაჟო განხილვაში, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას არბიტრაჟის უფლებამოსილებაზე, გამოყენების წინაპირობებზე, სახეებზე და ცნობა-აღსრულების წესზე.

---

<sup>20</sup> International Centre for Settlement of Investment Disputes (საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრი) <https://icsid.worldbank.org/en/> - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

III თავი ეთმობა არბიტრაჟის, როგორც დავის გადაწყვეტის მექანიზმის, განვითარების ტენდენციებს. მიმოხილულია საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს აღნიშნული ინსტიტუტის განვითარებაზე და ქართული საკანონმდებლო ისტორია, რომელიც უკავშირდება არბიტრაჟის ინსტიტუტის განვითარებას საქართველოში.

ნაშრომის IV თავში წარმოჩენილია უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით, ქართულ კანონმდებლობას და UNCITRAL-ის მოდელურ კანონს შორის არსებული ტერმინოლოგიური განსხვავებები და გამოთქმულია მოსაზრება საკანონმდებლო სტრუქტურის თვალსაზრისით არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის დახვეწის თაობაზე.

V თავში შესწავლილია საარბიტრაჟო წარმოებაში უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანი, როგორც მხარეთა უფლებების დაცვის ეფექტიანი მექანიზმი. წარმოჩენილია ქართული და საერთაშორისო მიდგომა უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანთან მიმართებით და მათ შორის არსებული განსხვავებები.

ნაშრომის VI თავში გაანალიზებულია უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებისას არბიტრაჟის და სასამართლოს კომპეტენციის სამართლებრივი საფუძვლები, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე; საარბიტრაჟო განხილვის ადგილას მოქმედი სამართლის, საარბიტრაჟო წესების და მხარეთა შორის არსებული საარბიტრაჟო შეთანხმების გავლენა არბიტრაჟის და სასამართლოს უფლებამოსილებაზე და აღნიშნული უფლებამოსილების შეზღუდვის შემთხვევები.

VII თავი ეთმობა უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების წინაპირობებს, რომელიც დადგენილია, როგორც არბიტრაჟის შესახებ კანონით ან/და UNCTIRAL-ის მოდელური კანონით, ასევე საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკით. შესწავლილია UNCTIRAL-ის მოდელური კანონის 2006 წლის რედაქციაზე მომუშავე ჯგუფის ანგარიშები, რომელთა ანალიზიც აუცილებელია კანონის სწორი გამოყენებისა და ინტერპრეტაციისთვის.

ნაშრომის VIII თავი მოიცავს უზრუნველყოფის ღონისძიებების კანონისმიერ სახეების ანალიზს, რომელიც განმტკიცებულია ქართულ და საერთაშორისო საარბიტრაჟო კანონმდებლობაში. ასევე, გაანალიზებულია უზრუნველყოფის ღონისძიების ის სახეები, რომელიც იშვა საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკაში და წარმოჩენილია ქართულ საარბიტრაჟო პრაქტიკაში გამოყენებული არაკანონისმიერი სახეები.

IX თავში განხილულია გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის, შეჩერების და გაუქმების საფუძვლები და წინაპირობები. გაანალიზებულია არბიტრაჟის უფლებამოსილება *ex officio* იმსჯელოს მის მიერვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანშეწონილობაზე და ის გამონაკლისი



შემთხვევა, როდესაც შესაძლებელია სასამართლოს მიენიჭოს უფლებამოსილება იმსჯელოს არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებაზე.

X თავი ეთმობა მხარეთა ვალდებულებას ერთი მხრივ, არბიტრაჟს წარუდგინოს ინფორმაცია იმ გარემოებების ცვლილების შესახებ, რაც გახდა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი, ხოლო მეორე მხრივ, სასამართლოს წარუდგინოს ინფორმაცია არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის, შეჩერების და გაუქმების შესახებ. გაანალიზებულია ის სამართლებრივი შედეგები, რაც შეიძლება დადგეს მხარის მიერ არბიტრაჟისთვის ან სასამართლოსთვის ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში.

ნაშრომის XI თავში განხილულია არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების მიზანი და სასამართლოს როლი ამ პროცესში. გაანალიზებულია ცნობა-აღსრულების რეჟიმთან დაკავშირებით ქართულ კანონმდებლობაში არსებული ბუნდოვანება და საარბიტრაჟო/სასამართლო პრაქტიკის შეუსაბამობები საერთაშორისო ტენდენციებთან. წარმოჩენილია არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებასთან მიმართებით ცნობა-აღსრულების რეჟიმის მოქმედების აუცილებლობა და საერთაშორისო მიდგომები. გაანალიზებულია, ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების შესახებ“<sup>21</sup> გამოყენების საკითხი უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებისას.

## II. საარბიტრაჟო განხილვის ძირითადი მახასიათებლები

თანამედროვე მსოფლიოში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მრავალი საშუალება არსებობს, მათ შორის, არბიტრაჟი, მედიაცია, კონსილაცია, „Expert Determination“, „Mini Trials“ და სხვა.<sup>22</sup> ბოლო პერიოდში დავის გადაწყვეტის საშუალებების განვითარებას თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნია. მხარეები, იქნებიან ესენი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები თუ ინდივიდები, ყოველთვის ეძებენ მათთვის უფრო ხელსაყრელ, იაფ და ეფექტიან დავის გადაწყვეტის საშუალებას. აღნიშნულს, თავის მხრივ, ხელი შეუწყო სახელმწიფო მართლმსაჯულების არაეფექტურმა მუშაობამ, დავების განხილვის გაჭიანურებამ და სასამართლო მართლმსაჯულების მიმართ ნდობის დაბალმა ხარისხმა.<sup>23</sup> ყველა

<sup>21</sup> ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების შესახებ“ მე-2 მუხლი. ხელმისაწვდომია: [www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/NY-conv/New-York-Convention-E.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/NY-conv/New-York-Convention-E.pdf), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018. ტექსტი შემდგომში მოიხსენიება, როგორც „ნიუ-იორკის კონვენცია“.

<sup>22</sup> Born G., *International Arbitration: Law and Practice*, Kluwer Law International, 2012, pp. 6-8.

<sup>23</sup> Pasayat A., *Alternative Dispute Resolution: Is It an Alternative Mechanism?*, *Alternative Dispute Resolution* edited by Garg Sh., Oxford University Press 2018, p. 4.

დავის გადაწყვეტის საშუალებას, მათ შორის არბიტრაჟს, თავისი მახასიათებელი გააჩნია, რაც უნიკალურს ხდის მას და გამოარჩევს, როგორც ძირითადი დავის გადაწყვეტის საშუალებისგან - სასამართლოსგან, ასევე დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებისგან.

არბიტრაჟი მიიჩნევა, დავის გადაწყვეტის კონსესუალურ მეთოდად, რომლის მეშვეობითაც მხარეთა მიერ არჩეული კერძო პირ(ებ)ი სასამართლოს ნაცვლად იღებენ მხარეთათვის შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებას.<sup>24</sup> სხვა განმარტების მიხედვით, არბიტრაჟი - ეს არის დავის გადაწყვეტის მექანიზმი, რომლის დროსაც ორი ან მეტი პირი უფლებამოსილებას ანიჭებს ერთ ან მეტ პირს გადაწყვიტოს მათ შორის წარმოშობილი დავა.<sup>25</sup> არბიტრაჟს არა სახელმწიფოსგან, არამედ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ენიჭება უფლებამოსილება მიიღოს საბოლოო და მხარეთათვის მბოჭავი გადაწყვეტილება.<sup>26</sup>

### 1. არბიტრაჟის კონსესუალური ბუნება

არბიტრაჟი, როგორც დავის განმხილველი ინსტიტუცია, სრულად ეფუძნება მხარეთა ნების ავტონომიას და დაუშვებელია პირის იძულება დავა გადაწყვიტოს არბიტრაჟის მეშვეობით და მონაწილეობა მიიღოს საარბიტრაჟო განხილვაში, თუ ამის თაობაზე მხარეს წინასწარ არ აქვს გამოვლენილი ნება.<sup>27</sup> შესაბამისად, საარბიტრაჟო განხილვა წარმოადგენს კონსესუალურ პროცესს და მის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს მხარეთა ავტონომიისა და დამოუკიდებელი ნების გამოვლენის შედეგს.<sup>28</sup>

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე. აღნიშნული მუხლი სრულად ეფუძნება და იზიარებს UNCITRAL-ის მოდელური კანონის მე-7 მუხლის რეგულირებას. ნიუ-იორკის კონვენციის II მუხლის თანახმად, კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები აღიარებენ შეთანხმებას, რომლითაც მხარეები თანხმდებიან განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას განსაზღვრულ სამართლებრივ

<sup>24</sup> Kaufmann – Kohler G., Rigozzi A., International Arbitration, Law and Practice in Switzerland, Oxford University Press, 2015, p. 5.

<sup>25</sup> Born G., International Arbitration: Law and Practice, Kluwer Law International, 2012, pp 6-8.

<sup>26</sup> Girsberger D., Vosser N., International Arbitration in Switzerland, Schulthess Juristische, 2<sup>nd</sup> edition, 2012, p. 2.

<sup>27</sup> Howsan v. Dean Witter Reynolds, Inc., USA Supreme Court, 2002.

<sup>28</sup> Born G., International Arbitration: Law and Practice, Kluwer Law International, 2012, p. 4. ასევე, Kaufmann – Kohler G., Rigozzi A., International Arbitration, Law and Practice in Switzerland, Oxford University Press, 2015, p. 5.



ურთიერთობასთან დაკავშირებით, სახელშეკრულებო თუ არასახელშეკრულებო ურთიერთობიდან, რომელიც შეიძლება გადაწყდეს არბიტრაჟის მეშვეობით. საარბიტრაჟო შეთანხმება წარმოადგენს მტკიცებულებას, რომლითაც დასტურდება, მხარეთა თანხმობა მათ შორის წარმოშობილი დავა სასამართლოს გვერდის ავლით, არბიტრაჟის მეშვეობით გადაწყვიტონ.<sup>29</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საარბიტრაჟო განხილვა ნებაყოფლობითია, რომლისთვისაც აუცილებელია მხარეთა თანხმობა.<sup>30</sup>

შესაბამისად, მხარეთა კონსენსუსი/შეთანხმება წარმოადგენს საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობას, რომლის არარსებობის შემთხვევაში დავის საარბიტრაჟო წესით განხილვა დაუშვებელია. ამასთან, საარბიტრაჟო შეთანხმებით შესაძლებელია დადგენილ იქნეს მკაცრი საზღვრები თუ რა სახის დავებს განიხილავს არბიტრაჟი, პირობითად, შესაძლებელია ერთი ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხოლოდ გარკვეული დავების განხილვა დაექვემდებაროს არბიტრაჟს და არბიტრაჟი არ არის უფლებამოსილი გასცდეს მხარეთა მიერ დადგენილ საარბიტრაჟო შეთანხმების საზღვრებს.<sup>31</sup>

მხარეთა ნების ავტონომიას ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 17.1 მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას. მსგავსად აწესრიგებს აღნიშნულ საკითხს UNCITRAL-ის მოდელური კანონი.<sup>32</sup> აღნიშნული დებულების გათვალისწინებით, უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებასთან მიმართებით მხარეებს ენიჭებათ ფართო უფლებამოსილება.<sup>33</sup>

## 2. საარბიტრაჟო განხილვის საგანი

არბიტრაჟი არ წარმოადგენს უნიკალურ დავის გადაწყვეტის საშუალებას, რომელმაც შესაძლებელია განიხილოს მხარეთა შორის წარმოშობილი ყველა და ნებისმიერი დავა. არბიტრაჟი წარმოადგენს კომერციული/ქონებრივი დავების გადაწყვეტის მექანიზმს.<sup>34</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 1-ლი

<sup>29</sup> Girsberger D., Voser N., *International Arbitration in Switzerland*, Schulthess Juristische, 2<sup>nd</sup> edition, Schulthess, 2012, p. 2.

<sup>30</sup> Kaufmann – Kohler G., Rigozzi A., *International Arbitration, Law and Practice in Switzerland*, Oxford University Press, 2015, p. 6.

<sup>31</sup> იქვე.

<sup>32</sup> იხ.: UNCITRAL-ის მოდელური კანონი, მუხლი 17.

<sup>33</sup> დეტალურად იხ.: დისერტაციის თავი VI, ქვექვეთავი 1.2.3 და 1.3.3.

<sup>34</sup> Lookofsky J., Hertz K., *Transnational Litigation and Commercial Arbitration*, 4<sup>th</sup> edition, Djof Publishing, 2017, pp. 907-908.

მუხლის თანახმად, არბიტრაჟს განსახილველად შეიძლება გადაეცეს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით კი, პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს.<sup>35</sup> UNCITRAL-ის მოდელური კანონი სათაურშივე მკაფიოდ უსვამს ხაზს არბიტრაჟის კომერციულ ბუნებას.<sup>36</sup> მოდელური კანონის მითითებით, ტერმინ „კომერციულს“ უნდა მიეცეს ფართო ინტერპრეტაცია, რომელმაც უნდა მოიცვას ყველა საკითხი, რომელიც გამომდინარეობს კომერციული ურთიერთობიდან, სახელშეკრულებო თუ არასახელშეკრულებო ურთიერთობიდან. კომერციული ურთიერთობები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი ტრანზაქციებით: ნებისმიერი სავაჭრო გარიგება, სერვისის ან პროდუქციის ნასყიდობის, მიწოდების ან გაცვლის, დისტრიბუციის ხელშეკრულება, კომერციული წარმომადგენლობა ან აგენტობა, ფაქტორინგი, ლიზინგი, საინჟინრო და სამშენებლო სამუშაოები, ლიცენზია, ინვესტიცია, ექსპლუატაციის ხელშეკრულება, ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა) და ინდუსტრიული და ბიზნესის თანამშრომლობის სხვა ფორმები; ტვირთების გადატანა და მგზავრების გადაყვანა, საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო და საგზაო სატრანსპორტო საშუალებებით.<sup>37</sup>

ნიუ-იორკის კონვენციის I.3 მუხლის თანახმად, კონვენციის ხელშემკვერელი სახელმწიფო უფლებამოსილია განსაზღვროს, რომ კონვენცია ვრცელდება სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო დავებზე, რომლებიც შიდა კანონმდებლობის მიხედვით მიიჩნევა კომერციულად.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტების ანალიზი ცხადყოფს, რომ როგორც ქართულ სამართლებრივ სივრცეში, ისე საერთაშორისო დონეზე, არბიტრაჟი აღიარებულია კომერციული/ქონებრივი დავების და არა ყველა/ნებისმიერი დავის გადანყვეტის საშუალებად და საარბიტრაჟო განხილვის საგანი სწორედ კომერციული ურთიერთობიდან უნდა გამომდინარეობდეს. შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხთან მიმართებით ქართული კანონმდებლობა ძირითადად შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, თუმცა, განხილვის და მსჯელობის საგანი შეიძლება იყოს, კონკრეტული კერძო სამართლებრივი დავები, მაგალითად, რომელიც გამომდინარეობს შრომითი ურთიერთობებიდან ან საფინანსო ინსტიტუტებს და მომხმარებელთა ურთიერთობებიდან რამდენად შეიძლება განეკუთვნებოდნენ კომერციული ხასიათის დავებს.

<sup>35</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 12.

<sup>36</sup> UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration (მოდელური კანონი საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ).

<sup>37</sup> იხ.: UNCITRAL მოდელური კანონი, მუხლი 1.

### 3. დამოუკიდებელი მესამე პირის მიერ გადაწყვეტილების მიღება

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომელიც არბიტრაჟს გააჩნია ეს არის დამოუკიდებელი მესამე პირის/პირების მიერ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ინიშნება მხარეთა მიერ და არ არის სახელმწიფოს მიერ არჩეული ან/და დანიშნული პირი, რაც ამცირებს სახელმწიფოს მხრიდან მასზე ზეგავლენის მოხდენის რისკს.<sup>38</sup> მნიშვნელოვანია, რომ მხარეები სარგებლობენ სრული უფლებამოსილებით, თავად შეარჩიონ სასურველი კომპეტენციისა და გამოცდილების მქონე პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა და გამოცდილება სადავო საკითხთან მიმართებით, რაც არ არის და ვერც იქნება უზრუნველყოფილი სასამართლოს მხრიდან იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მხარეები ხელშეკრულების საფუძველზე თავად ირჩევენ დავის განმხილველ სასამართლოს.<sup>39</sup> მხარეების მსგავსი შესაძლებლობით აღჭურვა არბიტრაჟს კიდევ უფრო მიმზიდველ დავის გადაწყვეტის საშუალებად ხდის. ამასთან, მხარეებს აქვთ უფლება თავად განსაზღვრონ არბიტრების რაოდენობა და თავად გადაწყვიტონ რამდენი პირის მონაწილეობით შექმნილმა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მათ საქმეზე.<sup>40</sup>

### 4. არბიტრაჟის გადაწყვეტილების სავალდებულობა

არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მხარეთათვის სავალდებულოა შესასრულებლად და არ ატარებს რჩევის ან/და რეკომენდაციის სახეს.<sup>41</sup> მხარეებს არ აქვთ უფლება დაეთანხმონ ან არ დაეთანხმონ მიღებულ გადაწყვეტილებას, რაც გამოარჩევს მას დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიული საშუალებებისგან, როგორებიცაა: მედიაცია, „Expert Determination” და „Mini Trials”.<sup>42</sup> საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გარკვეულწილად წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების ეკვივალენტს და საბოლოო შედეგით არ განსხვავდება მისგან.<sup>43</sup> შესაბამისად, საარბიტრაჟო განხილვისას მხარის რისკი, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება არაკეთილსინდისიერად, დროის განწვდის მიზნით იქნება გამოყენებული თითქმის არ არსებობს. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ ექვემდებარება გასაჩივრებას ზოგადი წესის შესაბამისად და მხოლოდ შემზღველ საფუძვლების არსებობის შემთხვევაში არის დასაშვები მისი გასაჩივრება.<sup>44</sup> მსგავსი რეჟიმი ვრცელდება ასევე, არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებებზე, რომლებიც

<sup>38</sup> Born G., *International Arbitration: Law and Practice*, Kluwer Law International, 2012, p. 5.

<sup>39</sup> იქვე.

<sup>40</sup> იხ.: არბიტრაჟის შესახებ კანონი, მუხლი 11.

<sup>41</sup> იხ.: არბიტრაჟის შესახებ კანონი, მუხლი 39.2.

<sup>42</sup> Born G., *International Arbitration: Law and Practice*, Kluwer Law International, 2012, p. 5.

<sup>43</sup> Kaufmann – Kohler G., Rigozzi A., *International Arbitration, Law and Practice in Switzerland*, Oxford University Press, 2015, p. 6.

<sup>44</sup> იქვე., ასევე, იხ.: არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 42.

შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.<sup>45</sup> მართალია, მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოყენებულია უზრუნველყოფის ღონისძიება უფლება აქვს მიმართოს არბიტრაჟს უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ან/და შეცვლის მოთხოვნით,<sup>46</sup> თუმცა უზრუნველყოფის ღონისძიების ზემდგომ ორგანოში ან/და სასამართლო წესით გასაჩივრებას არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, ისევე როგორც UNCITRAL-ის მოდელური კანონი, არ ითვალისწინებს.

## 5. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება

არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ექვემდებარება კომპეტენტური სასამართლოს მიერ ცნობა-აღსრულებას.<sup>47</sup> შესაბამისად, მხარე, რომლის სასარგებლოდაც არის მიღებული გადაწყვეტილება, დაცულია იმისგან, რომ წაგებულმა მხარემ არ შეასრულოს არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. როგორც ქართული,<sup>48</sup> ასევე თითქმის ყველა ადგილობრივი კანონმდებლობა უზრუნველყოფს არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას.<sup>49</sup> გარდა ადგილობრივი კანონმდებლობისა, ამ მხრივ არბიტრაჟის ეფექტიანობის საყრდენად მიჩნეულია ნიუ-იორკის კონვენცია „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების შესახებ“, რომელიც 1958 წლიდან დღემდე უზრუნველყოფს არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულებას უცხო ქვეყნებში და მხარეს საშუალებას აძლევს კონვენციის ხელმომწერ ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც მოჰასუხეს გააჩნია ქონება/აქტივი განახორციელოს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება.<sup>50</sup> მსოფლიო მასშტაბით მსგავსი უნივერსალური საშუალება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებისა კი დღეის მდგომარეობით არ არსებობს. გასათვალისწინებელია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება და ზოგიერთ ქვეყანაში დამკვიდრებულია მიდგომა, რომ ნიუ-იორკის კონვენცია ასევე გამოიყენება არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა-აღსრულების საკითხის გადასაწყვეტად.<sup>51</sup>

<sup>45</sup> იხ.: არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 22.

<sup>46</sup> იხ.: არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 19.

<sup>47</sup> იხ.: არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 44.

<sup>48</sup> იხ.: არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 44.

<sup>49</sup> Born G., *International Arbitration: Law and Practice*, Kluwer Law International, 2012, pp. 276-277.

<sup>50</sup> იქვე, p. 19.

<sup>51</sup> დეტალურად იხ.: დისერტაციის თავი IX, ქვეთავი 4.

### III. არბიტრაჟის განვითარების ტენდენციები

არბიტრაჟი, როგორც დავის გადაწყვეტის მექანიზმი, ყოველდღიურად ვითარდება და იხვეწება, რითაც ცდილობს უპასუხოს თანამედროვეობის გამოწვევებს, მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მხარეთა მოთხოვნები და კონკურენცია გაუწიოს როგორც სასამართლოს, ასევე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სხვა საშუალებებს. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოც ცდილობს ფეხი აუწყოს თანამედროვე ტენდენციებს და უზრუნველყოს ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან.

#### 1. არბიტრაჟის განვითარების ტენდენციები საერთაშორისო დონეზე

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ არბიტრაჟი დავის გადაწყვეტის უძველესი მეთოდია, რომელიც წინ უსწრებდა სახელმწიფო მართლმსაჯულების ჩამოყალიბებას<sup>52</sup> და მას დიდი ისტორია გააჩნია.<sup>53</sup> იმ ფორმით კი, როგორც ფორმითაც დღეს არსებობს, არბიტრაჟი მე-19 საუკუნის ბოლოდან მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ყალიბდება.<sup>54</sup> მაგალითისთვის, 1891 წლის აპრილში ქალაქ ლონდონში დაარსდა ლონდონის საარბიტრაჟო პალატა (The City of London Chamber of Arbitration), რომელსაც მისი არებობის ისტორიაში რამდენჯერმე გადაერქვა სახელი და დღემდე ფუნქციონირებს ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (The London Court of International Arbitration) სახელით და მიიჩნევა წამყვან საარბიტრაჟო ცენტრად.<sup>55</sup>

პირველ საერთაშორისო აქტებად, რომლებმაც დაარეგულირეს და ხელი შეუწყეს საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების განვითარებას, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ დონეზე, მიჩნეულია ჟენევის 1923 წლის პროტოკოლი საარბიტრაჟო დათქმების შესახებ<sup>56</sup> და ჟენევის 1927 წლის კონვენცია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ.<sup>57</sup> პროტოკოლი ხელმოწერ მხარეებს ავალდებულებდა აღსრულებინათ საარბიტრაჟო შეთანხმებები, ხოლო კონვენცია არეგულირებდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას უცხო ქვეყნებში.<sup>58</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნულმა საერთაშორისო აქტებმა არცთუ ისე დიდი

<sup>52</sup> Kaufmann – Kohler G., Rigozzi A., International Arbitration, Law and Practice in Switzerland, Oxford University Press, 2015, p. 6

<sup>53</sup> Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume I, Kluwer Law International, 2014, pp. 6-70.

<sup>54</sup> იქვე. 63.

<sup>55</sup> [www.lcia.org/LCIA/history.aspx](http://www.lcia.org/LCIA/history.aspx), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>56</sup> ხელმისაწვდომია: <https://treaties.un.org/pages/LONViewDetails.aspx?src=LON&id=548&chapter=30&lang=en> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>57</sup> Born G., International Arbitration: Law and Practice, Kluwer Law International, 2012, p. 19.

<sup>58</sup> Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume I, Kluwer Law International, 2014, p. 99.

პრაქტიკული როლი ითამაშა არბიტრაჟის განვითარებაში, რაც გამოწვეული იყო მეორე მსოფლიო ომის ფაქტორით.<sup>59</sup> თუმცა, გარდა მეორე მსოფლიო ომისა, თავად აქტებიც ვერ უზრუნველყოფდნენ ეფექტიანი აღსრულების მექანიზმებს, რაც დაკავშირებული იყო ორმაგი ეგზეკვატურობის პრინციპთან,<sup>60</sup> რომლის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება.

შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა უფრო ეფექტიანი მექანიზმის შემუშავების აუცილებლობა. 1958 წელს გაეროს საერთაშორისო კომერციული სამართლის კომისიის (UNCITRAL) მიერ შემუშავებულ იქნა ნიუ-იორკის კონვენცია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1959 წლის 7 ივნისს და სრულად ჩაანაცვლა უნევის 1923 წლის პროტოკოლი საარბიტრაჟო დათქმების შესახებ და 1927 წლის კონვენცია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ.<sup>61</sup> არბიტრაჟის განვითარების მიზნებისთვის ნიუ-იორკის კონვენცია მიიჩნევა ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო ხელშეკრულებად,<sup>62</sup> რომელმაც შექმნა უნივერსალური მოდელი და დაადგინა ერთიანი მიდგომა საარბიტრაჟო შეთანხმებების და გადაწყვეტილების აღსრულებისა. აღსანიშნავია, რომ საქართველო აღნიშნულ კონვენციას მიუერთდა და რატიფიცირება მოახდინა ჯერ კიდევ 1994 წელს,<sup>63</sup> როდესაც დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ ახალი მოპოვებული ჰქონდა.

გარდა ამისა, 1961 წელს მიღებულ იქნა ევროპული კონვენცია საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1964 წელს<sup>64</sup> და გარკვეული წვლილი შეიტანა არბიტრაჟის განვითარებაში, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ კონვენციის ხელმომწერი თავდაპირველად იყო მხოლოდ 16 ქვეყანა, დღეის მდგომარეობით კი მისი წევრია სულ 31 ქვეყანა, რომელიც ამავდროულად არის ნიუ-იორკის კონვენციის წევრი, პრაქტიკული თვალსაზრისით მას დიდი გავლენა არ მოუხდენია არბიტრაჟის განვითარებაზე.<sup>65</sup>

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ვაშინგტონის 1965 წლის კონვენცია, რომლის საფუძველზეც დაფუძნდა საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო

<sup>59</sup> იქვე.

<sup>60</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, გამომცემლობა მერიდიანი, 2012, გვ. 70. ორმაგი ეგზეკვატურობის პრინციპის შესახებ დეტალურად იხ.: Born G., International Arbitration: Law and Practice, Kluwer Law International, 2012, p. 275.

<sup>61</sup> ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის VII (2) მუხლი.

<sup>62</sup> Kaufmann – Kohler G., Rigozzi A., International Arbitration, Law and Practice in Switzerland, Oxford University Press, 2015, p. 18.

<sup>63</sup> იხ.: [www.newyorkconvention.org/countries](http://www.newyorkconvention.org/countries), უკანასკნელად გადამოწმებული იქნა - 23.11.2018.

<sup>64</sup> ხელმისაწვდომია: [https://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg\\_no=XXII-2&chapter=22&clang=en](https://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg_no=XXII-2&chapter=22&clang=en), უკანასკნელად გადამოწმებული იქნა - 23.11.2018.

<sup>65</sup> Born G., International Arbitration: Law and Practice, Kluwer Law International, 2012, p. 22.

ცენტრი (International Centre for Settlement of Investment Disputes (ICSID)).<sup>66</sup> აღნიშნული ცენტრი სპეციალიზირებულია საინვესტიციო დავებში და განიხილავს ხელშემკვრელი სახელმწიფოსა და სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს (ინვესტორებს) შორის წარმოშობილ საინვესტიციო დავებს. აღნიშნული ცენტრის როლი და მნიშვნელობა ყოველწლიურად იზრდება, რაზეც სტატისტიკაც მეტყველებს, კერძოდ 2017 წლის მონაცემებით ცენტრში დარეგისტრირდა 53 საქმე, ჯამში კი ცენტრის მიერ, მისი შექმნიდან 2018 წლის 30 ივნისამდე რეგისტრირებულია 676 საქმე.<sup>67</sup> აღნიშნული კონვენციის ხელმოწერია 162 ქვეყანა, საქართველო კი კონვენციის მონაწილე გახდა 1992 წლის 07 აგვისტოს.<sup>68</sup>

კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არბიტრაჟი ინსტიტუტის განვითარებაში არის გაეროს საერთაშორისო კომერციული სამართლის კომისიის (UNCITRAL) მიერ 1985 წელს შემუშავებული მოდელური კანონი საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ, რომლის მიზანი იყო დახმარებოდა სახელმწიფოებს შეექმნათ უნიფიცირებული და მოდერნიზებული საარბიტრაჟო კანონმდებლობა.<sup>69</sup> 2006 წელს მოდელურმა კანონმა არსებითი ცვლილებები განიცადა, მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებების ნაწილში.

არბიტრაჟის განვითარებაში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო ცენტრები და მათ მიერ შემუშავებული საარბიტრაჟო წესები, რომლებიც ყოველწლიურად იხვეწება და ვითარდება. საარბიტრაჟო ინსტიტუტები ცდილობენ მაქსიმალურად გაითვალისწინონ მოდავე მხარეების ინტერესები, მოერგონ მათ საჭიროებებს და შექმნან ეფექტიანი დავის გადაწყვეტის წესები. ამაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ საარბიტრაჟო ცენტრები ყოველთვის ცდილობენ განაახლონ თავიანთი წესები და უპასუხონ თანამედროვე გამოწვევებს, მაგალითად, საერთაშორისო სამრეწველო პალატის (International Chamber of Commerce) საარბიტრაჟო წესები განახლდა 2017 წლის 1 მარტს,<sup>70</sup> სტოკჰოლმის სამრეწველო პალატის საარბიტრაჟო ინსტიტუტის (Arbitration Institute of the

<sup>66</sup> ვაშინგტონის 1965 წლის კონვენცია, „სახელმწიფოს და სხვა სახელმწიფოს სუბიექტებს შორის წარმოშობილი საინვესტიციო დავების გადაწყვეტის შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://icsid.worldbank.org/en>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>67</sup>The ICSID Caseload Statistic (Issue 2018-2). ხელმისაწვდომია: [https://icsid.worldbank.org/en/Documents/resources/ICSID%20Web%20Stats%2020182%20\(English\).pdf](https://icsid.worldbank.org/en/Documents/resources/ICSID%20Web%20Stats%2020182%20(English).pdf), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>68</sup><https://icsid.worldbank.org/en/Pages/about/Database-of-Member-States.aspx>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018. ICSID-ის საარბიტრაჟო ცენტრის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხილულია (დასრულებულია) 8 საქმე, 23.11.2018 წლის მდგომარეობით, საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარეობს 2 საქმე. იხ.: <https://icsid.worldbank.org/en/Pages/cases/searchcases.aspx>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>69</sup>[http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral\\_texts/arbitration/1985Model\\_arbitration.html](http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/arbitration/1985Model_arbitration.html), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>70</sup><https://iccwbo.org/dispute-resolution-services/arbitration/rules-of-arbitration/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.



Stockholm Chamber of Commerce) წესები განახლდა 2017 წლის 1 იანვარს,<sup>71</sup> ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (London Court of International Arbitration) წესები კი 2014 წელს,<sup>72</sup> სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის (Singapore International Arbitration Center)- 2016 წელს.<sup>73</sup>

## 2. არბიტრაჟის განვითარების ტენდენციები საქართველოში

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, საქართველოში არბიტრაჟის ინსტიტუტი საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდა კერძო არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე, რომელიც მიღებულ იქნა 1997 წელს.<sup>74</sup> მიუხედავად სახელმწიფოს მცდელობისა შეექმნა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალება, რაც თავისთავად მისასაღამებელი იყო იმ პერიოდისთვის, კანონში არსებულმა არსებითი ხასიათის ხარვეზებმა და საერთაშორისო მიდგომების გაუთვალისწინებლობამ ხელი შეუშალა აღნიშნული ინსტიტუტის სწორი მიმართულებით განვითარებას.<sup>75</sup> არსებულ ხარვეზებს ნათლად წარმოაჩენს ის საკანონმდებლო მოწესრიგება, რომლის მიხედვითაც არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება, სასამართლოს მხრიდან ყოველგვარი ცნობა-აღსრულების და კონტროლის გარეშე, პირდაპირ არბიტრაჟის თავმჯდომარის სააღსრულებო წარწერის საფუძველზე ხორციელდებოდა.<sup>76</sup> სასამართლოს მხრიდან შესაბამისი კონტროლის არარსებობამ კი გამოიწვია არბიტრაჟის ინსტიტუტის ბოროტად გამოყენება და ხშირი იყო ქონების უკანონოდ მისაკუთრების ფაქტები, რამაც ძლიერი დარტყმა მიაყენა არბიტრაჟის რეპუტაციას.<sup>77</sup> კანონის 43-ე მუხლით ასევე გათვალისწინებული იყო არბიტრაჟის მიერ უკვე მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებაზე სასამართლოში სარჩელის წარდგენა და მიღებული გადაწყვეტილების შეცვლის შესაძლებლობა.<sup>78</sup> ამ ფორმით კი არბიტრაჟის ინსტიტუტის სწორი მიმართულებით განვითარება შეუძლებელი აღმოჩნდა.<sup>79</sup>

2009 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ, UNCITRAL-ის მოდელურ კანონზე დაყრდნობით მიღებულ იქნა ახალი კანონი არბიტრაჟის შესახებ, რაც

<sup>71</sup> <https://sccinstitute.com/dispute-resolution/rules/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>72</sup> [http://www.lcia.org/Dispute\\_Resolution\\_Services/lcia-arbitration-rules-2014.aspx](http://www.lcia.org/Dispute_Resolution_Services/lcia-arbitration-rules-2014.aspx) უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>73</sup> <http://www.siac.org.sg/our-rules/rules/siac-rules-2016>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>74</sup> კერძო არბიტრაჟის შესახებ კანონი, მიღებულია 17/04/1997 წელს, ძალადაკარგულია 01/01/2010 წლიდან, ხელმისაწვდომია: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge).

<sup>75</sup> ტყემალაძე ს., კობალაძე მ. და სხვები, არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, 2018, გვ. 9.

<sup>76</sup> იხ. კერძო არბიტრაჟის შესახებ კანონი, მუხლი 42.

<sup>77</sup> Blechman M., Assesemnt of ADR in Georgia, 2011, p. 1.

<sup>78</sup> კერძო არბიტრაჟის შესახებ კანონი, მუხლი 43.

<sup>79</sup> ბინდერი ჰ.მ., არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარები, ქართული სამართლის მიმოხილვა, #10/2007-2/3, 2007, გვ. 182.



მნიშვნელოვან წინ გადაგმულ ნაბიჯად იქნა მიჩნეული, ვინაიდან, არბიტრაჟის ქართული მონესრიგება მნიშვნელოვნად დაუახლოვდა და შესაბამისობაში მოვიდა არბიტრაჟის რეგულირების თანამედროვე სტანდარტებთან.<sup>80</sup> აღიშნული კანონით აღმოიფხვრა ყველა ის ძირითადი ხარვეზი, რომელიც თან ახლდა კერძო არბიტრაჟის შესახებ 1997 წლის კანონს. არბიტრაჟის შესახებ კანონი ადგენს საქართველოში არბიტრაჟის შექმნის, საარბიტრაჟო წარმოების, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების, აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების წესებს.<sup>81</sup> კანონი ვრცელდება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვებზე.<sup>82</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო მონესრიგების კუთხით პრინციპულად სწორი მიმართულება იქნა არჩეული, კანონის პრაქტიკაში გამოყენებისას გარკვეული ხარვეზები კვლავ გამოვლინდა<sup>83</sup> და 2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით, მომზადებულ იქნა არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები.<sup>84</sup> ცვლილებების მიზნად დასახელდა „საქართველოს კანონის ცალკეულ ნორმათა შეუსაბამობა „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ UNCITRAL-ის მოდელურ კანონთან, ასევე კანონში არსებული მთელი რიგი ხარვეზები და მთარგმნელობითი ხასიათის შეცდომები.“<sup>85</sup>

მიუხედავად არასასურველი წარსულისა, დღეის მდგომარეობით, შეიძლება ითქვას, რომ საკანონმდებლო კუთხით საქართველოს აქვს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეგულირება, რაც აჩენს პოტენციალს, რომ საქართველოში არბიტრაჟი განვითარდეს არა მარტო როგორც ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო დავების გადაწყვეტის მექანიზმად. ამისთვის მნიშვნელოვანია, რომ არსებული კანონმდებლობა არბიტრაჟების და სასამართლოს მხრიდან განმარტებულ იქნეს თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით, რათა არ მოხდეს საარბიტრაჟო

<sup>80</sup> Blechman M., Assesemnt of ADR in Georgia, 2011, pp. 10-11.

<sup>81</sup> არბიტრაჟის შესახებ კანონი, მუხლი 1.

<sup>82</sup> ბინდერი ჰ.მ., არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარები, ქართული სამართლის მიმოხილვა, #10/2007-2/3, 2007, გვ.182.

<sup>83</sup> ტყემალაძე ს., კობალაძე მ. და სხვები, არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, 2018, გვ. 10.

<sup>84</sup> განმარტებითი ბარათი, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე. ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/53844>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>85</sup> განმარტებითი ბარათი, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე. ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/53844>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

პრაქტიკის არასწორი განვითარება, რაც არ იქნება შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან.

#### IV. ტერმინოლოგიური განსხვავება UNCITRAL-ის მოდელურ კანონსა და არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონს შორის

##### 1. UNCITRAL-ის მოდელური კანონის ტერმინოლოგია უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების მოწესრიგებისას გაზიარებულია UNCITRAL-ის მოდელური კანონის ძირითადი დებულებები<sup>86</sup> და კვლევა მეტწილად ეფუძნება UNCITRAL-ის მოდელური კანონისა და იმ ქვეყნების შედარებით-სამართლებრივ ანალიზს, რომელიც ეყრდნობა UNCITRAL-ის მოდელური კანონის რეგულირებას. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ნაშრომის დასაწყისშივე ყურადღება გამახვილდეს იმ ტერმინოლოგიურ განსხვავებაზე, რომელიც არსებობს ქართულ კანონსა და მოდელურ კანონს შორის.

ზოგადად, სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო აქტებში და საერთაშორისო ლიტერატურაშიც ტერმინოლოგია, უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით განსხვავებული და მრავალფეროვანია.<sup>87</sup> მაგალითად, გამოიყენება ტერმინები, როგორცაა “Interim Measure” (შუალედური ღონისძიება), “Provisional Measure” (დროებითი ღონისძიება), “Protective Measure and Conservatory measure” (დამცავი ღონისძიება) და სხვა.<sup>88</sup> როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, მსგავს ტერმინოლოგიურ განსხვავებებს პრაქტიკული და შინაარსობრივი დატვირთვა არ გააჩნია,<sup>89</sup> თუმცა ზოგიერთი ავტორის განმარტებით “Interim” და „Provisional” ღონისძიებები გამოიყენება საარბიტრაჟო წარმოებისას მოსარჩელის უფლებების დაცვის მიზნით საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაშინ, როდესაც „Protective” და „Conservatory” ღონისძიებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც შუალედური, ასევე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისას.<sup>90</sup>

UNCITRAL-ის მოდელური კანონი შინაარსობრივი თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განასხვავებს “Interim Measure”-ს (შუალედური ღონისძიება) და “Preliminary Order”-ს (წინასწარი ბრძანება).<sup>91</sup> მოდელური კანონის მე-17 და მე-17A

<sup>86</sup> Tsertsvadze G., Brief commentary to the Georgian arbitration law 2009, 2011, p. 139.

<sup>87</sup> Wang W., „International arbitration: The need for Uniform Interim measures of Relief,” International Dispute Resolution Case and Materials, Carolina Academic Press, Second Edition, 2002, p. 139.

<sup>88</sup> Jones D. Emergency Arbitrators and Court-Ordered Interim Measures, Defining Issues in International Arbitration edited by Betancourt J. C., Oxford University Press, 2016, p. 149. ასევე, Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II, 2014, p. 2328.

<sup>89</sup> იქვე.

<sup>90</sup> Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2428.

<sup>91</sup> იხ.: UNCITRAL-ის მოდელური კანონი, მუხლი 17.

მუხლი აწესრიგებს “Interim Measure”-ის (შუალედური ღონისძიება) გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ხოლო მე-17B და მე-17C მუხლები კი „Preliminary Order“-თან (წინასწარი ბრძანება) დაკავშირებულ საკითხებს. მათ შორის პრინციპული განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ „Preliminary Order“-ის (წინასწარი ბრძანება) გამოყენებაზე არბიტრაჟი გადაწყვეტილებას იღებს მეორე მხარისთვის შეუტყობინებლად, *ex parte*, ხოლო „Interim Measure“-ის შემთხვევაში მას შემდეგ, რაც ორივე მხარეს ეძლევა თავისი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა, *inter parte*.<sup>92</sup> მოდელური კანონის მიხედვით, „Preliminary Order“-ის გამოყენება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონინალმდევე მხარისთვის ინფორმაციის მიწოდება აზრს დაუკარგავს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანს.<sup>93</sup> “Preliminary Order” გარკვეულწილად წარმოადგენს „Interim Measure“-ის წინასწარ ღონისძიებას და არბიტრაჟი უფლებამოსილია დამატებით მიიღოს „Interim Measure“, რომლის საფუძველზეც ძალაში დარჩება, გაუქმდება ან შეიცვლება „Preliminary Order“-ით გამოყენებული ღონისძიება.<sup>94</sup> ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ „Preliminary Order“-ით გამოყენებული ღონისძიება ძალას კარგავს 20 დღის ვადაში, თუ არბიტრაჟმა “Interim Measure“-ის სახით არ მიიღო გადაწყვეტილება მისი ძალაში დატოვების შესახებ და იგი არ ექვემდებარება აღსრულებას სასამართლოს მხრიდან,<sup>95</sup> თუმცა გააჩნია მბოჭავი ძალა და მხარეთათვის შესასრულებლად სავალდებულოა.<sup>96</sup>

## 2. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის ტერმინოლოგია უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი, რომელიც არეგულირებს უზრუნველყოფის ღონისძიებებს, დასათაურებულია, როგორც “არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება“. ქართული კანონი არ განასხვავებს, „Interim Measure“-ს (შუალედური ღონისძიება) და “Preliminary Order“-ს (წინასწარი ბრძანება). მოდელური კანონისგან განსხვავებით, აქცენტი გაკეთებულია მხოლოდ სარჩელის უზრუნველყოფაზე. მოდელური კანონის მიერ გამოყენებული მუხლის სათაური „Interim Measures and Preliminary Orders” საკმაოდ ფართოა და არ შემოიფარგლება მხოლოდ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით და აერთიანებს, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის, ასევე მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიებებს.<sup>97</sup>

<sup>92</sup> Paulson J., Petrochilos G., UNCITRAL Arbitration, Kluwer law International, 2018, p. 232.

<sup>93</sup> იხ.: UNCITRAL-ის მოდელური კანონი მუხლი, 17B.2.

<sup>94</sup> Paulson J., Petrochilos G., UNCITRAL Arbitration, Kluwer law International, 2018, p. 232.

<sup>95</sup> Croft C., Kee CH., Waincymer J., A Guide to the UNCITRAL Arbitration Rules, Cambridge University Press, 2013, p. 272.

<sup>96</sup> UNCITRAL-ის მოდელური კანონი, მუხლი 17B.5.

<sup>97</sup> UNCITRAL-ის მოდელური კანონი მუხლი 17(1) (a), (c), (d).

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის სათაური კი ავინროებს ღონისძიებების არეალს და მხოლოდ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს იყენებს, მაშინ როდესაც აღნიშნული მუხლით ასევე გათვალისწინებულია მტკიცებულებათა უზრუნველყოფაც. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მეორე პუნქტის (დ) ქვეპუნქტის თანხმად, „არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარის მიმართვის საფუძველზე, წერილობითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით, გონივრულ ვადაში დაავალოს მხარეს იმ მტკიცებულებების შენახვა და შენარჩუნება, რომლებიც შესაძლოა უკავშირდებოდეს საარბიტრაჟო დავას და მის გადაწყვეტას“. მსგავსი მოწესრიგება საკანონმდებლო ტექნიკის და ნორმის სტრუქტურული გამართულობის თვალსაზრისით გაუმართლებელია.

გასათვალისწინებელია, რომ მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ცალკე თავებად გამოყოფს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის და სარჩელის უზრუნველყოფის მომწესრიგებელ ნორმებს.<sup>98</sup> ეს ორი ინსტიტუტი თვისობრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად, „მტკიცებულებათა უზრუნველყოფა საქმისათვის მნიშვნელობის ფაქტების დადგენის მიზნით ხორციელდება, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას ემსახურება. ამდენად, მტკიცებულებათა უზრუნველყოფა და სარჩელის უზრუნველყოფა განსხვავებული ცნებებია, შესაბამისად, ორივე შემთხვევაში განსხვავებული საპროცესო მოქმედებებია შესასრულებელი.“<sup>99</sup> ამის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის სახელწოდების გაფართოება და შესაძლებელია პირობითად ეწოდოს „უზრუნველყოფის ღონისძიებები“, რომელიც თავისთავში გააერთიანებს, როგორც სარჩელის, ასევე მტკიცებულებების უზრუნველყოფის ღონისძიებებს. ალტერნატივის სახით შეიძლება განხილული იყოს მტკიცებულებების უზრუნველყოფის ღონისძიებების ცალკე მუხლად გამოყოფა და დარეგულირება.

<sup>98</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თავი XIV და XXIII.

<sup>99</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 29 მაისის განჩინება, საქმეზე N ას-827-1190-06.

## V. უზრუნველყოფის ღონისძიებების მიზანი

საარბიტრაჟო განხილვა მოითხოვს გარკვეულ დროს,<sup>100</sup> რაც თავის მხრივ წარმოადგენს მხარისთვის რისკს, რომ ამ დროში შესაძლებელია მოწინააღმდეგე მხარემ გაასხვისოს ქონება, შეწყვიტოს საქმიანობა, გაანადგუროს დავის საგანი ან/და მტკიცებულებები. აღნიშნული რისკი განსაკუთრებით მაღალია იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე მხარე არაკეთილსინდისიერ გზებს მიმართავს, რათა თავი აარიდოს მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას, განზრახული აქვს ზიანი მიაყენოს მოწინააღმდეგე მხარეს და ცდილობს ხელი შეუშალოს საარბიტრაჟო განხილვას ან/და მიღებული გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას.<sup>101</sup> შესაბამისად, არსებობს გარემოებები, რომლებიც აუცილებელს ხდის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას, რათა დავის დასრულებამდე დასრული იქნეს მხარეთა უფლებები. აქედან გამომდინარე, ყველა ძირითადი სამართლებრივი სისტემა უზრუნველყოფს სამართლებრივი მექანიზმების არსებობას, რომლებიც იცავს მხარეთა უფლებებს საარბიტრაჟო თუ სასამართლო საქმის წარმოებისას. სწორედ ამგვარ მექანიზმს წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიებები საარბიტრაჟო განხილვისას.<sup>102</sup>

ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, იმისათვის რომ დავის გადაწყვეტის პროცესი იყოს ეფექტიანი და სამართლიანი, აუცილებელია, არბიტრაჟს გააჩნდეს ფართო უფლებამოსილება უზრუნველყოს მხარეთა უფლებების დაცვა საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობისას. იმ შემთხვევაში, თუ მას არ ექნება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა, შესაძლებელია საბოლოო გადაწყვეტილებამ აზრიც კი დაკარგოს.<sup>103</sup>

### 1. სარჩელის/სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფა

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია სარჩელზე მომავალში მისაღები გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება.<sup>104</sup> საარბიტრაჟო წარმოებაში საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს ენიჭება მნიშვნელოვანი

<sup>100</sup> არბიტრაჟის შესახებ კანონის 39.1 მუხლის თანახმად, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან 180 დღის ვადაში.

<sup>101</sup> Kaufmann – Kohler G., Rigozzi A., *International Arbitration, Law and Practice in Switzerland*, Oxford University Press, 2015, p. 331.

<sup>102</sup> Shaughnessy P., *Interim Measures, International Arbitration in Sweden*, edited by Franke U., Magnusson J. R., Wallin M., Kluwer Law International, 2013, p. 95.

<sup>103</sup> იქვე.

<sup>104</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 27 აპრილის განჩინება, საქმეზე #ას-413-413-2018.

როლი, რომელიც იცავს მოსარჩელის უფლებებსა და ინტერესებს.<sup>105</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არის გადანყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების საშუალება. ის წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებრივი უფლებების დაცვის გარანტიას და ემსახურება ამ უკანასკნელთა დარღვეული უფლებების სრულ და რეალურ აღდგენას, ანუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ იგი იცავს მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს მოპასუხის არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში.“<sup>106</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლო საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან მიმართებით განმარტავს, რომ „ვინაიდან შეუზღუდავია მესაკუთრის ნება, განახორციელოს საკუთარი ქონების მიმართ სამართლებრივი შედეგის მქონე მოქმედებები, მაგალითად გაყიდვა, გაჩუქება და სხვა, მოცემულ შემთხვევაში არ არის უსაფუძვლო, რომ მეორე საარბიტრაჟო მოპასუხემ, სხვადასხვა მოტივით, განახორციელოს მითითებული მოქმედებები და უძრავი ქონება აღმოჩნდეს მესამე პირთა, შესაძლო კეთილსინდისიერ პირთა მფლობელობაში. ასეთ შემთხვევაში, თუკი გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის არ იარსებებს ქონება, რომელზედაც შესაძლოა მიქცეულ იქნეს იძულებითი აღსრულება, გადანყვეტილება იქცევა აღუსრულებელ გადანყვეტილებად, ხოლო სარჩელის მიზანი მიღწეული ვერ იქნება“.<sup>107</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სარჩელის უზრუნველყოფასთან მიმართებით ხაზს უსვამს, რომ „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანია გადანყვეტილების აღსრულების შეფერხების პრევენცია. იგი ქმნის მხარის მოლოდინს, რომ მის სასარგებლოდ გამოტანილ სასამართლო გადანყვეტილებას ექნება შესაბამისი ეფექტი, არ დაბრკოლდება მისი აღსრულება. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც ინსტრუმენტული უფლება, მოიცავს არამხოლოდ სასამართლოსადმი ფორმალურად მიმართვას, არამედ სასამართლოს შესაძლებლობას უფლების დარღვევის ფაქტზე მოახდინოს ეფექტური რეაგირება.“<sup>108</sup>

<sup>105</sup> Julian D M Lew, Loukas A Mistelis, Stefan M Kroll, Comparative International Commercial Arbitration, Kluwer Law International, 2003, p. 586.

<sup>106</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 03 ივლისის განჩინება, საქმეზე N ას-538-511-2013.

<sup>107</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 27 აპრილის განჩინება, საქმეზე #ას-413-413-2018.

<sup>108</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის გადანყვეტილება, საქმეზე #2/6/746, შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს მნიშვნელოვან იარაღს იმისათვის, რომ დაცული იქნეს საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობა.<sup>109</sup> უზრუნველყოფის ღონისძიებებს დროებითი და დამხმარე ხასიათი აქვს, რათა დაიცვას მხარეთა უფლებები და დაარეგულიროს მათ შორის ურთიერთობა დავის მიმდინარეობისას.<sup>110</sup>

საარბიტრაჟო წარმოების დანცებისთანავე არსებობს იმის რეალური საფრთხე, რომ საარბიტრაჟო მოპასუხემ, რომლისათვისაც იმთავითვე ცნობილია, რომ შესაძლებელია საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მის საწინააღმდეგოდ იქნეს გამოტანილი, არაკეთილსინდისიერი გზებით ხელი შეუშალოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას.<sup>111</sup> მიუხედავად იმისა, რომ არბიტრაჟი აღიარებულია დავის უფრო სწრაფად გადაწყვეტის მექანიზმად, ვიდრე სასამართლო,<sup>112</sup> საარბიტრაჟო განხილვა და გადაწყვეტილების მიღება დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდთან, რაც აუცილებელია საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გამოკვლევის და საჭიროების შემთხვევაში მონშეთა/ექსპერტთა დაკითხვისათვის. ამ დროის განმავლობაში საარბიტრაჟო მოპასუხეს აქვს სრული შესაძლებლობა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გაასხვისოს თავის საკუთრებაში არსებული აქტივები და ამ გზით თავი აარიდოს ვალდებულების შესრულებას და საფრთხე შეუქმნას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას. აღნიშნული საფრთხე უფრო იზრდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ მის აღსრულებამდე, ვინაიდან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ექვემდებარება კომპეტენტური სასამართლოს<sup>113</sup> მიერ ცნობა-აღსრულებას, რაც თავის მხრივ მოითხოვს დამატებით ვადებს,<sup>114</sup> რა დროსაც მოპასუხეს, რომლის საწინააღმდეგოდაც უკვე გამოტანილია გადაწყვეტილება, აქვს შესაძლებლობა გაასხვისოს ის ქონება ან/და გამოიყენოს ის ფულადი სახსრები, რის ხარჯზეც შესაძლებელია გადაწყვეტილების აღსრულება.

---

<sup>109</sup> Commission J., Moloo R., *Procedural Issues in International Investment Arbitration*, Oxford University Press, 2018, p. 30.

<sup>110</sup> Kaufmann – Kohler G., Rigozzi A., *International Arbitration, Law and Practice in Switzerland*, Oxford University Press, 2015, p. 331.

<sup>111</sup> Born G., *International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II*, Kluwer Law International, 2014, p. 2426.

<sup>112</sup> Julian D M Lew, Loukas A Mistelis, Stefan M Kroll, *Comparative International Commercial Arbitration*, Kluwer Law International, 2003, p. 8.

<sup>113</sup> „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44.1 მუხლის თანახმად, საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ექვემდებარება სააპელაციო სასამართლოს მიერ აღსრულებას, საქართველოს ფარგლებს გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება კი უნდა აღსრულდეს უზენაესი სასამართლოს მიერ.

<sup>114</sup> არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების ვადა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>21</sup>.3 მუხლის თანახმად შეადგენს 30 დღეს.



საარბიტრაჟო სარჩელის დაკმაყოფილებას და უფლების აღიარებას კი ყოველგვარი აზრი ეკარგება, თუ ვერ მოხდება ამ გადანწყვეტილების აღსრულება და უფლების რეალიზება.<sup>115</sup> სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს ერთ-ერთ საპროცესო სამართლებრივ საშუალებას, რომელიც ემსახურება მატერიალურ-სამართლებრივი უფლების სწრაფ და ეფექტურ დაცვას.<sup>116</sup>

უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს - მოსარჩელის ინტერესების დაცვას, მაგრამ პრაქტიკაში არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ მოსარჩელე მხარემ უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენოს მოპასუხისათვის ზიანის მიყენების და დავის დაწყებისთანავე გარკვეული უპირატესობის მოპოვების მიზნით.<sup>117</sup> აქედან გამომდინარე, დავის განმხილველი არბიტრაჟი ვალდებულია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადანწყვეტილების მიღებისას განსაკუთრებული ყურადღებით შეაფასოს არსებული ვითარება და დარწმუნდეს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობაში, რათა აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენება ემსახურობდეს რეალურ მიზანს და არა მოპასუხისათვის ზიანის მიყენებას.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ქართულ სამართლებრივ აზროვნებაში უზრუნველყოფის ღონისძიება მეტწილად დაკავშირებულია და გამოიყენება სარჩელის, უშუალოდ სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად. ამაზე მიუთითებს ზემოთ მოხმობილი სასამართლო პრაქტიკა და თუნდაც ის გარემოება, რომ საკანონმდებლო აქტებში აღნიშნული ინსტიტუტის მოხსენიება უკავშირდება სარჩელის უზრუნველყოფას. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის სათაურია „არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება“, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII დასათაურებულია, როგორც „სარჩელის უზრუნველყოფა“.

## 2. მხარის „უფლების“ დაცვა/უზრუნველყოფა

განსხვავებით ქართული შეხედულებისაგან, საერთაშორისო მიდგომა უფრო ფართოა და ძირითად შემთხვევაში მიმართულია „უფლების“ დაცვისკენ, რომელიც შესაძლოა დაირღვეს თუ არ იქნება გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება.<sup>118</sup> მაგალითად, ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საქმეზე

<sup>115</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 2 ივნისის განჩინება, საქმეზე #2ბ/2154-14.

<sup>116</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოს მოსამართლეთათვის, თბილისი, 2010 წელი, გვ. 156.

<sup>117</sup> Wang W., International arbitration: The need for Uniform Interim measures of Relief, International Dispute Resolution Case and Materials, Carolina Academic Press, Second Edition, 2002, p. 140.

<sup>118</sup> Kaufmann-Kohler G., Antonietti A., Interim Relief in International Investment Agreements, Arbitration Under International Investment Agreements, Edited by Yannaca-small K., Oxford University Press, 2010, p. 519.

*Occidental Petroleum Corp. v. Republic of Ecuador* განმარტა, რომ „ტრიბუნალი ხაზს უსვამს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანია უზრუნველყოს იმ **უფლებების** დაცვა, რომლის არსებობასაც დაემუქრებოდა საფრთხე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის შემთხვევაში.<sup>119</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ბევრი მოსაზრება უზრუნველყოფის ღონისძიებების მიზანსა და ფუნქციაზე, რომელთაგან შესაძლებელია რამდენიმეს გამოყოფა: „დროებითი ღონისძიება მიმართულია იმისკენ, რომ შეინარჩუნოს ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობა, რათა დაიცვას იმ **უფლებების** აღსრულება, რომლებიც შესაძლებელია მიღებულ იქნეს არბიტრაჟის თუ სასამართლოს მიერ“.<sup>120</sup> ასევე, „უზრუნველყოფის ღონისძიება არის დროებითი და მისი მიზანია დავის მიმდინარეობისგან მხარეებმა განიცადონ მინიმალური ზიანი, შენარჩუნდეს დავის საგანი და უზრუნველყოფილი იქნეს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულება“.<sup>121</sup> „უზრუნველყოფის ღონისძიებების მიზანია მოახდინოს პრევენცია ან/და შეამციროს ის ზიანი, რაც შეიძლება მიადგეს მხარეს გადაწყვეტილების გამოტანამდე.“<sup>122</sup>

### 3. მოპასუხის „უფლებების“ უზრუნველყოფა

საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკის გათვალისწინებით, უზრუნველყოფის ღონისძიებების მიზანს წარმოადგენს საარბიტრაჟო წარმოებისას დაიცვას ერთი ან ორივე მხარე ზიანის მიყენებისგან და შეინარჩუნოს არსებული სამართლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობა გადაწყვეტილების გამოტანამდე.<sup>123</sup>

მართალია, უზრუნველყოფის ღონისძიება ძირითადად მოსარჩელის ინტერესების დაცვას და დარღვეული უფლებების ეფექტიან აღდგენას ემსახურება, თუმცა განსახილველი საქმის გარემოებების და სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია ეს ინსტიტუტი მოპასუხის უფლებების დასაცავად იქნეს გამოყენებული. ქართული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხოლოდ მოსარჩელეს აქვს უფლება განცხადებით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, უზრუნველყოფის ღონისძიების ინსტიტუტი უფრო ფართო მნიშვნელობით უნდა

<sup>119</sup> Occidental Petroleum Corp. v. Republic of Ecuador, Decision on Provisional Measures in ICSID Case # ARB/06/11, 2007, Para. 60.

<sup>120</sup> Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2426.

<sup>121</sup> Jones D. Emergency Arbitrators and Court-Ordered Interim Measures, Defining Issues in International Arbitration edited by Betancourt J. C., Oxford University Press, 2016, p. 149.

<sup>122</sup> Choong J., Weeramantry R., The Hong Kong Arbitration Ordinance, Second Edition, Sweet & Maxwell 2015, p. 223.

<sup>123</sup> Jones D. Emergency Arbitrators and Court-Ordered Interim Measures, Defining Issues in International Arbitration edited by Betancourt J. C., Oxford University Press, 2016, p. 149.

განიმარტოს და გავრცელდეს მოპასუხე მხარეზეც, თუ „სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკა ან მოსალოდნელი შედეგი ითვალისწინებს გარკვეული უფლებების წარმოშობას და ეს უფლებები საჭიროებს უზრუნველყოფას.“<sup>124</sup>

ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, რომ არც ქართული და არც მოდელური კანონი არ აკონკრეტებს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნა მხოლოდ მოსარჩელე მხარის უფლებამოსილებას განეკუთვნება. საერთაშორისო ლიტერატურაშიც უზრუნველყოფის ღონისძიებები მოხსენიებულია, როგორც „მხარეთა“ და არა მოსარჩელის ინტერესების დაცვის მექანიზმი.<sup>125</sup> ამგვარი მიდგომის განვითარებას ხელს უწყობს საარბიტრაჟო უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები, რომლებიც არ არის მორგებული მხოლოდ მოსარჩელე მხარის უფლებების დაცვაზე და იძლევა მოპასუხე მხარის ინტერესების დაცვის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, მართალია, ძირითად შემთხვევაში მოსარჩელის ინტერესები და უფლებები საჭიროებს უზრუნველყოფას, თუმცა საჭიროების შემთხვევაში და დავის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, არბიტრაჟი უფლებამოსილია უზრუნველყოფის ღონისძიებები გამოიყენოს მოპასუხე მხარის ინტერესების დასაცავად.

---

<sup>124</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 25 დეკემბრის განჩინება, საქმეზე N 2/6528-12.

<sup>125</sup>Wang W., International arbitration: The need for Uniform Interim measures of Relief, International Dispute Resolution Case and Materials, Carolina Academic Press, Second Edition, 2002, p. 140.

## VI. არბიტრაჟის და სასამართლოს კომპეტენცია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას

### 1. არბიტრაჟის კომპეტენცია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას

#### 1.1. არბიტრაჟის უფლებამოსილების განვითარების ტენდენციები

##### 1.1.1. განვითარების საერთაშორისო ტენდენციები

###### 1.1.1.1. საერთაშორისო აქტები

უზრუნველყოფის ღონისძიებაზე საუბრისას მნიშვნელოვანია იმ საკითხის განსაზღვრა, აქვს თუ არა არბიტრაჟს ან/და სასამართლოს უფლებამოსილება საარბიტრაჟო განხილვისას და მისი მიზნებისთვის გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება, მით უფრო მაშინ, როდესაც ამ მხრივ არცთუ ისე დიდი ხანია, რაც თანამედროვე მსოფლიოში მეტნაკლებად დამკვიდრდა ერთიანი მიდგომა.<sup>126</sup>

არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ბოლო პერიოდის მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ტრიბუნალები სარგებლობდნენ უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების უფლებამოსილებით.<sup>127</sup>

საერთაშორისო დონეზე უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების უფლებამოსილების შესახებ არც უენევის 1923 წლის პროტოკოლი და არც 1927 წლის კონვენცია შეიცავდა რაიმე პირდაპირ დათქმას ისევე, როგორც ამის შესახებ დუმს ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია. არც 1961 წლის ევროპული კონვენცია ითვალისწინებდა არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის 6.4 მუხლის თანახმად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვა არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას და აღინიშნული არ ნიშნავს, რომ მხარე სასამართლოს მიმართავს დავის არსებითად გადასაწყვეტად.

ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, ვაშინგტონის 1965 წლის კონვენცია ითვალისწინებს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას.<sup>128</sup> კონვენციის 47-ე მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია მისცეს მხარეს რეკომენდაცია დროებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ, რათა დაცული იქნეს მხარეთა შესაბამისი უფლებები. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ვაშინგტონის კონვენცია არეგულირებს და მის საფუძველზე შექმნილი

<sup>126</sup> Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2429.

<sup>127</sup> Born G., International Arbitration: Law and Practice, Kluwer Law International, 2012, p. 203.

<sup>128</sup> Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2430.

საარბიტრაჟო ტრიბუნალი სპეციალიზირებულია განიხილოს საინვესტიციო დავებთან დაკავშირებულ საკითხები, ამ კონვენციის გამოყენება ვერ ხდებოდა საერთაშორისო კომერციული დავების და ადგილობრივი დავების განმხილველი არბიტრაჟების მიერ.

ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა UNCITRAL-ის მოდელურმა კანონმა, რომლის ჯერ კიდევ 1985 წლის რედაქცია ითვალისწინებდა არბიტრაჟის უფლებამოსილებას გამოეყენებინა უზრუნველყოფის ღონისძიებები.<sup>129</sup> თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული რეგულირება იყო ზოგადი და არბიტრაჟი მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო უფლებამოსილი გამოეყენებინა უზრუნველყოფის ღონისძიება, თუ ეს იყო აუცილებელი და უკავშირდებოდა დავის საგანს, სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ არბიტრაჟის უფლებამოსილება ამ მხრივ იყო ძალიან ვიწრო და შეზღუდული.<sup>130</sup> 2006 წელს კი UNCITRAL მოდელურ კანონში უზრუნველყოფის ღონისძიებების რეგულირებამ განიცადა მნიშვნელოვანი და არსებითი ხასიათი ცვლილებები, რომლის საფუძველზეც არბიტრაჟს მიენიჭა უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების ფართო უფლებამოსილება და დეტალურად მონესრივდა მისი გამოყენების პირობები და სახეები.<sup>131</sup>

#### 1.1.1.2. ქვეყნების შიდა კანონმდებლობა

ქვეყნების შიდა კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას,<sup>132</sup> ვინაიდან მიიჩნეოდა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნებოდა,<sup>133</sup> ხოლო მეორე მხრივ, თუ მხარე სასამართლოს მიმართავდა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, ითვლებოდა, რომ მხარე კარგავდა უფლებამოსილებას დავის არსებითად გადასაწყვეტად მიემართა არბიტრაჟისათვის.<sup>134</sup> გერმანიაში არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სიახლეს წარმოადგენს და მხოლოდ მას შემდეგ იქნა დაშვებული, რაც განხორციელდა საარბიტრაჟო კანონმდებლობის რეფორმა.<sup>135</sup> შვეიცარიაშიც სიახლეა არბიტრაჟის

<sup>129</sup> UNCITRAL-ის 1985 წლის მოდელური კანონი, მუხლი 17.

<sup>130</sup> Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2434.

<sup>131</sup> Paulson J., Petrochilos G., UNCITRAL Arbitration, Kluwer law International, 2018, p. 217.

<sup>132</sup> Born G., International Arbitration: Law and Practice, Kluwer law International, 2012, p. 203.

<sup>133</sup> Moses M.L., The principal and Practice of international Commercial Arbitration, Cambridge University Press, Second Edition, 2012, p. 106.

<sup>134</sup> იქვე, p. 105.

<sup>135</sup> Kreindler R., Schafer J., Interim Measures of Protection, Arbitration in Germany, The Model Law in Practice, 2007, p. 262.

მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.<sup>136</sup> მანამდე არსებული რეგულირების თანახმად, კი აღნიშნული უფლებამოსილება მხოლოდ სასამართლოს გააჩნდა.<sup>137</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში UNCITRAL-ის მოდელური კანონის გავლენით აღნიშნული მიდგომა არსებითად შეიცვალა და შიდა კანონმდებლობის მიხედვით არბიტრაჟებს მიენიჭათ უფლებამოსილება გამოიყენონ უზრუნველყოფის ღონისძიება,<sup>138</sup> თუმცა ზოგ ქვეყანაში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია აღნიშნული შეზღუდვა, მაგალითად, იტალიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 818-ე მუხლი არ აძლევს უფლებას არბიტრაჟს გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება,<sup>139</sup> მსგავს მიდგომას იზიარებს ასევე ჩინეთის საარბიტრაჟო სამართალი.<sup>140</sup>

## 1.1.2. განვითარების ტენდენციები საქართველოში

### 1.1.2.1. კერძო არბიტრაჟის შესახებ კანონი

1997 წლის კერძო არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი საკანონმდებლო დონზე საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფას არ ითვალისწინებდა და მხოლოდ მტკიცებულებების უზრუნველყოფის შესაძლებლობას იძლეოდა სასამართლოს მეშვეობით. აღნიშნული კანონის 23-ე მუხლის თანახმად, „არბიტრაჟი საკუთარი ინიციატივით ან მხარის მოთხოვნით მიმართავს სასამართლოს გამოიტანოს დადგენილება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ.“ გასათვალისწინებელია, რომ კანონი არბიტრაჟს არ ანიჭებდა უფლებამოსილებას გამოეყენებინა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფა, თუმცა, არც აკრძალვას ითვალისწინებდა. როგორც საარბიტრაჟო და სასამართლოს პრაქტიკის შესწავლით დგინდება, იყო შემთხვევები, როდესაც საარბიტრაჟო რეგლამენტები ითვალისწინებდა არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას, სასამართლოს მხრიდან კი არბიტრაჟის მიერ გაცემული უზრუნველყოფის ღონისძიება დასაშვებად მიიჩნეოდა, რაც ნათლად ჩანს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი განჩინებიდან.<sup>141</sup> აღნიშნული

<sup>136</sup> Kaufmann – Kohler G., Rigozzi A., International Arbitration, Law and Practice in Switzerland, Oxford University Press, 2015, p. 331.

<sup>137</sup> იქვე.

<sup>138</sup> Born G., International Arbitration: Law and Practice, Kluwer law International, 2012, p. 204.

<sup>139</sup> იტალიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 818-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: [www.jus.uio.no/lm/italy.arbitration/818.html](http://www.jus.uio.no/lm/italy.arbitration/818.html), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>140</sup> ჩინეთის არბიტრაჟის შესახებ კანონი, 68-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: [www.npc.gov.cn/englishnpc/Law/2007-12/12/content\\_1383756.htm](http://www.npc.gov.cn/englishnpc/Law/2007-12/12/content_1383756.htm), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>141</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 27 მაისის განჩინება, საქმეზე #ას-827-1190-06.

განჩინების საფუძველზე, არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება სასამართლომ კანონიერად მიიჩნია შემდეგ გარემოებათა გამო: 1. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას ითვალისწინებდა დავის განხილველი არბიტრაჟის დებულება; 2. კერძო არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონით არ იყო აკრძალული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება; სასამართლოს განმარტებით, „კომერციული დავების გადასაწყვეტად საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისას დავის გადაწყვეტა ალტერნატიული გზით საარბიტრაჟო სასამართლოს მეშვეობით ხორციელდება, რა დროსაც მხარეთა დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილი დაცვის იგივე გარანტია უნდა არსებობდეს, რაც საერთო სასამართლოებში მსგავსი დავების განხილვისას. სწორედ ეს მოსაზრება უდევს საფუძველად უფრო ხელსაყრელ ორგანოდ არბიტრაჟის მიჩნევისას, მხარეთა გადაწყვეტილებას. ამ მიზნით, არბიტრაჟი კანონისა და დებულების ფარგლებში უფლებამოსილი და ვალდებულია, გამოიყენოს დავაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ზომები.“<sup>142</sup> სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული მსჯელობა ეფუძნება UNCITRAL-ის მოდელურ კანონს, რომლის მე-17 მუხლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არბიტრაჟის მიერ დასაშვებია. შესაბამისად, ქართულ რეალობაში არბიტრაჟის შესახებ კანონის მიღებამდეც საარბიტრაჟო წარმოებაში დასაშვებ იყო არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, რაც იმ დროისთვის პროგრესულ მიდგომად უნდა ჩაითვალოს.

#### 1.1.2.2. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონმა, რომელიც მიღებულ იქნა 2009 წელს და რომელიც ეფუძნება UNCITRAL-ის მოდელურ კანონს,<sup>143</sup> სრულად გაიზიარა მოდელური კანონის მონესრიგება და კანონის 17-23-ე მუხლებით დაარეგულირა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული საკითხები.

კანონის თანახმად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზნით განმცხადებელ მხარეს, შეუძლია მიმართოს როგორც არბიტრაჟს, ასევე სასამართლოს.<sup>144</sup> ორივე ორგანოს აქვს შესაძლებლობა და შესაბამისი კომპეტენცია მიიღოს გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, რაც სრულ შესაბამისობაშია მოდელური კანონის რეგულირებასთან, რომელიც ორივე ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას მიიღოს გადაწყვეტილება

<sup>142</sup> იქვე.

<sup>143</sup> ბინდერი ვ.მ., არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარები, ქართული სამართლის მიმოხილვა, #10/2007-2/3, 2007, 182-202; განმარტებითი ბარათი, 2009 წლის არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე.

<sup>144</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 17-23.

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ.<sup>145</sup> შესაბამისად, განმცხადებელ მხარეს აქვს შესაძლებლობა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აირჩიოს, რომელი ორგანოს მიერ მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიება იქნება უფრო სწრაფი, ეფექტიანი და შედეგზე ორიენტირებული.

## 1.2. არბიტრაჟის უფლებამოსილება საერთაშორისო დონეზე

არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას უნდა დადგინდეს არბიტრაჟის უფლებამოსილების საფუძვლები და შეფასდეს, თუ რამდენად სწრაფ და ეფექტიან მიზნის მიღწევის საშუალებას წარმოადგენს არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება.

როგორც აღინიშნა, საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკაში დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ არბიტრაჟს არ ჰქონდა უფლებამოსილება გამოყენებინა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, ან ეს უფლებამოსილება იყო შეზღუდული და მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივას განეკუთვნებოდა.<sup>146</sup> როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ეს მიდგომა ემსახურებოდა საჯარო წესრიგის მიზნებს,<sup>147</sup> რათა კერძო ინსტიტუციას (არბიტრაჟს) უსაფუძვლოდ არ შეეზღუდა მოდავე მხარეების უფლებები/ინტერესები, თუმცა დღეს არსებული რეგულირებით სამართლებრივი სისტემების უმრავლესობა არბიტრაჟს ანიჭებს უფლებამოსილებას გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიებები. ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, არბიტრაჟი აღიარებულია საუკეთესო „ფორუმად“, რომელსაც შეუძლია საარბიტრაჟო წარმოებისას ყველაზე უკეთ განსაზღვროს, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება და ის, თუ რომელი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება იქნება მიზანშეწონილი კონკრეტული საქმის განხილვისას.<sup>148</sup> ეს მოსაზრება ეფუძნება იმ მოცემულობას, რომ დავის განმხილველი საარბიტრაჟო ტრიბუნალი იცნობს საქმის მასალებს, აქვს შესაძლებლობა შეაფასოს სარჩელის დაკმაყოფილების პერსპექტივა და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

არბიტრაჟის უფლებამოსილების განსაზღვრისას გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საარბიტრაჟო განხილვის ადგილას

<sup>145</sup> UNCITRAL-ის მოდელური კანონი, მუხლები 17-17 J.

<sup>146</sup> Lew J.D.M., Mistelis L.A., Kroll S.M., Comparative International Commercial Arbitration, Kluwer Law International, 2003, p. 588.

<sup>147</sup> Blackaby N. and Partasides C. with Redfern A. and Hunter M., Redfern and Hunter on International Arbitration, Oxford edition, 2015, p. 445.

<sup>148</sup> Lew J.D.M., Mistelis L.A., Kroll S.M., Comparative International Commercial Arbitration, Kluwer Law International, 2003, p. 588.



მოქმედ სამართალს, იმ საარბიტრაჟო წესებს, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს საქმის განხილვა და მხარეთა შორის არსებულ საარბიტრაჟო შეთანხმებას.

### 1.2.1. საარბიტრაჟო განხილვის ადგილას მოქმედი სამართალი

საარბიტრაჟო განხილვისას მხარეებს ენიჭებათ უფლებამოსილება თავად განსაზღვრონ საარბიტრაჟო განხილვის ადგილი.<sup>149</sup> აღიარებულ პრინციპს წარმოადგენს, რომ საარბიტრაჟო პროცედურებზე, მათ შორის არბიტრაჟის უფლებამოსილებაზე გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება, ვრცელდება საარბიტრაჟო განხილვის ადგილას მოქმედი სამართალი (*lex arbitri*).<sup>150</sup> აქედან გამომდინარე, არბიტრაჟის უფლებამოსილების დადგენისას მნიშვნელოვანია საარბიტრაჟო განხილვის ადგილას მოქმედი კანონი. თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ არბიტრაჟის უფლებამოსილების განსაზღვრისას მნიშვნელობა შეიძლება ასევე, მიენიჭოს მხარეთა არჩეულ სამართალს (*lex causae*),<sup>151</sup> რომელიც ვრცელდება დავის მატერიალურ ნაწილზე.<sup>152</sup>

დღეს არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, ქვეყნების უმრავლესობა, რომელიც ცდილობს მისდიოს თანამედროვე საერთაშორისო ტენდენციებს, ითვალისწინებს არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას. ინგლისის 1996 წლის საარბიტრაჟო აქტი აღიარებს არბიტრაჟის უფლებამოსილებას გამოსცეს უზრუნველყოფის ღონისძიება.<sup>153</sup> შვეიცარიის საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 183-ე მუხლის თანახმად, „თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე არბიტრაჟი უფლებამოსილია გამოსცეს უზრუნველყოფის ღონისძიება“.<sup>154</sup> მსგავს მიდგომას იზიარებენ როგორც მოდელური კანონის იურისდიქციის ქვეყნები: გერმანია,<sup>155</sup>

<sup>149</sup> იხ. UNCITRAL-ის მოდელური კანონი, მუხლი 20. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 25.

<sup>150</sup> Boog Ch., *The Laws Governing Interim Measures in International Arbitration, Conflict of Laws in International Arbitration*, European law publishers, 2011, p. 419. *Lex Arbitri*-ის განმარტება იხ.: ინჯია ბ., ლაპიაშვილი ნ., *არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი, სამეცნიერო რედაქტორი ლადო ჭანტურია, ზვიად კორძაძის გამომცემლობა*, 2016, გვ. 16.

<sup>151</sup> იქვე.

<sup>152</sup> Kaufmann – Kohler G., Rigozzi A., *International Arbitration, Law and Practice in Switzerland*, Oxford University Press, 2015, p. 340.

<sup>153</sup> ინგლისის საარბიტრაჟო აქტი, 1996. ხელმისაწვდომია: [www.legislation.gov.uk/ukpga/1996/23/section/38](http://www.legislation.gov.uk/ukpga/1996/23/section/38), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>154</sup> შვეიცარიის კერძო სამართლის შესახებ კანონის 183-ე მუხლი. ხელმისაწვდომია: [www.swissarbitration.org/files/34/Swiss%20International%20Arbitration%20Law/IPRG\\_english](http://www.swissarbitration.org/files/34/Swiss%20International%20Arbitration%20Law/IPRG_english), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>155</sup> გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 1041. ხელმისაწვდომია [https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_zpo/englisch\\_zpo.html#p3592](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html#p3592), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

ავსტრია,<sup>156</sup> კანადა,<sup>157</sup> შვედეთი<sup>158</sup>, ასევე ის ქვეყნებიც, რომელთა კანონმდებლობაც არ ეფუძნება მოდელურ კანონს, ესენია: აშშ,<sup>159</sup> შვედეთი,<sup>160</sup> ბელიგია<sup>161</sup> და ინდოეთი.<sup>162</sup>

თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს ქვეყნები,<sup>163</sup> რომლებიც არ აღიარებენ არბიტრაჟის უფლებამოსილებას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ. შესაბამისად, საკითხავია, როგორ უნდა გადაწყდეს შემთხვევა, როდესაც მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმებით საარბიტრაჟო განხილვის ადგილად განსაზღვრავენ ისეთ ადგილს, სადაც არ არის დაშვებული არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება და ამასთან, საარბიტრაჟო შეთანხმება პირდაპირ ითვალისწინებს არბიტრაჟის უფლებამოსილებას გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება. აღნიშნულს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, თუ უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა-აღსრულება უნდა განხორციელდეს იმავე ქვეყანაში, ვინაიდან არსებობს იმის მაღალი რისკი, რომ იმავე ქვეყნის კომპეტენტურმა სასამართლომ უარი თქვას უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე იმ დასაბუთებით, რომ ადგილობრივი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას და აღნიშნული ეწინააღმდეგება მის კანონმდებლობას.

ამ საკითხთან დაკავშირებით, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეთა შეთანხმებით პირდაპირ

<sup>156</sup> ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 593. ხელმისაწვდომი: [https://www.trans-lex.org/602320/austrian-arbitration-law-2006/#head\\_21](https://www.trans-lex.org/602320/austrian-arbitration-law-2006/#head_21), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>157</sup> კანადის აქტი კომერციული არბიტრაჟის შესახებ, მე-17 მუხლი. ხელმისაწვდომია: <https://laws-lois.justice.gc.ca/eng/acts/C-34.6/FullText.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>158</sup> Shaughnessy P., Interim Measures, International Arbitration in Sweden, edited by Franke U., Magnusson J. R., Wallin M., Kluwer Law International, 2013, p. 106.

<sup>159</sup> Carter J., Fellas J., International Commercial Arbitration in New York, Oxford University Press, 2010, p. 250.

<sup>160</sup> შვედეთის საარბიტრაჟო აქტი, მუხლი 25. ხელმისაწვდომია: <https://sccinstitute.com/media/37089/the-swedish-arbitration-act.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>161</sup> ბელგიის საპროცესო კოდექსი, მუხლი 1691. ხელმისაწვდომია: [www.cepani.be/en/arbitration/belgian-judicial-code-provisions](http://www.cepani.be/en/arbitration/belgian-judicial-code-provisions), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>162</sup> ინდოეთის აქტი არბიტრაჟის და კონსილაციის შესახებ, მე-17 მუხლი. ხელმისაწვდომია: <http://icadr.nic.in/file.php?123?12:1461580854>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>163</sup> ჩინეთის არბიტრაჟის შესახებ კანონი, 68-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: [www.npc.gov.cn/englishnpc/Law/2007-12/12/content\\_1383756.htm](http://www.npc.gov.cn/englishnpc/Law/2007-12/12/content_1383756.htm), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018. იტალიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 818-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: [www.jus.uio.no/lm/italy.arbitration/818.html](http://www.jus.uio.no/lm/italy.arbitration/818.html), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

გათვალისწინებულია არბიტრაჟის უფლებამოსილება გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება, იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომელიც ასეთ შემთხვევაშიც არ ანიჭებს არბიტრაჟს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას, არღვევს ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციას,<sup>164</sup> რომლის მიხედვითაც კონვენციის ხელშემკვერელი სახელმწიფო აღიარებს საარბიტრაჟო შეთანხმებას, მათ შორის საარბიტრაჟო პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზე.<sup>165</sup> შესაბამისად, მიიჩნევა, რომ მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, შიდა კანონმდებლობის აკრძალვის მიუხედავად, არბიტრაჟმა მაინც უნდა გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება. იმ შემთხვევაში კი, თუ უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა აღსრულდეს სხვა ქვეყნის სასამართლოს მიერ, ცნობა-აღსრულება უნდა განხორციელდეს და სასამართლომ არ უნდა გაითვალისწინოს საარბიტრაჟო განხილვის ადგილას მოქმედი სამართალი, რომელიც არ ითვალისწინებს არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას.<sup>166</sup>

### 1.2.2. საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის წესები

საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე, საარბიტრაჟო განხილვა მიმდინარეობს იმ საარბიტრაჟო ცენტრის წესების მიხედვით, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა.<sup>167</sup> შესაბამისად, არბიტრაჟის უფლებამოსილების განსაზღვრისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თავად საარბიტრაჟო ცენტრის წესებს, რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელობს დავის განმხილველი არბიტრაჟი ვინაიდან, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არის გათვალისწინებული და კონკრეტულ საკითხს მხარეთა შეთანხმება სხვაგვარად არ არეგულირებს, მიიჩნევა, რომ მხარეები თანხმდებიან დავის განმხილველი არბიტრაჟის წესების გამოყენებაზე.<sup>168</sup> იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო წესები გამორიცხავს არბიტრაჟის უფლებამოსილებას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ და ამ უფლებამოსილებას მხარეები არ გაითვალისწინებენ, შესაძლებელია მათ დაკარგონ შესაძლებლობა არბიტრაჟს მიმართონ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით.

თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, წამყვანი საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის წესები ითვალისწინებს არბიტრაჟის უფლებამოსილებას

<sup>164</sup> ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია, მუხლი II.

<sup>165</sup> Born G., *International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II*, Kluwer Law International, 2014, p. 2459.

<sup>166</sup> იქვე.

<sup>167</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2.2.

<sup>168</sup> იქვე.

გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიებები.<sup>169</sup> საერთაშორისო სამრეწველო პალატის არბიტრაჟის (ICC - International Chamber of Commerce) საარბიტრაჟო წესების 28-ე მუხლის თანახმად, „საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიყენოს ნებისმიერი უზრუნველყოფის ღონისძიება, რასაც მიიჩნევს მიზანშეწონილად“.<sup>170</sup> ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (LCIA – London Court of International Arbitration) 25-ე მუხლის თანახმად, არბიტრაჟს აქვს უფლება გამოსცეს უზრუნველყოფის ღონისძიება ნებისმიერი მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მას შემდეგ, რაც მოწინააღმდეგე მხარეს მიეცემა შესაძლებლობა წარმოადგინოს თავისი პოზიცია“.<sup>171</sup> სტოკჰოლმის სამრეწველო პალატის (SCC - Stockholm Chamber of Commerce) წესების 37-ე მუხლის მიხედვით, საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია მხარის მოთხოვნით გამოსცეს ისეთი უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელსაც მიიჩნევს მიზანშეწონილად“.<sup>172</sup> ამერიკის არბიტრთა ასოციაციის (AAA – American Arbitration Association) დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრის (ICDR - International Center for Dispute Resolution) წესების 24-ე მუხლი ანალოგიურად ანესრიგებს ამ საკითხს.<sup>173</sup>

### 1.2.3. მხარეთა შეთანხმება

საარბიტრაჟო შეთანხმება არის საარბიტრაჟო წარმოების ამოსავალი წერტილი, რომლის მიხედვითაც უნდა მიმდინარეობდეს საარბიტრაჟო განხილვა, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი.<sup>174</sup> უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან მიმართებით მხარეებს ენიჭებათ თვართო უფლებამოსილება გამორიცხოვნი/შემზღვეონ არბიტრაჟის უფლებამოსილება გამოიყენოს

<sup>169</sup> Brown Ch., The Enforcement of Interim Measures ordered by Tribunals and Emergency Arbitrators in International Arbitration, International Arbitration – The Coming of a New age? Singapore 2012, ICCA Congress Series #17, Kluwer Law International 2013, p. 284.

<sup>170</sup> ICC-ის საარბიტრაჟო წესები (ძალაშია 2017 წლის 1-ლი მარტიდან). ხელმისაწვდომია: <https://iccwbo.org/dispute-resolution-services/arbitration/rules-of-arbitration/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>171</sup> LCIA-ის საარბიტრაჟო წესები (ძალაშია 2014 წლიდან) მუხლი 25. ხელმისაწვდომია: [http://www.lcia.org/dispute\\_resolution\\_services/lcia-arbitration-rules-2014.aspx#Article%2025](http://www.lcia.org/dispute_resolution_services/lcia-arbitration-rules-2014.aspx#Article%2025), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>172</sup> SCC-ის საარბიტრაჟო წესები (ძალაშია 2017 წლიდან) მუხლი 37. ხელმისაწვდომია: <https://sccinstitute.com/dispute-resolution/rules/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>173</sup> დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრის (ICDR) საარბიტრაჟო წესების (ძალაშია 2014 წლიდან) 24-ე მუხლი. ხელმისაწვდომია: [www.icdr.org/sites/default/files/document\\_repository/ICDR\\_Rules.pdf](http://www.icdr.org/sites/default/files/document_repository/ICDR_Rules.pdf), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>174</sup> იხ.: ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის V.I.d მუხლი. ასევე, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, 45.1.ა.დ. მუხლი.

უზრუნველყოფის ღონისძიებები საარბიტრაჟო წარმოებისას.<sup>175</sup> აღნიშნული უფლებამოსილება აღიარებულია, როგორც UNCITRAL-ის მოდელური კანონით,<sup>176</sup> ასევე ქვეყნების (შვეიცარია<sup>177</sup>, გერმანია,<sup>178</sup> ინგლისი<sup>179</sup>, იაპონია,<sup>180</sup> შვედეთი<sup>181</sup>) შიდა კანონმდებლობით. ყველა აღნიშნული საკანონმდებლო რეგულირება არბიტრაჟის უფლებამოსილებას, გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება აღიარებს იმ შემთხვევაში, თუ „მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან“. თუ მხარეებს სურთ არბიტრაჟის უფლებამოსილების შეზღუდვა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ნაწილში, ამის შესახებ ნათლად უნდა იქნეს აღნიშნული საარბიტრაჟო შეთანხმებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ არბიტრაჟი სარგებლობს ამ უფლებამოსილებით.

მიუხედავად ასეთი ფართო უფლებამოსილებისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკაში იშვიათია შემთხვევა, როდესაც მხარეები თანხმდებიან არბიტრაჟის უფლებამოსილების გამორიცხვამ/შეზღუდვამ. როგორც წესი, მხარეებს სურთ, რომ არბიტრაჟს გააჩნდეს მსგავსი უფლებამოსილება, რათა საჭიროების შემთხვევაში ჰქონდეთ შესაძლებლობა მიმართონ არბიტრაჟს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით და ამ გზით დაიცვან საკუთარი უფლებები.<sup>182</sup>

#### 1.2.4. ICSID არბიტრაჟის უფლებამოსილება

ვაშინგტონის 1965 წლის კონვენციის 47-ე მუხლის და ICSID-ის საარბიტრაჟო წესების 39-ე მუხლით,<sup>183</sup> გათვალისწინებულია ICSID-ის არბიტრაჟის უფლებამოსილება „რეკომენდაცია“ მისცეს მხარეს ნებისმიერი უზრუნველყოფის ღონისძიების

<sup>175</sup> Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2455.

<sup>176</sup> იხ. UNCITRAL-ის მოდელური კანონი, მუხლი 17.

<sup>177</sup> შვეიცარიის კერძო სამართლის შესახებ კანონის 183-ე მუხლი. ხელმისაწვდომია: [www.swissarbitration.org/files/34/Swiss%20International%20Arbitration%20Law/IPRG\\_english](http://www.swissarbitration.org/files/34/Swiss%20International%20Arbitration%20Law/IPRG_english). უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>178</sup> გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 1041. ხელმისაწვდომია: [https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_zpo/englisch\\_zpo.html#p3592](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html#p3592), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>179</sup> ინგლისის საარბიტრაჟო აქტი, 1996. ხელმისაწვდომია: [www.legislation.gov.uk/ukpga/1996/23/section/38](http://www.legislation.gov.uk/ukpga/1996/23/section/38), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>180</sup> იაპონიის საარბიტრაჟო კანონი, მუხლი 24. ხელმისაწვდომია: <http://japan.kantei.go.jp/policy/sihou/arbitrationlaw.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>181</sup> Shaughnessy P., Interim Measures, International Arbitration in Sweden, edited by Franke U., Magnusson J. R., Wallin M., Kluwer Law International, 2013, p. 106.

<sup>182</sup> Shaughnessy P., Interim Measures, International Arbitration in Sweden, edited by Franke U., Magnusson J. R., Wallin M., Kluwer Law International, 2013, p. 106.

<sup>183</sup> ხელმისაწვდომია: <https://icsid.worldbank.org/en/documents/icsiddocs/icsid%20convention%20english.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

გამოყენების შესახებ. როგორც კონვენციის კომენტატორები აღნიშნავენ, „ბოლო პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნების რიცხვი დრამატულად გაიზარდა,<sup>184</sup> რაც ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ ბოლო პერიოდში საქმეთა რაოდენობაც გაიზარდა.<sup>185</sup>

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ვაშინგტონის კონვენციაში და ICSID-ის საარბიტრაჟო წესებში გამოყენებული ტერმინი „Recommend“/რეკომენდაციის მიცემა პრაქტიკაში არ განიმარტება ისე, რომ არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და მისი შესრულება/არ შესრულება ნებაყოფლობითია.<sup>186</sup> დოკუმენტის პირველ ეტაპზე სიტყვა რეკომენდაციის (Recommend) ნაცვლად მოიაზრებოდა სიტყვა მითითების (Prescribe) გამოყენება,<sup>187</sup> თუმცა, როგორც პროფესორი ქრისტოფერ შროიერი აღნიშნავს, ჩინეთის დელეგატები ასეთი ფართო უფლებამოსილების გამოყენებას შეეწინააღმდეგნენ და მიუთითეს, რომ სახელმწიფოები შესაძლებელია არ დაემორჩილონ ასეთ მითითებას ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.<sup>188</sup> საბოლოოდ კონვენციის ტექსტში გამოყენებულ იქნა სიტყვა „რეკომენდაცია“. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, კონვენციის შემქმნელების მიერ აღნიშნული ტერმინი შერჩეულ იქნა იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება არ ყოფილიყო გაგებული, როგორც სახელმწიფო სუვერენიტეტის შელახვა.<sup>189</sup> თუმცა, დღეის მდგომარეობით ICSID-ის საარბიტრაჟო პრაქტიკაში აღიარებულ პრინციპს წარმოადგენს არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების მბოჭავი ხასიათი და მხარეთა მიერ მისი შესრულების სავალდებულობა.<sup>190</sup> ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალმა, პირველად,<sup>191</sup> საქმეზე *Emilio Agustín Maffezini v. Kingdom of Spain* განმარტა, რომ „ტრიბუნალის უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არის ისეთივე მბოჭავი ხასიათის, როგორც საბოლოო გადაწყვეტილება. შესაბამისად, ამ ბრძანების მიზნებისთვის, ტრიბუნალი მიიჩნევს, რომ სიტყვა „რეკომენდაცია“ არის იგივე მნიშვნელობის, რაც სიტყვა

<sup>184</sup> Commission J., Moloo R., Procedural Issues in International Investment Arbitration, Oxford University Press, 2018, p. 30.

<sup>185</sup> The ICSID Caseload Statistic (Issue 2018-2).

<sup>186</sup> Commission J., Moloo R., Procedural Issues in International Investment Arbitration, Oxford University Press, 2018, p. 30.

<sup>187</sup> History of ICSID Convention, World Bank Publications, Volume I, p. 206.

<sup>188</sup> Schreuer Ch., The ICSID Convention: A Commentary, Oxford University Press, 2<sup>nd</sup> edition, 2009, p. 764.

<sup>189</sup> Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2459 ასევე, Webster Th., Handbook of Investment Arbitration, Thomson Reuters, 2012, p. 179.

<sup>190</sup> Commission J., Moloo R., Procedural Issues in International Investment Arbitration, Oxford University Press, 2018, p. 36.

<sup>191</sup> Lenci F., General Principles of Law on the legal Force of Provisional Measures in International Investment Arbitration, General Principles of Law and Investment Arbitration, Nijhoff International Investment Law Series, Vol. 12, 2018, p. 35.



ბრძანება”.<sup>192</sup> საქმეზე *Tokios Tokeles v. Ukraine* კი ტრიბუნალმა უკვე მიუთითა, რომ „ICSID-ის ტრიბუნალის დადგენილი პრაქტიკის თანახმად, უზრუნველყოფის ღონისძიების რეკომენდაცია არის სამართლებრივად სავალდებულო, მათ აქვთ ბრძანების ეფექტი და მხარეებს აქვთ სამართლებრივი ვალდებულება შეასრულონ ისინი“.<sup>193</sup> თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგიერთი ავტორის მიერ მსგავსი მიდგომა გაკრიტიკებულია და გამოთქმულია მოსაზრება, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალებს არ აქვთ უფლება მიიღონ მხოტავი უზრუნველყოფის ღონისძიება და ეს არ ყოფილა კონვენციის შემქმნელთა მიზანი.<sup>194</sup> ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ განსაკუთრებული თავისებურება ახასიათებს ვაშინგტონის კონვენციას, რომელიც განასხვავებს ICSID-ის არბიტრაჟის უფლებამოსილებას სხვა საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტებისგან. კონვენციის 47-ე მუხლის თანახმად, ICSID-ის არბიტრაჟი უფლებამოსილია თავისივე ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ ისე, რომ ამისთვის არ სჭირდება მხარის მოთხოვნა.<sup>195</sup> სხვა საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტების წესები კი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისთვის აუცილებელად მიიჩნევენ მხარის მოთხოვნას. ICC-ის საარბიტრაჟო წესების თანახმად, „საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიყენოს ნებისმიერი უზრუნველყოფის ღონისძიება, რასაც მიიჩნევენ მიზანშეწონილად“.<sup>196</sup> ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (LCIA) 25-ე მუხლის თანახმად, არბიტრაჟს აქვს უფლება გამოსცეს უზრუნველყოფის ღონისძიება ნებისმიერი მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, მას შემდეგ, რაც მოწინააღმდეგე მხარეს მიეცემა შესაძლებლობა წარმოადგინოს თავისი პოზიცია“.<sup>197</sup>

საქართველოსთან მიმართებით ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალმა 2-ჯერ იმსჯელა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ.<sup>198</sup> პირველად 2002 წლის 22 იანვარს, საქმეზე *Zhinvali Development Ltd. v. Republic of Georgia*,<sup>199</sup> ხოლო მეორედ 2010 წლის 25 იანვარს, საქმეზე *Karmer Marble Tourism Construction Industry*

<sup>192</sup> *Emilio Agustin Maffezini v. Kingdom of Spain*, ICSID Case #ARB/97/7, Procedural Order #2. 1999, Para. 9.

<sup>193</sup> *Tokios Tokeles v. Ukraine*, ICSID Case #ARB/02/18, Procedural Order #1, 2003, para. 4.

<sup>194</sup> Fortier Y., *Interim Measures: An Arbitrator's Provisional Views*, *Contemporary Issues in International Arbitration and Mediation: The Fordham Papers* (2008), p. 50.

<sup>195</sup> Commission J., Moloo R., *Procedural Issues in International Investment Arbitration*, Oxford University Press, 2018, p. 36. *Tokios Tokeles v. Ukraine*, ICSID case Case #ARB/02/18, Procedural Order #1, 2003, para. 5.

<sup>196</sup> ICC-ის საარბიტრაჟო წესები (ძალაშია 2017 წლიდან) მუხლი 28.

<sup>197</sup> LCIA-ის საარბიტრაჟო წესები (ძალაშია 2014 წლიდან) მუხლი 25.

<sup>198</sup> [www.icsid.worldbank.org/en/Pages/process/Decisions-on-Provisional-Measures.aspx](http://www.icsid.worldbank.org/en/Pages/process/Decisions-on-Provisional-Measures.aspx)

<sup>199</sup> *Zhinvali Development Ltd. v. Republic of Georgia*, ICSID Case No. ARB/00/1.

*and Commerce Limited Liability Company v. Georgia*.<sup>200</sup> თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ორივე საქმე მხარეთა შეთანხმებით კონფიდენციალური იყო ისევე, როგორც საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ, ისინი საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის.<sup>201</sup>

#### 1.2.5. Emergency Arbitrator/Arbitration (საგანგებო არბიტრი) - ნოვაცია საარბიტრაჟო წარმოებაში

არბიტრაჟში დავის განხილვა ხდება საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ, რომელიც მტკიცდება მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ხოლო თუ მხარეები არბიტრის/არბიტრთა დანიშვნის წესზე არ შეთანხმდებიან, იმ საარბიტრაჟო ინსტიტუტის წესებით, რომელსაც მხარეები მიმართავენ დავის გადასაწყვეტად ან/და საარბიტრაჟო განხილვის ადგილას მოქმედი სამართლის მიხედვით.<sup>202</sup>

აღნიშნულის გათვალისწინებით, მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობა და UNCITRAL-ის მოდელური კანონი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების უფლებამოსილებას ანიჭებს საარბიტრაჟო ტრიბუნალს.<sup>203</sup> თავის მხრივ, საარბიტრაჟო ტრიბუნალის დაკომპლექტება დაკავშირებულია გარკვეულ დროსთან, რომელიც შესაძლებელია თვეობითაც კი გაგრძელდეს.<sup>204</sup> კომერციულ დავებთან მიმართებით კი არსებობს გადაუდებელი შემთხვევები, როდესაც აუცილებელია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მხარისათვის არასასურველი შედეგი. მხარეს კი შეიძლება არ მიეცეს შესაძლებლობა მიმართოს არბიტრაჟს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, საარბიტრაჟო ტრიბუნალის დამტკიცებამდე. სწორედ აღნიშნული ვაკუუმის აღმოსაფხვრელად, წამყვანი საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრების მიერ შემოღებულ იქნა “Emergency Arbitrator/Arbitration”-ის (საგანგებო

<sup>200</sup> *Karmer Marble Tourism Construction Industry and Commerce Limited Liability Company v. Georgia*, ICSID Case No. ARB/08/19.

<sup>201</sup> ინფორმაცია იხ.: <https://icsid.worldbank.org/en/Pages/process/Decisions-on-Provisional-Measures.aspx>

<sup>202</sup> იხ.: არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 11. UNCITRAL-ის მოდელური კანონის მე-11 მუხლი.

<sup>203</sup> იხ.: თავი VI, ქვეთავი 4, ქვექვეთავი 4.5.

<sup>204</sup> Brown Ch., *The Enforcement of Interim Measures ordered by Tribunals and Emergency Arbitrators in International Arbitration*, *International Arbitration – The Coming of a New age?* Singapore 2012, ICCA Congress Series #17, Kluwer Law International 2013, p. 284.



არბიტრის)<sup>205</sup> ინსტიტუტი.<sup>206</sup> ამ ინსტიტუტის მოქმედებას ICC-ის საარბიტრაჟო წესები ითვალისწინებს 2012 წლიდან,<sup>207</sup> LCIA-ის მიერ მისი დანერგვა 2014 წლიდან მოხდა,<sup>208</sup> სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო წესები (SIAC - Singapore International Arbitration Center) კი მხარეებს 2010 წლიდან აძლევს ამ სერვისით სარგებლობის საშუალებას.<sup>209</sup>

„Emergency Arbitrator/Arbitration“ ინსტიტუტის მიზანია განიხილოს ისეთი შემთხვევები, როდესაც მხარის ინტერესების დაცვის მიზნით აუცილებელია დაუყოვნებლივი მოქმედება და შეუძლებელია მხარე დაელოდოს არბიტრაჟის შემადგენლობის (ტრიბუნალის) დაკომპლექტებას.<sup>210</sup> ამ დროს მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიებისთვის დამახასიათებელია, რომ ის არის “emergency” (საგანგებო), “urgent” (სასწრაფო) და “conservatory” (დამცავი) ღონისძიება.<sup>211</sup>

მხარეს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს უფლება მიმართოს არბიტრაჟს „Emergency Arbitrator/Arbitration“ გამოყენების მოთხოვნით, თუ ჯერ ტრიბუნალი არ არის დამტკიცებული და მას არ გადასცემია საქმე განსახილველად.<sup>212</sup> ICC-ის წესების მიხედვით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხარემ მიმართა „Emergency Arbitrator/Arbitration“-ის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით არბიტრაჟს, რომელმაც მიიღო განსახილველად განცხადება და დაიწყო „Emergency Arbitrator/Arbitration“-ის პროცედურების განხორციელება, მაგრამ “Emergency Arbitrator“-ის დანიშნამდე დამტკიცდება საარბიტრაჟო ტრიბუნალის შემადგენლობა, “Emergency Arbitrator“-ს უწყდება უფლებამოსილება და უზრუნველყოფის ღონისძიების განცხადების განხილვა ხდება საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ.<sup>213</sup>

---

<sup>205</sup> Emergency Arbitrator/Arbitration განმარტება იხ.: ინჯია ბ., ლაპიაშვილი ნ., არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი, სამეცნიერო რედაქტორი ლადო ჭანტურია, ზვიად კორძაძის გამომცემლობა, 2016, გვ. 16.

<sup>206</sup> Kaufmann – Kohler G., Rigozzi A., International Arbitration, Law and Practice in Switzerland, Oxford University Press, 2015, p. 331.

<sup>207</sup> ICC საარბიტრაჟო წესები (ძალაშია 2012 წლიდან), მუხლი 29. ICC Emergency Arbitration Rules.

<sup>208</sup> LCIA საარბიტრაჟო წესები (ძალაშია 2014 წლიდან), მუხლი 9B.

<sup>209</sup> SIAC საარბიტრაჟო წესები (2010 წლის რედაქცია), Emergency Arbitration Rules, ხელმისაწვდომია: [http://www.siac.org.sg/our-rules/rules/siac-rules-2010#siac\\_schedule1](http://www.siac.org.sg/our-rules/rules/siac-rules-2010#siac_schedule1).

<sup>210</sup> Jones D. Emergency Arbitrators and Court-Ordered Interim Measures, at Defining Issues in International Arbitration edited by Betancourt J. C., Oxford University Press, 2016, p. 149 ასევე, Bateson D., Feldman L., Emergency Arbitrators, Arbitration in Hong Kong, forth Edition, Thomson Reuters Hong Kong, 2017, p. 387.

<sup>211</sup> იქვე.

<sup>212</sup> Webster Th., Buhler M., Handbook of ICC Arbitration, third edition, Thomson Reuters (Professional), 2014, p. 455.

<sup>213</sup> ICC Emergency Arbitration Rules, Article 2.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ყველა მიმართვის შემთხვევაში არბიტრაჟი არ იწყებს „Emergency Arbitrator/Arbitration“-ის პროცედურების განხორციელებას. პირველ ეტაპზე მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ ხდება იმის შეფასება არსებობს თუ არა „Emergency Arbitrator/Arbitration“-ის გამოყენების წინაპირობები და მხოლოდ ამის შემდგომ ინიშნება „საგანგებო არბიტრი“.<sup>214</sup>

„Emergency Arbitrator/Arbitration“-ის შემთხვევაში არბიტრი მოქმედებს შემლუდული უფლებამოსილების ფარგლებში და მსჯელობს მხოლოდ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და მას არ აქვს უფლება, რაიმე ფორმით გასცდეს ამ უფლებამოსილებას და თუნდაც ნაწილობრივ იმსჯელოს დავის შინაარსობრივ ნაწილზე.<sup>215</sup> ამასთან, ICC-ის წესების მიხედვით, არბიტრს, რომელიც მოქმედებდა, როგორც „საგანგებო არბიტრი“, ეზღუდება უფლება დაინიშნოს არბიტრად, რომელმაც არსებითად უნდა განიხილოს მხარეთა შორის დავა. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თუ მხარეები გამოთქვამენ სურვილს და შეთანხმდებიან, შესაძლებელია „Emergency Arbitrator“-ს დაერთოს ნება მონაწილეობა მიიღოს დავის არსებით განხილვაში.<sup>216</sup> ამ მიდგომას, პირდაპირ ითვალისწინებს SCC-ის<sup>217</sup> და ICDR-ის საარბიტრაჟო წესები.<sup>218</sup> აღნიშნული განპირობებულება იმ გარემოებით, რომ „Emergency Arbitrator“-ის მიერ დავის სპეციფიკის მიმართ გამოვლენილი ცოდნა და კვალიფიკაცია შესაძლებელია იმდენად მისაღები აღმოჩნდეს მხარეთათვის, რომ გამოთქვან სურვილი მის მიერ მოხდეს დავის არსებითად გადაწყვეტაც.<sup>219</sup>

„Emergency Arbitrator“-ის მიერ გამოცემული უზრუნველყოფის ღონისძიება ინარჩუნებს ძალას საარბიტრაჟო ტრიბუნალის დამტკიცების შემდგომაც და მას არ სჭირდება საქმის განმხილველი ტრიბუნალის მიერ ხელახალი განხილვა ან/და დამატებითი დადასტურება.<sup>220</sup> თუმცა, ამავედროულად, საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია გადახედოს „Emergency Arbitrator“-ის მიერ გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას და საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს ან გააუქმოს იგი.<sup>221</sup>

<sup>214</sup> ICC Emergency Arbitration Rules. ასევე, LCIA საარბიტრაჟო წესები 9B.6.

<sup>215</sup> Webster Th., Buhler M., Handbook of ICC Arbitration, third edition, Thomson Reuters (Professional), 2014, p. 455.

<sup>216</sup> ICC Emergency Arbitration Rules, Article 2.6.

<sup>217</sup> SCC Arbitration Rules, Appendix II, Art. 4.

<sup>218</sup> დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრის (ICDR) საარბიტრაჟო წესების (ძალაშია 2014 წლიდან) მე-6 მუხლი.

<sup>219</sup> Webster Th., Buhler M., Handbook of ICC Arbitration, third edition, Thomson Reuters (Professional), 2014, p. 455.

<sup>220</sup> იქვე.

<sup>221</sup> ICC-ის საარბიტრაჟო წესები (ძალაშია 2017 წლიდან), მუხლი 29.3.

ამასთან, მხარე რომელიც წარადგენს განცხადებას „Emergency Arbitrator/Arbitration“-ის გამოყენების მოთხოვნით იგი ვალდებულია არბიტრაჟის მიერ დადგენილ ვადებში ასევე წარადგინოს ძირითადი საარბიტრაჟო მოთხოვნაც, რათა განმცხადებლის მიერ უსაფუძვლოდ არ მოხდეს აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენება და არბიტრაჟი დარწმუნდეს, რომ მხარე რეალურად ახორციელებს თავისი უფლებების დაცვას.<sup>222</sup> ICC-ის Emergency Arbitrator-ის წესების მიხედვით, „პრეზიდენტი შეწყვეტს Emergency Arbitrator პროცედურას იმ შემთხვევაში, თუ მხარე, რომელიც ითხოვს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას, განცხადების წარმოდგენიდან 10 დღის ვადაში არ წარმოადგენს საარბიტრაჟო მოთხოვნას, გარდა იმ შემთხვევისა თუ „Emergency Arbitrator“ არ გაითვალისწინებს უფრო მეტ ვადას“.

„საგანგებო არბიტრი“ თავის მხრივ შეზღუდულია ვადებში იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ. LCIA-ის წესების მიხედვით აღნიშნულ ვადა შეადგენს 14 დღეს, რომელიც აითვლება „Emergency Arbitrator/Arbitration“-ის დანიშნიდან, აღნიშნული ვადის გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში.<sup>223</sup> ICC-ის წესების შემთხვევაში „Emergency Arbitrator“ ვალდებულია გადაწყვეტილება მიიღოს მისთვის განცხადების (საქმის) გადაცემიდან 15 დღის ვადაში, ამასთან ICC-ის არბიტრაჟის პრეზიდენტი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში გააგრძელოს აღნიშნული ვადა.<sup>224</sup>

მნიშვნელოვანია, რომ „საგანგებო არბიტრის“ მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება არ ხდება მეორე მხარისთვის შეუტყობინებლად (*ex parte*). „Emergency Arbitrator“-ის დანიშვნის შემთხვევაში ხდება მოწინააღმდეგე მხარის ინფორმირება და ეძლევა შესაძლებლობა წარმოადგინოს თავისი პოზიცია განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ.<sup>225</sup>

საგულისხმოა, რომ „Emergency Arbitrator“-ის გამოყენება მნიშვნელოვან ხარჯებთან არის დაკავშირებული და როგორც იტყვიან, არ არის იაფი სიამოვნება. ICC-ის საარბიტრაჟო წესების მიხედვით „Emergency Arbitrator“-ის სერვისის მინიმალური ღირებულება დავის საგნის ღირებულების მიუხედავად 40,000 აშშ

---

<sup>222</sup> Jones D. Emergency Arbitrators and Court-Ordered Interim Measures, *Defining Issues in International Arbitration* edited by Betancourt J. C., Oxford University Press, 2016, p. 149.

<sup>223</sup> LCIA საარბიტრაჟო წესები 9.8.

<sup>224</sup> ICC Emergency Arbitration Rules, Article 6.4.

<sup>225</sup> Webster Th., Buhler M., *Handbook of ICC Arbitration*, third edition, Thomson Reuters (Professional), 2014, p. 459. ასევე LCIA საარბიტრაჟო წესები 9.5.

დოლარს შეადგენს,<sup>226</sup> LCIA-ის შემთხვევაში - 28,000 ფუნტ სტერლინგს,<sup>227</sup> SCC-ის არბიტრაჟში კი ამ სერვისით სარგებლობა 20,000 ევრო ღირს.<sup>228</sup> ამ ოდენობის ხარჯები გარკვეული შემაკავებელი ფაქტორიც არის, რომ მხარეებმა ყველა შემთხვევაში არ მოითხოვონ „Emergency Arbitrator“-ის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება და მხოლოდ მაშინ მიმართონ, როდესაც ამის რეალური საჭიროება არსებობს. თუმცა, იმ დავების ღირებულების გათვალისწინებით, რომლებიც განიხილება აღნიშნული საარბიტრაჟო ცენტრების მიერ, შეიძლება მოსაკრებლის ოდენობა არც წარმოადგენდეს შემაკავებელ ფაქტორს, რაზეც მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მოდავე მხარეების მიერ აქტიურად გამოიყენება „Emergency Arbitrator“-ის ინსტიტუტი და მხარეთა მიმართვიანობა ყოველ წლიურად იმატებს, მაგალითად, საერთაშორისო სამრეწველო პალატასთან (International Chamber of Commerce) არსებულ არბიტრაჟს 2017 წლის განმავლობაში მხარეებმა 21-ჯერ მიმართეს “Emergency Arbitration“-ის გამოყენების მოთხოვნით,<sup>229</sup> ხოლო შვედეთის სამრეწველო პალატის არბიტრაჟს 3-ჯერ.<sup>230</sup>

მხარეთა ნების ავტონომია „Emergency Arbitrator“-ის ინსტიტუტთან მიმართებითაც აღიარებულია და მხარეებს ენიჭებათ უფლებამოსილება გამოირიცხონ მისი მოქმედება, რაზეც მხარეებმა პირდაპირ უნდა მიუთითონ საარბიტრაჟო შეთანხმებაში მაშინ, როდესაც დავის განმხილველად ირჩევენ ისეთ საარბიტრაჟო ცენტრს, რომლის წესებიც ითვალისწინებს აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენების შესაძლებლობას.<sup>231</sup>

### 1.3. არბიტრაჟის უფლებამოსილება ქართული კანონმდებლობის მიხედვით

#### 1.3.1. საკანონმდებლო რეგულირება

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, UNCITRAL-ის მოდელური კანონის გავლენით,<sup>232</sup> ერთმნიშვნელოვნად აღიარებს არბიტრაჟის უფლებამოსილებას გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება. არბიტრაჟის შესახებ კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს

<sup>226</sup> ICC Emergency Arbitration Rules, Article 7.

<sup>227</sup> LCIA საარბიტრაჟო წესები, მუხლი 9.5.

<sup>228</sup> SCC Arbitration Rules, Appendix 2, Article 10.

<sup>229</sup> სტატისტიკური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: [www.iccwbo.org/media-wall/news-speeches/icc-announces-2017-figures-confirming-global-reach-leading-position-complex-high-value-disputes/](http://www.iccwbo.org/media-wall/news-speeches/icc-announces-2017-figures-confirming-global-reach-leading-position-complex-high-value-disputes/),

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>230</sup> სტატისტიკური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://www.sccinstitute.com/statistics/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>231</sup> Webster Th., Buhler M., Handbook of ICC Arbitration, third edition, Thomson Reuters (Professional), 2014, p. 459.

<sup>232</sup> ბინდერი ვ.მ., არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარები, ქართული სამართლის მიმოხილვა, #10/2007-2/3, 2007, 192.

შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას. არბიტრაჟი კი უფლებამოსილია მხარის მიმართვის საფუძველზე, წერილობითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით, გონივრულ ვადაში დაავალოს მხარეს უზრუნველყოფის ღონისძიებით გათვალისწინებული მოქმედების განხორციელება ან/და თავის შეკავება.

2015 წელს არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები სხვა საკითხებთან ერთად, ასევე შეეხო საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს, მათ შორის არბიტრაჟის უფლებამოსილებას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ.<sup>233</sup> ცვლილებამდე, კანონის მე-17 მუხლის რეგულირების თანახმად, „მხარის მიმართვის საფუძველზე, გონივრულ ვადაში, არბიტრაჟი წერილობითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით ავალებს მხარეს უზრუნველყოფის ღონისძიებით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებას“.<sup>234</sup> ცვლილების შემდგომ კი შემდეგი ჩანაწერი გაკეთდა კანონში: „არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარის მიმართვის საფუძველზე, წერილობითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით, გონივრულ ვადაში დაავალოს მხარეს“.<sup>235</sup> კანონში შესატანი ცვლილებების კანონპროექტის ავტორთა განმარტებით, აღნიშნული მუხლის პირვანდელი რედაქციის თანახმად, არბიტრაჟი ვალდებული იყო, გამოეყენებინა უზრუნველყოფის ღონისძიება. ცვლილებების შედეგად, რაც მუხლს დაემატა შემდეგი ფორმულირება - „არბიტრაჟი უფლებამოსილია“, არბიტრაჟი ვალდებულების ნაცვლად, უფლებამოსილია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.<sup>236</sup> როგორც არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის პირველადი რედაქციის, ასევე 2015 წლის ცვლილებების თანახმად, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს არბიტრაჟის უფლებამოსილებას გამოიყენოს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება საარბიტრაჟო წარმოებისას.

### 1.3.2. საარბიტრაჟო წესები

საქართველოში მოქმედი საარბიტრაჟო ცენტრების აბსოლუტური უმრავლესობა ითვალისწინებს არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას და ხშირ შემთხვევაში იმეორებს არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მონესრიგებას. თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის

<sup>233</sup> განმარტებითი ბარათი, 2015 წელს არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე.

<sup>234</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 2009 წლის რედაქცია, მუხლი 17.

<sup>235</sup> საქართველოს 2015 წლის 18 მარტის კანონი #3218, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ. არბიტრაჟის შესახებ კანონის (მოქმედი რედაქცია) მუხლი 17.

<sup>236</sup> განმარტებითი ბარათი, 2015 წელს არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე.

საარბიტრაჟო წესების მიხედვით, „საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას“.<sup>237</sup> მსგავს რეგულირებას შეიცავს ასევე დავების განმხილველი ცენტრის 32-ე მუხლი. საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის (GIAC - Georgian International Arbitration Center) წესების მიხედვით კი, „მხარის მოთხოვნის საფუძველზე საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია გამოიყენოს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევს“.<sup>238</sup>

### 1.3.3. მხარეთა შეთანხმება

ქართული საარბიტრაჟო სამართალი უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით აღიარებს მხარეთა ნების ავტონომიას. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 17.1 მუხლის თანახმად, „საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას“. ამ დანაწესის გათვალისწინებით, მხარის შუამდგომლობა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების მოთხოვნით, შესაძლებელია წინააღმდეგობაში მოდიოდეს საარბიტრაჟო შეთანხმებასთან, რაც თავის თავში გულისხმობს იმას, რომ მხარეებს აქვთ უფლებამოსილება საარბიტრაჟო შეთანხმებით გამორიცხონ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება საარბიტრაჟო წარმოებისას - როგორც საარბიტრაჟო წარმოების დაწყებამდე, ასევე წარმოების დაწყების შემდგომაც.<sup>239</sup>

როგორც აღინიშნა, მხარეთათვის აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭებას ითვალისწინებს UNCITRAL-ის მოდელური კანონი<sup>240</sup> და ზოგადად, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოებაში აღიარებულ პრინციპს წარმოადგენს.<sup>241</sup> შესაბამისად, ამ მიმართულებით ქართული საარბიტრაჟო სამართალი სრულ შესაბამისობაშია თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან.

<sup>237</sup> თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის (TAI) საარბიტრაჟო წესები, მუხლი 26.

<sup>238</sup> GIAC-ის საარბიტრაჟო წესები, მუხლი 32.

<sup>239</sup> Segesser G., Kurth Ch., Interim Measure, International Arbitration in Switzerland, A Handbook for Practitioners, Edited by Gabrielle Kaufmann-Kohler and Blaise Stucki, 2004, p. 71.

<sup>240</sup> UNCITRAL-ის მოდელური კანონი მე-17 მუხლი; Roth M., Commentary on the UNCITRAL Modal Law, Practitioner's Handbook on International Commercial Arbitration, Edited by Frank-Bernd Weigand, 2<sup>nd</sup> edition, Oxford University Press, 2009, p. 1032.

<sup>241</sup> Lew J.D.M., Mistelis L.A., Kroll S.M., Comparative International Commercial Arbitration, Kluwer Law International, 2003, p. 588.

#### 1.4. არბიტრაჟის უფლებამოსილების შეზღუდვის შემთხვევები

არბიტრაჟის ფართო უფლებამოსილების მიუხედავად, არბიტრაჟის ბუნების და მახასიათებლების გათვალისწინებით არსებობს გარკვეული შემთხვევები, როდესაც იზღუდება არბიტრაჟის უფლებამოსილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას. იმის გათვალისწინებით, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება მხოლოდ მხოლოდ ხელმოწერა მხარეთათვის, არბიტრაჟს გააჩნია უფლებამოსილება უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენოს მხოლოდ მხარეთა მიმართ და მის მიერ გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას ვერ ექნება სავალდებულო ძალა მესამე პირების მიმართ.<sup>242</sup> აღნიშნული პირდაპირ გამომდინარეობს არბიტრაჟის შესახებ კანონის 17.2 მუხლიდან, რომლის მიხედვითაც, „არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარის მიმართვის საფუძველზე, წერილობითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით, გონივრულ ვადაში დაავალოს მხარეს“. სასამართლო კი ფლობს მსგავს უფლებამოსილებას, მაგალითისთვის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია უზრუნველყოფის ღონისძიების მიზნით სხვა პირებს აუკრძლოს მოპასუხეს გადასცენ ქონება ან შეასრულონ მის მიმართ რაიმე ვალდებულება.<sup>243</sup>

კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც გარკვეულწილად შეზღუდულია არბიტრაჟის უფლებამოსილება, უკავშირდება წინასწარი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას, არბიტრაჟის შემადგენლობის დამტკიცებამდე.<sup>244</sup> როგორც მოდელური კანონი,<sup>245</sup> ასევე ქვეყნების შიდა კანონმდებლობა<sup>246</sup> და საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის წესები<sup>247</sup> უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების უფლებამოსილებას ანიჭებს „საარბიტრაჟო ტრიბუნალს“, რომლის დამტკიცებაც შესაბამის დროს საჭიროებს. იმისათვის, რომ მხარეთათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება საარბიტრაჟო ტრიბუნალის დამტკიცებამდე, საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრების მიერ შემუშავებულ იქნა “Emergency Arbitration”-ის ინსტიტუტი,<sup>248</sup> რომელიც მხარეებს აძლევს შესაძლებლობას არბიტრაჟის შემადგენლობის დამტკიცებამდე, არბიტრაჟისგან

<sup>242</sup> Born G., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2445.

<sup>243</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 198.2(დ).

<sup>244</sup> Born G., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2451.

<sup>245</sup> UNCITRAL-ის მოდელური კანონი, მუხლი 17.

<sup>246</sup> შვეიცარიის კერძო სამართლის შესახებ კანონის 183-ე მუხლი. ინგლისის საარბიტრაჟო აქტი, 1996, პარაგრაფი 39.

<sup>247</sup> LCIA საარბიტრაჟო წესების (ძალაშია 2014 წლიდან), მუხლი 25. ICC საარბიტრაჟო წესები (ძალაშია 2017 წლიდან) მუხლი 28.

<sup>248</sup> LCIA საარბიტრაჟო წესების (ძალაშია 2014 წლიდან) მუხლი 9B., ICC-ის საარბიტრაჟო წესები (ძალაშია 2017 წლიდან) 29 მუხლი.

მოითხოვოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.<sup>249</sup> თუმცა, ეს საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელია *ad hoc*<sup>250</sup> არბიტრაჟის შემთხვევაში,<sup>251</sup> როდესაც არბიტრაჟი იქმნება კონკრეტული დავის გადაწყვეტის მიზნით და რომლის დროსაც არ არსებობს მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს „Emergency Arbitration“-ის განხორციელებას.

ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საარბიტრაჟო კანონი ითვალისწინებს მოქნილ რეგულირებას, რომლის მიხედვითაც კანონი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას არ უკავშირებს არბიტრაჟის შემადგენლობის დამტკიცებას და შესაძლებლობას იძლევა უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებულ იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე.<sup>252</sup> გამოთქმულია მოსაზრება, რომ არბიტრაჟის შესახებ კანონის მსგავსი მოწესრიგება, გარკვეულწილად პრობლემურია,<sup>253</sup> რაც არ უნდა იქნას გაზიარებული, ვინაიდან, როგორც საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრები, პირიქით, ახალი ინსტიტუტის Emergency Arbitration-ის შემოღებით ცდილობენ ამ პრობლემის გადაწყვეტას, მაშინ, როდესაც ქართული კანონმდებლობა პირდაპირ იძლევა შესაძლებლობას უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებულ იქნას საარბიტრაჟო ტრიბუნალის დამტკიცებამდე.

ამ მიდგომის განვითარებას ხელს უწყობს საქართველოში მოქმედი საარბიტრაჟო ცენტრების/ინსტიტუტების წესები, რომლებიც ისეთ რეგულირებას სთავაზობენ მხარეებს, რომელიც იძლევა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას არბიტრაჟის შემადგენლობის დამტკიცებამდე. თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის (TAI - Tbilisi Arbitration Institute) წესების 26-ე მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას.<sup>254</sup> ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ამ წესების

<sup>249</sup> დეტალურად იხ.: დისერტაციის თავი VI, ქვეთავი 1, ქვექვეთავი 1.2.4.

<sup>250</sup> არბიტრაჟი, რომლის ადმინისტრირებაც არ ხდება საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ, განმარტება იხ.: ინჯია ბ., ლაპიაშვილი ნ., არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი, სამეცნიერო რედაქტორი ლადო ჭანტურია, ზვიად კორძაძის გამომცემლობა, 2016, გვ. 12.

<sup>251</sup> Redfern A., Hunter M., Redfern and Hunter on International Arbitration, Oxford University Press, 2009, p. 53.

<sup>252</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 17.

<sup>253</sup> ჩომახიძე ნ., საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული, 2013, გვ. 105.

<sup>254</sup> თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის საარბიტრაჟო წესები (ძალაშია 2016 წლის 01 ივლისიდან), მუხლი 26.



მიხედვით უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განხილვა და გადაწყვეტა განეკუთვნება საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარის განსაკუთრებულ კომპეტენციას,<sup>255</sup> შესაბამისად აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა არ საჭიროებს არბიტრაჟის შემადგენლობის დამტკიცებას. დავების განმხილველი ცენტრის (DRC – Dispute Resolution Center) 32-ე მუხლის თანახმად კი, მხარის მიმართვის საფუძველზე, ტრიბუნალს, ხოლო მის ფორმირებამდე DRC-ის სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც ამ შემთხვევაში მოქმედებს, როგორც საგანგებო არბიტრი, აქვს უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ.<sup>256</sup>

არბიტრაჟის შესახებ კანონი არ არეგულირებს საკითხს, თუ რა ვადაში უნდა წარადგინოს მხარემ სარჩელი, იმ შემთხვევაში თუ წინასწარი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ მისი შუამდგომლობა დაკმაყოფილდება. საარბიტრაჟო პრაქტიკაში, მსგავსად სამოქალაქო საპროცესო კოდექსისა, ხშირ შემთხვევაში გამოიყენება 10 დღიანი ვადა, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ კანონი მკაცრ რეგულაციას არ ითვალისწინებს, არბიტრაჟი უფლებამოსილია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმეთა გარემოებების გათვალისწინებით განსაზღვროს სარჩელის წარდგენის ვადა.<sup>257</sup>

## 2. სასამართლოს კომპეტენცია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებისას

### 2.1. სასამართლოს კომპეტენცია საერთაშორისო პრაქტიკაში

საერთაშორისო პრაქტიკაში საარბიტრაჟო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სასამართლოს მხრიდან არ იყო უდავო. აშშ-ს სააპელაციო სასამართლომ საქმეზე *McCreary&Tire&Rubber Co v CEAT SpA* გადაწყვიტა, რომ სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებით, წარმოადგენს ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის II.3 მუხლის დარღვევას,<sup>258</sup> რომლის მიხედვითაც საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში სასამართლომ არ უნდა განიხილოს მხარეთა შორის დავა და მხარეებს უნდა მიუთითოს არბიტრაჟზე, თუმცა აღნიშნული მიდგომა მოგვიანებით არ იქნა გაზიარებული და დამკვიდრდა განსხვავებული სასამართლო

<sup>255</sup> თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის საარბიტრაჟო წესები (ძალაშია 2016 წლის 01 ივლისიდან), მუხლი 11.

<sup>256</sup> დავების განმხილველი ცენტრის (DRC) საარბიტრაჟო წესები, მუხლი 32. ხელმისაწვდომია: <http://drc-arbitration.ge/page/regulations>

<sup>257</sup> 2018 წლის 10 სექტემბრის ინტერვიუ თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარესთან.

<sup>258</sup> *McCreary Tire & Rubber Company v. Ceat S.p.a., Appellant, v. Mellon Bank, N.a. Garnishee*, 501 F.2d 1032 (3d Cir. 1974). U.S. Court of Appeals, July 8, 1974.

პრაქტიკა.<sup>259</sup> ჯერ კიდევ 1985 წელს შემუშავებული UNCITRAL-ის მოდელური კანონის მე-9 მუხლის მიხედვით დადგინდა, რომ „საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან მისი მიმდინარეობისას მხარის მიმართვა სასამართლოსადმი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას“.

დღეის მდგომარეობით, საერთაშორისო პრაქტიკაში ერთმნიშვნელოვნად არის აღიარებული, რომ სასამართლოს აქვს შესაბამისი კომპეტენცია გამოიყენოს საარბიტრაჟო უზრუნველყოფა,<sup>260</sup> აღნიშნული წარმოადგენს იმ გამოწვევის შემთხვევას, როდესაც შესაძლებელია სასამართლოს ჩარევა საარბიტრაჟო განხილვაში.<sup>261</sup> სასამართლოს აღიშნული უფლებამოსილება თვითონ აღიარებული და დადასტურებულია 2006 წლის ცვლილებების შემდგომ UNCITRAL-ის მოდელური კანონის 17 (J) მუხლის საფუძველზე. მოდელური კანონის აღნიშნული მიდგომა მეტწილად გაზიარებულია საერთაშორისო მასშტაბით ქვეყნების შიდა კანონმდებლობაში, მაგალითისთვის, შვეიცარიის საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის თანახმად, როგორც არბიტრაჟს, ასევე სასამართლოს აქვს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების კომპეტენცია.<sup>262</sup> სასამართლოს უფლებამოსილება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან მიმართებით ასევე აღიარებულია აშშ-ში (ნიუ იორკი), თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება არ იქნა ეფექტიანი.<sup>263</sup> ინგლისის საარბიტრაჟო აქტი კი სასამართლოს უფლებამოსილებას აღიარებს, მხოლოდ გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევებში, როდესაც არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა ან არბიტრაჟს არ აქვს შესაძლებლობა განახორციელოს სარჩელის ჯეროვანი უზრუნველყოფა.<sup>264</sup>

სასამართლოს უფლებამოსილება ასევე დადასტურებულია საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის წესებით. ICC-ის საარბიტრაჟო წესების 28-ე მუხლის თანახმად, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ ნებისმიერ კომპეტენტურ სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, რაც არ ჩაითვლება საარბიტრაჟო შეთანხმების დარღვევად.<sup>265</sup> აღნიშნული ასევე

<sup>259</sup> James Associates Ltd Anhui Machinery & Equipment Import and Export Corp. US: Dist. Court, D. Colorado 2001, October 11, 2001.

<sup>260</sup> Dicey A.V., Morris J.H.C., The Conflicts of Law, Thomson Reuters, 2012, p. 856.

<sup>261</sup> Born G., International Arbitration: Law and Practice, Kluwer Law International, 2012, p. 213.

<sup>262</sup> შვეიცარიის კერძო სამართლის შესახებ კანონი, მუხლები 183 -185.

<sup>263</sup> Carter J., Fellas J., International Commercial Arbitration in New York, Oxford University Press, 2010, p. 250.

<sup>264</sup> იხ. ინგლისის საარბიტრაჟო აქტი, 1996, პარაგრაფი 44.

<sup>265</sup> ICC-ის საარბიტრაჟო წესები (ძალაშია 2017 წლიდან) 28.2 მუხლი.

გათვალისწინებულია UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესებით,<sup>266</sup> თუმცა მას შემდეგ, რაც დამტკიცდება დავის განმხილველი საარბიტრაჟო ტრიბუნალის შემადგენლობა, საარბიტრაჟო ინსტიტუტები გარკვეულწილად ცდილობენ შეზღუდონ მხარეთა უფლება მიმართონ სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით. LCIA-ის საარბიტრაჟო წესების მიხედვით, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მანამ, სანამ დამტკიცდება საარბიტრაჟო ტრიბუნალის შემადგენლობა, მისი დამტკიცების შემდგომ კი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.<sup>267</sup> აღნიშნულ რეგულირებას თუ განვიხილავთ ინგლისის საარბიტრაჟო აქტით დადგენილ წესთან<sup>268</sup> ერთობლიობაში, შეიძლება ითქვას, რომ ინგლისის საარბიტრაჟო კანონმდებლობაში სასამართლოს უფლებამოსილება შეზღუდულია და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში აქვთ მხარეებს უფლება ისარგებლონ სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით. აღნიშნული მონესრიგება მხოლოდ ინგლისის საარბიტრაჟო სამართლისთვის არ არის დამახასიათებელი, ICC-ის საარბიტრაჟო წესების მიხედვითაც, მას შემდეგ, რაც საქმე განსახილველად გადაეცემა დავის განმხილველ ტრიბუნალს, მხოლოდ „შესაბამისი გარემოებების“ არსებობის შემთხვევაში აქვს მხარეს უფლება მიმართოს სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით.<sup>269</sup> „შესაბამისი გარემოებებში“ მოიაზრება შემთხვევა, როდესაც მხარე ითხოვს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას, რომელიც აუცილებელია, რომ განხილული იყოს მონინაალმდეგე მხარის შეტყობინების გარეშე (*ex parte*) და გაიყვას შემჭიდროებულ ვადებში, პირობითად მაშინ, როდესაც მხარე ითხოვს მოპასუხის საბანკო ანგარიშების დაყადაღებას.<sup>270</sup>

## 2.2. ქართული სასამართლოს კომპეტენცია

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო წარმოებისას მხარეს შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. საარბიტრაჟო კანონის რეგულირება ეყრდნობა მოდელური კანონის 17 (J) მუხლს, რომლითაც აღიარებულია სასამართლოს მსგავსი უფლებამოსილება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 356<sup>18</sup>-ე მუხლის თანახმად, „მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისას, საარბიტრაჟო მოსარჩელის განცხადების საფუძველზე, სასამართლო უფლებამოსილია საარბიტრაჟო სარჩელის მიმართ გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიებები.“

<sup>266</sup> იხ. UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები (ძალაშია 2010 წლიდან) 26.9 მუხლი.

<sup>267</sup> LCIA-ის საარბიტრაჟო წესები (ძალაშია 2014 წლიდან) 25.3 მუხლი.

<sup>268</sup> იხ. ინგლისის საარბიტრაჟო აქტი, 1996, პარაგრაფი 44.

<sup>269</sup> ICC-ის საარბიტრაჟო წესები (ძალაშია 2017 წლიდან) მუხლი 28.2.

<sup>270</sup> Webster Th., Buhler M., Handbook of ICC Arbitration, third edition, Thomson Reuters (Professional), 2014, p. 459.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საარბიტრაჟო წარმოებისას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე კომპეტენტურ სასამართლოს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლო.<sup>271</sup> სასამართლო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით და სარგებლობს ყველა იმ უფლებამოსილებით, რასაც საპროცესო კოდექსი ანიჭებს, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, რომელიც არ არის რელევანტური საარბიტრაჟო წარმოების მიზნებისთვის.<sup>272</sup> შესაბამისად, სასამართლო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობებს აფასებს და უზრუნველყოფის ღონისძიების სახეებს არჩევს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-199 მუხლების მიხედვით და არა არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით.

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში 2015 წელს განხორციელებული ცვლილებები ასევე შეეხო 23-ე მუხლს, რომელიც განსაზღვრავს სასამართლოს უფლებამოსილებას საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფისას. ცვლილებებამდე კანონი გამორიცხავდა სასამართლოს უფლებამოსილებას ეხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლით და უზრუნველყოფის ღონისძიება გამოეყენებინა საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდე (წინასწარი უზრუნველყოფა). ცვლილებების შემდგომ გაუქმდა აღნიშნული შეზღუდვა და სასამართლოს მიენიჭა უფლებამოსილება მხარის მიმართვის საფუძველზე გამოეყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდე.<sup>273</sup> აღნიშნული ცვლილება ცალსახად წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. სარჩელის წინასწარი უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, ვინაიდან საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შეუძლებლობამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს მხარეს.

ამასთან, გასათვალისწინებელია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის რეგულირება, რომლის თანახმადაც, თუ სასამართლოს

<sup>271</sup> იხ. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 2.1(ა)-ე; 23-ე მუხლები.

<sup>272</sup> იხ. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 23.3 მუხლი; სსსკ-ის 356<sup>18</sup>.2 მუხლი, რომლის თანახმადაც, სასამართლო ხელმძღვანელობს სსსკ-ის XXIII-ით, გარდა 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა, რომელთა თანახმადაც, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადავო აქტის მოქმედების შეჩერება ან სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება ისეთ საქმეებზე, რომლებიც აღძრულია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ან რომლებზედაც შეტანილია განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ.

<sup>273</sup> განმარტებითი ბარათი, 2015 წელს არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე.

მიერ გამოყენებული იქნება უზრუნველყოფის ღონისძიება, სარჩელი შეტანილი უნდა იქნეს სასამართლოში განჩინების მიღებიდან 10 დღის ვადაში. მოქმედი კანონმდებლობა არ აწესრიგებს ამ საკითხს არბიტრაჟთან მიმართებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „პალატა აქვე ყურადღებას ამახვილებს შემდეგზე: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განცხადების სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების შემთხვევაში სარჩელი შეტანილი უნდა იქნეს სასამართლოში განჩინების მიღებიდან 10 დღის ვადაში. თუ ამ ვადაში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემტანი პირი არ აღძრავს სარჩელს, სასამართლო თავისი ინიციატივით ან მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ. შესაბამისად, რადგან მოცემულ შემთხვევაში საკითხი შეეხება საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენას, საარბიტრაჟო მოსარჩელემ მისი წარდგენისთანავე უნდა აცნობოს სასამართლოს აღნიშნულის თაობაზე“.<sup>274</sup>

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, არ არის განსაზღვრული, აქვთ თუ არა მხარეებს უფლება საარბიტრაჟო შეთანხმებით გამორიცხონ სასამართლოს უფლებამოსილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან მიმართებით. საერთაშორისო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მხარეები სარგებლობენ მსგავსი უფლებამოსილებით<sup>275</sup> და სასამართლოებს აქვთ ვალდებულება იმოქმედონ მხარეთა შეთანხმების შესაბამისად.<sup>276</sup> მაგალითად, LCIA-ის საარბიტრაჟო წესების 25.4 მუხლი მხარეებს ანიჭებს უფლებამოსილებას გამორიცხონ სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა იურიდიული ან/და საარბიტრაჟო ხარჯების უზრუნველყოფის მოთხოვნით.<sup>277</sup> გასათვალისწინებელია, რომ არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის შემუშავებისას, განმარტებითი ბარათის მიხედვით, მხარეებს უნდა ჰქონდეთ მსგავსი უფლებამოსილება,<sup>278</sup> თუმცა აღნიშნულმა პირდაპირი ასახვა ვერ ჰპოვა კანონში. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ ქართული საარბიტრაჟო და სასამართლო პრაქტიკაც ამ მიმართულებით განვითარდეს. თუ არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი მხარეებს ანიჭებს უფლებამოსილებას გამორიცხონ არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით ამგვარი მიდგომა უნდა გავრცელდეს სასამართლოსთან მიმართებითაც და მხარეთა ნების ავტონომიას

<sup>274</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 ნოემბრის განჩინება, საქმეზე 2ბ/5926-16.

<sup>275</sup> Born G., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Vol. II, Kluwer Law International, 2014, p. 2447.

<sup>276</sup> Kaufmann – Kohler G., Rigozzi A., *International Arbitration, Law and Practice in Switzerland*, Oxford University Press, 2015, p. 338.

<sup>277</sup> LCIA-ის საარბიტრაჟო წესების (ძალაშია 2014 წლიდან) მუხლი 25.4.

<sup>278</sup> განმარტებითი ბარათი, 2009 წლის არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე.

მიენიჭოს უპირატესობა. სხვაგვარად, მხარეთა შეთანხმებას საარბიტრაჟო განხილვისას უზრუნველყოფის ღონისძიების არ გამოიყენების შესახებ აზრი დაეკარგება, თუ უზრუნველყოფის ღონისძიების მიღება სასამართლოს მეშვეობით მაინც იქნება შესაძლებელი.

### 2.2.1. ქართული სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხში ქართული სასამართლოს მიერ არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის დებულებები გამოიყენება არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არის საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ იმ შემთხვევაშიც, როცა საარბიტრაჟო განხილვა საქართველოს ფარგლებს გარეთ მიმდინარეობს.<sup>279</sup> მსგავსი მონესრიგება სრულ შესაბამისობაშია თანამედროვე საერთაშორისო საარბიტრაჟო ტენდენციებთან.<sup>280</sup>

ამ რეგულირების თანახმად, თუ მაგალითად, საარბიტრაჟო განხილვა მიმდინარეობს საფრანგეთში და მოპასუხის აქტივები იმყოფება საქართველოში, მოსარჩელე მხარე უფლებამოსილია შუამდგომლობით მიმართოს ქართულ სასამართლოს და მოითხოვოს აქტივების დაყადაღება, რომლითაც შემდგომში აღსრულდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. ეს, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს თავად საარბიტრაჟო განხილვის ეფექტიანობას. უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ეტაპზე ქართული სასამართლოს მხრიდან ადგილი ჰქონდა კანონის არამართებულ ინტერპრეტაციას და სასამართლო პრაქტიკა ვითარდებოდა ისე, რომ ქართულ სასამართლოს არ ჰქონდა კომპეტენცია გამოეყენებინა უზრუნველყოფის ღონისძიება იმ საარბიტრაჟო დავასთან მიმართებით, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოს ფარგლებს გარეთ.<sup>281</sup>

ქართული სასამართლოს ამგვარი მიდგომა არსებითად შეიცვალა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 03 ივლისის განჩინების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ „გემოაღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხში უფლებამოსილი სასამართლოს (თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო

<sup>279</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 03 ივლისის განჩინება, საქმეზე #ას-538-511-2013.

<sup>280</sup> Born G., *International Arbitration: Law and Practice*, Kluwer Law International, 2012, p. 213.

<sup>281</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 24 აპრილის განჩინება, საქმეზე #2/ზ-352-2013.

სასამართლოს) მიერ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის დებულებები გამოიყენება არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არის საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ იმ შემთხვევაშიც, როცა საარბიტრაჟო განხილვა საქართველოს ფარგლებს გარეთ მიმდინარეობს. ამასთან, ორივე შემთხვევაში, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის სამართალი ან სამართლებრივი სისტემა აირჩიეს მხარეებმა მათ შორის წარმოშობილი დავის მოსაწესრიგებლად“.<sup>282</sup>

უზენაესი სასამართლოს აღნიშნული განჩინების საფუძველზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2013 წლის 29 ივლისს მიღებულ იქნა პრეცედენტული განჩინება, რომლითაც პირველად იქნა გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და დაყადაღდა მოპასუხე მხარის საკუთრებაში არსებული გემი მაშინ, როდესაც ძირითადი დავის განხილვა მიმდინარეობდა ლონდონის საზღვაო არბიტრების ასოციაციის არბიტრაჟში (LMAA).<sup>283</sup> სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებას წინ უძღოდა ამავე სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება, რომლითაც თავდაპირველად არ დაკმაყოფილდა განმცხადებლის მოთხოვნა იმ საფუძველით, რომ ქართულ სასამართლოს არ გააჩნდა საერთაშორისო კომპეტენცია.<sup>284</sup>

ამ საქმესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ არბიტრაჟის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულებას დაექვემდებარა უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 ივლისის განჩინების საფუძველზე.<sup>285</sup> ეს მაგალითი წარმოადგენს იმის ნათელ დადასტურებას, რომ სასამართლოსთვის მსგავსი უფლებამოსილების მინიჭება წარმოადგენს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების ეფექტიან მექანიზმს. ხსენებული გადაწყვეტილების შემდგომ, ქართული სასამართლოს მიერ არაერთ საქმეზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ იმ დავებთან მიმართებით, რომლის არსებითი განხილვაც მიმდინარეობს საქართველოს ფარგლებს გარეთ.<sup>286</sup>

<sup>282</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 03 ივლისის განჩინება, საქმეზე #ას-538-511-2013.

<sup>283</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 29 ივლისის განჩინება, საქმეზე #2/ბ-674-2013.

<sup>284</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 03 ივლისის განჩინება, საქმეზე #ას-538-511-2013.

<sup>285</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 09 ივლისის განჩინება, საქმეზე #ა-544-შ-17-2014.

<sup>286</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 09 ოქტომბრის განჩინება, საქმეზე #2ბ-985. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 21 თებერვლის განჩინება, საქმეზე #ას-1556-1476-2017.

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უფლებამოსილების დადგენისას სასამართლო უთითებს, როგორც არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლზე, ასევე საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მე-20 მუხლზე, რომლის თანახმადაც, სარჩელის უზრუნველყოფისას საქართველოს სასამართლო კომპეტენტურია, თუ უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოშია აღსასრულებელი ან საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია. მაგალითისთვის, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2013 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „განსახილველ შემთხვევაში, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის განხილვისას საქართველოს სასამართლო კომპეტენტურია“.<sup>287</sup> ამასთან, არსებობს შემთხვევები, როდესაც ქართული სასამართლო თავისი კომპეტენციის დადგენისას ეყრდნობა მხოლოდ საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მე-20 მუხლს.<sup>288</sup>

აღნიშნულს განაპირობებს ის გარემოება, რომ არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი არ ადგენს, თუ რა შემთხვევაშია ქართული სასამართლო კომპეტენტური განიხილოს მხარის განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ. პირობითად, არის თუ არა ქართული სასამართლო კომპეტენტური იმ შემთხვევაში, თუ პირს, რომლის წინააღმდეგაც მოთხოვნილია უზრუნველყოფის ღონისძიება, არ აქვს არც ქონება და არც საცხოვრებელი საქართველოში. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი არ ადგენს ამ მხრივ შეზღუდვას, თუმცა, აუცილებელია, რომ მხარეს გააჩნდეს ქართული სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარკვეული ინტერესი. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ ქართული სასამართლოს კომპეტენციის დადგენა არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლთან ერთად, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე განხორციელდეს, რომლის მიხედვითაც სარჩელის უზრუნველყოფისას საქართველოს სასამართლო კომპეტენტურია, თუ უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოშია აღსასრულებელი ან საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია.

<sup>287</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 29 ივლისის განჩინება, საქმეზე #2/ბ-674-2013..

<sup>288</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 02 ნოემბრის განჩინება, საქმეზე #2/ბ-1037-2016.



### 3. არბიტრაჟისა და სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებების ურთიერთმიმართება

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას არბიტრაჟსა და სასამართლოს შორის არსებული კონკურენცია აუცილებელს ხდის იმის დადგენას, თუ რა ურთიერთმიმართება არსებობს მათ მიერ გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებებს შორის. მაგალითად, აქვს თუ არა მხარეს უფლება მიმართოს არბიტრაჟს იმ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, რომლის გამოყენებამაც სასამართლოსგან უკვე ეთქვა უარი ან პირიქით.

ქართული კანონმდებლობაში ამაზე პირდაპირი პასუხი არ მოიძებნება და არ არსებობს რეგულაცია, რომელიც მხარეს უკრძალავს იმავე განცხადებით მიმართოს არბიტრაჟს, რაზეც უკვე ეთქვა უარი სასამართლოსგან ან პირიქით. შესაბამისად, ეს საკითხი სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკით უნდა დარეგულირდეს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული ტენდენციები და გამოცდილება. საერთაშორისო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ საკითხს დადებითად უნდა გაეცეს პასუხი და მხარემ უნდა ისარგებლოს უფლებით არბიტრაჟსაც მიმართოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით.<sup>289</sup> ერთ-ერთ საქმეზე, რომელზეც ნიუ-იორკის სასამართლოს მიერ მხარეს ნაწილობრივ უარი ეთქვა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე, მხარემ მოგვიანებით იმავე მოთხოვნით მიმართა ICC-ს არბიტრაჟს, რომელიც არსებითად განიხილავდა მხარეთა შორის დავას. არბიტრაჟმა მართალია არ დააკმაყოფილა მხარის მოთხოვნა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ იმ დასაბუთებით, რომ არ არსებობდა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები, თუმცა მიუთითა, რომ მას აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ, მიუხედავად ნიუ-იორკის სასამართლოს გადაწყვეტილებისა. არბიტრაჟმა აღნიშნულ საქმეზე განმარტა, რომ „ერთადერთი კითხვა რომელიც შეიძლება არსებობდეს არის: აქვს თუ არა საარბიტრაჟო ტრიბუნალს უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება იმ საკითხის შესახებ, რომელიც უკავშირდება ნიუ-იორკის სასამართლოს განჩინებას უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ. ნიუ-იორკის სასამართლოს მიერ განჩინება მიღებულია მოსამართლის მიერ მანამდე, სანამ დამტკიცდებოდა საარბიტრაჟო ტრიბუნალი და მას გადაეცემოდა საქმე განსახილველად. მიუხედავად ამისა, ნიუ-იორკის სასამართლოს განჩინება არ გამოორიყხავს საარბიტრაჟო ტრიბუნალის უფლებამოსილებას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ,

<sup>289</sup> Kaufmann – Kohler G., Rigozzi A., *International Arbitration, Law and Practice in Switzerland*, Oxford University Press, 2015, p. 338.

განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც არბიტრაჟის უფლებამოსილება მხარეთა შეთანხმებით არის გათვალისწინებული“.<sup>290</sup>

მიუხედავად აღნიშნულისა, ძირითად შემთხვევებში არბიტრები თავს იკავებენ გამოსცენ ისეთი უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელზეც მხარეს უარი ეთქვა სასამართლოსგან, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი გარემოებები არის უცვლელი.<sup>291</sup> არბიტრების თავშეკავება იმიტაც შეიძლება იყოს განპირობებული, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაშიც კი, შესაძლებელია მის ცნობა-აღსრულებას შეეწყმინას პრობლემა სასამართლოს მხრიდან, რომელსაც ერთხელ უკვე უარი აქვს ნათქვამი მსგავსი ღონისძიების გამოყენებაზე.

ICC-ის არბიტრაჟმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთ საქმეზე მიუთითა, რომ „თუ სასამართლო გამოსცემს ან უარს იტყვის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე, მხარეს არ შეუძლია შემდგომში მიმართოს არბიტრაჟს უკეთესი შედეგის მისაღებად და პირიქით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლოსთვის მიმართვა მოხდა იმის გამო, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ იყო დამტკიცებული, ტრიბუნალის დამტკიცების შემდგომ მას არ აქვს უფლება გადახედოს ან შეცვალოს მოსამართლის მიერ გამოცემული უზრუნველყოფის ღონისძიება. რა ხდება იმ შემთხვევაში თუ შეცვლის ან მოდიფიკაციის მოთხოვნა ეფუძნება შეცვლილ გარემოებებს? სავარაუდოდ, ასეთი მოთხოვნა უნდა გადანყდეს საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მისი დამტკიცების შემდგომ“.<sup>292</sup> მსგავსი მიდგომა არ არის დამახასიათებელი მხოლოდ არბიტრაჟისთვის. როგორც საერთაშორისო ლიტერატურაში აღნიშნავენ, სასამართლოც თავს იკავებს მიიღოს სხვაგვარი გადანყვეტილება იმ უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებით, რომელზეც ნამსჯელი აქვს დავის განმხილველ არბიტრაჟს.<sup>293</sup>

მიზანშეწონილია, რომ ქართულ რეალობაში გაზიარებულ იქნეს საერთაშორისო მიდგომები და მსგავსი პრაქტიკა ჩამოყალიბდეს, თუმცა ამას შესაძლებელია პრაქტიკაში აღსრულების პრობლემა შეეწყმინას. იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ პრაქტიკაში არბიტრაჟი ან სასამართლო უზრუნველყოფის ღონისძიებაზე გადანყვეტილებას იღებს მეორე მხარისთვის შეუტყობინებლად,<sup>294</sup> შესაძლებელია

<sup>290</sup> ICC Case #11770, Procedural Order #1 (2001), ციტირებულია: Webster Th., Buhler M., Handbook of ICC Arbitration, third edition, Thomson Reuters (Professional), 2014, p. 459.

<sup>291</sup> Kaufmann – Kohler G., Rigozzi A., International Arbitration, Law and Practice in Switzerland, Oxford University Press, 2015, p. 338.

<sup>292</sup> ICC Order #5, of April 2, 2002, ციტირებულია: Webster Th., Buhler M., Handbook of ICC Arbitration, third edition, Thomson Reuters (Professional), 2014, p. 459.

<sup>293</sup> Kaufmann – Kohler G., Rigozzi A., International Arbitration, Law and Practice in Switzerland, Oxford University Press, 2015, p. 338.

<sup>294</sup> დეტალურად იხ.: დისერტაციის თავი VI, ქვეთავი 4, ქვექვეთავი 4.6.

არბიტრაჟისთვის ან სასამართლოსთვის არც კი გახდეს ცნობილი, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე მიღებულია გადაწყვეტილება კომპეტენტური ორგანოს მიერ. მოწინააღმდეგე მხარეს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემდგომ ექნება შესაძლებლობა ამის შესახებ აცნობოს არბიტრაჟს/სასამართლოს, მაგრამ ამას შესაძლებელია აღარ ჰქონდეს შესაბამისი ეფექტი და ამის საფუძველზე აღარ შეცვალოს არბიტრაჟმა/სასამართლომ უკვე მიღებული გადაწყვეტილება.

#### **4. არბიტრაჟისა და სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებების ეფექტიანობის ანალიზი**

არბიტრაჟის კომპეტენცია საარბიტრაჟო წარმოებისას გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება არ არის ექსკლუზიური და შესაძლებელია, როგორც არბიტრაჟის, ასევე სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.<sup>295</sup> შესაბამისად, რომელი ორგანოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება იქნება მხარისთვის უფრო სწრაფი და ეფექტიანი, მხარემ თავად უნდა შეარჩიოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ორივე ორგანოს მიერ გამოყენებულ ღონისძიებას აქვს თავისი დამახასიათებელი დადებითი და უარყოფითი თვისებები, თუმცა წინასწარ შეიძლება განისაზღვროს ზოგადი მახასიათებლები.

##### **4.1. აღსრულების მექანიზმი**

ზოგადი პრინციპის თანახმად, არ არის შესაძლებელი არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება პირდაპირ აღსრულდეს სასამართლოს მიერ ცნობა-აღსრულების გარეშე და იგი ექვემდებარება სასამართლო კონტროლს.<sup>296</sup> აღსრულების უფლებამოსილება სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება.<sup>297</sup> მსგავსად ანესრიგებს აღნიშნულ საკითხს UNCITRAL-ის მოდელური კანონი<sup>298</sup> და სხვა მრავალი ქვეყნის შიდა კანონმდებლობა.<sup>299</sup> სასამართლოს მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების შემთხვევაში კი თავად სასამართლო ფლობს

<sup>295</sup> Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2522.

<sup>296</sup> Born G., International Arbitration: Law and Practice, Kluwer Law International, 2012, 206.

<sup>297</sup> Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2446.

<sup>298</sup> Roth M., Commentary on the UNCITRAL Modal Law, Practitioner's Handbook on International Commercial Arbitration, Edited by Frank-Bernd Weigand, 2<sup>nd</sup> edition, Oxford University Press, 2009, 1042.

<sup>299</sup> დეტალურად იხ.: დისერტაციის თავი XI, ქვეთავი 2.

უფლებამოსილებას გასცეს სააღსრულებო ფურცელი.<sup>300</sup> აქედან გამომდინარე, მიიჩნევა, რომ სასამართლო ფლობს აღსრულების უფრო ეფექტიან მექანიზმს.

#### 4.2. სისწრაფე

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება განხორციელდეს უმოკლეს ვადებში, ვინაიდან ამ დროს თითოეულ დღეს ენიჭება მნიშვნელობა. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, არბიტრაჟი ვალდებულია გადაწყვეტილება მიიღოს „გონივრულ ვადაში.“<sup>301</sup> კონკრეტულ ვადას არც UNCITRAL-ის მოდელური კანონი ითვალისწინებს. თუ რა ვადა მიიჩნევა „გონივრულ ვადად“, შეიძლება დადგინდეს საარბიტრაჟო შეთანხმებით, დავის განმხილველი არბიტრაჟის რეგლამენტით ან/და საარბიტრაჟო პრაქტიკით. მაგალითად, „თბილისის საარბიტრაჟო პალატის“ საარბიტრაჟო წესების თანახმად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღება ხდება 3 დღის ვადაში,<sup>302</sup> „დავების გადაწყვეტის ცენტრის“ (DRC) საარბიტრაჟო წესების მიხედვით კი „მაქსიმალურად მოკლე“ ვადაში.<sup>303</sup> სასამართლო კი ვალდებულია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს ერთი დღის ვადაში.<sup>304</sup> გარდა ამისა, არბიტრაჟის გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ ექვემდებარება ცნობა-აღსრულებას სააპელაციო სასამართლოს მიერ,<sup>305</sup> რომელსაც 10 დღის ვადაში გამოაქვს განჩინება არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე.<sup>306</sup> ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულება უნდა განხორციელდეს სხვა ქვეყანაში, შესაძლებელია კიდევ უფრო მეტი დრო დაჭირდეს მხარეს სასურველი შედეგის მისაღებად.

როგორც აღინიშნა, საერთაშორისო პრაქტიკაში უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება განეკუთვნება ტრიბუნალის უფლებამოსილებას, რომლის დაკომპლექტებაც შესაბამის დროსთან არის დაკავშირებული, რაც კიდევ უფრო აჭიანურებს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას.<sup>307</sup> სამეცნიერო

<sup>300</sup> სსსკ-ის 195-ე მუხლის თანახმად, „სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულება დაუყოვნებლივ ხორციელდება, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დადგენილი წესით“.

<sup>301</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 17.2.

<sup>302</sup> იხ. თბილისის საარბიტრაჟო პალატის საარბიტრაჟო წესები, მუხლი 6.4.(2).

<sup>303</sup> იხ. დავების გადაწყვეტის ცენტრის (DRC) საარბიტრაჟო წესები, მუხლი 32.2.

<sup>304</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 193.

<sup>305</sup> იხ. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 21. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 356<sup>18</sup>.4.

<sup>306</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 356<sup>18</sup>.4.

<sup>307</sup> დეტალურად იხ.: დისერტაციის თავი VI, ქვეთავი 4, ქვექვეთავი 4.5.

ლიტერატურაშიც მიჩნეულია, რომ როდესაც მხარეს დაუყოვნებლივ ესაჭიროება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, ამ შემთხვევაში გამართლებულია სასამართლოსთვის მიმართვა.<sup>308</sup> აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე პირდაპირ სასამართლოს მიმართვას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, შესაძლებელია უფრო სწრაფად მიაღწიოს დასახულ მიზანს.

#### 4.3. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯები

საარბიტრაჟო წარმოება დაკავშირებულია მნიშვნელოვან ხარჯებთან, როგორცაა საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენისათვის დადგენილი მოსაკრებელი, არბიტრის ჰონორარი, იურიდიული მომსახურების ხარჯი და მათ შორის, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფისათვის განსაზღვრული საარბიტრაჟო მოსაკრებელი. არბიტრაჟის შესახებ კანონი არაფერს ამბობს უზრუნველყოფის ღონისძიების ხარჯთან დაკავშირებით, აღნიშნული საკითხი წესრიგდება საარბიტრაჟო ცენტრების საარბიტრაჟო წესებით, რომლითაც განსაზღვრულია ფიქსირებული მოსაკრებელი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისთვის.<sup>309</sup> საერთაშორისო პრაქტიკაში უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება არ არის დაკავშირებული ფიქსირებულ ხარჯებთან, თუმცა ის დრო, რომელსაც არბიტრი ხარჯავს უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხის გადანყვეტისას, ექვემდებარება ანაზღაურებას.<sup>310</sup> ამასთან, ქართული რეგულირების თანახმად, მხარეს უწევს სახელმწიფო ბაჟის გადახდა, როდესაც ითხოვს უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებას სასამართლოს მიერ.<sup>311</sup> სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში კი, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას მხარეს ერთჯერადად უწევს სახელმწიფო ბაჟის გადახდა.<sup>312</sup>

#### 4.4. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მესამე პირებთან მიმართებით

არბიტრაჟის მიერ მიღებული გადანყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა მხოლოდ საარბიტრაჟო შეთანხმების მონაწილე მხარეებისთვის.<sup>313</sup> შესაბამისად, არბიტრაჟი უფლებამოსილია მხოლოდ საარბიტრაჟო წარმოებაში მონაწილეთა წინააღმდეგ გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიებები.<sup>314</sup> მაგალითად, თუ

<sup>308</sup> Webster Th., Buhler M., Handbook of ICC Arbitration, third edition, Thomson Reuters (Professional), 2014, p. 459.

<sup>309</sup> იხ. თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის (TAI) რეგლამენტის დანართი #1-ის 2.3 მუხლი. დავების გადანყვეტის ცენტრის (DRC) საარბიტრაჟო წესები, მუხლი 9.

<sup>310</sup> იხ.: Schedule of LCIA Arbitration Costs. ხელმისაწვდომია: [www.lcia.org/Dispute\\_Resolution\\_Services/schedule-of-costs-lcia-arbitration.aspx](http://www.lcia.org/Dispute_Resolution_Services/schedule-of-costs-lcia-arbitration.aspx), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>311</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი, 39.1(ე<sup>1</sup>).

<sup>312</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი, 38.ი<sup>1</sup>.

<sup>313</sup> Born G., International Arbitration: Law and Practice, Kluwer Law International, 2012, p. 206.

<sup>314</sup> Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2445.

უზრუნველყოფის ღონისძიება მიმართულია საბანკო ანგარიშების წინააღმდეგ, ბანკი არ არის ვალდებული აღასრულოს არბიტრაჟის დადგენილება მანამ, სანამ სასამართლოს მიერ არ განხორციელდება ცნობა-აღსრულება<sup>315</sup> მაშინ, როდესაც სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება შესასრულებლად სავალდებულოა ყველასათვის.<sup>316</sup>

#### 4.5. წინასწარი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

საქართველოში არსებული დღევანდელი მონესრიგების ფარგლებში წინასწარი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან მიმართებით არბიტრაჟს და სასამართლოს შორის, რაიმე განსაკუთრებული განსხვავება არ არსებობს,<sup>317</sup> რომელიც შეიძლება უპირატესობას ანიჭებდეს რომელიმე ორგანოს და შეიძლება ითქვას, რომ ორივე ორგანო ეფექტიან მექანიზმს ითვალისწინებს.

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, არბიტრაჟი მოკლებულია შესაძლებლობას გამოიყენოს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მანამ, სანამ ტრიბუნალის შემადგენლობა არ დაკომპლექტდება.<sup>318</sup> ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტების მიერ შემოღებულ იქნა “Emergency Arbitration”-ის ინსტიტუტი,<sup>319</sup> თუმცა ის ხარჯები და დრო, რაც დაკავშირებულია “Emergency Arbitration”-ის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან, ამცირებს იმ ეფექტს, რომელიც დამახასიათებელია წინასწარი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან.<sup>320</sup> ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ „Emergency Arbitration” არ ითვალისწინებს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას მხარისათვის შეუტყობინებლად (*ex parte*) მაშინ, როდესაც წინასწარი უზრუნველყოფის ღონისძიების იდეა ხშირ შემთხვევაში სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ არსებობს ღონისძიების გამოყენების გადაუდებელი აუცილებლობა მანამ, სანამ მეორე მხარე ისეთ ქმედებას განახორციელებს, რომელიც შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. *Ad hoc* არბიტრაჟის შემთხვევაში, რომელიც იქმნება კონკრეტული საქმის განხილვისთვის და არ აქვს ინსტიტუციური ხასიათი, ეს საკითხი

<sup>315</sup> Abascal J.M., The Art of Interim Measures, ICCA Congress Series N 13, General editor Berg Albert Jan van den Berg, 2006, p. 758.

<sup>316</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 10. დეტალურად იხ.: დისერტაციის თავი VI, ქვეთავი 1, ქვექვეთავი 1.4.

<sup>317</sup> დეტალურად იხ.: დისერტაციის თავი VI, ქვექვეთავი 1.4. და 2.2.

<sup>318</sup> Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2450. Liebscher Ch., Commentary on Austrian Arbitration law, Practitioner’s Handbook on International Commercial Arbitration Edited by Frank-Bernd Weigand, 2<sup>nd</sup> edition, Oxford University Press, 2009, 146.

<sup>319</sup> Born G., International Arbitration: Law and Practice, Kluwer Law International, 2012, p. 207; ICC-ის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს საარბიტრაჟო წესების (ძალაშია 2017 წლიდან) მუხლი 29.

<sup>320</sup> დეტალურად იხ.: დისერტაციის თავი VI, ქვექვეთავი 1.2.5.

გადაუწყვეტელი რჩება და მხარეს მხოლოდ მაშინ აქვს შესაძლებლობა მიმართოს არბიტრაჟს, როდესაც დაკომპლექტდება ტრიბუნალის შემადგენლობა.

#### 4.6. გადაწყვეტილების მიღება მხარისათვის შეუტყობინებლად (*ex parte*)

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი არ მოიცავს დათქმას იმის შესახებ, არბიტრაჟმა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მხარისათვის შეტყობინების გარეშე, თუ უნდა აცნობოს მხარეს, რომ იგი განიხილავს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხს და მისცეს პოზიციის წარმოდგენის შესაძლებლობა. ამ მხრივ, არც საქართველოში მოქმედი საარბიტრაჟო ცენტრის წესები მოიცავენ ნათელ რეგულირებას.<sup>321</sup> მიუხედავად აღნიშნულისა, ქართულ სინამდვილეში, როგორც წესი, არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ხდება მხარისათვის შეუტყობინებლად,<sup>322</sup> რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რეგულირების გავლენადაც შეიძლება მივიჩნიოთ.<sup>323</sup>

საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკაში, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება არ ხდება მხარისათვის შეუტყობინებლად და მოპასუხეს ეძლევა პოზიციის წარმოდგენის შესაძლებლობა. UNCITRAL-ის მოდელური კანონი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას მხარისათვის შეუტყობინებლად, როცა არსებობს რისკი, რომ მოპასუხე მხარისათვის უზრუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნის შესახებ ინფორმირება აზრს დაუკარგავს უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანს.<sup>324</sup> ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მართალია მოდელური კანონი ადგენს, რომ მხარისათვის შეტყობინების გარეშე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება არის მხარისათვის სავალდებულო, თუმცა გამორიცხავს მის აღსრულებას სასამართლოს მეშვეობით.<sup>325</sup>

საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის წესები ითვალისწინებს მხარის ინფორმირებას და მისთვის პოზიციის წარმოდგენის შესაძლებლობის მიცემას. LCIA-ის საარბიტრაჟო წესების 25-ე მუხლის თანახმად, „არბიტრაჟს აქვს უფლება გამოსცეს უზრუნველყოფის ღონისძიება ნებისმიერი მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, მას შემდეგ, რაც მონინააღმდეგე მხარეს მიეცემა შესაძლებლობა

<sup>321</sup> იხ. თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის (TAI) საარბიტრაჟო წესები. დავების განმხილველი ცენტრის (DRC) საარბიტრაჟო წესები. საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის (GIAC) საარბიტრაჟო წესები.

<sup>322</sup> 2018 წლის 10 სექტემბრის ინტერვიუ თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარესთან.

<sup>323</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 193.

<sup>324</sup> UNCITRAL-ის მოდელური კანონი, მუხლი 17B.

<sup>325</sup> UNCITRAL-ის მოდელური კანონი, მუხლი 17C.5. ასევე Born G., *International Arbitration: Law and Practice*, 2012, p. 206. დეტალურად იხ.: დისერტაციის თავი IV, ქვეთავი 1.

წარმოადგინოს თავის პოზიცია“.<sup>326</sup> ICSID-ის საარბიტრაჟო წესების 39(4) მუხლის თანახმად, „ტრიბუნალს უფლება აქვს გასცეს, შეცვალოს ან გააუქმოს რეკომენდაცია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, მას შემდეგ რაც თითოეულ მხარეს მისცემს შესაძლებლობას წარმოადგინოს თავისი მოსაზრება.“<sup>327</sup> ამერიკაში უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ მეორე მხარისთვის ინფორმაციის მიწოდება უკავშირდება Due Process-ის (სამართლიანი განხილვის უფლება) დაცვას და მიიჩნევა, რომ ფუნდამენტური სამართლიანობა მოითხოვს, ყველა მხარეს მიეცეს შესაძლებლობა წარმოადგინოს თავისი მტკიცებულებები და არგუმენტები,<sup>328</sup> თუმცა ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ არბიტრაჟი ვალდებულია გამართოს ზეპირი მოსმენა. არბიტრაჟი უფლებამოსილია გადანაცვტილება მიიღოს მხარეთა მიერ წარდგენილი წერილობითი პოზიციების საფუძველზე.<sup>329</sup>

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლო უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განცხადებას იხილავს მხარისთვის შეუტყობინებლად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 193-ე მუხლის თანახმად, „განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადანაცვტილ ამ სარჩელის განმხილველი სასამართლო განცხადების შეტანიდან ერთი დღის ვადაში, მოპასუხისთვის შეუტყობინებლად“. საერთაშორისო პრაქტიკაშიც აღიარებულია სასამართლოს უფლებამოსილება გადანაცვტილება მიიღოს *ex parte*,<sup>330</sup> შესაბამისად, თუ მხარეს სურს, რომ მისი მოთხოვნა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განხილულ იქნეს მხარისთვის შეუტყობინებლად, რათა უზრუნველყოფის ღონისძიებას ჰქონდეს მოულოდნელობის ეფექტი, სასამართლოში ეს შესაძლებლობა უზრუნველყოფილია.

#### 4.7. კონფიდენციალურობა

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომელიც განაპირობებს არბიტრაჟის, როგორც დავის ალტერნატიული გადანაცვტილის მექანიზმის პოპულარულობას, არის კონფიდენციალურობა.<sup>331</sup> მხარეთა სურვილი, მათ შორის წარმოშობილი დავა გადანაცვტილ არბიტრაჟის მეშვეობით, შესაძლებელია სწორედ ამითაც იყოს განპირობებული. შესაბამისად, მხარეთათვის მნიშვნელოვანია, რომ კონფიდენციალურობა დაცული იყოს მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას. კონფიდენციალურობის დაცვა კი სასამართლოსთვის მიმართვის

<sup>326</sup> LCIA-ის საარბიტრაჟო წესები (ძალაშია 2014 წლიდან) მუხლი 25. ხელმისაწვდომია: [http://www.lcia.org/dispute\\_resolution\\_services/lcia-arbitration-rules-2014.aspx#Article%2025](http://www.lcia.org/dispute_resolution_services/lcia-arbitration-rules-2014.aspx#Article%2025)

<sup>327</sup> ICSID საარბიტრაჟო წესები, მუხლი 39(4).

<sup>328</sup> Carter J., Fellas J., International Commercial Arbitration in New York, Oxford University Press, 2010, p. 250.

<sup>329</sup> იქვე.

<sup>330</sup> Paulson J., Petrochilos G., UNCITRAL Arbitration, Kluwer law International, 2018, p. 217.

<sup>331</sup> Bond S., Expert Report in Esso v. Plowmann, 1995, para. 6. იხ.: ასევე, Smeureanu E.M., Confidentiality in International Commercial Arbitration, Wolters Kluwer, p. xvi.



შემთხვევაში ვერ იქნება უზრუნველყოფილი, განსხვავებით არბიტრაჟისგან,<sup>332</sup> თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონფიდენციალურობის დარღვევის საფრთხე იმ შემთხვევაშიც არსებობს, თუ საჭირო გახდა არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულება.

#### 4.8. უზრუნველყოფის ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასება

ქართულ სინამდვილეში იმ შემთხვევაში, თუ მხარე საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების მოთხოვნით მიმართავს არბიტრაჟს, ორმაგი დროისა და ფინანსური რესურსის ხარჯვა უწევს, შესაბამისად, სასამართლოსთვის მიმართვა შესაძლებელია უფრო ხელსაყრელი იყოს. ქართულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება არცთუ ისე ეფექტიანია.<sup>333</sup> საერთაშორისო ლიტერატურაშიც აღიარებულია, რომ საარბიტრაჟო წარმოებისას სასამართლოს მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უფრო ეფექტიან და სწრაფ მიზნის მიღწევის საშუალებას წარმოადგენს, ვიდრე არბიტრაჟის,<sup>334</sup> თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც.<sup>335</sup> სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვითაც სასამართლოს ენიჭება ამ მხრივ უპირატესობა. მაგალითად, ბელგიაში სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულება უფრო მარტივად მიიჩნევა,<sup>336</sup> ჩინეთში კი უფრო სწრაფად,<sup>337</sup> საფრანგეთში სასამართლოს უფრო ეფექტიანად აღიარებენ<sup>338</sup> ისევე, როგორც გერმანიაში.<sup>339</sup> თუმცა, ავსტრიაში პირიქითაა და არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას უფრო „მოხერხებულად“ მიიჩნევენ.<sup>340</sup>

ის გარემოება, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას არბიტრაჟს და სასამართლოს შორის არსებობს გარკვეული კონკურენცია, მხარეებს აძლევს მეტ შესაძლებლობას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს იმ ორგანოს, რომლის მიერ

<sup>332</sup> Jones D. Emergency Arbitrators and Court-Ordered Interim Measures, Defining Issues in International Arbitration edited by Betancourt J. C., Oxford University Press, 2016, p. 155.

<sup>333</sup> Tsertsvadze G., Brief Commentary to the Georgian Arbitration Law, 2009, Tbilisi, 2011, p. 142.

<sup>334</sup> Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2544.

<sup>335</sup> Abascal J.M., The Art of Interim Measures, ICCA Congress Series N 13, General editor Albert Jan van den Berg, 2006, pp. 575-558.

<sup>336</sup> Houtte H.V., Commentary on Belgium Arbitration Law, Practitioner's Handbook on International Commercial Arbitration, Edited by Frank-Bernd Weigand, 2<sup>nd</sup> edition, Oxford University Press, 2009, p. 208.

<sup>337</sup> იქვე, Moser M.J., and Choong J., Commentary on China and Hong-Kong Arbitration Law, p. 208.

<sup>338</sup> იქვე, Gaillard E., Commentary on France Arbitration Law, p. 449.

<sup>339</sup> იქვე, Houtte H.V., Commentary on Belgium Arbitration Law, “ p. 510.

<sup>340</sup> იქვე, Liebscher C., Commentary on Austrian Arbitration Law, p. 145.

გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებაც უფრო ეფექტიანი იქნება და უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. მხარემ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეათვასოს ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც დაკავშირებულია სასამართლოს თუ არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებებთან და ისე მიიღოს გადაწყვეტილება, თუ რომელ ორგანოს მიმართოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით.

## VII. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად ხდება იმ მხარის უფლებების შეზღუდვა ვის წინააღმდეგაც მიმართულია უზრუნველყოფის ღონისძიება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ უფლების შეზღუდვა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და ხორციელდებოდეს კანონით დადგენილ ფარგლებში. საქართველოს უზენაესი სასამართლო საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ „უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება“.<sup>341</sup>

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი განსაზღვრავს, თუ რა წინაპირობების არსებობის შემთხვევაში არის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება შესაძლებელი, რათა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით დაუსაბუთებლად არ შეიზღუდოს მოპასუხის კანონიერი ინტერესი.<sup>342</sup> საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა იყოს აუცილებელი და არა სასურველი ან რეკომენდირებული.<sup>343</sup>

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემსახურება განმცხადებლის ინტერესების და უფლებების დაცვას, საარბიტრაჟო წარმოება კი მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით. სწორედ განმცხადებელ მხარეს აქვს მტკიცების ტვირთი და ევალება, დაასაბუთოს იმ გარემოებების არსებობა, რაც აუცილებელია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოსაყენებლად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ“.<sup>344</sup>

<sup>341</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 აპრილის განჩინება საქმეზე #ას-497-497-2018.

<sup>342</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინება, საქმეზე N ას-1095-1044-2014.

<sup>343</sup> Abascal J.M., *The Art of Interim Measures*, ICCA Congress Series N 13, General editor Albert Jan van den Berg 2006, p. 765.

<sup>344</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 აპრილის განჩინება, საქმეზე #ას-497-497-2018.

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი იზიარებს მოდელური კანონის მიერ დადგენილ უზრუნველყოფის გამოყენების წინაპირობებს, რომლის მიხედვითაც, ერთი მხრივ, უნდა არსებობდეს საშიშროება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გამოიწვევს ისეთ ზიანს, რომელიც ვერ ანაზღაურდება საბოლოო გადაწყვეტილებით, ხოლო მეორე მხრივ სარჩელის დაკმაყოფილების მაღალი ალბათობა.<sup>345</sup> გარდა აღნიშნული წინაპირობებისა, საერთაშორისო ლიტერატურაში სახელდება კიდევ რამდენიმე წინაპირობა, მათ შორის, გადაუდებელი (სასწრაფო) აუცილებლობა,<sup>346</sup> თუმცა ამის განსაზღვრა რთულია და კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე უნდა დადგინდეს.<sup>347</sup> ეს წინაპირობები მცირედით განსხვავდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობებისგან. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კანონი განასხვავებს სარჩელის და მტკიცებულებების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებისათვის აუცილებელ წინაპირობებს. კანონი ადგენს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელია, იმ სამი წინაპირობის კუმულატიური არსებობა, რაც გათვალისწინებულია არბიტრაჟის შესახებ კანონის 18.1 მუხლით. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიებების მიმართ კი, აღნიშნული წინაპირობების არსებობა მხოლოდ იმ ფარგლებშია აუცილებელი, რასაც არბიტრაჟი მიზანშეწონილად მიიჩნევს.<sup>348</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ არბიტრაჟის შესახებ კანონი ეფუძნება UNCITRAL-ის მოდელურ კანონს, მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობებთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ გათვალისწინებულ იქნეს მოდელური კანონის განმარტების საერთაშორისო ტენდენციები და საარბიტრაჟო პრაქტიკაში დამკვიდრებული წინაპირობები.

## 1. არბიტრაჟის *Prima Facie* კომპეტენცია

არბიტრაჟი უფლებამოსილია განახორციელოს ესა თუ ის მოქმედება კონკრეტულ დავასთან მიმართებით მაშინ, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე მას გააჩნია კომპეტენცია განიხილოს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა.<sup>349</sup>

<sup>345</sup> Roth M., “Commentary on the UNCITRAL Modal Law”, “Practitioner’s Handbook on International Commercial Arbitration” Edited by Frank-Bernd Weigand, Second edition, Oxford University Press, 2009, p. 1033.

<sup>346</sup> Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2468.

<sup>347</sup> Abascal J.M., The Art of Interim Measures, ICCA Congress Series N 13, General editor Albert Jan van den Berg 2006, p. 763.

<sup>348</sup> იხ.: არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 18.1 და 18.2.

<sup>349</sup> იხ. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 1 და 8.

აღნიშნული, ასევე ვრცელდება არბიტრაჟის უფლებამოსილებაზე, გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება. იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნა განმცხადებლის მიერ ხშირ შემთხვევაში ხდება საარბიტრაჟო წარმოების დაწყების პირველ ეტაპზე სარჩელის წარდგენასთან ერთად<sup>350</sup> ან სარჩელის წარდგენამდე,<sup>351</sup> არბიტრაჟის მიერ უნდა შეფასდეს მისი კომპეტენციის საკითხი, რათა მის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება არ მოხდეს ისეთ დავაზე, რომლის განხილვის უფლებამოსილებაც მას არ გააჩნია. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი ამის შესახებ პირდაპირ მითითებას არ შეიცავს და არ ავალებს არბიტრაჟს შეამოწმოს მისი კომპეტენცია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას.

ქართული კანონმდებლობა, განსხვავებულად აწესრიგებს სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხს. სასამართლოს მხრიდან უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მიუთითებს მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის აუცილებლობაზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>18</sup> მუხლის მიხედვით, „მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისას, საარბიტრაჟო მოსარჩელის განცხადების საფუძველზე, სასამართლო უფლებამოსილია საარბიტრაჟო სარჩელის მიმართ გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიებები“. აღნიშნული რეგულირების საფუძველზე, ერთ-ერთ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ უარი თქვა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე იმ საფუძველით, რომ მხარეთა შორის არ არსებობდა ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმება მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მხარეს საარბიტრაჟო მოთხოვნით მიმართული ჰქონდა ლონდონის საზღვაო არბიტრთა ასოციაციის (LMAA) არბიტრაჟისთვის და ერთი არბიტრი უკვე დანიშნული იყო.<sup>352</sup> სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მხარეთა შორის შეთანხმება და მიუთითა, რომ „სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება იმ პირის მიმართ, რომელთანაც საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა არ დასტურდება, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია“.<sup>353</sup>

საერთაშორისო პრაქტიკაში კი მიიჩნევა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს განსახილველ დავაზე

<sup>350</sup> Paulson J., Petrochilos G., UNCITRAL Arbitration, Kluwer law International, 2018, p. 218.

<sup>351</sup> იხ. არბიტრაჟის შესახებ კანონი, მუხლი 17.

<sup>352</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ნოემბრის განჩინება, საქმეზე #2/ბ-1085-2016.

<sup>353</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ნოემბრის განჩინება, საქმეზე #2/ბ-1085-2016.

არბიტრაჟის კომპეტენციის დადგენა *prima facie* შეფასების სტანდარტით მაინც.<sup>354</sup> გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება ისე, რომ ტრიბუნალები არ ისმენენ მხარეთა პოზიციებს არბიტრაჟის კომპეტენციასთან დაკავშირებით.<sup>355</sup>

ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საქმეზე *Perenco Ecuador Ltd v. Republic of Ecuador* განმარტა, რომ „უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზნებისთვის ტრიბუნალს არ სჭირდება იმის დადგენა, გააჩნია თუ არა მას იურისდიქცია წინამდებარე დავის არსებითად გადასაწყვეტად, თუმცა ტრიბუნალი არ გასცემს უზრუნველყოფის ღონისძიებას იმ შემთხვევაში თუ მინიმუმ *prima facie* შესაფასების საფუძველზე არ დადგინდება მისი იურისდიქცია“.<sup>356</sup> ტრიბუნალმა ასევე მიუთითა, რომ ის გარემოება, რომ სამდივნოს შეფასებით დავა შესაძლებელია იყოს ICSID-ის არბიტრაჟის განსახილველი და დაარეგისტრირა საქმე განსახილველად, ტრიბუნალისთვის არ არის საკმარისი და ტრიბუნალი *prima facie* სტანდარტით უნდა დარწმუნდეს, რომ მას აქვს იურისდიქცია აღნიშნულ დავაზე.<sup>357</sup> *Prima facie* სტანდარტით არბიტრაჟის კომპეტენციის შეფასება საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოებაში წარმოადგენს დამკვიდრებულ პრაქტიკას და საარბიტრაჟო ტრიბუნალები არ იღებენ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას, თუ არ დგინდება მათი კომპეტენცია *prima facie*.<sup>358</sup> გერმანული საარბიტრაჟო პრაქტიკის მიდგომით, არბიტრაჟი *prima facie* უნდა დარწმუნდეს, რომ არსებობს ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლითაც დგინდება მისი იურისდიქცია, რათა მიიღოს გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ.<sup>359</sup> მსგავს მიდგომას იზიარებს ასევე, შვეიცარიის საარბიტრაჟო სამართალი.<sup>360</sup>

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას *prima facie* დადგენილი კომპეტენცია, გავლენას არ ახდენს არბიტრაჟის საბოლოო გადაწყვეტილებაზე მისი კომპეტენციის შესახებ და

<sup>354</sup> Born G., *International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II*, Kluwer Law International, 2014, p. 2445.

<sup>355</sup> Commission J., Moloo R., *Procedural Issues in International Investment Arbitration*, Oxford University Press, 2018, p. 33.

<sup>356</sup> *Perenco Ecuador Ltd v. Republic of Ecuador*, Decision on Provisional Measures, ICSID Case No. ARB/08/6, 2009, para. 39.

<sup>357</sup> იქვე.

<sup>358</sup> Born G., *International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II*, Kluwer Law International, 2014, p. 2445.

<sup>359</sup> Kreindler R., Schafer J., *Interim Measures of Protection, Arbitration in Germany, The Model Law in Practice*, 2007, p. 262.

<sup>360</sup> Kaufmann – Kohler G., Rigozzi A., *International Arbitration, Law and Practice in Switzerland*, Oxford University Press, 2015, p. 344.

მხარეები ინარჩუნებენ უფლებას სადავოდ გახადონ არბიტრაჟის კომპეტენცია დავის არსებით განხილვაზე.<sup>361</sup>

აღნიშნული მიდგომის მიზანია, დაიცვას ორივე მხარის ინტერესები, ერთი მხრივ მოპასუხის, რათა არ მოხდეს მისი უფლებების შეზღუდვა არაკომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე და მეორე მხრივ, განმცხადებლის, რომელსაც აქვს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გადაუდებელი აუცილებლობა, არბიტრაჟის იურისდიქციაზე მსჯელობის გადაწყვეტა კი ვერ ხდება მოკლე ვადაში.<sup>362</sup> აქედან გამომდინარე, მართალია, არბიტრაჟის შესახებ კანონი მსგავს წინაპირობას პირდაპირ არ ითვალისწინებს, თუმცა მიზანშეწონილია, რომ ქართულ საარბიტრაჟო პრაქტიკაში გაზიარებულ იქნეს მსგავსი მიდგომა.

## 2. შესაძლო (არაკომპენსირებადი) ზიანი

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 18.1(ა) მუხლის თანახმად, მხარემ, რომელიც შუამდგომლობით მიმართავს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, უნდა დაასაბუთოს, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ზიანი, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება მეორე მხარისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებით. ამ წინაპირობის გათვალისწინებით, რეალურად უნდა არსებობდეს იმის საშიშროება, რომ უზრუნველყოფის გამოყენებლობის შემთხვევაში მხარეს მიაღებება ისეთი ზიანი, რომლის ანაზღაურებაც საბოლოო გადაწყვეტილებით შეუძლებელი იქნება. ასეთი საფრთხე შეიძლება არსებობდეს მაშინ, როდესაც კომპანია გადახდისუნარიო ხდება და გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის თანხის გადახდევინება შეუძლებელი იქნება, დავის საგანს წარმოადგენს ხელოვნების ნიმუში, რომელსაც განადგურება ემუქრება<sup>363</sup> ან დავის გადაწყვეტისათვის უმნიშვნელოვანესი მტკიცებულება შეიძლება განადგურდეს ან დაიკარგოს.<sup>364</sup>

გასათვალისწინებელია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას აღნიშნული წინაპირობა ალტერნატიული წინაპირობის სახით, ასევე დამკვიდრდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2016 წელს შეტანილი

<sup>361</sup> Paulson J., Petrochilos G., UNCITRAL Arbitration, Kluwer law International, 2018, p. 218.

<sup>362</sup> Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2445.

<sup>363</sup> Roth M., “Commentary on the UNCITRAL Modal Law”, “Practitioner’s Handbook on International Commercial Arbitration” Edited by Frank-Bernd Weigand, Second edition, Oxford University Press, 2009, p. 1033.

<sup>364</sup> Binder P., “International Commercial Arbitration and Conciliation in UNCITRAL Modal Law Jurisdiction”, Third edition, 2009, p. 247.

ცვლილებების საფუძველზე,<sup>365</sup> რომლის მიხედვითაც მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით.<sup>366</sup> აღნიშნული ცვლილების მიზანი იყო, სამოქალაქო სამართალწარმოებისას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას Irreparable harm-ის (გამოუსწორებელი ზიანის) წინაპირობის შემოღება.<sup>367</sup>

საერთაშორისო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მხარემ, რომელიც ითხოვს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას უნდა დაასაბუთოს, რომ მას მიაღებია “Irreparable” (გამოუსწორებელი) „Serious” (სერიოზული) ან “Substantial” (არსებითი) ზიანი, თუ არ იქნება გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება.<sup>368</sup> ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ციტირებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიხედვით, საარბიტრაჟო ტრიბუნალი მხოლოდ მაშინ იღებს გადაწყვეტილებას უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ, თუ მხარე დაასაბუთებს ზიანის არსებობას, რომელიც არ ანაზღაურდება მარტივად.<sup>369</sup>

ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საქმეზე *Tokios Tokeles v. Ukraine* დაადგინა, რომ „საერთაშორისო სამართალი უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებით ადგენს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება აუცილებელია, როდესაც მხარის მოქმედებებს შეუძლია გამოიწვიოს აუნაზღაურებელი ზიანი”.<sup>370</sup> საქმეზე *City Orinet Limited v. Republic of Ecuador* საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განმარტა, რომ „პოტენციური ზიანის გაზრდა, ზოგადად არ ქმნის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველს”.<sup>371</sup> ამის მსგავსად, *Occidental Petroleum Corp. v. Republic of Ecuador* საქმეზე ტრიბუნალმა განმარტა,

<sup>365</sup> საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, დოკუმენტის ნომერი 5594-II, თარიღი: 24/06/2016.

<sup>366</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი.

<sup>367</sup> იხ. განმარტებითი ბარათი, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/12129>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>368</sup> Born G., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2469.

<sup>369</sup> ICC Case #8786 Interim Award, ციტირებულია: Born G., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2445.

<sup>370</sup> *Tokios Tokeles v. Ukraine*, ICSID Case #ARB/02/18, Procedural Order #3, 2005, para. 8.

<sup>371</sup> *City Orinet Limited v. Republic of Ecuador*, Decision on Provisional Measures, ICSID Case No. ARB/06/21 2007, para. 63.



რომ „უზრუნველყოფის ღონისძიებები არ არის შემუშავებული იმისთვის, რომ უბრალოდ შეამციროს საბოლოო ზიანის ოდენობა. თუ მათ ეს დანიშნულება ექნებოდათ, მაშინ მოსარჩელეს თითქმის ყველა შემთხვევაში ექნებოდა უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა“.<sup>372</sup> ასეთი მაღალი სტანდარტის დანესება, ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ გამომდინარეობს თავად საინვესტიციო დავების სპეციფიკის გათვალისწინებით და იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხეს წარმოადგენს სახელმწიფო, ნაკლებია იმის ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დარჩება აღუსრულებელი ან/და სახელმწიფო ვერ გადაიხდის დაკისრებულ თანხას იმ საფუძვლით, რომ მის საკუთრებაში აღარ იქნება საკმარისი ქონება.

ამის საწინააღმდეგოდ, ხშირ შემთხვევაში კომერციული დავების განმხილველი საარბიტრაჟო ტრიბუნალები უფრო დაბალი სტანდარტითაც ხელმძღვანელობენ და უზრუნველყოფის ღონისძიებას იყენებენ, როდესაც შესაძლებელია მხარეს მიადგეს სერიოზული („Serious”) ან არსებითი („Substantial”) ზიანი.<sup>373</sup> საარბიტრაჟო ტრიბუნალმა, რომელიც საქმეს განიხილავდა UNCITRAL-ის 1976 წლის საარბიტრაჟო წესების მიხედვით, საქმეზე *Sergei Paushok, CJCS Golden East Compnay, CJSC Vostokneftegaz Company v. The Government of Mongolia* განმარტა, რომ მიუხედავად ICSID-ის პრაქტიკაში დადგენილი სტანდარტისა, როდესაც ზიანი, რომლის ანაზღაურება შესაძლებელია ფულადი კომპენსაციით, არ ქმნის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველს, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა სახეზეა, როდესაც სერიოზული ზიანის მიყენება გარდაუვალია.<sup>374</sup> ასევე, საინტერესოა ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალების ბოლოდროინდელი მიდგომები, როდესაც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობებად 2017 წლის საქმეზე *Eskosol S.P.A in Liquidazione v. Italy*, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა შეათვასა მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობა და პროპორციულობა.<sup>375</sup>

საერთაშორისო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ არ უნდა იქნეს გამოყენებული „Irreparable harm“-ის სტანდარტი, ვინაიდან აღნიშნული ადგენს ძალიან მაღალ სტანდარტს და მნიშვნელოვნად ზღუდავს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას. აღნიშნულს ადასტურებს ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საქმეზე *Occidental Petroleum Corp. v. Republic of Ecuador*,

<sup>372</sup> *Occidental Petroleum Corp. v. Republic of Ecuador*, Decision on Provisional Measures in ICSID Case # ARB/06/11, 2007, Para. 99.

<sup>373</sup> Born G., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2469.

<sup>374</sup> *Sergei Paushok, CJCS Golden East Company, CJSC Vostokneftegaz Company v. The Government of Mongolia*, Order on Interim Measures, 2008, para. 62.

<sup>375</sup> *Eskosol S.P.A in Liquidazione v. Italy*, ICSID Case No. ARB/15/50, Procedural Order #3, 2017, para. 36.

რომლითაც განიმარტა, რომ „იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ისეთი ზიანი, რომლის ანაზღაურებაც შესაძლებელია ფულადი კომპენსაციით, იქ არ არსებობს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების არც აუცილებლობა და არც სასწრაფოა მისი გამოყენება“<sup>376</sup> რითაც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ძალიან მაღალი სტანდარტი დაადგინა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა.

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, „თუ აღნიშნული სტანდარტი (იგულისხმება Irreparable harm) მკაცრად იქნება დაცული, იმ კომერციული დავების უმეტესობასთან მიმართებით, რომელიც მიმდინარეობს UNCITRAL საარბიტრაჟო წესების მიხედვით, უზრუნველყოფის ღონისძიება ვერ იქნება გამოყენებული წესების 26-ე მუხლის შესაბამისად, ვინაიდან ზიანის ანაზღაურების შესახებ გადანყვეტილებით შესაძლებელია, თეორიულად მაინც, ნებისმიერი კომერციული დანაკარგის ანაზღაურება“<sup>377</sup> აღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით, საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ, იმ საფუძვლითაც კი მომხდარა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, რომ შემცირებულიყო<sup>378</sup> ან არ გაზრდილიყო ზიანის ოდენობა.<sup>379</sup> შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ ყოველთვის არ გამოიყენება განსაკუთრებულად მაღალი სტანდარტი და სტანდარტის განსაზღვრა ხდება ყოველი კონკრეტული დავის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით.

შედარებით დაბალი სტანდარტის დაწესება შესაბამისობაშია UNCITRAL-ის მოდელური კანონის მიზნებთან. მოდელური კანონის პირველადი ვერსია იყენებდა ტერმინს „Irreparable harm“<sup>380</sup> შესაბამისად, უზრუნველყოფის ღონისძიებას უნდა გამოეწვია ისეთი ზიანი, რომლის ანაზღაურებაც საბოლოო გადანყვეტილებით შეუძლებელი იქნებოდა. სამუშაო ჯგუფმა მიიჩნია, რომ „Irreparable harm“ ძალიან მაღალ სტანდარტს აწესებდა და მიზანშეწონილი იყო უფრო დაბალი სტანდარტის შემოღება.<sup>381</sup> გაზიარებულ იქნა იმ ავტორთა მოსაზრება, რომ დღეის მდგომარეობით რთული წარმოსადგენია კომერციულ დავებში თუ როგორ ვერ

<sup>376</sup> *Occidental Petroleum Corp. v. Republic of Ecuador*, Decision on Provisional Measures in ICSID Case # ARB/06/11, 2007, Para. 99.

<sup>377</sup> Baker S., Davis M., *The UNCITRAL Arbitration Rules in Practice*, Kluwer Law and Taxation Publishing, 1991, p. 139-140.

<sup>378</sup> Born G., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2472.

<sup>379</sup> *Sergei Paushok, CJCS Golden East Company, CJSC Vostokneftegaz Company v. The Government of Mongolia*, Order on Interim Measures, 2008, para. 62.

<sup>380</sup> იქვე.

<sup>381</sup> Roth M., “Commentary on the UNCITRAL Modal Law”, “Practitioner’s Handbook on International Commercial Arbitration” Edited by Frank-Bernd Weigand, Second edition, Oxford University Press, 2009, p. 1033

უნდა მოხდეს ზიანს კომპენსაცია ფულადი ანაზღაურებით.<sup>382</sup> სამუშაო ჯგუფის მიერ განსახილველ ტერმინებს წარმოადგენდა: „Damage that is difficult to repair”, „Inevitable harm”, „Unavoidable harm”, „Serious harm”.<sup>383</sup> სამუშაო ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა ისეთი სტანდარტის დანერგვა, რომელიც აღემატება ადგილობრივი სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტს და შესაბამისად, მხარისათვის არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უფრო რთულად მისაღები უნდა ყოფილიყო.<sup>384</sup> საბოლოოდ, სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა რეგულაცია, რომლის თანახმადაც უზრუნველყოფის გამოყენებლობა უნდა ინვევდეს ისეთ ზიანს, რომელიც საბოლოო გადანაცვებით ადეკვატურად/სათანადოდ ვერ ანაზღაურდება (Harm not adequately reparable by an award of damages). სამუშაო ჯგუფის განმარტებით, ტერმინის „Adequately“-ის გამოყენება იყო აუცილებელი, რაც იძლევა „მოხერხებულად“ განმარტების და მხარეთა ინტერესების დაბალანსების შესაძლებლობას.<sup>385</sup>

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მხარეს არ უნდა დაველოდოთ იმის მტკიცების ტვირთს, რომ ზიანი მიაღდა ან აუცილებლად მიაღგება.<sup>386</sup> უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისთვის საკმარისია იმის დამტკიცება, რომ არსებობს რისკი ან საშიშროება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობის შემთხვევაში მხარეს მიაღგება ზიანი.<sup>387</sup> ამგვარი მტკიცების სტანდარტი გამოიყენება ასევე, საინვესტიციო დავებში, ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საქმეზე *Occidental Petroleum Corp. v. Republic of Ecuador* განმარტა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენება მაშინ, როდესაც „სავარაუდოა რომ საბოლოო გადანაცვებით გამოტანამდე განხორციელდება ქმედება, რომელიც ზიანის მიაყენებს მხარეთა უფლებებს“.<sup>388</sup>

მნიშვნელოვანია, რომ ქართულ საარბიტრაჟო პრაქტიკაშიც გათვალისწინებულ იქნეს ზემოაღნიშნული მიდგომები, რათა ქართული საარბიტრაჟო პრაქტიკა განვითარდეს და შესაბამისობაში იყოს საერთაშორისო ტენდენციებთან.

---

<sup>382</sup> Born G., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2469.

<sup>383</sup> Webster Th., *Handbook of UNCITRAL Arbitration*, Thomson Reuters, Second Edition, 2015, p. 414.

<sup>384</sup> Binder P., „International Commercial Arbitration and Conciliation in UNCITRAL Modal Law Jurisdiction”, Third edition, 2009, p. 247

<sup>385</sup> A/CN.9/589 - Report of the Working Group on Arbitration and Conciliation on the work of its forty-third session, 3-7 October 2005, Para. 37.

<sup>386</sup> Paulson J., Petrochilos G., *UNCITRAL Arbitration*, Kluwer law International, 2018, p. 220.

<sup>387</sup> Born G., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2469.

<sup>388</sup> *Occidental Petroleum Corp. v. Republic of Ecuador*, Decision on Provisional Measures in ICSID Case # ARB/06/11, 2007, Para. 59.

### 3. შესაძლო ზიანის ბალანსი (პროპორციულობა)

უზრუნველყოფის ღონისძიება ემსახურება განმცხადებლის ინტერესების და უფლებების დაცვას, თუმცა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება არ უნდა ინვესტის მფლობელის ინტერესების არათანაზომიერ შემლუღვას და მხარეთა შორის დაცული უნდა იქნეს ინტერესთა ბალანსი. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 18.1(ბ) მუხლის თანახმად, განმცხადებელს ეკისრება ვალდებულება დაასაბუთოს, რომ „საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებლობით გამოწვეული ზიანი მნიშვნელოვნად აღემატება იმ ზიანს, რომელიც შესაძლოა მიადგეს იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, ამ ღონისძიებების გამოყენების შემთხვევაში.“ აღნიშნული სტანდარტის დანერგვა გამომდინარეობს UNCITRAL-ის მოდელური კანონის რეგულირებიდან, რომელიც იდენტურად აწესრიგებს აღნიშნულ საკითხს.<sup>389</sup> UNCITRAL-ის მოდელური კანონის სამუშაო ჯგუფის მიერ განმარტებულ იქნა, რომ აღნიშნული დებულება უნდა დაეფუძნოს „balance of convenience“ (კომფორტის ბალანსს), რომლის მიხედვითაც, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობის შემთხვევაში მხარისთვის მიყენებული ზიანის შეფასება უნდა დაბალანსდეს იმ ზიანის შეფასებით, რომელიც მიადგება მოწინააღმდეგე მხარეს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით.<sup>390</sup> ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დავის განმხილველი არბიტრაჟის მიერ უნდა შეფასდეს, ხომ არ შეიძლება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებამ გამოიწვიოს არათანაზომიერი ზიანის მიყენება.<sup>391</sup>

ამასთან, ხაზგასასმელია, რომ არბიტრაჟის შესახებ კანონი მიუთითებს, რომ განმცხადებლის ზიანი მნიშვნელოვნად უნდა აღემატებოდეს იმ ზიანს, რომელიც შესაძლოა მიადგეს იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები. UNCITRAL-ის მოდელური კანონის მიხედვით, ზიანი არსებითად („Substantially“) უნდა აღემატებოდეს იმ ზიანს, რაც შეიძლება მიადგეს მოპასუხეს. აღნიშნული საკითხი მსჯელობის საგანი გახდა მოდელური კანონის შემუშავებისას. მოსაზრება იყო გამოთქმული, რომ ტერმინი „Substantially“ (არსებითად) ამოღებულიყო მუხლის ტექსტიდან, ვინაიდან აწესებდა არასაჭირო და გაუგებარ წინაპირობას, რაც გაართულებდა არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას.<sup>392</sup> ამის საპასუხოდ აღინიშნა, რომ მსგავსი სტანდარტი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან

<sup>389</sup> UNCITRAL-ის მოდელური კანონი, მუხლი 17.1(ა).

<sup>390</sup> A/CN.9/508 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its thirty-sixth session, 4-8 March 2002, para. 56.

<sup>391</sup> Roth M., “Commentary on the UNCITRAL Modal Law”, “Practitioner’s Handbook on International Commercial Arbitration” Edited by Frank-Bernd Weigand, Second edition, University Press, 2009, p. 1034.

<sup>392</sup> A/61/17 - Report of United Nations Commission on international Trade Law on the work of its thirty-ninth session, 2006, para. 98.

მიმართებით არსებობს მრავალ სამართლებრივი სისტემაში.<sup>393</sup> აქედან გამომდინარე, კომისიის მიერ გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ ტერმინი „Substantially“ ასახულიყო მუხლის ტექსტში.<sup>394</sup> შესაბამისად, არბიტრაჟმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეაფასოს მნიშვნელოვნად აღემატება თუ არა განმცხადებლის ზიანი იმ ზიანს, რომელიც შეიძლება მიადგეს მოპასუხე მხარეს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით.

უოზე მარია აბასკალის მიერ, რომელიც იყო UNCITRAL-ის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას მხარისათვის არსებითად მეტი ზიანის მტკიცების საფუძველი არ არსებობს და ეს განმცხადებლისთვის მძიმე ტვირთია.<sup>395</sup> მისი მოსაზრებით, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისთვის საკმარისია, თუ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობით განმცხადებლისთვის მიყენებული ზიანი აღემატება იმ ზიანს, რომელიც შეიძლება მიადგეს მეორე მხარეს.<sup>396</sup>

ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საქმეზე *City Orinet Limited v. Republic of Ecuador* განმარტა, რომ „უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა მოხდეს მხარეთა ინტერესების ფრთხილად განხილვის შემდგომ, შეფასებულ უნდა იქნეს ის ზიანი, რომლისგანაც დაცულია განმცხადებელი და ზიანი, რომელიც მიადგება მეორე მხარეს. არსებითი არ არის, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებამ დაიცვას განმცხადებელი აუნაზღაურებელი ზიანისგან, მაგრამ ზიანი, რომლისგანაც დაცულია განმცხადებელი, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, უნდა იყოს მნიშვნელოვანი და დიდად (greatly) უნდა აღემატებოდეს იმ ზიანს, რომელიც მიადგება მეორე მხარეს“.<sup>397</sup> აღიშნული მსჯელობა ასევე, გაზიარებულ იქნა ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ საქმეზე *Burlington Resources Inc. and others v. Republic of Ecuador*.<sup>398</sup>

კიდევ ერთ საქმეზე *Occidental Petroleum Corp. v. Republic of Ecuador*, ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განმარტა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება არ უნდა იქნეს გამოყენებული ერთი მხარის ინტერესების დაცვისთვის მაშინ, როცა უზრუნველყოფის ღონისძიებამ შეიძლება გამოიწვიოს აუნაზღაურებელი ზიანი

---

<sup>393</sup> იქვე, para 99.

<sup>394</sup> იქვე.

<sup>395</sup> Abascal J.M., *The Art of Interim Measures*, ICCA Congress Series N 13, General editor Albert Jan van den Berg, 2006, p. 765.

<sup>396</sup> Abascal J.M., *The Art of Interim Measures*, ICCA Congress Series N 13, General editor Albert Jan van den Berg, 2006, p. 765.

<sup>397</sup> *City Orinet Limited v. Republic of Ecuador*, Decision on Revocation of Provisional Measures, ICSID Case No. ARB/06/21 2008, para 72.

<sup>398</sup> *Burlington Resources Inc. and others v. Republic of Ecuador*, Procedural order #1, ICSID Case No. ARB/08/5, 2009, para 82.

მეორე მხარისთვის“.<sup>399</sup> საქმეზე *Sergei Paushok, CJCS Golden East Company, CJSC Vostokneftegaz Company v. The Government of Mongolia* საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მიუთითა, რომ „პროპორციულობის ქვეშ ტრიბუნალი მოიპოვებს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას მხარეთა დისკომფორტის ბალანსის შეფასებას.<sup>400</sup>

ქართული სამართლებრივი სივრცისთვის უცხო არ არის მხარეთა ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა იწვევდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად.<sup>401</sup>

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „სარჩელის უზრუნველყოფის ზოგიერთი ღონისძიების გამოყენება უშუალოდ უკავშირდება მოპასუხის მნიშვნელოვანი კონსტიტუციური უფლების, კერძოდ – საკუთრების უფლების შეზღუდვას. ყადაღისა და მსგავსი ღონისძიებების დანესება წარმოადგენს კანონმდებლის ჩარევას ადამიანის ძირითადი უფლების კონსტიტუციით დაცულ სფეროში, ხოლო აღნიშნული ჩარევა (შეზღუდვა) გამართლებულ იქნება თანაბომიერების პრინციპის გამოყენებით სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის საჯარო მიზნისა და საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული კერძო ინტერესის ურთიერთშეჯერების საფუძველზე, მათ შორის აუცილებელი ბალანსის დადგენის მიზნით“.<sup>402</sup>

მიუხედავად ქართული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისა მხარეთა შორის ინტერესთა ბალანსის დადგენის აუცილებლობის შესახებ, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო არ ხელმძღვანელობს იმ სტანდარტით, რაც დადგენილია არბიტრაჟის შესახებ კანონით (და UNCITRAL-ის მოდელური კანონით) და მხარეს არ მოეთხოვება იმის დადასტურება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებლობით გამოწვეული ზიანი მნიშვნელოვნად აღემატება იმ ზიანს, რომელიც შესაძლოა მიაღწეს მოპასუხე მხარეს. შესაბამისად, არბიტრაჟის შესახებ

<sup>399</sup> *Occidental Petroleum Corp. v. Republic of Ecuador*, Decision on Provisional Measures in ICSID Case # ARB/06/11, 2007, Para. 93.

<sup>400</sup> *Sergei Paushok, CJCS Golden East Company, CJSC Vostokneftegaz Company v. The Government of Mongolia*, Order on Interim Measures, 2008, para. 62.

<sup>401</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 ოქტომბრის განჩინება, საქმეზე №ას-1586-2018.

<sup>402</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 20 მაისის განჩინება, საქმეზე #2/6649-13.

კანონით განმცხადებლისთვის დადგენილია უფრო მაღალი სტანდარტი, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს საარბიტრაჟო წარმოებისას.

#### 4. სარჩელის დაკმაყოფილების ვარაუდი

მესამე წინაპირობის თანახმად, რომელსაც ადგენს არბიტრაჟის შესახებ კანონი, განმცხადებელმა უნდა დაასაბუთოს, რომ „არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმის შესახებ, რომ მისი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდება.“<sup>403</sup>

UNCITRAL-ის მოდელური კანონის თანახმად, მხარემ უნდა დაასაბუთოს, რომ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების გონივრული შესაძლებლობა (“Reasonable possibility”), რომ მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნა დაკმაყოფილდება. აღნიშნული ტერმინის შემუშავება ფართო დისკუსიის საგანი გახდა მოდელური კანონის სამუშაო ჯგუფში.<sup>404</sup> აღნიშნული სტანდარტის დანესების მიზანია, არბიტრაჟმა განსაზღვროს საქმის სერიოზულობა.<sup>405</sup> სამუშაო ჯგუფის მუშაობისას მოთხოვნილ იქნა, რომ ტერმინი „დაკმაყოფილდება“ (will succeed) შეცვლილიყო „შესაძლებელია დაკმაყოფილდეს“ (is likely to succeed).<sup>406</sup> თუმცა, მსჯელობის შედეგად სამუშაო ჯგუფში შეჯერდა, რომ მსგავსი ცვლილების საჭიროება არ არსებობდა, ვინაიდან, შესავალი სიტყვები სარჩელის დაკმაყოფილების „გონივრული შესაძლებლობა“ საკმარის მოქნილობას ანიჭებს არბიტრაჟს.<sup>407</sup>

საერთაშორისო ლიტერატურაში დამკვიდრებულია შეხედულება, რომ არბიტრაჟმა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ეტაპზე სარჩელის დაკმაყოფილების ვარაუდი უნდა შეათვასოს *prima facie* სტანდარტით და არბიტრაჟი არ უნდა შევიდეს საქმის არსებით განხილვაში.<sup>408</sup> საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკაში, არბიტრების უმრავლესობისათვის სარჩელის დაკმაყოფილების ვარაუდი, აღიარებულია ფუნდამენტურ წინაპირობად, რომელიც უნდა არსებობდეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას.<sup>409</sup> ერთ-ერთი ავტორის მოსაზრებით, იმ შემთხვევაში, თუ მხარეს აქვს „გამოგონილი“ ან „თეორიული“

<sup>403</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 18.1(გ).

<sup>404</sup> Wong J., The Issuance of Interim Measures in International Disputes: A Proposal Requiring a Reasonable Possibility of Success on the Underlying Merits, Georgia Journal of International and Comparative Law, 2004, p. 33.

<sup>405</sup> A/CN.9/523 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its thirty-seventh session, 7-11 October 2002, Para. 43.

<sup>406</sup> A/CN.9/545 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its thirty-ninth session, 10-14 November 2003, Para. 31.

<sup>407</sup> იქვე.

<sup>408</sup> Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2478. ასევე, Caron D., Caplan L., The UNCITRAL Arbitration Rules, Oxford University Press, 2013, p. 523.

<sup>409</sup> Hober K., Interim measures by Arbitrators, ICCA Congress Series N 13 General editor Albert Jan van den Berg, 2006, p. 764.

სასარჩელო მოთხოვნა, ეს ვერ იქნება საკმარისი საფუძველი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის.<sup>410</sup> არბიტრაჟი უნდა დარწმუნდეს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნა არ წარმოადგენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას განმცხადებლის მხრიდან და მიზნად არ ისახავს საარბიტრაჟო განხილვის გაჭიანურებას ან მეორე მხარისთვის ზიანის მიყენებას.<sup>411</sup>

არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია ყურადღებით შეფასდეს, რამდენად არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების ვარაუდი, რათა გადაწყვეტილება იყოს „Commercially-Sensible”,<sup>412</sup> განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მოთხოვნილია საარბიტრაჟო წარმოების ადრეულ სტადიაზე, როდესაც საქმის განხილველ არბიტრებს აქვთ ნაკლები ინფორმაცია და არ აქვთ შესწავლილი საქმის მასალები სრულად.<sup>413</sup> აღნიშნული წინაპირობის არსებობა ზოგადი სტანდარტის გათვალისწინებით უნდა შემოწმდეს ყოველი კონკრეტული საქმისათვის დამოუკიდებლად.

ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის მსგავსად, საპროცესო კანონმდებლობაც მსგავს წინაპირობას იყენებს უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხზე მსჯელობისას, „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს.”<sup>414</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციის თანახმად, „ყველა საქმეზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას სასამართლომ პირველ რიგში ყურადღება უნდა გაამახვილოს სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის შესაძლებლობის საშიშროებაზე, და ასევე იმაზეც, თუ იურიდიულად რამდენად გამართლებულია სასარჩელო მოთხოვნა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოკვეთილი უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული დასაბუთება. სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული მართებულობა არის სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთი აუცილებელი საფუძველი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს უზრუნველყოფის ღონისძიების მისაღებად. არ არის გამართლებული იმ უფლების უზრუნველყოფა რომელიც არ არსებობს და ეს იმთავითვე ნათელია სასამართლოსთვის. თუ არ არსებობს უფლება, არც იმის

<sup>410</sup> Webster Th., Handbook of UNCITRAL Arbitration, Thomson Reuters, Second Edition, 2015, p. 415.

<sup>411</sup> Caron D., Caplan L., The UNCITRAL Arbitration Rules, Oxford University Press, 2013, p. 523.

<sup>412</sup> Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2479.

<sup>413</sup> Abascal J.M., The Art of Interim Measures, ICCA Congress Series N 13, General editor Albert Jan van den Berg, 2006, p. 764.

<sup>414</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 191.1.



საშიშროებაა, რომ იგი დაირღვევა სარჩელის უზრუნველყოფის მიუღებლობით, ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისადმი, როგორც საპროცესო-სამართლებრივი ინსტიტუტისადმი, ფორმალური მიდგომა დაუშვებელია და იგი უმეტესწილად სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზანშეწონილობაზეა დამოკიდებული.<sup>415</sup> მართალია, აღნიშნული რეკომენდაცია გამიზნულია სასამართლოსთვის, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საარბიტრაჟო და საპროცესო კანონმდებლობა ამ საკითხში თითქმის იდენტურია, შესაძლებელია არბიტრაჟმაც გაითვალისწინოს ეს სტანდარტი. არბიტრაჟის გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ უნდა დაეყრდნოს გონივრულ შესაძლებლობას, რომ სარჩელი დაკმაყოფილდება.<sup>416</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო ასევე განმარტავს, რომ „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი ასევე უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტიულობას და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარჩელის დაკმაყოფილება“.<sup>417</sup>

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის (გ) ქვეპუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ დავის განმხილველ არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაუჩნდება ვარაუდი, რომ სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანია და შესაძლებელია დაკმაყოფილდეს, აღნიშნულმა ვარაუდმა გავლენა არ უნდა მოახდინოს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანაზე. მსგავსად ანესრიგებს აღნიშნულ საკითხს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც.<sup>418</sup>

აღნიშნული დანაწესის თანახმად, თუ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ იქნება გადაწყვეტილება მიღებული, დავის განმხილველი არბიტრაჟი არ იზღუდება სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისას და არ დააკმაყოფილოს სარჩელი, ხოლო განმცხადებელს არ უნდა ჰქონდეს იმის მოლოდინი, რომ მისი სასარჩელო მოთხოვნა აუცილებლად დაკმაყოფილდება. დავის განმხილველმა არბიტრაჟმა, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას, თავი უნდა შეიკავოს მიმდინარე დავის სიღრმისეული და შინაარსობრივი შეფასებისგან.<sup>419</sup> ერთ-ერთი ავტორის მოსაზრებით, აღნიშნული პრინციპის დაცვა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დავის განმხილველმა

<sup>415</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოს მოსამართლეთათვის, 2010 წ., გვ. 157.

<sup>416</sup> Roth M., “Commentary on the UNCITRAL Modal Law”, “Practitioner’s Handbook on International Commercial Arbitration” Edited by Frank-Bernd Weigand, Second edition, University Press, 2009, p. 1034.

<sup>417</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-1041-2018.

<sup>418</sup> იხ.: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 191.1.

<sup>419</sup> Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, pp. 2479-2480.

არბიტრებმა განსაკუთრებულად უნდა იზრუნონ იმის წარმოსაჩენად, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას არ მომხდარა დავის არსებითი განხილვა.<sup>420</sup> შესაბამისად, დავის განხილველი არბიტრაჟი გარკვეული დილემის წინ დგას, მისი მხრიდან უნდა შეათვალდეს მოთხოვნის საფუძვლიანობა და სამართლებრივი დასაბუთება, ისე რომ არ მოხდეს დავის არსებითი განხილვა და შინაარსობრივი შეფასება.

საქმეზე *Sergei Paushok, CJCS Golden East Company, CJSC Vostokneftegaz Company v. The Government of Mongolia*, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განმარტა, რომ „არსებულ სიტუაციაში ტრიბუნალი მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ *prima facie* წარმატებით დაადასტურა მისი მოთხოვნის არსებობა. ამ პირობებში, ტრიბუნალს სურს ხაზი გაუსვას, რომ ასეთი გადაწყვეტილება არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ ტრიბუნალი მსგავს გადაწყვეტილებას მიიღებს საქმის არსებითად გადაწყვეტისას, როცა განიხილავს მხარეთა პოზიციებს და მოუსმენს თითოეული მხარის მოწმეებს და ექსპერტებს.<sup>421</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თუ არბიტრაჟს არ შეუძლია გადაწყვიტოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი არსებითი დავის შეფასების გარეშე, თავი უნდა შეიკავოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისგან იმისათვის, რომ წინასწარ არ გადაწყვიტოს დავა შინაარსობრივად.<sup>422</sup>

## 5. გადაუდებელი აუცილებლობა (Urgency and Necessity)

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისთვის დადგენილი წინაპირობების გარდა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოებაში დადგენილია კიდევ ერთი წინაპირობა გადაუდებელი აუცილებლობა (Urgency and Necessity).<sup>423</sup> საარბიტრაჟო ტრიბუნალი უნდა დარწმუნდეს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების დაუყოვნებლივი გამოყენება აუცილებელია მოსარჩელისათვის ზიანის არიდების მიზნით.<sup>424</sup>

---

<sup>420</sup> Abascal J.M., *The Art of Interim Measures*, ICCA Congress Series N 13, General editor Albert Jan van den Berg, 2006, p. 764.

<sup>421</sup> *Sergei Paushok, CJCS Golden East Company, CJSC Vostokneftegaz Company v. The Government of Mongolia*, Order on Interim Measures, 2008, para. 56.

<sup>422</sup> Born G., *International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II*, Kluwer Law International, 2014, p. 2469.

<sup>423</sup> Paulson J., Petrochilos G., *UNCITRAL Arbitration*, Kluwer law International, 2018, p. 219.

<sup>424</sup> Born G., *International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II*, Kluwer Law International, 2014, p. 2475.

„აუცილებლობის“ კრიტერიუმს ადგენს გერმანული საარბიტრაჟო სამართალი. საარბიტრაჟო პრაქტიკაში მიიჩნევა, რომ „აუცილებლობა“ სახეზეა, როდესაც არსებობს საფრთხე, რომ განმცხადებლის უფლება შესაძლებელია დაირღვეს.<sup>425</sup>

ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საქმეზე *Biwater Gauffi (Tanzania) LTD V. United Republic of Tanzania* განმარტა, რომ „ტრიბუნალის შეხედულებით გადაუდებელი აუცილებლობის ხარისხი დამოკიდებულია ფაქტობრივ გარემოებებზე და მოთხოვნილ უზრუნველყოფის ღონისძიებაზე და შეიძლება მაშინ ჩაითვალოს დაკმაყოფილებულად, როდესაც მხარეს შეუძლია დაამტკიცოს, რომ არსებობს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.“<sup>426</sup> ამასთან, არბიტრაჟმა მიუთითა, რომ გადაუდებელი აუცილებლობის ხარისხი დამოკიდებულია მოთხოვნილ უზრუნველყოფის ღონისძიებაზე.<sup>427</sup>

*Burlington Resources Inc. and others v. Republic of Ecuador* საქმეზე კი ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მიუთითა, რომ „გადაუდებელი აუცილებლობა არსებობს, როდესაც შეუძლებელია საბოლოო გადაწყვეტილების დალოდება, ვინაიდან მოქმედებები, რომლებიც ზიანს მიაყენებს განმცხადებელს, სავარაუდოდ განხორციელდება საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დავის არსებითად გადაწყვეტამდე.“<sup>428</sup>

გადაუდებელი აუცილებლობის შეფასებისას ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალები ხელმძღვანელობენ პროფესორ ქრისტოფ შრეუერის მიერ გამოთქმული მოსაზრებით, რომლის თანახმადაც გადაუდებელი აუცილებლობა სახეზეა, როდესაც „საკითხი ვერ დაელოდება დავის არსებითად გადაწყვეტის შედეგს“.<sup>429</sup>

UNCITRAL-ის მოდელური კანონი არ იცნობს მსგავსი წინაპირობის არსებობას. მეტიც, მოდელური კანონის სამუშაო ჯგუფის მიერ „გადაუდებელი აუცილებლობა“, როგორც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობა განზრახ იქნა

---

<sup>425</sup> Kreindler R., Schafer J., *Interim Measures of Protection, Arbitration in Germany, The Model Law in Practice*, 2007, p. 262.

<sup>426</sup> *Biwater Gauffi (Tanzania) LTD V. United Republic of Tanzania*, Procedural Order #1, ICSID Case No. ARB/05/22, 2006, para. 76.

<sup>427</sup> იქვე.

<sup>428</sup> *Burlington Resources Inc. and others v. Republic of Ecuador*, Procedural order #1, ICSID Case No. ARB/08/5, 2009, para 72.

<sup>429</sup> Schreuer Ch., *The ICSID Convention: A Commentary*, Cambridge University Press, 2001, p. 751 (para.17). ციტირებულია: *Burlington Resources Inc. and others v. Republic of Ecuador*, Procedural order #1, ICSID Case No. ARB/08/5, 2009, para 72. *Railroad Development Corp. v. Republic of Guatemala*, Decision on provisional measures, ICSID Case No. ARB/07/23, 2008, para 34.

გამორიცხული.<sup>430</sup> სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის უოზე მარია აბასკალის მოსაზრებით, „ღიახ, ხშირ შემთხვევაში არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა, თუმცა იმის განსაზღვრა თუ რა არის გადაუდებელი აუცილებლობა რთულია. რაც მხარემ აუცილებლად უნდა წარმოაჩინოს არის ის, რომ არსებობს რეალური რისკი იმისა, რომ მხარემ შესაძლებელია განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც გამოიწვევს მისთვის ზიანის მიყენებას, სანამ შესაბამისი საკითხი საბოლოოდ იქნება გადაწყვეტილი“.<sup>431</sup> მიუხედავად აღნიშნულისა, საარბიტრაჟო პრაქტიკაში აღნიშნული წინაპირობა ხშირად გამოიყენება.<sup>432</sup>

## 6. მხარეთა შეთანხმებით და საარბიტრაჟო წესებით დადგენილი წინაპირობები

საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოებაში აღიარებულია მხარეთა უფლებამოსილება საარბიტრაჟო შეთანხმებით დაადგინონ არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები.<sup>433</sup> საქმეზე *EnCana Corporation v. Republic of Ecuador*, LCIA საარბიტრაჟო ტრიბუნალმა, რომელიც საქმეს განიხილავდა UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესების (1976 წ.)<sup>434</sup> მიხედვით, დაადგინა, რომ ვინაიდან კანადას და ეკვადორს შორის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით (BIT – Bilateral Investment Treaty)<sup>435</sup> გათვალისწინებული იყო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები, არბიტრაჟს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის უნდა შეეთვასებინა, როგორც UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესებით დადგენილი წინაპირობები, ასევე ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინაპირობები.<sup>436</sup>

ამასთან, მართალია, მხარეებმა შესაძლებელია საარბიტრაჟო შეთანხმებით პირდაპირ არ დაადგინონ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები, მაგრამ თუ შეთანხმებიან საარბიტრაჟო ცენტრის წესების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისთვის

<sup>430</sup> A/CN.9/523 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its thirty-seventh session, 7-11 October 2002, para. 37. Holtzmann H.M., Neuhaus J.E., Kristjansdottir E., & Walsh Th.W., A Guide to the 2006 Amendments to the the UNCITRAL Model Law on International Arbitration, Kluwer Law International, 2015, p. 171.

<sup>431</sup> Abascal J.M., The Art of Interim Measures, ICCA Congress Series N 13, General editor Albert Jan van den Berg, 2006, p. 762.

<sup>432</sup> Paulson J., Petrochilos G., UNCITRAL Arbitration, Kluwer law International, 2018, p. 219.

<sup>433</sup> Caron D., Caplan L., The UNCITRAL Arbitration Rules, Oxford University Press, 2013, p. 524.

<sup>434</sup> ხელმისაწვდომია: [www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/arb-rules/arb-rules.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/arb-rules/arb-rules.pdf),

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>435</sup> კანადას და ეკვადორს შორის 1996 წელის 29 აპრილს დადებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება. ხელმისაწვდომია: <http://investmentpolicyhub.unctad.org/Download/TreatyFile/609>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.11.2018.

<sup>436</sup> *EnCana Corporation v. Republic of Ecuador*, Interim Award, LCIA Case No. UN3481, UNCITRAL, 2004, para. 10-13.

განსხვავებულ წინაპირობებს აღგენს, შესაძლებელია ამ ფორმით იქნეს დადგენილი დამატებითი წინაპირობები.<sup>437</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც წესი, წამყვანი საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრები, მათ შორის ICC, LCIA, SCC დამატებით წინაპირობებს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისთვის არ ითვალისწინებენ.

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მხარეთა უფლებამოსილება შეთანხმებით დაადგინონ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებული წინაპირობები, თუმცა საერთაშორისო მიდგომებისა და არბიტრაჟის კონსესუალური ბუნების გათვალისწინებით, ქართულ საარბიტრაჟო პრაქტიკაში ამგვარი მიდგომის დამკვიდრება მიზანშეწონილია. გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი შეთანხმებები წინააღმდეგობაში არ მოვიდეს იმპერატიულ ნორმებთან და საჯარო წესრიგთან.<sup>438</sup>

## 7. მტკიცებულებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული წინაპირობები

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მიმართ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისთვის დადგენილი წინაპირობები გამოიყენება მხოლოდ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც არბიტრაჟი ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს.<sup>439</sup> აღნიშნული დანაწესის გათვალისწინებით, მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წინაპირობების განსაზღვრისას არბიტრაჟი ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს და უფლებამოსილია გამოიყენოს არა ყველა წინაპირობა, არამედ მხოლოდ ის, რასაც თავად მიიჩნევს მიზანშეწონილად. მაგალითისთვის, მტკიცებულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას, მიზანშეწონილია, რომ მხარეს არ დაევალოს იმის მტკიცება, რომ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმის შესახებ, რომ მისი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდება. აღნიშნული წინაპირობის მისადაგება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიებებისადმი გაუმართლებელია, მით უფრო, რომ აღნიშნული მოთხოვნით არბიტრაჟს შესაძლებელია მიმართოს, როგორც მოსარჩელემ, ასევე მოპასუხემ.

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მოწესრიგება, ეფუძნება UNCITRAL-ის მოდელურ კანონს.<sup>440</sup> მოდელური კანონის სამუშაო ჯგუფის მიერ აღნიშნულ იქნა, რომ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შეთხვევაში მხარე არ უნდა იყოს ვალდებული დააკმაყოფილოს ყველა ის წინაპირობა, რაც მოდელური კანონის მიხედვით გათვალისწინებულია უზრუნველყოფის

<sup>437</sup> Born G., *International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II*, Kluwer Law International, 2014, p. 2467.

<sup>438</sup> იქვე.

<sup>439</sup> იხ. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 18.2.

<sup>440</sup> იხ.: UNCITRAL-ის მოდელური კანონი, მუხლი 17A.2.

ლონისძიებების გამოყენებისას.<sup>441</sup> ამავდროულად, სამუშაო ჯგუფმა განმარტა, რომ მტკიცებულებათა უზრუნველყოფას შესაძლებელია ჰქონდეს მეორე მხარეზე ნეგატიური ეფექტი, ამიტომ მასზე უნდა გავრცელდეს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები და განმცხადებელს შესაძლებელია დაევალოს იმის მტკიცება, რომ მას უფრო მეტი ზიანი მიადგება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობის შემთხვევაში.<sup>442</sup> ამის მაგალითად, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს უოზე მარია აბასკალს მოყავს შემთხვევა, როდესაც სამშენებლო სამუშაოების ხელშეკრულების შეწყვეტისას შემსრულებელმა არბიტრაჟისგან მოითხოვა მესაკუთრეს აკრძალვოდა სამუშაოების გაგრძელება მანამ, სანამ ექსპერტების მიერ არ მოხდებოდა შესრულებული სამუშაოების ოდენობის და ხარისხის განსაზღვრა, რაც არბიტრაჟის მიერ არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან ასეთი ხანგრძლივობით სამუშაოების შეჩერება არ იყო გამართლებული და მეორე მხარეს მიაყენებდა ზიანს.<sup>443</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია, მოსაზრება, რომ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას მხარეს არ უნდა დაევალოს სერიოზული ან აუნაზღაურებელი ზიანის მტკიცება.<sup>444</sup> ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალის პრაქტიკაში მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას აფასებენ გადაუდებელი აუცილებლობის (Urgency and Necessity) წინაპირობას. საქმეზე *Bewater Gauffi (Tanzania) LTD V. United Republic of Tanzania* მტკიცებულებათა უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მიუთითა, რომ „საარბიტრაჟო ტრიბუნალი მიიჩნევს, რომ საჭიროებისა (Necessity) და გადაუდებელი აუცილებლობის (Urgency) წინაპირობები დაკმაყოფილებულია, მტკიცებულების პოტენციური საჭიროება არსებობს და ეს მტკიცებულება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სანამ საარბიტრაჟო განხილვა გადავა შემდეგ ეტაპზე“.<sup>445</sup> საჭიროების (Necessity) და გადაუდებელი აუცილებლობის (Urgency) წინაპირობები ასევე შეფასებულ იქნა ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ საქმეზე *Railroad Development Corp. v. Republic of Guatemala*.<sup>446</sup>

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, მტკიცებულებათა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისთვის დადგენილია

<sup>441</sup> A/CN.9/589 – Report of the Working Group on Arbitration and Conciliation on the work of its forty-third session, 3-7 October 2005, para 32.

<sup>442</sup> იქვე.

<sup>443</sup> Abascal J.M., *The Art of Interim Measures*, ICCA Congress Series N 13, General editor Albert Jan van den Berg, 2006, p. 763.

<sup>444</sup> Born G., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2473.

<sup>445</sup> *Bewater Gauffi (Tanzania) LTD V. United Republic of Tanzania*, Procedural Order #1, ICSID Case No. ARB/05/22, 2006, para. 86.

<sup>446</sup> *Railroad Development Corp. v. Republic of Guatemala*, Decision on provisional measures, ICSID Case No. ARB/07/23, 2008, para. 34-36.

განსხვავებული წინაპირობები.<sup>447</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 109-ე მუხლის მიხედვით, იმ პირს, რომელსაც საფუძველი აქვს იფიქროს, რომ მისთვის საჭირო მტკიცებულებათა წარდგენა შემდგომში შეუძლებელი ან ძნელი გახდება, შეუძლია სთხოვოს სასამართლოს ამ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა. ამავე კოდექსის 112-ე მუხლის თანახმად, კი მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით განცხადებულ შუამდგომლობაში უნდა აისახოს: ა) მტკიცებულებანი, რომელთა უზრუნველყოფაც აუცილებელია; ბ) გარემოებანი, რომელთა დასადასტურებლადაც საჭიროა ეს მტკიცებულებანი; გ) მიზეზები, რომლებმაც აიძულა განმცხადებელი მიემართა შუამდგომლობით მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „მტკიცებულებათა უზრუნველყოფის თაობაზე წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ რა მიზნით ესაჭიროება მტკიცებულებათა უზრუნველყოფა მხარეს და რა იძლევა იმგვარი ეჭვის საფუძველს, რომ მტკიცებულების უზრუნველყოფის სახით საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების გარეშე აღნიშნული მტკიცებულების მოპოვება შემდგომში შეუძლებელი გახდება.“<sup>448</sup>

შეიძლება ითქვას, რომ საარბიტრაჟო კანონმდებლობისგან განსხვავებით, საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წინაპირობები უშუალოდ დაკავშირებულია მტკიცებულებებთან და ნათლად ადგენს იმ საკანონმდებლო ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის გამოყენების შეფასება.

<sup>447</sup> იხ.: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 109-ე მუხლი (მტკიცებულებათა უზრუნველყოფა) და 191-ე მუხლი (სარჩელის უზრუნველყოფა).

<sup>448</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 28 ივნისის განჩინება, საქმეზე #28/2490-16.

## VIII. უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მსგავსად მოდელური კანონისა, დავის განმხილველ არბიტრაჟს ანიჭებს უფლებამოსილებას საარბიტრაჟო წარმოებისას მხარის მიმართვის საფუძველზე, წერილობითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით გონივრულ ვადაში დაავალოს მხარეს:

- ა) საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნება ან აღდგენა;
- ბ) ისეთი ზომების მიღება, რომლებიც უკავშირდება მეორე მხარისთვის ან საარბიტრაჟო წარმოებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებას;
- გ) ღონისძიებების განხორციელება იმ აქტივების შესანარჩუნებლად, რომლებითაც აღსრულდება შემდგომი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება;
- დ) იმ მტკიცებულებების შენახვა და შენარჩუნება, რომლებიც შესაძლოა უკავშირდებოდეს საარბიტრაჟო დავას და მის გადაწყვეტას.<sup>449</sup>

საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები განსაზღვრავს მათ ეფექტიანობას საარბიტრაჟო წარმოებისას. საქართველოში მოქმედი საარბიტრაჟო ინსტიტუტების უმრავლესობა ეყრდნობა არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონს და იმავე სახის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას აძლევს მხარეებს,<sup>450</sup> თუმცა არსებობს გამოჩვენებებიც, რომელიც არბიტრაჟს თვითონ უფლებამოსილებას ანიჭებს და შესაძლებლობას აძლევს გამოიყენოს ის საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევს.<sup>451</sup> მსგავსი სახის რეგულაცია, არ არის უცხო საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტების რეგულაციებისთვის. მაგალითად, საერთაშორისო სამრეწველო პალატის (ICC) საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს წესების თანახმად, მხარის მიმართვის საფუძველზე, არბიტრაჟი უფლებამოსილია გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს,<sup>452</sup> მსგავსად აწესრიგებს აღნიშნულ საკითხს სტოკჰოლმის სამრეწველო პალატის საარბიტრაჟო ინსტიტუტისა (SCC)<sup>453</sup> და სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესები (SIAC).<sup>454</sup> შვეიცარიის საარბიტრაჟო სამართალიც არ განსაზღვრავს უზრუნველყოფის ღონისძიების დეტალურ სახეებს

<sup>449</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 17. იხ. ჩომახიძე ნ., საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადი, 2013, გვ. 105.

<sup>450</sup> დავების განმხილველი ცენტრის საარბიტრაჟო წარმოების წესები (DRC-ის) მუხლი 32.2; თბილისის საარბიტრაჟო პალატის დებულება მუხლი 6.4.2; შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატის“ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება მუხლი 12.2.

<sup>451</sup> საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის (GIAC) საარბიტრაჟო წესები, მუხლი 32.1.

<sup>452</sup> ICC-ის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს საარბიტრაჟო წესები (ძალაშია 2017 წლიდან), მუხლი 28.1.

<sup>453</sup> SCC-ის საარბიტრაჟო წესები (ძალაშია 2017 წლიდან), მუხლი 37.1.

<sup>454</sup> SIAC-ის საარბიტრაჟო წესები (ძალაშია 2016 წლიდან), მუხლი 30.1.



და დავის განმხილველი არბიტრაჟის დისკრეციას განეკუთვნება უზრუნველყოფის ღონისძიების სახის შერჩევა.<sup>455</sup>

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკის თანახმად, დავის განმხილველი არბიტრაჟი სარგებლობს ფართო უფლებამოსილებით, გამოიყენოს ნებისმიერი სახის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც ემსახურება მხარეთა უფლებების დაცვას.<sup>456</sup> ასეთი მიდგომა არბიტრაჟს აძლევს შესაძლებლობას გამოიყენოს ისეთი სახის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება არსებულ ვითარებას.

ლიტერატურაში აღიარებულია მხარეთა ნების ავტონომია, თავად განსაზღვრონ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები, არბიტრაჟს კი უფლება აქვს გამოიყენოს ისეთი სახის უზრუნველყოფის ღონისძიებაც კი, რომელსაც არ იცნობს იმ ქვეყნის კანონმდებლობა, სადაც მიმდინარეობს საარბიტრაჟო განხილვა.<sup>457</sup> თუმცა, ამ შემთხვევაში უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების საკითხი დგება ეჭვის ქვეშ და არსებობს დიდი ალბათობა, რომ სასამართლო, რომლისთვისაც უცხოა არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების სახე, უარს იტყვის მის ცნობა-აღსრულებაზე.<sup>458</sup> ეს კი ავტომატურად გულისხმობს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებას არ მიენიჭება იძულებითი აღსრულების ძალა და უზრუნველყოფის ღონისძიების შესრულება მხოლოდ იმ მხარის კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული, ვის წინააღმდეგაც იქნა გამოყენებული აღნიშნული ღონისძიება, რაც საფრთხეს უქმნის უზრუნველყოფის ღონისძიების ეფექტიანობას.

ქართული საარბიტრაჟო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ არის შემთხვევები, როდესაც არბიტრაჟი ცდება არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახეებს და იყენებს ისეთ უზრუნველყოფის ღონისძიებებს, რომელსაც კანონი არ ითვალისწინებს. განსაკუთრებით ხშირად, საარბიტრაჟო წარმოებაში გამოიყენება ყადაღა. სასამართლოს მხრიდან კი მსგავსი სახის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა-აღსრულებას პრობლემა არ ექმნება.<sup>459</sup>

---

<sup>455</sup> Segesser G. and Kurth Ch., Interim measure, “International Arbitration in Switzerland” A Handbook for practitioners, Edited by Gabrielle Kaufmann-Kohler and Blaise Stucki, 2004, p. 71.

<sup>456</sup> Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2483.

<sup>457</sup> Julian D M Lew, Loukas A Mistelis, Stefan M Kroll, Comparative International Commercial Arbitration, Kluwer Law International, 2003, p. 595.

<sup>458</sup> იქვე.

<sup>459</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 მაისის განჩინება, საქმეზე N2ბ/1889-15.

## 1. პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნება ან აღდგენა

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის (ა) ქვეპუნქტის თანახმად, არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარის მიმართვის საფუძველზე, წერილობითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით, გონივრულ ვადაში დაავალოს მხარეს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნება ან აღდგენა. აღნიშნული მუხლი სრულად ეფუძნება და იზიარებს მოდელური კანონის რეგულირებას. მოდელური კანონის სამუშაო ჯგუფის მსჯელობის საგანი გახდა, რამდენად იყო საჭიროება მსგავსი სახის უზრუნველყოფის ღონისძიების არსებობისა დამოუკიდებლად და ხომ არ მოიცავდა უზრუნველყოფის ღონისძიების მეორე სახე (ისეთი ზომების მიღება, რომლებიც უკავშირდება მეორე მხარისთვის ან საარბიტრაჟო წარმოებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებას) პირველს.<sup>460</sup> თუმცა სამუშაო ჯგუფის მიერ აღინიშნა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რომელიც მოიაზრებს მხარეთა შორის „Status quo“-ს აღდგენას/შენარჩუნებას საჭირო იყო დამოუკიდებლად ემოქმედა იმის გათვალისწინებით, რომ ეს სახე კარგად არის დამკვიდრებული სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში და ეფექტიანად გამოიყენება.<sup>461</sup>

### 1.1. პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნების გამოყენება ქართულ საარბიტრაჟო პრაქტიკაში

მიუხედავად სამუშაო ჯგუფის მოსაზრებისა, რომ მსგავსი უზრუნველყოფის ღონისძიების სახე კარგად არის დამკვიდრებული ბევრ სამართლებრივ სისტემაში, ამას ვერ ვიტყვით ქართულ სამართლებრივ სივრცეზე. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული უზრუნველყოფის სახე უცნობია ქართული რეალობისთვის, ვინაიდან არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და არც კერძო არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, არ ითვალისწინებს/და მსგავსი სახის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას და გარკვეულ ბუნდოვანებას აჩენს ქართულ რეალობაში. ამის ნათელი დადასტურებაა ის შემთხვევები, რომელსაც ადგილი აქვს ქართულ რეალობაში. ამას გარკვეულწილად ხელი შეუწყო არბიტრაჟების მხრიდან ამ ღონისძიების არასწორმა გამოყენებამ, ვინაიდან ქართულ საარბიტრაჟო წარმოებაში ამ ღონისძიებამ ყადაღის ან გასხვისების აკრძალვის ფუნქცია შეიძინა და ხშირ შემთხვევაში მიმართულია მოპასუხის ქონების მიმართ, რომლითაც მხარეს ეზღუდება შესაძლებლობა განკარგოს მის საკუთრებაში არსებული უძრავ/მოძრავი ქონება და ევალება შეინარჩუნოს ქონება პირვანდელ მდგომარეობაში.<sup>462</sup> ლიტერატურაში გამოთქულია მოსაზრება, რომ

<sup>460</sup> A/CN.9/545 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its thirty-ninth session, 10-14 November 2003, para. 23.

<sup>461</sup> იქვე.

<sup>462</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 30 მარტის განჩინება, საქმეზე N28/796-11.

პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნება თავისი შედეგით უტოლდება ყადაღას,<sup>463</sup> თუმცა, საერთაშორისო პრაქტიკა ნათლად აჩვენებს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების ეს სახე სხვა დანიშნული გამოიყენება.

ყოფილა შემთხვევები, როდესაც არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც მოპასუხე მხარეს დაეველა მის საკუთრებაში არსებულ ქონების პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნება, ცნობა-აღსრულებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ,<sup>464</sup> აღნიშნული განჩინება სარეგისტრაციოდ წარედგინა მარეგისტრირებელ ორგანოს, რომელმაც უარი განაცხადა რეგისტრაციის განხორციელებაზე იმ დასაბუთებით, რომ „პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნების“ ცნება ბუნდოვანია სარეგისტრაციო მიზნებისთვის.<sup>465</sup> შესაბამისად, არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფა რეალურად ვერ აღსრულდა.

ერთ-ერთ საქმეზე, სადაც არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ იქნა უზრუნველყოფის ღონისძიება და მოპასუხე მხარეს დაეველა უძრავი ქონება შენარჩუნებინა პირვანდელ მდგომარეობაში, თბილისის სააპელაციო სასამართლომ უარი თქვა მის ცნობა-აღსრულებაზე და განმარტა, რომ „განსახილველ შემთხვევაში დადგენილებით, რომლის აღსრულებასაც განმცხადებელი ითხოვს, მოპასუხეს დაეველა საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე არსებული (პირვანდელი) მდგომარეობის შენარჩუნება მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე. აღნიშნული დადგენილებით არ ირკვევა რა მდგომარეობის შენარჩუნება იგულისხმება დადგენილებაში, რა ქმედების აკრძალვა დაეველა მოწინააღმდეგე მხარეს, აქედან გამომდინარე სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დადგენილება არ არის აღსრულებადი, რის გამოც მისი ცნობა და აღსრულება ვერ მოხდება“.<sup>466</sup> არსებული პრაქტიკა მიუთითებს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების ამ ფორმით გამოყენება გარკვეულ ბუნდოვანებას აჩენს და ვერ ქმნის ეფექტიან დაცვის მექანიზმს, რაც პრობლემურია საარბიტრაჟო წარმოებისთვის და გადაჭრას საჭიროებს.

## 1.2. პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნების გამოყენება საერთაშორისო პრაქტიკაში

საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკაში აღნიშნულ უზრუნველყოფის ღონისძიებას მეტწილად სხვაგვარი დატვირთვა აქვს და სხვა ფორმით გამოიყენება,

<sup>463</sup> ცატუროვა ნ., საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, I სპეციალური გამოშვება, 2012, გვ. 33.

<sup>464</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 11 მარტის განჩინება, საქმეზე N2ბ/687-10.

<sup>465</sup> დეტალურად იხ. Tsertsvadze G., Brief Commentary to the Georgian Arbitration Law 2009, Tbilisi, 2011, p. 139.

<sup>466</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 12 ივნისის განჩინება, საქმეზე # 2ბ/3172-17.

რაც უზრუნველყოფს მის ეფექტიანობას. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა/შენარჩუნებაში მოიაზრება თავად მოდავე მხარეებს შორის „Status quo“-ს შენარჩუნება.<sup>467</sup> ამის გათვალისწინებით, შესაძლებელია დავის განმხილველმა არბიტრაჟმა მხარეს დაავალოს შეინარჩუნოს სახელშეკრულებო ურთიერთობა მოსარჩელე მხარესთან და გააგრძელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დავის გადანყვეტამდე,<sup>468</sup> თავი შეიკავოს კომერციული საიდუმლოების გამჟღავნებისგან<sup>469</sup> ან სადავო ინტელექტუალური საკუთრების უფლების გამოყენებისგან,<sup>470</sup> არ გამოიყენოს საბანკო გარანტია ან თავი შეიკავოს დავის გამწვავებისგან.<sup>471</sup> საინტერესოა, რომ საქმეზე *Chevron Corp. & Texaco Petroleum Comp. v. The Republic of Ecuador* საარბიტრაჟო ტრიბუნალმა, რომელიც საქმეს განიხილავდა UNCITRAL-ის (1976 წ.) წესების შესაბამისად, გამოიყენა უზრუნველყოფის ღონისძიება პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნების შესახებ და ორივე მხარეს დაავალა საჯარო განცხადებებისგან თავის შეკავება.<sup>472</sup>

ICSID-ის საარბიტრაჟო პრაქტიკაში „Status quo“-ს შენარჩუნება ხშირ შემთხვევაში გამოიყენება ამ მიზნით, რომ არ მოხდეს დავის კიდევ უფრო გამწვავება.<sup>473</sup> თუმცა, ამ დანიშნულებით გამოყენება, არც UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესებითვის არის უცხო.<sup>474</sup>

ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალმა *Burlington Resources Inc. and others v. Republic of Ecuador* საქმეზე ფართოდ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და განმარტა, რომ „ტრიბუნალის მოსაზრებით, უფლებები, რომელიც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით არ არის შეზღუდული მხოლოდ იმ უფლებით, რაც დაკავშირებულია დავის საგანთან ან არსებით უფლებებთან, არამედ მოიცავს პროცედურულ უფლებებსაც, მათ შორის ზოგად უფლებას „Status quo“-ს შენარჩუნების და დავის არ გამწვავებისა“.<sup>475</sup>

---

<sup>467</sup> Born G., *International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II*, Kluwer Law International, 2014, p. 2485.

<sup>468</sup> იქვე.

<sup>469</sup> Smit R., Robinson T., Whittacker J., *International Commercial Arbitration in New York*, Edited by Carter J., Fellas J., Second Edition, Oxford University Press, 2016, p. 303.

<sup>470</sup> Born G., *International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II*, Kluwer Law International, 2014, p. 2485.

<sup>471</sup> Kaufmann – Kohler G., Rigozzi A., *International Arbitration, Law and Practice in Switzerland*, Oxford University Press, 2015, pp. 344-347.

<sup>472</sup> *Chevron Corporation and Texaco Petroleum Corporation v. The Republic of Ecuador*, UNCITRAL, PCA Case No. 2009-23, Order on Interim Measures, 2010, p. 5.

<sup>473</sup> Webster Th., *Handbook of Investment Arbitration*, Thomson Reuters, 2012, p. 547.

<sup>474</sup> Paulson J., Petrochilos G., *UNCITRAL Arbitration*, Kluwer law International, 2018, p. 232.

<sup>475</sup> *Burlington Resources Inc. and others v. Republic of Ecuador*, Procedural order #1, ICSID Case No. ARB/08/5, 2009, para 62.

საქმეზე *EuroGas Inc. and Belmont Resources Inc. v. Slovak Republic* ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მიუთითა, რომ “უზრუნველყოფის ღონისძიება „Status quo“-ს შენარჩუნების შესახებ გაიცემა, როდესაც მოსარჩელე წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებებს, რომ არსებობს დავის გამწვავების რეალური საფრთხე“. <sup>476</sup>

ზოგადად, საერთაშორისო პრაქტიკაში მსგავსი ღონისძიების გამოყენების პირველი შემთხვევა<sup>477</sup> უკავშირდება საქმეს *Electricity Company of Sofia and Bulgaria (Belgium v. Bulgaria)*, სადაც საერთაშორისო მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ (PCIJ) 1939 წელს მიიღო უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის მიხედვითაც „ბულგარეთის სახელმწიფოს დაევალა თავი შეეკავებინა ნებისმიერ ქმედების განხორციელებისგან, რომელსაც შესაძლოა ზიანი მიყენებინა ბელგიისთვის ან გაემწვავებინა ან გაეფართოვებინა დავა, რომელსაც სასამართლო განიხილავდა“. <sup>478</sup> ICSID-ის საარბიტრაჟო პრაქტიკაში პირველი შემთხვევა უკავშირდება საქმეს *Holiday Inns S.A. and others v. Morocco*, რომელმაც საარბიტრაჟო ტრიბუნალმა 1972 წელს მიიღო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება. <sup>479</sup>

მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც აღნიშნულ უზრუნველყოფის ღონისძიებას უკავშირდება საერთაშორისო წარმოებაში არის იმის განსაზღვრა, თუ რა მდგომარეობის აღდგენას ან/და შენარჩუნებას გულისხმობს „პირვანდელი მდგომარეობა“, რომელიც მხარემ უნდა შეინარჩუნოს ან აღადგინოს ანუ რა იგულისხმება „პირვანდელში“. პირობითად, თუ მხარეს უზრუნველყოფის ღონისძიების შედეგად დაევალა სახელშეკრულებო ურთიერთობის შენარჩუნება, ისმის კითხვა, მხარემ უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რაც არსებობდა ხელშეკრულების დარღვევამდე, ხელშეკრულების შეწყვეტამდე, თუ დავის დაწყებამდე. UNCITRAL-ის მოდელური კანონის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის უოზე მარი აბასკალის მოსაზრებით, ძალიან რთულია იმის განსაზღვრა თუ რა იგულისხმება „Status quo“-ში, ვინაიდან არ არსებობს ამ ტერმინის უნივერსალური სამართლებრივი დეფინიცია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს „Status quo“-ს გაგება. <sup>480</sup>

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ არბიტრაჟმა შეიძლება მხარეს „პირვანდელი მდგომარეობის“ სახით დაავალოს იმ მდგომარეობის აღდგენა ან

<sup>476</sup> *EuroGas Inc. and Belmont Resources Inc. v. Slovak Republic*, Procedural Order #3, ICSID Case No. ARB/14/14, 2015, para 89-90.

<sup>477</sup> *Burlington Resources Inc. and others v. Republic of Ecuador*, Procedural order #1, ICSID Case No. ARB/08/5, 2009, para 62.

<sup>478</sup> *Electricity Company of Sofia and Bulgaria (Belgium v. Bulgaria)*, PCIJ, Judgment of 5 December 1939, para 26.

<sup>479</sup> *Holiday Inns S.A. and others v. Morocco*, ICSID Case No. ARB/72/1, Decision on Provisional Measures, 1972.

<sup>480</sup> Abascal J.M., *The Art of Interim Measures*, ICCA Congress Series N 13, General editor Albert Jan van den Berg, 2006, p. 762.

შენარჩუნება, რომელიც არსებობდა ა) მხარეთა შორის დავის წარმოშობამდე, ბ) საარბიტრაჟო განხილვის დაწყებისას, გ) მხარის მიერ განცხადების წარდგენისას, რომლითაც მოთხოვნილ იქნა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ან დ) არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების და შესაბამისი დადგენილების გამოცემის მომენტისას.<sup>481</sup> აღნიშნული საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს და დამოკიდებულია იმაზე, თუ მხარე რომელი მდგომარეობის აღდგენას მოითხოვს, რაც თავად დავის განმხილველმა არბიტრაჟმა უნდა შეათვასოს და განსაზღვროს, თუ რა მდგომარეობის აღდგენა დაევალება მხარეს „პირვანდელი მდგომარეობის“ სახით.

გარდა ამისა, აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას, აუცილებელია განისაზღვროს, თუ როდემდე ინარჩუნებს უზრუნველყოფის ღონისძიება ძალას და როდემდე ევალება მხარეს პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნება. ქართული კანონის თანახმად, არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარეს დაავალოს პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნება საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, UNCITRAL-ის მოდელური კანონის თანახმად, კი მიმდინარე დავის გადაწყვეტამდე,<sup>482</sup> რაც შინაარსობრივი თვალსაზრისით არ განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა, აუცილებელია განისაზღვროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ უზრუნველყოფის ღონისძიება ავტომატურად კარგავს ძალას, თუ დავის განმხილველი არბიტრაჟის კომპეტენციას განეკუთვნება მისი გაუქმება და აღნიშნულ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, ეს საკითხი დღეის მდგომარეობით კანონით არ არის დარეგულირებული.

მიზანშეწონილია, რომ არბიტრაჟმა აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად, რათა მხარეთათვის ნათელი იყოს უზრუნველყოფის ღონისძიების სამართლებრივი ბედი. ამასთან, გასათვალისწინებელია ის თუ რასთან მიმართებით იქნება აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებული და საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად მისი გაუქმება ხომ არ შეუძლის მიღებული გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას ხელს.

საერთაშორისო გამოცდილების ანალიზის შედეგად, ნათლად გამოჩნდა ის განსხვავება, რაც აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას არსებობს ქართულ და საერთაშორისო პრაქტიკაში. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება არ მოხდეს მოპასუხის ქონებასთან მიმართებით, მით უფრო მაშინ, როცა არბიტრაჟის შესახებ კანონის 17.2(გ) მუხლი ცალკე ითვალისწინებს ასეთ შემთხვევაში უზრუნველყოფის ღონისძიების სახეს და

<sup>481</sup> Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2487.

<sup>482</sup> UNCITRAL-ის მოდელური კანონი, მუხლი 17.2 (ა).

მოპასუხეს შეიძლება დაევალოს აქტივების შენარჩუნება, რომლითაც აღსრულდება საბოლოო გადანაცვები.<sup>483</sup> ამასთან, საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული მიდგომა ნათელს მოჰყვებს იმ ბუნდოვანებას, რაც დამკვიდრებულია ქართულ რეალობაში და ხელს შეუწყობს ამ უზრუნველყოფის ღონისძიების სახის ეფექტიან გამოყენებას. აღიშნულ საკითხზე, ჯერ კიდევ 2015 წელს გამოითქვა მოსაზრება, თუმცა პრაქტიკაში ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა ასახვა.<sup>484</sup>

## 2. მეორე მხარისთვის ან საარბიტრაჟო წარმოებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილება

უზრუნველყოფის ღონისძიების მეორე სახე, რომელსაც არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი განამტკიცებს UNCITRAL-ის მოდელურ კანონზე დაყრდნობით, ითვალისწინებს მხარისთვის ისეთი ზომების მიღების დაგეგმვას, რომლებიც უკავშირდება მეორე მხარისთვის ან საარბიტრაჟო წარმოებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებას.<sup>485</sup> უნდა აღინიშნოს, რომ არც აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების სახე არის ქართული სამართლებრივი სივრცისთვის კარგად ცნობილი. შესაბამისად, უზრუნველყოფის ღონისძიების ეს სახე არცთუ ხშირად გამოიყენება ქართულ საარბიტრაჟო პრაქტიკაში, ვინაიდან მისი შინაარსის განსაზღვრა და დადგენა, თუ რა შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული ქართული რეალობისთვის ბუნდოვანია.

საერთაშორისო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მხარეს შეიძლება დაევალოს საარბიტრაჟო წარმოების მიმდინარეობისას თავი შეიკავოს საჯარო განცხადებებისგან, რომელიც არღვევს კონფიდენციალობის ვალდებულებას, რაც ზიანს აყენებს მეორე მხარის ინტერესს და საარბიტრაჟო წარმოებას.<sup>486</sup>

UNCITRAL-ის სამუშაო ჯგუფის მიერ მსგავსი სახის ღონისძიების შემუშავების მიზანს წარმოადგენდა იმის ნათლად წარმოჩენა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალს აქვს უფლებამოსილება დაიცვას საარბიტრაჟო პროცესი ობსტრუქციისა და განელვისაგან, მათ შორის გამოიყენოს „Anti-Suit Injunctions“.<sup>487</sup> სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის უომბე მარია აბასკალის მოსაზრებით, არბიტრაჟის აღნიშნული უფლებამოსილება იქიდან გამომდინარეობს, რომ არბიტრაჟს აქვს უფლება

<sup>483</sup> დეტალურად იხ.: დისერტაციის თავი VIII, ქვეთავი 3.

<sup>484</sup> მაჩაიძე ო., საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადანაცვება, წელიწდეული, 2015, გვ. 95-97.

<sup>485</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 17.2(ბ).

<sup>486</sup> Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2488.

<sup>487</sup> A/CN.9/589 - Report of the Working Group on Arbitration and Conciliation on the work of its forty-third session, 3-7 October 2005, para 21. ტერმინ „Anti-suit injunction“ განმარტება იხ.: ინჯია ბ., ლაპიაშვილი ნ., არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი, სამეცნიერო რედაქტორი ლადო ჭანტურია, ზვიად კორძაძის გამომცემლობა, 2016, გვ. 16.

დაავალოს მხარეს შეასრულოს საარბიტრაჟო შეთანხმება სასამართლოს ჩარევის გარეშე.<sup>488</sup>

UNCITRAL-ის სამუშაო ჯგუფი აღნიშნული მუხლის შემუშავებისას არ იყო ერთსულოვანი და უზრუნველყოფის ღონისძიების ამ სახეს ჰყავდა მონინაალმდეგეებიც. მონინაალმდეგეები აღნიშნავდნენ, რომ „Anti-Suit Injunctions“-ის მსგავსი ღონისძიებები, ძირითადად საერთო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი<sup>489</sup> და უცხოა ბევრი სამართლებრივი სისტემისთვის. ამ პოზიციის მხარდამჭერები ასევე მიუთითებდნენ, რომ „Anti-Suit Injunctions“-ის მიმართ საერთაშორისო დონეზე არ არის დამკვიდრებული ერთიანი მიდგომა, შესაბამისად ვერ იქნებოდა ცნობა-აღსრულებაუნარიანი იმ ქვეყნებში, რომლებისთვისაც უცნობია მსგავსი ინსტიტუტი.<sup>490</sup> ამასთან, აღინიშნა, რომ „Anti-Suit Injunctions“-ს ყოველთვის არ აქვს დროებითი ხასიათი, რაც უზრუნველყოფის ღონისძიებისთვის უნდა იყოს დამახასიათებელი<sup>491</sup> და შესაძლებელია ზღუდავდეს სასამართლოსთვის მიმართვის ფუნდამენტურ უფლებას.<sup>492</sup>

აღნიშნული მოსაზრებების საწინააღმდეგოდ დაფიქსირდა პოზიცია, რომ მსგავსი სახის ღონისძიებები ხდება უფრო მისაღები და მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო კომერციული ურთიერთობებიდან გამომდინარე დავებში. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ქვეყნისთვის უცნობი ინსტიტუტია, არსებობს შემთხვევები, როდესაც ასეთ ქვეყნებში მიმდინარე საარბიტრაჟო წარმოებისას არის მცდელობები საარბიტრაჟო პროცესისთვის ზიანის მიყენებისა და ლეგიტიმურია, რომ არბიტრაჟს ჰქონდეს უფლება დაიკვას საარბიტრაჟო განხილვა.<sup>493</sup> „Anti-Suit Injunction“-ის მხარდამჭერთა მტკიცებით, ის გარემოება, რომ მსგავს ღონისძიებას არ იცნობს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა, მათ პოზიციას ამყარებდა. სწორედ ამიტომ, მოდელურ კანონს უნდა გაეთვალისწინებინა „Anti-Suit Injunction“-ის ინსტიტუტი, რათა მომხდარიყო საარბიტრაჟო პრაქტიკის მოდერნიზაცია და ჰარმონიზაცია.<sup>494</sup> მიუხედავად ამრთა სხვადასხვაობისა, სამუშაო ჯგუფი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოდელურ კანონს უნდა გაეთვალისწინებინა „Anti-Suit

<sup>488</sup> Abascal J.M., *The Art of Interim Measures*, ICCA Congress Series N 13, General editor Albert Jan van den Berg, 2006, p. 762.

<sup>489</sup> Kaminskiene N., *Application of Interim Measures in International Arbitration: The Lithuanian Approach*, *Jurisprudence*. 2010, 1(119) p. 246.

<sup>490</sup> A/CN.9/547 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its fortieth session, 23-27 February 2004, para. 76-78.

<sup>491</sup> A/CN.9/589 - Report of the Working Group on Arbitration and Conciliation on the work of its forty-third session, 3-7 October 2005, para. 22.

<sup>492</sup> A/CN.9/547 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its fortieth session, 23-27 February 2004, para. 76.

<sup>493</sup> იქვე, para. 23.

<sup>494</sup> იქვე, para. 76.



Injunction“-ის გამოყენების შესაძლებლობა.<sup>495</sup> მოგვიანებით, UNCITRAL-ის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი აღნიშნავდა, რომ „გამოცდილებამ აჩვენა, რომ საერთაშორისო არბიტრაჟი საჭიროებს „Anti-Suit Injunction“-ს.<sup>496</sup>

## 2.1. Anti-Suit Injunction

„Anti-Suit Injunction“-ის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ დავის განმხილველი არბიტრაჟისგან მხარეს შესაძლებელია დაევალოს თავი შეიკავოს სასამართლოში ან სხვა არბიტრაჟში სარჩელის შეტანისაგან. იმ შემთხვევაში, თუ სარჩელი უკვე წარდგენილია და მიმდინარეობს სასამართლო ან საარბიტრაჟო წარმოება, მხარეს შესაძლებელია დაევალოს სარჩელის გამოსმობა ან მიმდინარე წარმოების შეწყვეტა.<sup>497</sup> „Anti-Suit Injunction“-ის მიზანს წარმოადგენს, გამორიცხოს პარალელური საარბიტრაჟო ან სასამართლო წარმოება და დაიცვას დავის განმხილველი არბიტრაჟის კომპეტენცია.<sup>498</sup>

„Anti-Suit Injunction“-ის ინსტიტუტის გამოყენებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი სასამართლო პრაქტიკა დაადგინა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU). 2009 წელს CJEU-მ საქმეზე *Allianz SpA and Generali Assicurazioni Generali SpA v. West Tankers Inc* დაადგინა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნის სასამართლოს მიერ „Anti-Suit Injunction“-ის გამოყენება, რომლითაც პირს ეკრძალება სარჩელით მიმართოს სხვა ევროკავშირის წევრი ქვეყნის სასამართლოს მაშინ, როდესაც არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმება, არ შეესაბამება<sup>499</sup> ბრიუსელის #44/2001 რეგულაციას სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე იურისდიქციის და გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების შესახებ.<sup>500</sup> ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ მხარემ „Anti-Suit Injunction“-ის გამოყენება მოითხოვა არა არბიტრაჟისგან, არამედ იმ

<sup>495</sup> Moses M.L., *The principal and Practice of international Commercial Arbitration*, Cambridge University Press, Second Edition, 2012, p. 106.

<sup>496</sup> Abascal J.M., *The Art of Interim Measures*, ICCA Congress Series N 13, General editor Albert Jan van den Berg, 2006, p. 762.

<sup>497</sup> Seriki H., *Injunctive Relief and International Arbitration*, Informa Law from Roudge, 2015, p. 24. ასევე, Gaillard E., *Anti-Suit Injunctions in International Commercial Arbitration*, Juris Publishing, 2003, p. 1.

<sup>498</sup> Binder P., *International Commercial Arbitration and Conciliation in UNCITRAL Modal Law Jurisdiction*, Third edition, 2009, p. 244.

<sup>499</sup> Judgment of CJEU case # C-185/07 *Allianz SpA and Generali Assicurazioni Generali SpA v. West Tankers Inc*. ასევე, იბ., Wilhelmssen L., H., *International Commercial Arbitration and The Brussels I Regulation*, Edward Elgar Publishing, 2018, p. 45.

<sup>500</sup> Council Regulation (EC) No 44/2001 of 22 December 2000 on jurisdiction and the recognition and enforcement of judgments in civil and commercial matters, ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32001R0044:en:HTML>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 23.11.2018. აღნიშნული რეგულაცია განახლდა 2012 წლის 12 დეკემბერს და ეწოდა: Regulation (EU) No 1215/2012 of the European Parliament and of the Council of 12 December 2012 on jurisdiction and the recognition and enforcement of judgments in civil and commercial matters (recast).

ქვეყნის სასამართლოსგან, სადაც მიმდინარეობდა საარბიტრაჟო განხილვა (ინგლისი) და მოითხოვა, რომ მხარეს აკრძალვოდა სხვა ქვეყნის (იტალიის) სასამართლოში სარჩელის წარდგენა. შესაბამისად, CJEU-მ დაადგინა, რომ ინგლისის სასამართლოს არ ჰქონდა ამის უფლება, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს ევროკავშირის სხვა წევრი სასამართლოს კომპეტენციაში ჩარევას.<sup>501</sup>

2015 წელს კი ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ საქმეზე „Gazprom OAO v. Lithuania“ განმარტა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნის სასამართლოს ბრიუსელის #44/2001 რეგულაციის თანახმად, არ ეკრძალება განახორციელოს არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების („Anti-Suit Injunction“) ცნობა-აღსრულება, რომლითაც პირს ეკრძალება სარჩელით/განცხადებით მიმართოს ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნის სასამართლოს.<sup>502</sup> CJEU-ს აღნიშნული გადაწყვეტილება ეფუძნება იმ დასაბუთებას, რომ ბრიუსელის #44/2001 რეგულაციის მოქმედება არ ვრცელდება არბიტრაჟზე და მის მიერ გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებაზე, შესაბამისად, ქვეყნის შიდა კანონმდებლობის შესაბამისად უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ აღნიშნული საკითხი. *Allianz SpA and Generali Assicurazioni Generali SpA v. West Tankers Inc* საქმისაგან განსხვავებით, „Gazprom OAO v. Lithuania“-ს საქმეში „Anti-Suit Injunction“ გამოყენებული იყო პირდაპირ არბიტრაჟის მიერ და ღონისძიების ცნობა-აღსრულების საკითხის გადასაწყვეტად მიმართეს CJEU-ს.<sup>503</sup> შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ ხსენებული გადაწყვეტილებით არაპირდაპირ აღიარა არბიტრაჟის უფლებამოსილება, გამოიყენოს „Anti-Suit Injunction“-ი, როგორც უზრუნველყოფის ღონისძიება საარბიტრაჟო წარმოებაში, რაც ხელს შეუწყობს მის აქტიურ გამოყენებას ევროკავშირის მასშტაბით.

ICSID-ის საარბიტრაჟო პრაქტიკაც იცნობს ისეთ ღონისძიებას, რომელიც მხარეს უკრძალავს პარალელური პროცესის (Parallel Proceedings) წარმოებას, რაც ხშირად დაკავშირებულია დავის მონაწილე სახელმწიფოების მიერ ადგილობრივი სამართალწარმოების განხორციელებასთან.<sup>504</sup> თავისი შინაარსით მსგავსი ღონისძიება უტოლდება „Anti-Suit Injunction“-ს, რომლის მიზანია გამორიცხოს პარალელური პროცესის მიმდინარეობა. როგორც ამ დარგის მკვლევარები აღნიშნავენ, მხარეთა მიერ ერთ-ერთ ყველაზე ხშირად მოთხოვნად ღონისძიებათა

<sup>501</sup> Wilhelmsen L., H., *International Commercial Arbitration and The Brussels I Regulation*, Edward Elgar Publishing, 2018, p. 45.

<sup>502</sup> Judgment of CJEU case #C-536/13 *Gazprom OAO v. Lithuania*. ასევე, იხ.: Wilhelmsen L., H., *International Commercial Arbitration and The Brussels I Regulation*, Edward Elgar Publishing, 2018, p. 45.

<sup>503</sup> Wilhelmsen L., H., *International Commercial Arbitration and The Brussels I Regulation*, Edward Elgar Publishing, 2018, p. 45.

<sup>504</sup> Zarra G., *Parallel Proceedings in Investment Arbitration*, Eleven International Publishing, 2017, pp. 95-96.

რიცხვს განეკუთვნება პარალელური სამართალწარმოების აკრძალვა.<sup>505</sup> საქმეზე *Ceskoslovenska Obchodni Banka, A.S. v. Slovak Republic*, ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალმა დაავალა სლოვაკეთს შეეჩერებინა მის ადგილობრივ სასამართლოში მიმდინარე გავოტრების საქმის წარმოება.<sup>506</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ICSID საარბიტრაჟო ტრიბუნალს არამართო სამოქალაქო, არამედ სისხლისსამართლებრივი შიდა პროცედურების განხორციელებისგან თავის შეკვება ან შეწყვეტაც კი დაუვალეია სახელმწიფოებისათვის, მაგალითად საქმეზე *Hydro S.r.l. and others v. Republic of Albania*,<sup>507</sup> ასევე, საქმეზე *Teinver S.A., Transportes de Cercanías S.A. and Autobuses Urbanos del Sur S.A. v. The Argentine Republic*.<sup>508</sup>

ქართული სამართალი „Anti-Suit Injunction“-ის ინსტიტუტს არ იცნობს. ამით რთულდება უზრუნველყოფის ღონისძიებად ისეთი ღონისძიების გამოყენება, რომელიც ითვალისწინებს მეორე მხარისთვის ან საარბიტრაჟო წარმოებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებას. თუმცა, იმ შემთხვევაში თუ ქართულ რეალობაში არბიტრები ფართოდ განმარტავენ აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებს და მოიშველიებენ საერთაშორისო საარბიტრაჟო ტენდენციებს, შესაძლებელია ამ ინსტიტუტმა შეიძინოს სიცოცხლისუნარიანობა. თავის მხრივ, ამის საჭიროება შეიძლება გამოიწვიოს არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლში 2015 წელს განხორცილებულმა ცვლილებებმა, რომლებიც უკავშირდება სასამართლოში სარჩელის წარდგენას იმ დავასთან მიმართებით, რომელზეც არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმება.<sup>509</sup> კანონის პირველადი რეგულაციის თანახმად, სასამართლო თავისი ინიციატივით შეწყვეტდა საქმის წარმოებას, თუ დაადგინდა, რომ განსახილველ დავასთან მიმართებით მხარეთა შორის არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმება.<sup>510</sup> დღეს არსებული რეგულაციის თანახმად კი, იმ შემთხვევაში თუ მოპასუხე მხარემ არ მიუთითა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობაზე სასამართლო აგრძელებს საქმის განხილვას. შესაბამისად, „Anti-Suit Injunction“-ის გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმება და მიუხედავად ამისა, დავის წარმოების შემთხვევაში მოსარჩელე ან შეკვებულნი

<sup>505</sup> Commission J., Moloo R., *Procedural Issues in International Investment Arbitration*, Oxford University Press, 2018, p. 30.

<sup>506</sup> *Ceskoslovenska Obchodni Banka, A.S. v. Slovak Republic*, ICSID CASE No. ARB/97/4, Procedural Order No. 4, 1999.

<sup>507</sup> *Hydro S.r.l. and others v. Republic of Albania*, ICSID Case No. ARB/15/28, Decision on Provisional Measures, 2016.

<sup>508</sup> *Teinver S.A., Transportes de Cercanías S.A. and Autobuses Urbanos del Sur S.A. v. The Argentine Republic*, ICSID Case No. ARB/09/1, Decision on Provisional Measures, 2016.

<sup>509</sup> საქართველოს 2015 წლის 18 მარტის კანონი №3218. განმარტებითი ბარათი, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე.

<sup>510</sup> იხ. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 2009 წლის რედაქცია, მუხლი 9.

სარჩელის ავტორი მიმართავს სასამართლოს. მოპასუხე მხარის განცხადების საფუძველზე კომპეტენტურმა არბიტრაჟმა შესაძლებელია მოსარჩელე მხარეს ან შეგებებული სარჩელის ავტორს დაავალოს სასამართლოში საქმის წარმოების შეწყვეტა და საარბიტრაჟო შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება – საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობის მიღება.

აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების მიზნიდან გამომდინარე, მსჯელობის საგანს წარმოადგენს, ხომ არ აქვს არბიტრაჟს უფლებამოსილება მსგავსი უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენოს თავისი ინიციატივით, ვინაიდან თავად არბიტრაჟის ინტერესია (და არა მხოლოდ მხარის) დაიცვას საარბიტრაჟო პროცესი და უზრუნველყოს საარბიტრაჟო განხილვის ეფექტიანად წარმართვა. თუმცა, დღეის მდგომარეობით, საკანონმდებლო რეგულირების და ქართული საარბიტრაჟო პრაქტიკის ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ დისპოზიციურობის და შეჯიბრობითობის პრინციპის გათვალისწინებით მიიჩნევა, რომ მხოლოდ მხარის მოთხოვნის შემთხვევაში აქვს არბიტრაჟს უფლებამოსილება გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება.

### **3. აქტივების შენარჩუნება, რომლითაც აღსრულდება საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება**

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 17.2(გ) მუხლის თანახმად, „არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარის მიმართვის საფუძველზე, წერილობითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით, გონივრულ ვადაში დაავალოს მხარეს ღონისძიებების განხორციელება იმ აქტივების შესანარჩუნებლად, რომლებითაც აღსრულდება შემდგომი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.“ აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თავიდან იქნეს აცილებული იმ აქტივების ხარჯვა, რომლითაც შესაძლებელია დაკმაყოფილდეს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, აქედან გამომდინარე, არბიტრაჟი უფლებამოსილია გამოიყენოს ისეთი უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას.<sup>511</sup>

იმ შემთხვევაში, როდესაც საარბიტრაჟო დავის საგანს წარმოადგენს ფულადი ვალდებულების შესრულება და მოპასუხეს სურს თავი აარიდოს ვალდებულების შესრულებას ან მისი ფინანსური მდგომარეობა ეჭვის ქვეშ აყენებს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას, არბიტრაჟი ვალდებულია უზრუნველყოს მოსარჩელის ინტერესების სათანადოდ დაცვა.<sup>512</sup> საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკის თანახმად, მსგავსი სახის უზრუნველყოფის ღონისძიების

<sup>511</sup> Roth M, Commentary on the UNCITRAL Modal Law, “Practitioner’s Handbook on International Commercial Arbitration” Edited by Frank-Bernd Weigand, Second edition, Oxford University Press, 2009 p. 1032.

<sup>512</sup> Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2492.

გამოყენებისას ალტერნატივის სახით შეიძლება მხარეს დაევალოს, სადავო თანხის სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანა ან საბანკო გარანტიის წარდგენა.<sup>513</sup>

აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიება ყველაზე კარგად არის ნაცნობი ქართული რეალობისთვის. ქართულ სასამართლოში სამართალწარმოებისას ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი უზრუნველყოფის ღონისძიებაა მოპასუხისთვის ქონების გასხვისების აკრძალვა,<sup>514</sup> რომელიც თავისი შინაარსით უზრუნველყოფს სწორედ ქონების შენარჩუნებას მოპასუხის საკუთრებაში, რომლითაც შესაძლებელი იქნება საბოლოოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება.

მსგავსი სახის ღონისძიების გამოყენება არ არის უცხო ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის, საქმეზე *Emilio Agustin Maffezini v. Kingdom of Spain* ტრიბუნალმა განმარტა, რომ „უზრუნველყოფის ღონისძიებით შეიძლება მხარეს დაევალოს, რომ არ გაყიდოს ან გაასხვისოს ქონება საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე. ასეთი ბრძანება უზრუნველყოფს არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას ქონებაზე, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება მხარის უფლება ქონებაზე“.<sup>515</sup>

UNCITRAL-ის მოდელური კანონის მსგავსი მუხლის შემუშავებისას, მსჯელობის საგანს წარმოადგენდა აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიება ვრცელდებოდა თუ არა საარბიტრაჟო/იურიდიული ხარჯების უზრუნველყოფაზე.<sup>516</sup> სამუშაო ჯგუფის მიერ აღინიშნა, რომ ხარჯების უზრუნველყოფის მოთხოვნა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სარჩელი არ არის დასაბუთებული. მსგავსი გარანტიის წარმოდგენა შეიძლება დაევალოს მხოლოდ მოსარჩელეს და ამის მოთხოვნა გაუმართლებელია მოპასუხისგან, რომელსაც ვერ ექნება ვალდებულება, რომ წარმოადგინოს გარანტია საკუთარი თავის დასაცავად.<sup>517</sup> საბოლოო ჯამში სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ არ მოენესრიგებინა საარბიტრაჟო ხარჯების უზრუნველყოფის ზოგადი წესი და შემოფარგლულიყო მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილების უზრუნველყოფით.<sup>518</sup> თუმცა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, აღნიშნული მუხლი საარბიტრაჟო პრაქტიკაში სხვაგვარად განიმარტა.

<sup>513</sup> Segesser G. and Kurth Ch., Interim Measure, “International Arbitration in Switzerland” A Handbook for practitioners, Edited by Gabrielle Kaufmann-Kohler and Blaise Stucki, 2004, p. 74.

<sup>514</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 198.2 (ბ).

<sup>515</sup> *Emilio Agustin Maffezini v. Kingdom of Spain*, ICSID case #ARB/97/7, Procedural Order #2. 1999.

<sup>516</sup> Binder P., International Commercial Arbitration and Conciliation in UNCITRAL Modal Law Jurisdiction, Third edition, 2009, p. 245.

<sup>517</sup> A/CN.9/523 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its thirty-seventh session, 7-11 October 2002, para. 37.

<sup>518</sup> იქვე.

UNCITRAL-ის სამუშაო ჯგუფის განხილვისას, რომელიც უკვე მუშაობდა UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესების განახლებაზე, გამოითქვა მოსაზრება, რომ საარბიტრაჟო წესებში მსგავს მუხლს<sup>519</sup> ასევე მოეცვა საარბიტრაჟო ხარჯების უზრუნველყოფა, სიტყვა “Assets” (ქონება/აქტივი) შემდგომ დამატებულიყო “or securing funds”, თუმცა სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა, რომ „ლონისძიებების განხორციელება იმ აქტივების შესანარჩუნებლად, რომლებითაც აღსრულდება შემდგომი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება,“ მოიცავდა ხარჯების უზრუნველყოფასაც და სიტყვების “or securing funds” დამატების საჭიროება არ არსებობდა.<sup>520</sup>

### 3.1. ხარჯების უზრუნველყოფა

საარბიტრაჟო ხარჯების უზრუნველყოფა დღეის მდგომარეობით ერთი-ერთი ყველაზე პოპულარული უზრუნველყოფის ღონისძიებაა, რომლის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა, როგორც საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის წესები, ასევე ქვეყნების შიდა კანონმდებლობა.<sup>521</sup> LCIA-ის საარბიტრაჟო წესების 25.2-ე მუხლის მიხედვით, საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, მას შემდეგ, რაც ყველა მხარეს მისცემს პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობას, მოსარჩელეს ან შეგებებული სარჩელის ავტორს დაავალოს იურიდიული და საარბიტრაჟო ხარჯების უზრუნველყოფა.<sup>522</sup> SCC-ის საარბიტრაჟო წესების 38-ე მუხლის მიხედვით, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მხარის მოთხოვნით, გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება დაავალოს მოსარჩელეს ან შეგებებული სარჩელის ავტორს წარმოადგინოს ხარჯების უზრუნველყოფა.<sup>523</sup> ხარჯების უზრუნველყოფა არც ICC-ის საარბიტრაჟო პრაქტიკაშია უცხო.<sup>524</sup> ამგვარი უზრუნველყოფის გამოყენების შესაძლებლობას ასევე იძლევა შვეიცარიის<sup>525</sup> და საფრანგეთის ადგილობრივი კანონმდებლობა.<sup>526</sup>

ხარჯების უზრუნველყოფას, როგორც უზრუნველყოფის ღონისძიებას ასევე იცნობს ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალის პრაქტიკა.<sup>527</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ

<sup>519</sup> UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები, მუხლი 26.2(c).

<sup>520</sup> A/CN.9/641 - Report of the Working Group on Arbitration and Conciliation on the work of its forty-seventh session, 10-14 September 2007, para. 48.

<sup>521</sup> Webster Th., Buhler M., Handbook of ICC Arbitration, third edition, Thomson Reuters (Professional), 2014, p. 431.

<sup>522</sup> LCIA-ის საარბიტრაჟო წესები (ძალაშია 2014 წლიდან) მუხლი 25.2.

<sup>523</sup> SCC-ის საარბიტრაჟო წესები (ძალაშია 2017 წლიდან) მუხლი 38.

<sup>524</sup> Webster Th., Buhler M., Handbook of ICC Arbitration, third edition, Thomson Reuters (Professional), 2014, p. 434.

<sup>525</sup> Segesser G., Kurth Ch., Interim Measure, “International Arbitration in Switzerland” A Handbook for practitioners, Edited by Gabrielle Kaufmann-Kohler and Blaise Stucki, 2004, p. 76.

<sup>526</sup> Gaillard E., Commentary on France Arbitration Law, “Practitioner’s Handbook on International Commercial Arbitration” Edited by Frank-Bernd Weigand, Second edition, Oxford University Press 2009, p. 450.

<sup>527</sup> Commission J., Moloo R., Procedural Issues in International Investment Arbitration, Oxford University Press, 2018, p. 38.

ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალის მხრიდან ამ სახის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას არცთუ ისე დიდი ისტორია აქვს და პირველად გამოყენებულ იქნა 2014 წელს, საქმეზე *RSM Production Corporation v. Saint Lucia*.<sup>528</sup> აღნიშნული განპირობებული იყო იმ მიდგომით, რომელიც დამკვიდრა ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ საქმეზე *Emilio Agustin Maffezini v. Kingdom of Spain*<sup>529</sup> და რომლითაც ძალიან გაართულა ამ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.<sup>530</sup> აღნიშნულ საქმეზე მოპასუხემ მოითხოვა იმ ხარჯების უზრუნველსაყოფად, რომლის გაღებაც მას მოუწევდა უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, მოსარჩელეს დავალებოდა გარანტის, ბონდი ან მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტის წარმოდგენა.<sup>531</sup> მსგავსი ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით პირველად ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალს სწორედ ამ საქმეზე მიმართეს.<sup>532</sup> ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განმარტა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება მიმართული უნდა იყოს არსებული უფლების დაცვისკენ და არა ჰიპოთეტური ან ისეთი უფლების დაცვისკენ, რომელიც შეიძლება მომავალში წარმოიშვას. ამ შემთხვევაში კი მოპასუხის მოთხოვნა ჰიპოთეტურია და მისი უფლების წარმოშობა დამოკიდებულია პირველი, იმაზე, რომ მოპასუხის სასარგებლოდ იქნება გამოტანილი გადაწყვეტილება და მეორე, საარბიტრაჟო ტრიბუნალი მიიჩნევს, რომ ხარჯების გადახდა მოსარჩელეს უნდა დაეკისროს. შესაბამისად, მოპასუხის მოთხოვნა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა.<sup>533</sup>

ამისგან განსხვავებით, ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალმა *RSM Production Corporation v. Saint Lucia* დაადგინა, რომ ICSID საარბიტრაჟო ტრიბუნალის უფლებამოსილება გამოიყენოს ნებისმიერი სახის უზრუნველყოფის ღონისძიება, ასევე გულისხმობს ხარჯების უზრუნველყოფას.<sup>534</sup> საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მიუთითა *Emilio Agustin Maffezini v. Kingdom of Spain* საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე და განმარტა საწინააღმდეგო, რომ უფლება, რომელიც ექვემდებარება უზრუნველყოფას, ასევე მოიცავს პროცედურულ (საპროცესო) უფლებებს, მათ შორის ხარჯების ანაზღაურებას.<sup>535</sup> ასეთი გადაწყვეტილების მიღება ძირითადად განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ მოსარჩელემ წინა ორ

<sup>528</sup> *RSM Production Corporation v. Saint Lucia*, ICSID Case No. ARB/12/10, Decision on Saint Lucia's Request for Security for Costs, 2014.

<sup>529</sup> *Emilio Agustin Maffezini v. Kingdom of Spain*, ICSID case #ARB/97/7, Procedural Order #2. 1999.

<sup>530</sup> Commission J., Moloo R., Procedural Issues in International Investment Arbitration, Oxford University Press, 2018, p. 38.

<sup>531</sup> *Emilio Agustin Maffezini v. Kingdom of Spain*, ICSID case #ARB/97/7, Procedural Order #2. 1999, Para. 2.

<sup>532</sup> იქვე, para. 4.

<sup>533</sup> იქვე, para 17.

<sup>534</sup> *RSM Production Corporation v. Saint Lucia*, ICSID Case No. ARB/12/10, Decision on Saint Lucia's Request for Security for Costs, 2014, para. 54.

<sup>535</sup> იქვე. 65.

შემთხვევაში ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ განხილულ საქმეებზე *RSM Production Corporation and other v. Grenada*<sup>536</sup> და *RSM Production Corporation v. Grenada*<sup>537</sup> არ განახორციელა მოპასუხის მიერ განუღებელი ხარჯების ანაზღაურება და არბიტრაჟის წინაშე არსებული ფინანსური ვალდებულებების შესრულება.<sup>538</sup> გასათვალისწინებელია, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მოსარჩელეს დაავალა უზრუნველყოფის ღონისძიების სახით წარმოედგინა 750,000 აშშ დოლარის გამოუთხოვადი საბანკო გარანტია.<sup>539</sup> აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ იყო ერთსულოვანი ამ გადაწყვეტილების მიღებისას და ერთ-ერთმა არბიტრმა ედვარდ ნოტინგჰემმა განსხვავებული აზრი დაურთო გადაწყვეტილებას, რომლითაც არ დაეთანხმა ტრიბუნალის გადაწყვეტილებას და მიიჩნია, რომ ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალს არ აქვს უფლება განახორციელოს ხარჯების უზრუნველყოფა.<sup>540</sup>

აღნიშნული გადაწყვეტილების მიუხედავად, ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ ხარჯების უზრუნველყოფის შესახებ უზრუნველყოფის ღონისძიება გაიცემა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საქმეზე *EuroGas Inc. and Belmont Resources Inc. v. Slovak Republic* განმარტა, რომ „ICSID დავის გადაწყვეტის სისტემისთვის დამახასიათებელი არ არის, რომ ინვესტორის სარჩელი განხილული იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც დასტურდება ინვესტორის საკმარისი ფინანსური მდგრადობა გადაიხადოს შესაძლო ხარჯები. ხარჯების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში დაიშვება, მაგალითად, როდესაც დასტურდება უფლების ბოროტად გამოყენება ან სერიოზული გადაცდომა.“<sup>541</sup> UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესებით მოქმედმა ტრიბუნალმა კი საქმეზე *South American Silver Limited v. Bolivia* განმარტა, რომ „საინვესტიციო საარბიტრაჟო ტრიბუნალები ხარჯების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების უფლებას იყენებენ, როდესაც სახეზეა ექსტრემალური და საგამონაკლისო შემთხვევები და დასტურდება, რომ არსებობს მაღალი ეკონომიკური რისკი მოპასუხისთვის ან/და არაკეთილსინდისიერება იმ მხარისგან, რომელსაც ევალება ხარჯების უზრუნველყოფა.“<sup>542</sup>

<sup>536</sup> *RSM Production Corporation and other v. Grenada*, ICSID Case No ARB/10/6.

<sup>537</sup> *RSM Production Corporation v. Grenada*, ICSID Case No ARB/05/14.

<sup>538</sup> *RSM Production Corporation v. Saint Lucia*, ICSID Case No. ARB/12/10, Decision on Saint Lucia's Request for Security for Costs, 2014, para. 77-81.

<sup>539</sup> იქვე, para. 90.

<sup>540</sup> Dissenting opinion of Edward Nottingham, *RSM Production Corporation v. Saint Lucia*, ICSID Case No. ARB/12/10, Decision on Saint Lucia's Request for Security for Costs, 2014.

<sup>541</sup> *EuroGas Inc. and Belmont Resources Inc. v. Slovak Republic*, ICSID Case No. ARB/14/14, Procedural Order #3, 2015, para. 121.

<sup>542</sup> *South American Silver Limited v. Bolivia*, UNCITRAL, PCA Case No 2013/15 Procedural Order #10, 2016, para. 59.



ქართული კანონმდებლობა, არც საარბიტრაჟო და არც საპროცესო, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ხარჯების უზრუნველსაყოფად არ ითვალისწინებს. საერთაშორისო პრაქტიკაში ამ ღონისძიების გამოყენებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ქარ თულ რეალობასთან შედარებით, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოება გაცილებით დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, თუმცა, თუ საქართველოს სურს, რომ გახდეს საერთაშორისო დავების გადაწყვეტის რეგიონალური ჰაბი, მნიშვნელოვანია, რომ ქართული კანონმდებლობა განიმარტოს საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით და მხარეებს აძლევდეს ხარჯების უზრუნველყოფის შესაძლებლობას.

#### 4. მტკიცებულებების უზრუნველყოფა

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი ითვალისწინებს მტკიცებულებათა უზრუნველყოფას და არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარეს დაავალოს იმ მტკიცებულებების შენახვა და შენარჩუნება, რომლებიც შესაძლოა უკავშირდებოდეს საარბიტრაჟო დავას და მის გადაწყვეტას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „მტკიცებულებათა უზრუნველყოფა წარმოადგენს მნიშვნელოვან საპროცესო სამართლებრივ ინსტიტუტს, რომელიც ერთი მხრივ მხარეს ანიჭებს შესაძლებლობას დაიცვას ის მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს, ხოლო მეორე მხრივ, დავის განმხილველ ორგანოს აძლევს საშუალებას დავა განიხილოს სწრაფად და დაადგინოს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მიზანს წარმოადგენს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის უზრუნველყოფა“.<sup>543</sup>

მტკიცებულებების უზრუნველყოფის მნიშვნელობიდან გამომდინარე, თითქმის ყველა ადგილობრივი კანონმდებლობა და საარბიტრაჟო წესები დავის განმხილველ არბიტრაჟს ანიჭებს უფლებამოსილებას მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მიზნით.<sup>544</sup> LCIA-ის საარბიტრაჟო წესების მიხედვით არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარეს დაავალოს მტკიცებულებათა შენახვა/შენარჩუნება.<sup>545</sup> მტკიცებულებათა უზრუნველყოფა ასევე დამახასიათებელია ICC-ის საარბიტრაჟო პრაქტიკისთვის.<sup>546</sup> UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები კი შეიცავს მოდელური კანონის იდენტურ მონესრიგებას.<sup>547</sup>

<sup>543</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 10 აპრილის განჩინება, საქმეზე N ას-258-516-08.

<sup>544</sup> Lew J., Mistelis L., Kroll S., Comparative International Commercial Arbitration, Kluwer Law International, 2003, p. 596.

<sup>545</sup> LCIA საარბიტრაჟო წესები (ძალაშია 2014 წლიდან), მუხლი 25.1.

<sup>546</sup> Webster Th., Buhler M., Handbook of ICC Arbitration, third edition, Thomson Reuters (Professional), 2014, p. 426.

<sup>547</sup> UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები (ძალაშია 2010 წლიდან), მუხლი 26.2(d).

ქართული კანონის რეგულირება, ეფუძნება UNCITRAL-ის მოდელურ კანონს, თუმცა არსებობს გარკვეული სხვაობა. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, უზრუნველყოფის საგანს წარმოადგენს ის მტკიცებულებები, რომლებიც „შესაძლებელია“ უკავშირდებოდეს საარბიტრაჟო დავას და მის გადანაცვეტას. მოდელური კანონის თანახმად, კი უზრუნველყოფას ექვემდებარება ის მტკიცებულებები, რომელიც რელევანტურია (Relevant) და არსებითია (Material) დავის გადასაწყვეტად.<sup>548</sup>

UNCITRAL-ის მოდელურ კანონში აღნიშნული ტერმინების დამკვიდრება მსჯელობის საგანი გახდა მოდელურ კანონში შესატანი ცვლილებების დროს, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო ტერმინების “Relevant“ და „Material“-ის კუმულატიურად გამოყენება.<sup>549</sup> როგორ უნდა გადანაცვეტილიყო საკითხი, თუ მტკიცებულება იყო რელევანტური (Relevant), მაგრამ არა არსებითი (Material) და პირიქით.<sup>550</sup> ამასთან, სამუშაო ჯგუფის ნაწილის მტკიცებით, მოდელური კანონის 19.2 მუხლი უკვე არეგულირებდა აღნიშნულ საკითხს და დამატებითი მოწესრიგების საჭიროება არ არსებობდა.<sup>551</sup> მიუხედავად აღნიშნული წინააღმდეგობისა, რეგულაცია ამ ფორმით იქნა მიღებული. სამუშაო ჯგუფის პოზიცია ემყარებოდა იმ დასაბუთებას, რომ მსგავსად ანესრიგებდა აღნიშნულ საკითხს ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის (IBA – International Bar Association) წესები „საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში მტკიცებულებათა მოპოვების შესახებ“.<sup>552</sup> გარდა ამისა, სამუშაო ჯგუფის განმარტებით, რელევანტურობა (Relevant) მოითხოვს, რომ მტკიცებულება დაკავშირებული იყოს მიმდინარე საარბიტრაჟო დავასთან, ხოლო არსებითობა (Material) ადგენს, რომ მტკიცებულება უნდა იყოს მნიშვნელოვანი დავის გადასაწყვეტად,<sup>553</sup> ამ ტერმინების გამოყენება არ იყო უცხო საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოებაში.<sup>554</sup> მეორე არგუმენტთან მიმართებით განიმარტა, რომ 19.2 მუხლის რეგულირების საგანს არ წარმოადგენდა მტკიცებულებათა უზრუნველყოფა, ეს მუხლი ანესრიგებს მტკიცებულებების დასაშვებობისა და შეფასების საკითხს, აღნიშნული რეგულაციის შემოღებით კი

<sup>548</sup> UNCITRAL -ის მოდელური კანონის მუხლი 17.2 (დ).

<sup>549</sup> Binder P., International Commercial Arbitration and Conciliation in UNCITRAL Modal Law Jurisdiction, Third edition, 2009, p. 245.

<sup>550</sup> A/CN.9/589 - Report of the Working Group on Arbitration and Conciliation on the work of its forty-third session, 3-7 October 2005, para. 28.

<sup>551</sup> Binder P., International Commercial Arbitration and Conciliation in UNCITRAL Modal Law Jurisdiction, Third edition, 2009, p. 245.

<sup>552</sup> IBA Rules on the Taking of evidence in International Commercial Arbitration, (Adopted by a resolution of the IBA Council June 1999) Article 4.10.

<sup>553</sup> A/CN.9/589 - Report of the Working Group on Arbitration and Conciliation on the work of its forty-third session, 3-7 October 2005, para. 29. ასევე, O'Malley N., Rules on Evidence in International Arbitration, Informa Law, 2012, p. 54.

<sup>554</sup> იქვე.

თვისობრივად ახალ ინსტიტუტს ეყრებოდა საფუძველი, რაც არბიტრაჟს ანიჭებდა უფლებამოსილებას განეხორციელებინა მტკიცებულებათა უზრუნველყოფა.<sup>555</sup>

აღნიშნული განსხვავების გათვალისწინებით, ქართული კანონმდებლობა მტკიცებულებების დავის გადანაცვეტასთან კავშირის უფრო დაბალ სტანდარტს ადგენს, ვიდრე მოდელური კანონი, რაც განმცხადებელ მხარეს უმსუბუქებს მტკიცების ტვირთს, ვინაიდან მხარისთვის უფრო ადვილია ამტკიცოს მტკიცებულებების „შესაძლო“ კავშირი ვიდრე ის, რომ მტკიცებულებები კუმულატიურად მნიშვნელოვანი და არსებითია დავის გადასაწყვეტად. თუმცა, როგორც ქართული საარბიტრაჟო პრაქტიკიდან ირკვევა, მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მოთხოვნით არბიტრაჟებს ნაკლებად მიმართავენ.<sup>556</sup>

ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალის პრაქტიკა ამ მხრივ განსხვავებული და არაერთგვაროვანია. მაგალითად, საქმეზე *Biwater Gauffi (Tanzania) LTD V. United Republic of Tanzania* საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მიიღო გადაწყვეტილება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ, ვინაიდან არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობა ისე, რომ არ დაუდგენია მტკიცებულებების რელევანტურობა და არსებობდა.<sup>557</sup> ამისგან განსხვავებით, საქმეზე *Railroad Development Corp. v. Republic of Guatemala*, ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უარი თქვა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე იმ დასაბუთებით, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი მტკიცებულებები არის ზედმეტად ფართო და რთულია მათი რელევანტურობის შეფასება.<sup>558</sup>

## 5. ყადაღა, როგორც საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის სახე

ყადაღას, როგორც საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახეს, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი არ იცნობს. არც ქართული საარბიტრაჟო ინსტიტუტების რეგლამენტებით არის გათვალისწინებული უზრუნველყოფის ეს სახე. ქართული კანონმდებლობა ამ მხრივ მკაცრ რეგულაციას შეიცავს და სასამართლოსგან განსხვავებით, არბიტრაჟს არ ანიჭებს უფლებამოსილებას გამოიყენოს სხვა სახის უზრუნველყოფის ღონისძიებები, თუ ეს

<sup>555</sup> A/CN.9/589 - Report of the Working Group on Arbitration and Conciliation on the work of its forty-third session, 3-7 October 2005, para. 29.

<sup>556</sup> თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტისთვის 2009 წლიდან დღემდე არ მიუმართავს მხარეს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მოთხოვნით, 2018 წლის 10 სექტემბრის ინტერვიუ თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარესთან.

<sup>557</sup> *Biwater Gauffi (TANZANIA) LTD V. United Republic of Tanzania*, Procedural Order #1, ICSID Case No. ARB/05/22, 2006, para. 86.

<sup>558</sup> *Railroad Development Corp. v. Republic of Guatemala*, Decision on provisional measures, ICSID CASE NO. ARB/07/23, 2008, para. 34-36.

აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისთვის.<sup>559</sup> ამასთან, კანონის თანახმად, არც მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა საარბიტრაჟო შეთანხმებით გაითვალისწინონ სხვა სახის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება საარბიტრაჟო წარმოებაში.

მიუხედავად ამისა, ქართულ საარბიტრაჟო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც დავის განმხილველი არბიტრაჟი იღებს გადანაცვეტილებას საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად გამოიყენოს ყადაღა და დააყადაღოს მოპასუხე მხარის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ან/და საბანკო ანგარიშები.<sup>560</sup> ერთ-ერთ საქმეზე, საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ იქნა უზრუნველყოფის ღონისძიება მოპასუხის საბანკო ანგარიშების ყადაღის დადების თაობაზე, რომელის ცნობა-აღსრულებაც განხორციელდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ.<sup>561</sup> მართალია, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 22.3 მუხლის თანახმად, სასამართლო არსებითად არ იხილავს არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, მაგრამ როდესაც სახეზეა უზრუნველყოფის ღონისძიების აშკარა შეუსაბამობა კანონთან, აუცილებელია სასამართლოს მხრიდან შესაბამისი რეაგირება, რათა საარბიტრაჟო პრაქტიკა არასწორად არ განვითარდეს და სასამართლოს მხრიდან განხორციელდეს საარბიტრაჟო წარმოების ეფექტიანი კონტროლი. ამის საწინააღმდეგოდ, არსებობს შემთხვევები საარბიტრაჟო პრაქტიკაში, როდესაც არბიტრაჟი უარს ამბობს უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღის გამოყენებაზე მხოლოდ იმ დასაბუთებით, რომ არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი ყადაღას, როგორც უზრუნველყოფის ღონისძიებას არ იცნობს.<sup>562</sup>

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მიუხედავად მცირედი განსხვავებებისა, იმავე სახის უზრუნველყოფის ღონისძიებებს ითვალისწინებს, რასაც UNCITRAL-ის მოდელური კანონი. მოდელური კანონის სამუშაო ჯგუფის ანგარიშში აღნიშნულია, რომ პირველ ეტაპზე სამუშაო ჯგუფის მიზანს არ წარმოადგენდა მათ მიერ შემუშავებული უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები ყოფილიყო ამომწურავი.<sup>563</sup> თუმცა, კანონის პროექტის შემუშავების შემდგომ, ჯგუფის მიერ მიღებულ იქნა გადანაცვეტილება, რომ მოდელური კანონით გათვალისწინებული უზრუნველყოფის სახეები არის ამომწურავი და მოიცავს ყველა იმ შემთხვევას, რისთვისაც შესაძლებელია არსებობდეს უზრუნველყოფის ღონისძიების

<sup>559</sup> შეად.: არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 17 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 198.3.

<sup>560</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 01 ივლისის განჩინება, საქმეზე N 2ბ/3450-13.

<sup>561</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 მაისის განჩინება, საქმეზე N 2ბ/1889-15.

<sup>562</sup> თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის 2017 წლის 22 მაისის დადგენილება საქმეზე, #001418-2017.

<sup>563</sup> A/CN.9/545 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its thirty-ninth session, 10-14 November 2003, para. 21.

გამოყენების საჭიროება.<sup>564</sup> მოდელურმა კანონმა ასევე, უარი თქვა საჭიროების შემთხვევაში სხვა სახის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე, ვინაიდან სამუშაო ჯგუფის მოსაზრებით არ არსებობს ამის საჭიროება.<sup>565</sup>

მართალია, მოდელური კანონის მიზანს წარმოადგენს ფუძემდებლური პრინციპების გათვალისწინებით ზოგადი სტანდარტის შექმნა, რომლითაც სახელმწიფოებს ეძლევათ შესაძლებლობა შეიმუშაონ დეტალური საკანონმდებლო რეგულაცია ადგილობრივი სამართლებრივი სისტემის სპეციფიკის გათვალისწინებით,<sup>566</sup> თუმცა, საქართველოს შემთხვევაში კანონმდებლის მიერ სხვა სახის უზრუნველყოფის გამოყენების შესაძლებლობა და არბიტრაჟისთვის ფართო უფლებამოსილების მინიჭება არ მოხდა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ არბიტრაჟი დავის განხილვისას მოექცეს იმ სამართლებრივ ჩარჩოში, რასაც კანონი ადგენს. საარბიტრაჟო წარმოების ამგვარი განვითარება შესაძლებელია განპირობებული იყოს იმით, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებები, რომელსაც კანონი ითვალისწინებს კარგად არ არის დამკვიდრებული ქართულ სამართლებრივ სივრცეში და მხარეები, ისევე როგორც არბიტრაჟი, თავს კომფორტულად გრძნობენ მათთვის ნაცნობი უზრუნველყოფის ღონისძიების, მათ შორის ყადაღის გამოყენებისას.

საერთაშორისო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ არბიტრაჟი არ ფლობს უფლებამოსილებას გამოიყენოს ყადაღა, როგორც უზრუნველყოფის ღონისძიება.<sup>567</sup> წამყვანი საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრების წესებით არ არის გათვალისწინებული ყადაღის გამოყენების უფლებამოსილება. რაც შეეხება ქვეყნების ადგილობრივ კანონმდებლობას, უნდა აღნიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევაში, არბიტრაჟს მსგავსი უფლებამოსილება არ ენიჭება, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. მაგალითად, ფრანგული კანონმდებლობა არ ანიჭებს არბიტრაჟს უფლებამოსილებას გამოიყენოს ყადაღა უზრუნველყოფის ღონისძიებად,<sup>568</sup> მსგავსად ანესრიგებს ამ საკითხს ჰოლანდიური<sup>569</sup> და შვეიცარიული<sup>570</sup>

<sup>564</sup> იქვე.

<sup>565</sup> იქვე.

<sup>566</sup> [http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral\\_texts/arbitration/1985Model\\_arbitration.html](http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/arbitration/1985Model_arbitration.html), ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 03 ივლისის განჩინება, საქმე N ას-538-511-2013.

<sup>567</sup> Born G., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2492.

<sup>568</sup> Gaillard E., *Commentary on France arbitration law*, “Practitioner’s Handbook on International Commercial Arbitration” Edited by Frank-Bernd Weigand, Second edition, Oxford University Press, 2009, p. 450.

<sup>569</sup> Lazic V., Meijer G., *Commentary on Netherland Arbitration law*, *Practitioner’s Handbook on International Commercial Arbitration*” Edited by Frank-Bernd Weigand, Second edition, Oxford University Press, 2009, p. 663.

<sup>570</sup> იქვე, Karrer P., Straub P., *Commentary on Switzerland Arbitration law*, p. 847.

კანონმდებლობა, ამგვარ მიდგომას იზიარებს ასევე ბელგიის კანონმდებლობა.<sup>571</sup> ავსტრიის კანონმდებლობა არ შეიცავს დეტალურ რეგულირებას ყადაღის გამოყენებასთან მიმართებით, თუმცა გამოთქმულია მოსაზრება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების ამ სახის გამოყენება დასაშვებია.<sup>572</sup>

ყადაღა ვერ იქნება მოაზრებული ვერც იმ უზრუნველყოფის ღონისძიების სახეებში, რომელსაც ითვალისწინებს არბიტრაჟის შესახებ კანონი: იქნება ეს პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნება<sup>573</sup> თუ აქტივების შენარჩუნება<sup>574</sup>. ყადაღა ვერ იქნება გამოყენებული გადაწყვეტილების გამოტანამდე პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნება არ გამოიყენება მხარეთა ქონების მიმართ და სხვა ფუნქციური დატვირთვა აქვს. ყადაღა შესაძლო უზრუნველყოფდეს აქტივის შენარჩუნებას, თუმცა, ცალსახაა, რომ არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აქტივების შენარჩუნების დავალდებულებას და ყადაღას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. აქტივების შენარჩუნების შემთხვევაში მხარე ინარჩუნებს უფლება აქტივის გამოყენების, ხოლო ყადაღა კრძალავს ნებისმიერი გარიგების დადებას დაყადაღებულ ქონებაზე.<sup>575</sup>

საკანონმდებლო რეგულაციების ანალიზისა და საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ქართულ საარბიტრაჟო პრაქტიკაშიც არბიტრაჟის მხრიდან ყადაღა არ იქნეს გამოყენებული და უზრუნველყოფის ეს ღონისძიება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნებოდეს.<sup>576</sup>

## 6. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების უზრუნველყოფა

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას. კანონის თანახმად, არბიტრაჟის უფლებამოსილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ აღიარებულია „საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე“.<sup>577</sup> აღნიშნული დანაწესის

<sup>571</sup> Canivet M., Goffin J., „Arbitration in Belgium” CMS Guide to Arbitration, Vol. I, 2012, p. 114.

<sup>572</sup> Liebscher Ch., Commentary on Austrian arbitration law, “Practitioner’s Handbook on International Commercial Arbitration” Edited by Frank-Bernd Weigand, Second edition, Oxford University Press 2009, p. 146.

<sup>573</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 17.2 (ა).

<sup>574</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 17.2 (გ).

<sup>575</sup> სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი, 63<sup>1</sup> მუხლი.

<sup>576</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198.2(1) მუხლი.

<sup>577</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი.

გათვალისწინებით, არბიტრაჟის უფლებამოსილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ წყდება საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანისთანავე.

თუმცა, საარბიტრაჟო განხილვის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია არსებობდეს შემთხვევა, რა დროსაც გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ დადგეს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, ვინაიდან გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება ხდება კანონით დადგენილ ვადებში,<sup>578</sup> რომლის დროსაც მოპასუხეს, რომლის საწინააღმდეგოდაც არის გამოტანილი გადაწყვეტილება აქვს შესაძლებლობა გაასხვისოს მის საკუთრებაში არსებული უძრავ/მოძრავი ქონება, რაც აღუსრულებელს დატოვებს არბიტრაჟის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და ზოგადად, ეჭვის ქვეშ დააყენებს არბიტრაჟის, როგორც დავის გადაწყვეტის საშუალების ეფექტიანობას.

ამ საკითხის გადასაწყვეტად უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება იქნა მიღებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ. განმცხადებელმა არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ, რომლითაც დაკმაყოფილდა მისი სარჩელი, განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული განცხადება არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ „განსახილველ შემთხვევაში საარბიტრაჟო სარჩელზე, რომლის უზრუნველყოფაც განმცხადებელმა მოითხოვა, მიღებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანია, სარჩელზე მომავალში მისაღები გადაწყვეტილების აღუსრულებლობის რისკების შემცირება/აღმოფხვრა. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის განხილვა ხდება გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მისი აღსრულების უზრუნველყოფა წარმოადგენს უზრუნველყოფის სხვა სახეს, რომელიც გათვალისწინებული არ არის სსსკ-ის XXIII თავში, არამედ მოცემულია სსსკ-ის XXVIII თავის 271-ე მუხლში“. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა უზენაეს სასამართლოში.

<sup>578</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>21</sup> მუხლის მიხედვით, მხარემ, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, უნდა წარმოადგინოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი, აგრეთვე საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე მხარის შუამდგომლობა ეგზავნება იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია აღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. ამ უკანასკნელს შეუძლია შეტყობინების მიღებიდან 7 დღის ვადაში წარადგინოს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განცხადება. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იქნეს მოპასუხის განცხადების წარდგენიდან ან მის წარსადგენად განსაზღვრული 7-დღიანი ვადის გასვლიდან (რომელიც უფრო ადრე იყო) არაუგვიანეს 30 დღისა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ კი დაადგინა, რომ „საკასაციო სასამართლო სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ მსჯელობას ვერ გაიზიარებს და განმარტავს, რომ სსსკ-ის 271-ე მუხლი წარმოადგენს ბლანკეტურ ნორმას. იგი მიუთითებს, რომ გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ხდება სსსკ-ის XXIII თავის ნორმების საფუძველზე. შესაბამისად, თუ მხარეს საქმის განხილვის ეტაპზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება არ მოუთხოვია, აღნიშნული გარემოება გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მისი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემზღვეველი ფაქტორი ვერ გახდება. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სამოქალაქო საპროცესო-სამართლებრივი ინსტიტუტის უმთავრესი მიზანია დავაზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის ხელშეწყობა. გადაწყვეტილების აღსრულების ხელისშემშლელი გარემოებები შეიძლება წარმოიშვას არა მხოლოდ საქმის წარმოების მიმდინარეობისას, არამედ გადაწყვეტილების მიღების შემდგომაც. კანონმდებლის დათქმით, უზრუნველყოფილი შეიძლება იქნეს ჯერ კიდევ აღუსრულებელი გადაწყვეტილება“.<sup>579</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ამ პრეცედენტული გადაწყვეტილებით ქართულ რეალობაში შეიქმნა არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფის შესაძლებლობა, რაც საარბიტრაჟო დავაში წარმატებული მოსარჩელის ინტერესების დაცვის მძლავრი ბერკეტია. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს არბიტრაჟის, როგორც ეფექტიანი დავის გადაწყვეტის საშუალების განვითარებას საქართველოში.

## **7. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად მიყენებული ზიანის უზრუნველყოფა**

მხარეს, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე, ეკისრება პასუხისმგებლობა ნებისმიერი ხარჯისა და ზიანისათვის, რომლებიც გამონვეულია ამ მხარის მიერ მოთხოვნილი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებით, თუ არბიტრაჟი დაადგენს, რომ აღნიშნულ გარემოებებში საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მოცემული ღონისძიებები არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული.<sup>580</sup> აღნიშნული დანაწესის გათვალისწინებით, არბიტრაჟის შესახებ კანონი უფლებამოსილებას ანიჭებს როგორც არბიტრაჟს,<sup>581</sup> ასევე სასამართლოს,<sup>582</sup> მხარეს, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის

<sup>579</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება, საქმეზე #ას-497-497-2018.

<sup>580</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 18.4.

<sup>581</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 18.3.

<sup>582</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 21.3.



ლონისძიებების გამოყენებაზე, დაავალოს აღნიშნულ უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა.

### 7.1. არბიტრაჟის უფლებამოსილება უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენებისას

არბიტრაჟის უფლებამოსილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მომთხოვნ მხარეს დაავალოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება აღიარებულია საერთაშორისო დონეზე<sup>583</sup> და გათვალისწინებულია, როგორც ადგილობრივი კანონმდებლობით,<sup>584</sup> ასევე საერთაშორისო საარბიტრაჟო წესებით.<sup>585</sup>

აღნიშნული მუხლის მიზანია დაიცვას მხარე იმ ზიანისგან, რომელიც მას მიადგება ან შესაძლოა მიადგეს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად. გასათვალისწინებელია, რომ არბიტრაჟის აღნიშნული უფლება მის დისკრეტულობას განეკუთვნება და მისი გამოყენების უფლება არბიტრაჟს თავისი ინიციატივით, მხარის მოთხოვნის გარეშეც აქვს.<sup>586</sup> UNCITRAL-ის მოდელური კანონის სამუშაო ჯგუფი ასევე, განიხილავდა მოსაზრებას, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გარანტიის წარდგენა ყოფილიყო სავალდებულო ნებისმიერ შემთხვევაში, რათა შექმნილიყო იმ მხარის დაცვის შესაბამისი მექანიზმი, რომლის წინააღმდეგაც უნდა გამოყენებულიყო უზრუნველყოფის ღონისძიება, რითაც შემცირდებოდა იმის რისკი, რომ მხარეს ბოროტად ესარგებლა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით.<sup>587</sup> თუმცა, საბოლოო ჯამში აღნიშნული მოსაზრება არ იქნა გაზიარებული და შეთანხმება იქნა მიღებული, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება არბიტრაჟის კომპეტენცია უნდა ყოფილიყო.<sup>588</sup> სამუშაო ჯგუფის მიერ ასევე აღნიშნულია, რომ არბიტრაჟი უფლებამოსილია უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა მოითხოვოს, მათ შორის, როგორც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობა.<sup>589</sup> შესაძლოა ზიანის უზრუნველყოფა საერთაშორისო პრაქტიკაშიც გამოიყენება, მხარეთა ინტერესების დაბალანსების მიზნით. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საქმეზე *Sergei Paushok, CJCS Golden East Compnay, CJSC Vostokneftegaz Compnay v. The*

<sup>583</sup> Born G., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2507.

<sup>584</sup> შვეიცარიის საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონი, მუხლი 183.3.

<sup>585</sup> LCIA-ის საარბიტრაჟო წესების 25.2 მუხლი. ICC-ის საარბიტრაჟო წესები 28.1 მუხლი.

<sup>586</sup> იქვე. ასევე, Roth M., "Commentary on the UNCITRAL Modal Law", "Practitioner's Handbook on International Commercial Arbitration" Edited by Frank-Bernd Weigand, Second edition, Oxford University Press, 2009, p. 1040.

<sup>587</sup> A/CN.9/508 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its thirty-sixth session, 4-8 March 2002, para 59.

<sup>588</sup> იქვე, para 60.

<sup>589</sup> A/CN.9/545 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its thirty-ninth session, 10-14 November 2003, para 34.

*Government of Mongolia*, დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, შეაჩერა მოსარჩელის მიერ მოპასუხისთვის თანხის გადახდის ვალდებულება და მოპასუხეს დაავალა მოსარჩელისთვის ყადაღის დადებისგან თავის შეკავება, ამის პარალელურად კი მოსარჩელეს დაევალა უზრუნველყოფის ღონისძიების გარანტიის წარდგენა.<sup>590</sup>

სამოქალაქო საპროცესო კოდექსისგან განსხვავებით,<sup>591</sup> არბიტრაჟის შესახებ კანონით არ არის გათვალისწინებული თუ რა ვადაში უნდა განახორციელოს მხარემ უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენა. შესაბამისად, არბიტრაჟი თავად არის უფლებამოსილი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებების გათვალისწინებით განსაზღვროს გარანტიის წარდგენის ვადა. ქართულ რეალობაში არბიტრაჟის მიერ ვადის განსაზღვრისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, „მოპასუხეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა დააზღვიოს უზრუნველყოფის ღონისძიებიდან მომდინარე ქონებრივი ზიანი, ხოლო მოსარჩელისათვის დადგენილი ვადა უნდა იყოს გონივრული და მას აძლევდეს რეალურ შესაძლებლობას მოახდინოს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფა. მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფისათვის განსაზღვრული ვადა, გარდა მოპასუხის ინტერესების დაცვისა, მიმართული უნდა იყოს ასევე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შენარჩუნებისაკენ და მოსარჩელეს უნდა მიეცეს რეალური და არა ფორმალური შესაძლებლობა განახორციელოს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველსაყოფად განსაზღვრული სამართლებრივი მოქმედება.“<sup>592</sup>

არბიტრაჟის შესახებ კანონით, ასევე არ არის გათვალისწინებული თუ რა რეაგირება უნდა მოახდინოს არბიტრაჟმა იმ შემთხვევაში, თუ მხარე ვერ განახორციელებს უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენას არბიტრაჟის მიერ

<sup>590</sup> *Sergei Paushok, CJCS Golden East Compnay, CJSC Vostokneftegaz Compnay v. The Government of Mongolia*, Order on Interim Measures, 2008.

<sup>591</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199.2 მუხლის თანახმად, პირი, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ვალდებულია უზრუნველყოს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურება სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს. გასათვალისწინებელია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მსგავსი რეგულირება წარმოადგენს სიახლეს და დადგინდა 2018 წლის 4 აპრილის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე. მანამდე არსებული მონესრიგების თანახმად, გარანტიის წარმოდგენის ვადა იყო 7 დღე და სასამართლოს არ ჰქონდა შესაძლებლობა გაეზარდა ან შეემცირებინა აღნიშნული ვადა საქმის გარემოებების გათვალისწინებით, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს 2017 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით, საქმეზე #2/6/746, შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ცნობილ იქნა არაკონსტიტუციურად.

<sup>592</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე #2/6/746, შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

დადგენილ ვადაში. ამისგან განსხვავებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მხარე ვერ უზრუნველყოფს გარანტიის წარდგენას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, სასამართლო დაუყოვნებლივ იღებს გადაწყვეტილებას უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ.<sup>593</sup>

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად, არბიტრაჟი უფლებამოსილია, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევს, შეცვალოს, შეაჩეროს ან გააუქმოს მის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით ან განსაკუთრებულ შემთხვევებში, მხარეთათვის წინასწარ შეტყობინების შემდეგ, თავისი ინიციატივით. შესაბამისად, არბიტრაჟი უფლებამოსილია ასეთი შემთხვევა მიიჩნიოს განსაკუთრებულ შემთხვევად და თუ მხარე ვერ განახორციელებს უზრუნველყოფის ღონისძიების გარანტიის წარმოდგენას დადგენილ ვადაში, ისარგებლოს არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით და შეცვალოს, შეაჩეროს ან გააუქმოს მის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ არბიტრაჟმა ავტომატურად არ მიიღოს გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ, როგორც ამას ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, არსებული გარემოებების გათვალისწინებით მოხდეს აღნიშნული საკითხის შეფასება და გადაწყვეტა. ვინაიდან, შესაძლებელია არსებობდეს შემთხვევა, როდესაც მოსარჩელის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების წარუდგენლობის მიუხედავად აუცილებელი იყოს გამოყენებული უზრუნველყოფის შენარჩუნება.

მართალია, არბიტრაჟის შესახებ კანონი არ განსაზღვრავს არბიტრაჟის მიერ რა რეაგირება უნდა მოჰყვეს უზრუნველყოფის გარანტიის წარუდგენლობას, თუმცა ადგენს, რომ აღნიშნული შეიძლება გახდეს უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე უარი თქმის საფუძველი.<sup>594</sup> ამ რეგულირების მიზანია დაიცვას მხარე, რომლის წინააღმდეგაც იქნა მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიება.<sup>595</sup> თუმცა, შესაძლებელია აღნიშნულ მოწესრიგებას ნეგატიური ეფექტიც ჰქონდეს. კერძოდ, როგორც აღინიშნა, იმ შემთხვევაში თუ მხარე ვერ განახორციელებს უზრუნველყოფის ღონისძიების წარდგენას არბიტრაჟისთვის, არბიტრაჟი არ არის ვალდებული ავტომატურად მიიღოს გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ, შესაბამისად, არსებული გარემოებების გათვალისწინებით, არბიტრაჟი უფლებამოსილია ძალაში დატოვოს გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება. თუმცა, ამ საკანონმდებლო

<sup>593</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 199.2.

<sup>594</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 22.1.ა.ბ.

<sup>595</sup> Binder P., *International Commercial Arbitration and Conciliation in UNCITRAL Modal Law Jurisdiction*, Thomson Reuter, Third edition, 2009, p. 271. ასევე, A/CN.9/573 - Report of the Working Group on Arbitration and Conciliation on the work of its forty-second session, 10-14 January 2005, para. 75.

დანაწესის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არბიტრაჟი მიიღებს გადაწყვეტილებას გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ძალაში დატოვების შესახებ, უზრუნველყოფის ღონისძიება შესაძლებელია დარჩეს აღუსრულებელი, ვინაიდან სასამართლო უარს იტყვის მის ცნობა-აღსრულებაზე.

## 7.2. სასამართლოს უფლებამოსილება უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენებისას

ქართული კანონმდებლობა, არბიტრაჟის გარდა, სასამართლოსაც ანიჭებს უფლებამოსილებას, უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების ეტაპზე მხარეს, რომელიც შეამდგომლობს არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე, დაავალოს უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენა.<sup>596</sup> ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ UNCITRAL-ის მოდელური კანონისგან განსხვავებით, ქართული სასამართლო ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს. UNCITRAL-ის მოდელური კანონი სასამართლოს მსგავს უფლებამოსილებას ანიჭებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არბიტრაჟს არ გადაუწყვიტავს/უმსჯელია უზრუნველყოფის ღონისძიების გარანტიის წარდგენის საკითხზე ან თუ ასეთი გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია მესამე პირთა უფლებების დაცვის მიზნით.<sup>597</sup>

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი კი ასეთ დათქმას არ მოიცავს, შესაბამისად, სასამართლოს იმ შემთხვევაშიც კი ანიჭებს უფლებამოსილებას მხარეს დაავალოს უზრუნველყოფის ღონისძიების გარანტიის წარმოდგენა, როდესაც არბიტრაჟმა იმსჯელა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ დავალებოდა მხარეს გარანტიის წარმოდგენა.

სასამართლოს მხრიდან, სამოქალაქო სამართალწარმოებაში უზრუნველყოფის ღონისძიების გარანტიის გამოყენება არ არის უცხო. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.<sup>598</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „კანონის მითითებული დანაწესი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისაგან მოპასუხის თავდასაცავ მექანიზმს ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ამა თუ იმ სახის ღონისძიების გამოყენების შედეგი მოპასუხისათვის ზიანის მომტანია. ასეთ დროს

<sup>596</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 22.3. ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 356<sup>17</sup>.3.

<sup>597</sup> UNCITRAL-ის მოდელური კანონი, მუხლი 17H.3.

<sup>598</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 199.

დასაშვებია, მოსარჩელეს მოეთხოვოს ობიექტურად სავარაუდო ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. სასამართლო საკუთარი ინიციატივით ამოქმედებს აღნიშნულ მექანიზმს მხოლოდ მაშინ, თუ მოპასუხისათვის ზიანის მიყენების საფრთხე აშკარაა, წინააღმდეგ შემთხვევაში მითითებული გარემოების სარწმუნოდ დადასტურების ტვირთი მოპასუხეს ეკისრება“.<sup>599</sup>

არც არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი და არც საპროცესო კანონმდებლობა, არ ადგენს სასამართლოსთვის არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გარანტიის წარდგენის ვადას და არ განსაზღვრავს იმ სამართლებრივ შედეგებს, რაც შეიძლება დადგეს იმ შემთხვევაში თუ მხარეს ვერ უზრუნველყოფს გარანტიის წარდგენას.

ვადასთან მიმართებით, მიზანშეწონილია, რომ კანონის ანალოგიით,<sup>600</sup> სასამართლომ იხელმძღვანელოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლით დადგენილი წესით, რომლის მიხედვითაც, პირი, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ვალდებულია უზრუნველყოს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურება სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს.

მხარის მიერ გარანტიის წარუდგენლობის შემთხვევაში სამართლებრივი შედეგის განსაზღვრისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა ეტაპზე ვერ შეასრულებს მხარე აღნიშნულ ვალდებულებას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>17.4</sup> მუხლის თანახმად, სასამართლოს მხარის განცხადების წარმოებაში მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოაქვს განჩინება არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ სასამართლომ მხარეს უზრუნველყოფის ღონისძიების გარანტიის წარდგენა დაავალოს იქამდე, სანამ მიიღებს განჩინებას უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების შესახებ.

ქართული კანონმდებლობა არ ადგენს შეზღუდვას, რომ სასამართლო მხოლოდ მას შემდეგ არის უფლებამოსილი დაავალოს მხარეს უზრუნველყოფის ღონისძიების წარდგენა, რაც განახორციელებს გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებას.<sup>601</sup> შესაბამისად, თუ მხარე ვერ განახორციელებს გარანტიის წარდგენას დადგენილ ვადაში, აღნიშნული შეიძლება გახდეს არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი. მართალია, აღნიშნული პირდაპირ არ

<sup>599</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 ივლისის განჩინება, საქმეზე #ას-1041-2018.

<sup>600</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 7.

<sup>601</sup> იხ. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 21.3 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 356<sup>17.3</sup>.

არის გათვალისწინებული ქართული კანონმდებლობით, თუმცა აღნიშნული გამომდინარეობს არბიტრაჟის შესახებ კანონის კანონის 22-ე მუხლიდან, რომლის თანახმადაც თუ მხარემ არ შეასრულა არბიტრაჟის გადაწყვეტილება უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენის შესახებ, აღნიშნული წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველს.<sup>602</sup>

თუ მხარემ არ შეასრულა უზრუნველყოფის ღონისძიების წარდგენის ვალდებულება, მას შემდეგ, რაც განხორციელდება სასამართლოს მხრიდან უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულება, სასამართლომ შესაძლებელია აქაც იხელმძღვანელოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის ანალოგიით. მითითებული ნორმის თანახმად, თუ მხარე არ წარადგენს უზრუნველყოფის ღონისძიების გარანტიას, სასამართლო დაუყოვნებლივ გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ და გააუქმებს მისივე განჩინებას გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების შესახებ. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ გააუქმოს სწორედ მისი განჩინება უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების შესახებ და არა არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება. ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობა სასამართლოს მხრიდან არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას არ ითვალისწინებს.<sup>603</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მიხედვით დაუშვებელია ამ კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოს რაიმე სახით ჩარევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ამ კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მხრიდან უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენის მხარისთვის დავალდებულება გარკვეულწილად, წარმოადგენს საარბიტრაჟო განხილვაში ჩარევის შემთხვევას და ითავსებს არბიტრაჟის ფუნქციებს, ეს იმ პირობებში, როდესაც უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებისას სასამართლო სრულად არ ფლობს საქმის მასალებს და მხოლოდ შეზღუდული ინფორმაცია აქვს საქმის გარემოებების შესახებ. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს მხრიდან ამ უფლებამოსილების განხორციელება მოხდეს, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც აშკარაა, რომ არსებობს მხარისთვის ზიანი მიყენების საფრთხე.

<sup>602</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 22.1.ა.ბ.

<sup>603</sup> საგულისხმოა, რომ არბიტრაჟის საბოლოო გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, კანონი სასამართლოს არ ანიჭებს უფლებამოსილებას მიიღოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ. იხ.: არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 42-ე მუხლი. გამონაკლის შემთხვევა იხ. დისერტაციის თავი IX, ქვეთავი 2.

## IX. უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა, შეჩერება და გაუქმება

### 1. მხარეთა მოთხოვნით ან არბიტრაჟის ინიციატივით ღონისძიების შეცვლა, შეჩერება და გაუქმება

ქართული კანონმდებლობით აღიარებულია არბიტრაჟის უფლებამოსილება შეცვალოს, შეაჩეროს ან გააუქმოს მის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები.<sup>604</sup> არბიტრაჟი ამ უფლებამოსილებით სარგებლობს, როგორც მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე საკუთარი ინიციატივითაც (*ex officio*).<sup>605</sup> აღნიშნული რეგულირება სრულად ეფუძნება UNCITRAL-ის მოდელურ კანონს<sup>606</sup> და გამოიყენება საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ.<sup>607</sup>

UNCITRAL-ის მოდელური კანონის შემუშავებისას მსჯელობის საგანი იყო, უნდა ჰქონოდა თუ არა არბიტრაჟს უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის, შეჩერების და გაუქმების უფლება თავისი ინიციატივით.<sup>608</sup> ერთი მოსაზრების თანახმად, არბიტრაჟს აღნიშნული უფლებამოსილება გააჩნდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე მოითხოვდა ამას და თავისი ინიციატივით არბიტრაჟს არ უნდა მიეღო მსგავსი გადაწყვეტილება.<sup>609</sup> აღნიშნული განპირობებული იყო ორი ძირითადი არგუმენტით. პირველი, მხარეს რომლის სასარგებლოდაც გამოყენებულია უზრუნველყოფის ღონისძიება, აქვს ლეგიტიმური მოლოდინი იმისა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება ძალაში იქნება დავის მიმდინარეობისას და მხარის მოთხოვნის საფუძველზე გაცემული უზრუნველყოფის ღონისძიება, შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ მონინაალმდევე მხარის მოთხოვნით.<sup>610</sup> მეორე, არბიტრაჟის მიერ თავისი ინიციატივით უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებამ/შეცვლამ შესაძლებელია ეჭვის ქვეშ დააყენოს მისი მიუკერძოებლობა და ზედმეტად დაიცვას მეორე მხარის ინტერესები.<sup>611</sup> ამის სანინაალმდეგოდ, სამუშაო ჯგუფში გამოითქვა მოსაზრება, რომ არბიტრაჟისთვის მსგავსი უფლებამოსილების მინიჭება

<sup>604</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 19.

<sup>605</sup> Roth M., "Commentary on the UNCITRAL Modal Law", "Practitioner's Handbook on International Commercial Arbitration" Edited by Frank-Bernd Weigand, Second edition, Oxford University Press, 2009, p. 1043.

<sup>606</sup> UNCITRAL-ის მოდელური კანონი, მუხლი 17D.

<sup>607</sup> *Chevron Corporation and Texaco Petroleum Corporation v. The Republic of Ecuador*, UNCITRAL, PCA Case No. 2009-23, Order on Interim Measures, 14 May of 2010, p. 5, para. 2.

<sup>608</sup> Caron D., Caplan L., *The UNCITRAL Arbitration Rules*, Oxford University Press, 2013, pp. 525-526.

<sup>609</sup> A/CN.9/545 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its thirty-ninth session, 10-14 November 2003, para. 37.

<sup>610</sup> იქვე, ასევე, იხ.: Holtzmann H.M., Neuhaus J.E., Kristjansdottir E., & Walsh Th.W., *A Guide to the 2006 Amendments to the the UNCITRAL Model Law on International Arbitration*, Kluwer Law International, 2015, p. 176.

<sup>611</sup> Choong J., Weermantry R., *The Hong Kong Arbitration Ordinance*, Second Edition, Sweet & Maxwell 2015, p. 242.

აუცილებელია, რათა არბიტრაჟმა გამოასწოროს სერიოზული შეუსაბამობა, განსაკუთრებით მაშინ თუ გამოვლინდება განმცხადებლის მხრიდან უზრუნველყოფის ღონისძიების ბოროტად გამოყენების შემთხვევა.<sup>612</sup> ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით სამუშაო ჯგუფი შეჯერდა, რომ არბიტრაჟი უფლებამოსილია თავისი ინიციატივით გააუქმოს, შეცვალოს ან შეაჩეროს უზრუნველყოფის ღონისძიება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, მხარეთათვის წინასწარი შეტყობინებით,<sup>613</sup> რაც ასახულია ქართულ კანონმდებლობაში.<sup>614</sup>

მხარის მოთხოვნის შემთხვევაში არბიტრაჟის უფლებამოსილებაა, მიიღოს გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის, შეჩერების ან გაუქმების შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ შეიცვალა ის გარემოებები, რაც გახდა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი.<sup>615</sup>

## **2. სასამართლოს მხრიდან არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება**

არბიტრაჟის უფლებამოსილება განახორციელოს უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა, შეჩერება და გაუქმება ვრცელდება მხოლოდ მის მიერ გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებაზე და მას არ აქვს უფლება შეცვალოს, შეაჩეროს ან/და გაუქმოს სხვა საარბიტრაჟო ტრიბუნალის ან/და სასამართლოს მიერ მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიება.<sup>616</sup> ზოგადი პრინციპის გათვალისწინებით და არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, არც სასამართლოა უფლებამოსილი გააუქმოს/შეცვალოს არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, მისი უფლებამოსილება შემოიფარგლება უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე გადაწყვეტილების მიღებით.<sup>617</sup> მიუხედავად ამისა, ქართული რეალობის გათვალისწინებით, შესაძლებელია, რომ სასამართლოს მოუწიოს მსჯელობა არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ.

---

<sup>612</sup> Choong J., Weermantry R., *The Hong Kong Arbitration Ordinance*, Second Edition, Sweet & Maxwell 2015, p. 242.

<sup>613</sup> A/CN.9/545 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its thirty-ninth session, 10-14 November 2003, para. 39.

<sup>614</sup> იხ. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 19.

<sup>615</sup> Schwarz F., Konard Ch., *The Vienna Rules, A Commentary on International Arbitration in Austria*, Kluwer Law International, 2009, p. 566. ასევე, Webster Th. H., *Handbook of UNCITRAL Arbitration*, Second edition, Thomson Reuters, 2015, p. 416.

<sup>616</sup> Holtzmann H.M., Neuhaus J.E., Kristjansdottir E., & Walsh Th.W., *A Guide to the 2006 Amendments to the the UNCITRAL Model Law on International Arbitration*, Kluwer Law International, 2015, p. 176.

<sup>617</sup> იხ. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მუხლები 21-22. ასევე, დისერტაციის თავი VI, ქვეთავი 3.



ერთ-ერთ საქმეზე მხარემ მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ, იმ დასაბუთებით, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიმღებმა არბიტრაჟმა მას განუმარტა, რომ მას შეჩერებული აქვს საქმიანობა და მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს მხარის განცხადებაზე უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ.<sup>618</sup>

თბილისის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული განცხადება არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საკითხზე უნდა იმსჯელოს არბიტრაჟმა ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით ან განსაკუთრებულ შემთხვევებში, მხარეთათვის წინასწარი შეტყობინების შემდეგ, თავისი ინიციატივით. განმცხადებლის მითითებასთან დაკავშირებით, რომ არბიტრაჟს შეჩერებული აქვს ფუნქციონირება, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მენარმე სუბიექტის საქმიანობის შეჩერებას.<sup>619</sup>

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება გასაჩივრებულ იქნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, საკასაციო სასამართლომ კი მიუთითა, რომ „სსსკ-ის 199-ე მუხლზე მითითებით განმარტავს, რომ ამ მუხლით სასამართლოს გადაწყვეტილებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა გაუქმების წინაპირობებია განსაზღვრული. სააპელაციო სასამართლომ ისე უთხრა უარი საჩივრის ავტორს უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე, რომ არ გამოკვლევიდა, არსებობდა თუ არა უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების წინაპირობები, სასამართლოს არსებითად არც კი უმსჯელია უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძვლიანობაზე“.<sup>620</sup> უზენაესი სასამართლოს მხრიდან საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნდა ხელახლა განსახილველად. მართალია, უზენაეს სასამართლოს არსებითად არ გადაუწყვიტავს საკითხი და თავად არ გაუუქმებია არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილებით მან მიიჩნია, რომ სასამართლოს უფლება აქვს იმსჯელოს და გადაწყვეტილება მიიღოს ამ საკითხზე.

ამ შემთხვევის გათვალისწინებით, რომელიც დამახასიათებელია ქართული რეალობისთვის (არბიტრაჟის მიერ საქმიანობის შეჩერება), მიზანშეწონილია სასამართლოს მიენიჭოს უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ. მხარის უფლებები, რომლის წინააღმდეგაც გამოყენებულია უზრუნველყოფის ღონისძიება

<sup>618</sup> იხ. უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება, საქმეზე ას-1383-1303-2017.

<sup>619</sup> იქვე.

<sup>620</sup> იქვე.

უსაფუძვლოდ არ უნდა შეიზღუდოს, როცა აღარ არსებობს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების პირობები. აღნიშნული საკითხი, ასევე აქტუალურია იმ შემთხვევაში, როდესაც უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებულია *Ad hoc* არბიტრაჟი მიერ, რომლიც სხვადასხვა მიზეზით<sup>621</sup> ვერ ახერხებს იმსჯელოს გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებაზე.

სასამართლოსთვის მსგავსი უფლებამოსილების მინიჭება მხოლოდ ისეთ გამონაკლის შემთხვევებშია გამართლებული, როდესაც არბიტრაჟს ობიექტურად არ აქვს შესაძლებლობა იმსჯელოს გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ ან უარს ამბობს შუამდგომლობის განხილვაზე.

---

<sup>621</sup> ამის თვალსაჩინო მაგალითი შეიძლება იყოს დავის განმხილველი არბიტრის გარდაცვალება.

## X. ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება

### 1. არბიტრაჟისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარეებს მოსთხოვოს იმ ინფორმაციის დაუყოვნებლივ განცხადება, რომელიც უკავშირდება იმ გარემოებათა არსებით ცვლილებებს, რომელთა საფუძველზეც მოხდა უზრუნველყოფის ღონისძიებების მოთხოვნა ან გამოყენება.<sup>622</sup> არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება არსებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებას, რომლის საფუძველზეც არბიტრაჟი იღებს გადაწყვეტილებს. შესაბამისად, გარემოებები, რომლებიც საფუძველად დაედო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას შესაძლებელია შეიცვალოს, სწორედ ამიტომ, არბიტრაჟს ენიჭება უფლებამოსილება მხარისგან მოითხოვოს ინფორმაციის წარდგენა, გარემოებათა არსებითი ცვლილების შესახებ, რათა დარწმუნდეს, რომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების არსებობა გამართლებულია.<sup>623</sup> ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მხარეს არ აქვს ნებისმიერ ინფორმაციის გაცხადების ვალდებულება და მხოლოდ არსებითი გარემოებების შესახებ შეტყობინებას ითვალისწინებს კანონი.<sup>624</sup> აღნიშნული მუხლი არ მოიცავს მხარის ვალდებულებას შეცვლილი გარემოების შესახებ ინფორმაცია არბიტრაჟთან ერთად წარუდგინოს მეორე მხარესაც.<sup>625</sup>

მნიშვნელოვანია, რომ არბიტრაჟმა აღნიშნული უფლებამოსილება ისე განახორციელოს, რომ არ დაირღვეს საარბიტრაჟო განხილვისას მხარეთა თანასწორობა, მხარეს არ გაუჩნდეს იმის განცდა, რომ არბიტრაჟი მეორე მხარის ინტერესებით მოქმედებს და არბიტრაჟმა არ დაკარგოს სამართლიანი არბიტრის ფუნქცია. არბიტრაჟის შესახებ კანონი არ განსაზღვრავს იმ სამართლებრივ შედეგს, რაც შეიძლება დადგეს იმ შემთხვევაში თუ მხარეს არ შეასრულებს არბიტრაჟის მითითებას ინფორმაციის წარდგენის შესახებ. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ არბიტრაჟის მიერ „სანქციის“ სახით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა/გაუქმება<sup>626</sup> ან/და მხარისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება საბოლოო გადაწყვეტილებით.<sup>627</sup>

<sup>622</sup> იხ. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 20.

<sup>623</sup> Caron D., Caplan L., *The UNCITRAL Arbitration Rules*, Oxford University Press, 2013, p. 527.

<sup>624</sup> Roth M., “Commentary on the UNCITRAL Modal Law”, “Practitioner’s Handbook on International Commercial Arbitration” Edited by Frank-Bernd Weigand, Second edition, Oxford University Press, 2009, p. 1041. ასევე, A/CN.9/569 - Report of the Working Group on Arbitration and Conciliation on the work of its forty-first session, 13-17 September 2004, para. 68.

<sup>625</sup> Caron D., Caplan L., *The UNCITRAL Arbitration Rules*, Oxford University Press, 2013, p. 527.

<sup>626</sup> Holtzmann H.M., Neuhaus J.E., Kristjansdottir E., & Walsh Th.W., *A Guide to the 2006 Amendments to the the UNCITRAL Model Law on International Arbitration*, Kluwer Law International, 2015, p. 180.

<sup>627</sup> Choong J., Weermantry R., *The Hong Kong Arbitration Ordinance*, Second Edition, Sweet & Maxwell 2015, p. 242.

## 2. სასამართლოსთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი გარდა არბიტრაჟისთვის ინფორმაციის წარდგენისა, ადგენს მხარის ვალდებულებას, რომელიც მიმართავს სასამართლოს შუამდგომლობით არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობისა და აღსრულების შესახებ, ან რომლის შუამდგომლობაც დააკმაყოფილა სასამართლომ, დაუყოვნებლივ აცნობოს სასამართლოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერებას, შეცვლას ან გაუქმებას.<sup>628</sup> აღნიშნული მუხლის მიზანია, სასამართლო იყოს ინფორმირებული გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების სამართლებრივი სტატუსის შესახებ და მისი გაუქმების, შეცვლის თუ შეჩერების შემთხვევაში განახორციელოს შესაბამისი მოქმედება.<sup>629</sup> კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება განხორციელდება უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებამდე, აღნიშნული წარმოადგენს მის ცნობა-აღსრულებაზე უარი თქმის საფუძველს,<sup>630</sup> ხოლო თუ სასამართლოს მიერ ცნობა-აღსრულების შემდგომ ხდება უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება, სასამართლო ახორციელებს უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ცნობა-აღსრულებას.<sup>631</sup>

არბიტრაჟის შესახებ კანონი არ ადგენს იმ სამართლებრივ შედეგს, რაც დგება იმ პირობებში თუ მხარე არ მოახდენს სასამართლოს ინფორმირებას. UNCITRAL-ის სამუშაო ჯგუფის მიერ აღნიშნული საკითხი სპეციალურად არ იქნა რეგულირებული და განიმარტა, რომ აღნიშნული საკითხი ექვემდებარება ადგილობრივი კანონმდებლობის მხრიდან მონესრიგებას.<sup>632</sup> თუმცა, ქართული კანონმდებლის მიერ ეს საკითხი არ იქნა მონესრიგებული. ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, მხარე უფლებამოსილია ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს სამოქალაქო სამართლის ზოგადი წესების შესაბამისად, რომელიც ვრცელდება უზრუნველყოფის ღონისძიების შედეგად მიყენებულ ზიანზე.<sup>633</sup> თუმცა, აღნიშნული მოსაზრება შესაძლებელია სადავოც იყოს, ვინაიდან, თუ არბიტრაჟი იღებს გადაწყვეტილებას უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ აღნიშნული ასევე ცნობილი ხდება იმ მხარისთვის, რომლის წინააღმდეგაც იყო გამოყენებული

<sup>628</sup> იხ. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 21.3.

<sup>629</sup> Holtzmann H.M., Neuhaus J.E., Kristjansdottir E., & Walsh Th.W., A Guide to the 2006 Amendments to the the UNCITRAL Model Law on International Arbitration, Kluwer Law International, 2015, p. 183.

<sup>630</sup> იხ. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 22.1.ა)გ.

<sup>631</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 22 მაისის განჩინება, საქმეზე #2ბ/3020-18.

<sup>632</sup> A/CN.9/524 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its thirty-eighth session, 12-16 May 2003, para. 68.

<sup>633</sup> Binder P., International Commercial Arbitration and Conciliation in UNCITRAL Modal Law Jurisdiction, Thomson Reuter, Third edition, 2009, p. 268.

უზრუნველყოფის ღონისძიება, შესაბამისად მას აქვს სრული შესაძლებლობა მიმართოს სასამართლოს და მოითხოვს უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ცნობა-აღსრულება. იმ შემთხვევაში, თუ მხარე რომლის ინტერესებშიც შედის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება, არ მიმართავს სასამართლოს და არ იმოქმედებს თავისი ინტერესების დასაცავად, ამისგან გამონწვეული ზიანის დაკისრება მეორე მხარისთვის, არათანაზომიერად შეზღუდავს მის უფლებებს და დაარღვევს მხარეთ შორის თანასწორობის პრინციპს.<sup>634</sup>

---

<sup>634</sup> იხ. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 3.

## XI. უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა და აღსრულება

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების რეჟიმს. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვს სავალდებულო ძალა და ისინი უნდა აღსრულდეს სასამართლოსთვის მიმართვის გზით მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნა გამოტანილი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის აღნიშნული ღონისძიებების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება. თუ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების აღსრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოსთვის მიმართვას არ საჭიროებს, არბიტრაჟი უფლებამოსილია დაადგინოს მათი აღსრულების განსხვავებული წესი.<sup>635</sup>

უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების რეჟიმი დეტალურად მოწესრიგდა UNCITRAL-ის მოდელური კანონის 2006 წლის ცვლილებების შემდგომ, რომლის თანახმადაც არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა აღსრულდეს სასამართლოსთვის მიმართვის გზით, თუ არბიტრაჟის მიერ სხვაგვარად არ იქნება დადგენილი.<sup>636</sup> მიუხედავად იმისა, რომ ქართული კანონმდებლობა პრინციპულად იზიარებს UNCITRAL-ის მოდელური კანონის მიდგომას, არბიტრაჟის შესახებ კანონი გვთავაზობს ბუნდოვან რეგულირებას, რამაც შესაძლოა არასწორი ინტერპრეტაციისა და პრაქტიკის დამკვიდრებას შეუწყოს ხელი.

### 1. ცნობა-აღსრულების მიზანი

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ისტორიულად არსებობდა ტენდენცია მხარეთა მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების ნებაყოფლობითი აღსრულებისა.<sup>637</sup> ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, მხარეები ცდილობენ არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება აღასრულონ ნებაყოფლობით, რათა ანტაგონისტურად არ განაწყონ არბიტრები, რომელთაც უნდა მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება ან თავი აარიდონ საბოლოო გადაწყვეტილებით დამატებით ზიანის ანაზღაურების დაკისრებას.<sup>638</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარეებს დააკისროს ფინანსური სანქციები, მათ შორის, უზრუნველყოფის ღონისძიების შეუსრულებლობის ყოველ ვადაგადაცილებულ

<sup>635</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი. 21

<sup>636</sup> UNCITRAL-ის მოდელური კანონი, მუხლი 17 H (1).

<sup>637</sup> Born G., *International Commercial Arbitration*, Volume II, Kluwer Law International, 2009, p. 2019.

<sup>638</sup> Kaufmann – Kohler G., Rigozzi A., *International Arbitration, Law and Practice in Switzerland*, Oxford University Press, 2015, p. 346.

დღემე, რაც მხარეს აიძულებს აღასრულოს არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება.<sup>639</sup>

თუმცა, საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ არბიტრაჟი მოკლებულია შესაძლებლობას თავად განახორციელოს უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულება,<sup>640</sup> ვინაიდან იგი არ ფლობს იძულებითი აღსრულების მექანიზმებს<sup>641</sup> და აღნიშნული განეკუთვნება სასამართლოს კომპეტენციას.<sup>642</sup> შვეიცარიის საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 183.2 მუხლის თანახმად, თუ მხარე ნებაყოფლობით არ ასრულებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, არბიტრაჟი უფლებამოსილია მიმართოს კომპეტენტურ სასამართლოს დასახმარებლად. აღნიშნული მუხლის საფუძველზე, შვეიცარიაში ერთნიშვნელოვანდ არის აღიარებული, რომ არბიტრაჟი არ ფლობს უფლებამოსილებას განახორციელოს უზრუნველყოფის ღონისძიების იძულებითი აღსრულება.<sup>643</sup> მსგავს მიდგომას იზიარებს, ავსტრიის<sup>644</sup> და გერმანიის<sup>645</sup> საარბიტრაჟო სამართალი და წარმოადგენს საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებულ სტანდარტს.<sup>646</sup>

სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულება ემსახურება საარბიტრაჟო წარმოების ეფექტიანობის შენარჩუნებას,<sup>647</sup> ვინაიდან თუ მხარე არაკეთილსინდისიერად იქცევა და თავისი ნებით არ ასრულებს არბიტრაჟის მიერ მიღებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, მოსარჩელე მხარეს ამ გზით ეძლევა შესაძლებლობა იძულებითი წესით უზრუნველყოს სამომავლო გადაწყვეტილების აღსრულება.

---

<sup>639</sup> Kaufmann – Kohler G., Rigozzi A., *International Arbitration, Law and Practice in Switzerland*, Oxford University Press, 2015, p. 346.

<sup>640</sup> Horvath G.J., Wilske S., Leinwather N., *Dealing with Guerrilla Tactics at Different Stages of an Arbitration*, *Guerrilla Tactics in International Arbitration*, edited by Horvath G., Wilske S., Kluwer Law International, 2013, pp. 45-46.

<sup>641</sup> Wang W., "International arbitration: The need for Uniform Interim measures of Relief", *International Dispute Resolution Case and Materials*, Carolina Academic Press, Second Edition, 2002, p. 139.

<sup>642</sup> Born G., *International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II*, Kluwer Law International, 2014, p. 2447.

<sup>643</sup> Kaufmann – Kohler G., Rigozzi A., *International Arbitration, Law and Practice in Switzerland*, Oxford University Press, 2015, p. 346.

<sup>644</sup> Schwarz F., Konard Ch., *The Vienna Rules, A Commentary on International Arbitration in Austria*, Kluwer Law International, 2009, p. 584.

<sup>645</sup> Kreindler R., Schafer J., *Interim Measures of Protection, Arbitration in Germany, The Model Law in Practice*, 2007, p. 270.

<sup>646</sup> Born G., *International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II*, Kluwer Law International, 2014, p. 2447.

## 2. ცნობა-აღსრულების საერთაშორისო სტანდარტი და ქართული მონესრიგება

### 2.1. ცნობა აღსრულების საერთაშორისო სტანდარტი

UNCITRAL-ის მოდელური კანონის თანახმად, არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა აღსრულდეს სასამართლოსთვის მიმართვის გზით, თუ არბიტრაჟის მიერ სხვა რამე არ იქნება დადგენილი.<sup>648</sup>

UNCITRAL-ის მოდელური კანონის 1985 წლის პირვანდელი რედაქცია არ არეგულირებდა აღნიშნულ საკითხს და კანონით არ იყო გათვალისწინებული სასამართლოს მხრიდან უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების წესი.<sup>649</sup> UNCITRAL-ის მოდელურ კანონში 2006 წელს შეტანილი ცვლილებების ერთ-ერთ მიზანს, სწორედ უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა წარმოადგენდა.<sup>650</sup>

სამუშაო ჯგუფი მუშაობის დასაწყისშივე აღნიშნავდა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ არბიტრებს არ აქვთ იძულებითი აღსრულების მექანიზმი – აღასრულონ უზრუნველყოფის ღონისძიებები, პრაქტიკოსები წლების განმავლობაში ამტკიცებენ, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულების საკითხი უნდა მოაწესრიგონ კანონმდებლებმა.<sup>651</sup> სამუშაო ჯგუფის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების რეჟიმის შექმნას, ამასთან აღინიშნა, რომ აღსრულების საკითხი იმ ფორმით უნდა ყოფილიყო დარეგულირებული, რომ არა მხოლოდ საარბიტრაჟო განხილვის ადგილას ყოფილიყო მისი აღსრულება შესაძლებელი, არამედ სხვა ქვეყნებშიც.<sup>652</sup> სამუშაო ჯგუფი ერთხმად აღნიშნავდა, რომ აღნიშნული საკითხის მონესრიგება არა მარტო იმიტომ იყო აუცილებელი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება ხშირი შემთხვევაა საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოებაში, არამედ არბიტრაჟის, როგორც ეფექტიანი დავის გადაწყვეტის საშუალების ეფექტიანობა დამოკიდებულია უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულებაზე.<sup>653</sup> აქედან გამომდინარე, სამუშაო ჯგუფის მიერ იქნა გადაწყვეტილება მიღებული, რომ შემუშავებულიყო ფართოდ მისაღები მოდელური კანონმდებლობა, რომელიც

<sup>648</sup> UNCITRAL-ის მოდელური კანონი, მუხლი 17 H (1).

<sup>649</sup> იხ.:UNCITRAL მოდელური კანონის 1985 წლის რედაქცია, მუხლი 17.

<sup>650</sup> A/CN.9/WG.II/WP.108 - Settlement of commercial disputes - Possible uniform rules on certain issues concerning settlement of commercial disputes: conciliation, interim measures of protection, written form for arbitration agreement, para. 73.

<sup>651</sup> იქვე.

<sup>652</sup> A/CN.9/485 - Report of the Working Group on Arbitration on the work of the thirty-third session, 20 November - 1 December 2000, para 77.

<sup>653</sup> A/CN.9/485 - Report of the Working Group on Arbitration on the work of the thirty-third session, 20 November - 1 December 2000, para 77.



მოაწესრიგებდა არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულების საკითხს.<sup>654</sup>

სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა მოწესრიგება, რომლის თანახმადაც, არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა აღსრულდეს სასამართლოსთვის მიმართვის გზით, თუ არბიტრაჟის მიერ სხვაგვარად არ იქნება დადგენილი.<sup>655</sup> მოდელური კანონის დათქმა, „თუ არბიტრაჟის მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი,“ არ გულისხმობს იმას, რომ არბიტრაჟი უფლებამოსილია თავად დაადგინოს სააღსრულებო ფურცლის გაცემა, არამედ სხვა მიზანს ემსახურება. სამუშაო ჯგუფში მსჯელობის საგანს წარმოადგენდა, საჭირო იყო თუ არა ცნობა-აღსრულებისთვის არბიტრაჟისაგან დამატებითი თანხმობის მიღება, მაშინ როცა არბიტრაჟს უკვე გამოცემული აქვს დადგენილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ.<sup>656</sup> არსებობდა მოსაზრება, რომ მსგავსი დამატებითი თანხმობა აუცილებელი იყო.<sup>657</sup> მეორე მოსაზრების თანახმად, მაშინ როდესაც არბიტრაჟი გასცემს დადგენილებას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, ეს ავტომატურად გულისხმობს მსგავსი თანხმობის არსებობას. ამასთან, დამატებითი თანხმობის გაცემის დანესების შემთხვევაში მხარეს კიდევ უფრო მეტი დრო დასჭირდებოდა რეალური შედეგის მისაღებად.<sup>658</sup>

საბოლოო ჯამში გადაწყდა, რომ ნორმას დამატებოდა ტერმინი „თუ არბიტრაჟის მიერ სხვა რამ იქნება დადგენილი,“ რაც გულისხმობს შემდეგს, არბიტრაჟის გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ ავტომატურად გულისხმობს, რომ მხარე უფლებამოსილია ცნობა-აღსრულებისთვის მიმართოს სასამართლოს. თუ ეს უფლებამოსილება იზღუდება რაიმე ფორმით, ამის შესახებ არბიტრაჟმა უნდა მიუთითოს გადაწყვეტილებაში/დადგენილებაში.<sup>659</sup> მოდელური კანონის სამუშაო ჯგუფის მიერ ასევე გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე, გავრცელებულიყო იგივე რეჟიმი, რაც საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე იმ სპეციფიკის

---

<sup>654</sup> იქვე.

<sup>655</sup> UNCITRAL-ის მოდელური კანონი მუხლი 17 H (1).

<sup>656</sup> Roth M., “Commentary on the UNCITRAL Modal Law”, “Practitioner’s Handbook on International Commercial Arbitration” Edited by Frank-Bernd Weigand, Second edition, Oxford University Press, 2009, p. 1043.

<sup>657</sup> A/CN.9/524 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its thirty-eighth session, 12-16 May 2003, para. 24-25.

<sup>658</sup> იქვე. para. 25.

<sup>659</sup> Roth M., “Commentary on the UNCITRAL Modal Law”, “Practitioner’s Handbook on International Commercial Arbitration” Edited by Frank-Bernd Weigand, Second edition, Oxford University Press, 2009, p. 1043.

გათვალისწინებით, რაც დაკავშირებულია უზრუნველყოფის ღონისძიებებთან.<sup>660</sup> სამუშაო ჯგუფის მიერ აღნიშნული რეჟიმი შერჩეულ იქნა იმის გათვალისწინებით, რომ ნიუ-იორკის კონვენციის და 1985 წლის მოდელური კანონის გავლენით, ეს მოდელი ცნობილია ბევრი სამართლებრივი სისტემისთვის, არის გამოცდილი და მუშაობს ეფექტიანად.<sup>661</sup>

მსგავსად აწესრიგებს აღნიშნულ საკითხს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა.<sup>662</sup> შვეიცარიის კანონმდებლობის თანახმად, თუ მხარე თავისი ნებით არ შეასრულებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, არბიტრაჟი უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით.<sup>663</sup> ინგლისის საარბიტრაჟო აქტის 42-ე მუხლი, ითვალისწინებს არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულებას სასამართლოს მიერ.<sup>664</sup> თუმცა, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებას დამოუკიდებლად არ აწესრიგებს, მას განიხილავს და აღასრულებს, როგორც საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, რაც იწვევს ბუნდოვანებას.<sup>665</sup> UNCITRAL-ის სამუშაო ჯგუფის მიერ ცალსახად იქნა დაფიქსირებული, რომ იმისდა მიუხედავად, თუ რა ფორმით იქნება გამოცემული უზრუნველყოფის ღონისძიება, გადაწყვეტილების თუ ბრძანების, უზრუნველყოფის ღონისძიება განსხვავდება საბოლოო გადაწყვეტილებისგან.<sup>666</sup>

## 2.2. ცნობა-აღსრულების ქართული მოწესრიგება

საქართველოში არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების საკითხის მოწესრიგება უკავშირდება არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის პირვანდელ რედაქციას, რომელიც მიღებულ იქნა 2009 წელს.<sup>667</sup> მოგვიანებით, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში 2015 წელს

---

<sup>660</sup> A/CN.9/524 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its thirty-eighth session, 12-16 May 2003, Par. 20

<sup>661</sup> იქვე.

<sup>662</sup> Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2416. ასევე იხ.: Kreindler R., Schafer J., Interim Measures of Protection, Arbitration in Germany, The Model Law in Practice, 2007, p. 270. Schwarz F., Konard Ch., The Vienna Rules, A Commentary on International Arbitration in Austria, Kluwer Law International, 2009, p. 584.

<sup>663</sup> შვეიცარიის საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონი, მუხლი 183.2.

<sup>664</sup> ინგლისის საარბიტრაჟო აქტი, 1996, para 42.

<sup>665</sup> Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume II, Kluwer Law International, 2014, p. 2511.

<sup>666</sup> A/CN.9/468 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its thirty-second session, 20-31 March 2000, para. 72.

<sup>667</sup> იხ. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 2009 წლის რედაქცია.

განხორცილებული ცვლილებები ასევე შეეხო აღნიშნულ საკითხს.<sup>668</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მონესრიგების პირობებში არსებობს გარკვეული ბუნდოვანება, რომელსაც ქვევით შევეხებით.

### 2.2.1. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 2009 წლის რეგულირება

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 2009 წლის პირველი რედაქციის 21.1 მუხლი შეიცავდა შემდეგი სახის რეგულირებას „არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვთ სავალდებულო ძალა და თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ისინი უნდა აღსრულდეს სასამართლოსთვის მიმართვის გზით“.<sup>669</sup> ქართული საარბიტრაჟო და სასამართლო პრაქტიკის თანახმად, სიტყვები „თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არის გათვალისწინებული“ განიმარტებოდა ისე, რომ მხარეებს ჰქონდათ უფლება საარბიტრაჟო შეთანხმებით არბიტრაჟისთვის მიენიჭებინათ უფლებამოსილება თავად გაეცა სააღსრულებო ფურცელი.<sup>670</sup> მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე, საარბიტრაჟო მოსარჩელემ მიმართა სასამართლოს არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების მოთხოვნით. სასამართლომ უარი თქვა განცხადების წარმოებაში მიღებაზე იმ დასაბუთებით, რომ მხარეთა შორის არსებობდა საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის თანახმადაც არბიტრაჟი იყო უფლებამოსილი თავად გაეცა სააღსრულებო ფურცელი, შესაბამისად სასამართლოსთვის მიმართვა საჭირო აღარ იყო.<sup>671</sup> მსგავსი მიდგომა არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტს და ეწინააღმდეგებოდა აღიარებულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც არბიტრაჟი არ ფლობს იძულებითი აღსრულების მექანიზმებს.<sup>672</sup>

### 2.2.2. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 2015 წლის ცვლილებების შემდგომი რეგულირება

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში 2015 წელს შეტანილი ცვლილებების შემდგომ კანონის ტექსტიდან ამოღებულ იქნა სიტყვები „თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არის გათვალისწინებული“ და მივიღეთ შემდეგი რეგულირება, რომ „არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვს სავალდებულო ძალა და ისინი უნდა აღსრულდეს სასამართლოსთვის მიმართვის გზით, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნა გამოტანილი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის აღნიშნული

<sup>668</sup> განმარტებითი ბარათი, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე. საქართველოს 2015 წლის 18 მარტის კანონი არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, №3218.

<sup>669</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 2009 წლის რედაქცია, მუხლი 21.1.

<sup>670</sup> Tsertsvadze G., Brief Commentary to the Georgian Arbitration Law 2009, Tbilisi, 2011, p. 140.

<sup>671</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 1 ივლისის განჩინება, საქმეზე N 2ბ/3450-13.

<sup>672</sup> დეტალურად იხ. დისერტაციის თავი XI, ქვეთავი 1.

ლონისძიებების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება“. თუმცა, ამ მოწესრიგებას დაემატა შემდეგი წინადადება „თუ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების აღსრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოსთვის მიმართვას არ საჭიროებს, არბიტრაჟი უფლებამოსილია დაადგინოს მათი აღსრულების განსხვავებული წესი.“<sup>673</sup>

აღნიშნული კანონპროექტის განმარტებითი ბარათი არ მოიცავს განმარტებას თუ რით იყო განვირობებული აღნიშნული ცვლილება და რა მიზანს ემსახურებოდა.<sup>674</sup> საქართველოს პარლამენტში კანონპროექტის განხილვისას კანონპროექტის ავტორის, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლისგან გაკეთდა განმარტება, რომ კანონის ჩანაწერი „თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არის გათვალისწინებული“ ზედმეტად ფართო უფლებამოსილებას ანიჭებდა მხარეებს და მსგავსი რეგულაცია არ იყო შესაბამისობაში UNCITRAL-ის მოდელურ კანონთან.<sup>675</sup> შესაბამისად, აღნიშნული ცვლილების მიზანიც, სწორედ UNCITRAL-ის მოდელურ კანონთან დაახლოება იყო.

მიუხედავად საკანონმდებლო ცვლილების მიზნისა, ცვლილება, რომლის მიხედვითაც, „თუ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების აღსრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოსთვის მიმართვას არ საჭიროებს, არბიტრაჟი უფლებამოსილია დაადგინოს მათი აღსრულების განსხვავებული წესი“ არ არის ნათელი. ბუნდოვანია, საქართველოს სხვა რომელმა კანონმა უნდა მოაწესრიგოს საკითხი არბიტრაჟის მიერ გაცემული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების შესახებ. არბიტრაჟის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის თანახმად, ეს კანონი ადგენს საქართველოში არბიტრაჟის შექმნის, საარბიტრაჟო წარმოების, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების, აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების წესებს. შესაბამისად, სწორედ აღნიშნულმა კანონმა უნდა დაარეგულიროს არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების საკითხი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი პირდაპირ მითითებას აკეთებს არბიტრაჟის შესახებ კანონზე და ადგენს, რომ „არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვს სავალდებულო ძალა და ისინი უნდა აღსრულდეს არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით“.<sup>676</sup> სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს არბიტრაჟის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემას. აღნიშნული კანონის 21.4 მუხლის თანახმად „სააღსრულებო

<sup>673</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 21.1.

<sup>674</sup> განმარტებითი ბარათი, „არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე.

<sup>675</sup> კანონპროექტის საპარლამენტო განხილვის I მოსმენის აუდიო ჩანაწერი ხელმისაწვდომია.: <https://info.parliament.ge/#law-drafting/7666>

<sup>676</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 356<sup>17</sup>.1.

ფურცელი დამონმებული უნდა იქნეს გადაწყვეტილების მიმღები პირის ხელმოწერითა და ბეჭდით, გარდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისა, როდესაც სააღსრულებო ფურცელი დამონმებული უნდა იქნეს სააღსრულებო ფურცლის გამცემი სასამართლოს მიერ“.

შესაბამისად, არბიტრაჟის შესახებ კანონის მსგავსი რეგულირება ქმნის ბუნდოვანებას, რითაც სარგებლობს საქართველოში მოქმედი ზოგიერთი არბიტრაჟი და ითვალისწინებენ უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულებას სასამართლო კონტროლის გარეშე. მაგალითად, საარბიტრაჟო ინსტიტუტების წესები მოიცავს შემდეგი სახის ჩანაწერს: „არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვთ სავალდებულო ძალა და მათი აღსრულება დასაშვებია არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე სასამართლოსთვის მიმართვისა და სასამართლოს მიერ ცნობის გარეშე“.<sup>677</sup> ასევე “სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მიღებულ არბიტრაჟის განჩინებას (დადგენილებას) აქვს სავალდებულო ძალა და უნდა აღსრულდეს დაუყოვნებლივ, სასამართლოსათვის მისი ცნობა-აღსრულების მიზნით მიმართვის გარეშე“.<sup>678</sup> თუმცა, არსებობს საარბიტრაჟო ინსტიტუტების წესები, რომლებიც მსგავსი სახის მოწესრიგებას არ იცნობს.<sup>679</sup> საკანონმდებლო რეგულირების, სასამართლო/საარბიტრაჟო პრაქტიკის და წესების შესწავლის შედეგად ნათელია, რომ საქართველოში არბიტრაჟის მიერ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების აღსრულება გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებად მიიჩნევა არბიტრაჟის მიერ.

ქართული და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებასთან მიმართებით ქართული მოწესრიგება და საარბიტრაჟო პრაქტიკა არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს და არასწორი მიმართულებით ვითარდება, რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლის მიზანს, ცვლილებების შედეგად კანონი შესაბამისობაში მოსულიყო მოდელურ კანონთან.<sup>680</sup> დღეის მდგომარეობით, საქართველო განეკუთვნება იმ ქვეყნების რიგს, რომლებიც ნათლად არ

<sup>677</sup> „მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო ლევის“ საარბიტრაჟო წესების 9.3 მუხლი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1908951?publication=0> უკანასკნელად იქნა გადამონმებული – 23.11.2018.

<sup>678</sup> შპს თბილისის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის საარბიტრაჟო დებულება მუხლი 8.11. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1568154?publication=0>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული – 23.11.2018.

<sup>679</sup> იხ. თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის (TAI) საარბიტრაჟო წესები.

<sup>680</sup> განმარტებითი ბარათი, „არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე.

ანესრიგებენ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების საკითხს, რაც საარბიტრაჟო წარმოებისას ინვესტორს გაურკვევლობას.<sup>681</sup>

გასათვალისწინებელია ის მძიმე წარსული, რაც ქართულ საარბიტრაჟო სამართალს ჰქონდა მაშინ, როდესაც არბიტრებს/კერძო პირებს სასამართლოს კონტროლის გარეშე ჰქონდათ უფლებამოსილება განეხროციელებინათ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება<sup>682</sup> და მიზნშენონილია, რომ კანონი ამ მხრივ იყოს უფრო მკაფიო და ადგენდეს არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების სასამართლოს მიერ ცნობა-აღსრულების ნათელ წესს, რომელიც არბიტრაჟს თუ სასამართლოს არ მისცემს სხვაგვარი ინტერპრეტაციის გაკეთების შესაძლებლობას. ამ კუთხით, მიზნშენონილია საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება, რომელიც ნათლად დაადგენს, რომ არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიება, მსგავსად საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისა, ექვამდებარება სასამართლოს მხრიდან კონტროლს და ცნობა-აღსრულებას.

### 3. უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე კომპეტენტური სასამართლო

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე კომპეტენტურ სასამართლოს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლო.<sup>683</sup> ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისგან განსხვავებით,<sup>684</sup> სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული კომპეტენცია ვრცელდება, მათ შორის უცხო ქვეყანის არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე.<sup>685</sup> ქართული სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრება, რომ უცხო ქვეყნის არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებას ახორციელებს უზენაესი სასამართლო,<sup>686</sup> თუმცა, არბიტრაჟის შესახებ კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, არბიტრაჟის შესახებ კანონის 22-ე მუხლის მიზნებისთვის ტერმინი

<sup>681</sup> Gary B. Born, "International Arbitration: Law and Practice", Kluwer Law International, 2012, p. 211.

<sup>682</sup> დეტალურად, იხ. ტყემალაძე ს., კობალაძე მ. და სხვები, არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, 2018, გვ. 9.

<sup>683</sup> იხ. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 2.1(ა) მუხლი, რომლის მიხედვითაც არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მიზნებისთვის სასამართლო გულისხმობს სააპელაციო სასამართლოს.

<sup>684</sup> იხ. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 44-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც უცხო ქვეყანაში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას ახორციელებს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

<sup>685</sup> იხ. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 21, მუხლი 2.

<sup>686</sup> ჩომახიძე ნ., საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული, 2013, გვ. 106.

“სასამართლო” გულისხმობს სააპელაციო სასამართლოებს. მსჯელობის საგანი შეიძლება იყოს უცხო ქვეყნის არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე კომპეტენტური სასამართლო ხომ არ უნდა იყოს საქართველოს უზენაესი სასამართლო, ვინაიდან, სწორედ ეს სასამართლო იხილავს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხს<sup>687</sup> და ერთ საქმეზე ორივე საკითხის განხილვა მოხდებოდა ერთი და იმავე სასამართლოში. თუმცა, როგორც აღინიშნა, არბიტრაჟის შესახებ კანონი დღეის მდგომარეობით სხვაგვარ რეგულირებას ითვალისწინებს, რაც განსაკუთრებულ დაბრკოლებას დაინტერესებულ მხარეებს არ უქმნის.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მოქმედი კანონმდებლობით, არც არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონით და არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით არ არის გათვალისწინებული, რის საფუძველზე უნდა დადგინდეს, რომელ სააპელაციო სასამართლოს (თბილისის თუ ქუთაისის) უნდა მიმართოს მხარემ უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების მოთხოვნით. აღნიშნულის განსაზღვრისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს რამდენიმე მიდგომა, კერძოდ, იმ პირის ადგილსამყოფელი, რომლის წინააღმდეგაც გამოიყენება უზრუნველყოფის ღონისძიება, ქონების ადგილსამყოფელი, რომელზეც გამოყენებულია უზრუნველყოფის ღონისძიება ან/და საარბიტრაჟო განხილვის ადგილი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების შემთხვევაში ამოსავალ წერტილად მიჩნეული უნდა იყოს მოვალის ადგილსამყოფელი ან/და მისი ქონების ადგილსამყოფელი.<sup>688</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ კი აღნიშნულ საკითხზე დადგენილია განსხვავებული მიდგომა, რომლის მიხედვითაც კომპეტენტურ სასამართლოს წარმოადგენს ის სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მიმდინარეობს საარბიტრაჟო განხილვა. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით „საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>13</sup> მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის მიხედვით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>13</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ და „ი“ ქვეპუნქტებით<sup>689</sup> განსაზღვრულ შემთხვევებში გადაწყვეტილება გამოაქვს იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც მიმდინარეობდა, მიმდინარეობს ან უნდა მოხდეს საარბიტრაჟო განხილვა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული ნორმით დადგენილი პრინციპი ვრცელდება ასევე სააპელაციო სასამართლოებზეც, რაც იმას ნიშნავს, რომ

<sup>687</sup> არბიტრაჟის შესახებ კანონი, 44.1 მუხლი.

<sup>688</sup> თითბერიძე გ., საქართველოს კანონი “არბიტრაჟის შესახებ” კომენტარი, გამომცემლობა ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, 2017, გვ. 86.

<sup>689</sup> უზენაესი სასამართლოს აღნიშნული განჩინება მიღებულია 2013 წლის 25 თებერვალს. 2015 წლის ცვლილებების შესაბამისად, 356<sup>13</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის ბ-ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკითხს, არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ განიხილავს სააპელაციო სასამართლო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>13</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ და „ე“-„ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში გადაწყვეტილება გამოაქვს იმ სააპელაციო სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც მიმდინარეობდა, მიმდინარეობს ან უნდა მოხდეს საარბიტრაჟო განხილვა. ამ ნორმის სხვაგვარი განმარტება ბევრ გაუგებრობას გამოიწვევდა, მათ შორის შესაძლებელი იქნებოდა, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს განეხილა, ხოლო, ამავე საქმეზე მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის საკითხი კი - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს". საკასაციო პალატის მოსაზრებით, ზემოთხსენებული კანონის მიზანია, ამ კანონით სასამართლოების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებები მიიღონ იმ სასამართლოებმა, რომელთა სამოქმედო ტერიტორიაზედაც მიმდინარეობდა, მიმდინარეობს ან უნდა მოხდეს საარბიტრაჟო განხილვა.<sup>690</sup>

თუმცა, უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა ვერ იქნება რელევანტური იმ შემთხვევაში, როდესაც საარბიტრაჟო განხილვა მიმდინარეობს სხვა ქვეყანაში. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია კომპეტენტური სასამართლოს განსაზღვრისას გამოყენებულ იქნეს მოვალის ან მისი ქონების ადგილსამყოფელი საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ვინაიდან შესაძლებელია მოვალეს საერთოდ არ ჰქონდეს ადგილსამყოფელი საქართველოში და მხოლოდ მისი ქონების მდებარეობის ადგილი იყოს საქართველო, როგორც ეს ყოფილა არაერთ შემთხვევაში.<sup>691</sup>

#### **4. ნიუ-იორკის კონვენცია და არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმა**

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონით აღიარებულია ქართული სასამართლოს კომპეტენცია, განახორციელოს საქართველოს ფარგლებს გარეთ არბიტრაჟის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა-აღსრულება.<sup>692</sup> სასამართლოს აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელება აჩენს კითხვას, სასამართლომ უნდა იმოქმედოს მხოლოდ შიდა კანონმდებლობის საფუძველზე, თუ არბიტრაჟის მიერ უცხო ქვეყანაში მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებისას გამოიყენება ნიუ-იორკის კონვენცია, რომელიც ადგენს უცხო ქვეყანაში მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების წესს. ზოგიერთ ქვეყანაში აღიარებულია, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა-აღსრულებაზე არ ვრცელდება ნიუ-იორკის კონვენცია, ვინაიდან, აღნიშნული კონვენცია ითვალისწინებს მხოლოდ საბოლოო

<sup>690</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 თებერვლის განჩინება საქმეზე #ას-20-18-2013. ასევე, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 30 იანვრის განჩინება საქმეზე #ას-1358-1278-2017.

<sup>691</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 3 ივლისის განჩინება, საქმეზე N ას-538-511-2013.

<sup>692</sup> იხ. არბიტრაჟის შესახებ კანონი, მუხლი 21.



საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას და არ გამოიყენება დროებითი ხასიათის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით.<sup>693</sup> თუმცა, არსებობს განსხვავებული მიდგომებიც,<sup>694</sup> რომელთა თანახმადაც უზრუნველყოფის ღონისძიება შესაძლებელია მიღებულ იქნეს გადაწყვეტილების ფორმით<sup>695</sup> და ცნობა-აღსრულებას დაექვემდებაროს ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად.<sup>696</sup> დღეის მდგომარეობით, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მსოფლიოში ამ საკითხთან დაკავშირებით არ არის ერთიანი მიდგომა დამკვიდრებული.<sup>697</sup>

ნიუ-იორკის კონვენციის გამოყენების საკითხი მეტწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფორმით მიიღებს არბიტრაჟი გადაწყვეტილებას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

აღნიშნული საკითხი განხილვის საგანი გახლდათ ასევე UNCITRAL-ის მოდელური კანონის სამუშაო ჯგუფის მუშაობისას. სამუშაო ჯგუფის ანგარიშში აღნიშნულია, რომ იმის გათვალისწინებით, რომ ნიუ-იორკის კონვენცია არ მოიცავს სიტყვა „Award“-ის (საბოლოო გადაწყვეტილება)<sup>698</sup> განმარტებას, არ არის ნათელი ვრცელდება თუ არა ის არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებებზე, თუმცა გაბატონებული შეხედულების თანახმად, რომელიც დადასტურებულია ზოგიერთი ქვეყნის პრაქტიკით, ნიუ-იორკის კონვენცია არ გამოიყენება საარბიტრაჟო უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით.<sup>699</sup> სამუშაო ჯგუფის მიერ ასევე განიმარტა, რომ იმისდა მიუხედავად, რა სახით იქნება გამოტანილი უზრუნველყოფის ღონისძიება, ის არ შეიძლება განხილული იყოს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად მოდელური კანონის მიზნებისთვის.<sup>700</sup> თუმცა, მოგვიანებით სამუშაო ჯგუფის მიმდინარეობისას გამოითქვა მოსაზრება, რომ

<sup>693</sup> Kronke H., Nacimiento P., Dirk O., Port N.Ch., Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards, Kluwer Law International, 2010, pp. 155-158.

<sup>694</sup> Lenci F., General Principles of Law on the legal Force of Provisional Measures in International Investment Arbitration, General Principles of Law and Investment Arbitration, Nijhoff International Investment Law Series, Volume 12, 2018, p. 35.

<sup>695</sup> Caron D., Caplan L., The UNCITRAL Arbitration Rules, Oxford University Press, 2013, p. 523. ასევე, Choong J., Weermantry R., The Hong Kong Arbitration Ordinance, Second Edition, Sweet & Maxwell 2015, p. 227.

<sup>696</sup> Brown Ch., The Enforcement of Interim Measures ordered by Tribunals and Emergency Arbitrators in International Arbitration, International Arbitration – The Coming of a New age? Singapore 2012, ICCA Congress Series #17, Kluwer Law International 2013, p. 284.

<sup>697</sup> Paulson J., Petrochilos G., UNCITRAL Arbitration, Kluwer law International, 2018, p. 232.

<sup>698</sup> ტერმინ „Award“-ის განმარტება იხ.: ინჯია ბ., ლაპიაშვილი ნ., არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი, სამეცნიერო რედაქტორი ლადო ჭანტურია, ზვიად კორძაძის გამომცემლობა, 2016, გვ. 18.

<sup>699</sup> A/CN.9/WG.II/WP.108 - Settlement of commercial disputes - Possible uniform rules on certain issues concerning settlement of commercial disputes: conciliation, interim measures of protection, written form for arbitration agreement, para. 83.

<sup>700</sup> A/CN.9/524 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its thirty-eighth session, 12-16 May 2003, para. 47.

ზოგიერთ ქვეყანაში იმისთვის, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება დაექვემდებაროს ცნობა-აღსრულებას, აუცილებელია, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილების ფორმით,<sup>701</sup> ამის გათვალისწინებით, UNCITRAL-ის მოდელური კანონი საბოლოო ფორმით ჩამოყალიბდა ისე, რომ არბიტრაჟმა შესაძლებელია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს, როგორც „Award“, ასევე, სხვა ფორმითაც.<sup>702</sup>

მოდელური კანონის მიღების შემდგომ UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესებზე მომუშავე ჯგუფის მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ იმის გათვალისწინებით, რომ UNCITRAL-ის მოდელური კანონით დადგენილ იქნა უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების ეფექტიანი რეჟიმი, იმისდა მიუხედავად თუ რა ფორმით იქნება გამოცემული უზრუნველყოფის ღონისძიება, აღარ არსებობს იმის საჭიროება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება მიღებულ იქნეს “Award“-ის ფორმით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისი აღსრულება. პირიქით, აღნიშნული ტერმინის გათვალისწინებამ საარბიტრაჟო წესებში შესაძლებელია დაბნეულობაც გამოიწვიოს.<sup>703</sup> შესაბამისად, საარბიტრაჟო წესებში აღარ იქნა გამოყენებული სიტყვა „Award“.<sup>704</sup>

არბიტრაჟის შესახებ კანონში მითითებულია, რომ არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიება მიღებული უნდა იყოს გადაწყვეტილების ფორმით.<sup>705</sup> საარბიტრაჟო პრაქტიკაში უზრუნველყოფის ღონისძიების მიღება ხდება, როგორც გადაწყვეტილების,<sup>706</sup> ასევე დადგენილების ფორმით.<sup>707</sup>

ქართული კანონის მიზნებისთვის გამოთქმულია მოსაზრება, რომ უცხო ქვეყანაში მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებისას სასამართლომ არბიტრაჟის შესახებ კანონთან და სამოქალაქო საპროცესო კოდექსთან ერთად უნდა იხელმძღვანელოს ნიუ-იორკის კონვენციით.<sup>708</sup> თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ UNCITRAL-ის მოდელური კანონის გავლენით არბიტრაჟის შესახებ კანონი ადგენს უცხო ქვეყანაში არბიტრაჟის მიერ გამოცემული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების წესს, ნიუ-იორკის კონვენციის გამოყენების საჭიროება აღარ არსებობს. თუმცა, იმ ქვეყნებში, რომლებიც ერთი მხრივ, ნიუ-იორკის კონვენციის წევრები არიან, ხოლო მეორე მხრივ, შიდა კანონმდებლობით

<sup>701</sup> A/CN.9/547 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its fortieth session, 23-27 February 2004, para. 70-71.

<sup>702</sup> იხ. UNCITRAL-ის მოდელური კანონი, მუხლი 17.2.

<sup>703</sup> A/CN.9/641 - Report of the Working Group on Arbitration and Conciliation on the work of its forty-seventh session, 10-14 September 2007, para. 51.

<sup>704</sup> UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები 2010, Art. 26.

<sup>705</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 17.

<sup>706</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 მაისის განჩინება, საქმე #2ბ/1889-15.

<sup>707</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 13 მარტის განჩინება, საქმე, 2ბ/1408-17.

<sup>708</sup> თითბერიძე გ., საქართველოს კანონი “არბიტრაჟის შესახებ” კომენტარი, გამომცემლობა ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, 2017, გვ. 86.

არ ითვალისწინებენ უცხო ქვეყნის არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების წესს, ნიუ-იორკის კონვენციამ შესაძლებელია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს და ამ მიზნით მიზანშეწონილია ნიუ-იორკის კონვენციის გამოყენება.

## 5. სასამართლოს მხრიდან არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეფასების სტანდარტი ცნობა-აღსრულებისას

არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებისას სასამართლო აფასებს მის შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან და ამონებს, ხომ არ არსებობს უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი.<sup>709</sup> შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეფასებისას იმოქმედოს კანონით დადგენილი სტანდარტით და არ გასცდეს მის უფლებამოსილებას, რათა არ მოხდეს საარბიტრაჟო განხილვაში უხეში ჩარევა. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 22.3 მუხლის თანახმად, სასამართლო, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე, გადაწყვეტილების გამოტანისას არსებითად არ იხილავს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს. მსგავსი მონესრიგება სრულ შესაბამისობაშია UNCITRAL-ის მოდელურ კანონთან.<sup>710</sup> UNCITRAL-ის სამუშაო ჯგუფის მიერ აღნიშნულია, რომ სასამართლოს მხრიდან შეფასება არ უნდა მოხდეს ისე, თითქოს ის იღებდეს გადაწყვეტილებას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე, სასამართლომ არსებითად არ უნდა შეაფასოს არბიტრაჟის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, სასამართლოს უფლებამოსილება უნდა იყოს შეზღუდული და შემოიფარგლებოდეს მხოლოდ პროცედურული საკითხების შეფასებით.<sup>711</sup>

მიუხედავად აღნიშნული რეგულირებისა, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მხრიდან ხდება არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებების არსებითი შეფასება. მაგალითისთვის, ერთ-ერთ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ უარი თქვა არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე იმ დასაბუთებით, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებულ იქნა თავდების წინააღმდეგ, სასამართლომ კი განმარტა, რომ თავდებობის წარმოშობისათვის აუცილებელია ხელშეკრულებაში - თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის

<sup>709</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 22.

<sup>710</sup> იხ. UNCITRAL-ის მოდელური კანონი, მუხლი 17I.2.

<sup>711</sup> A/CN.9/468 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its thirty-second session, 20-31 March 2000, para. 71.

მითითება, რაც მხარეთა შორის სესხისა და თავდებობის ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული, პალატას მიაჩნია, რომ თავდებობის დოკუმენტი არანამდვილია და შესაბამისად, თავდების პასუხიმგებლობა არ წარმოშობილა, აღნიშნული კი არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველია.<sup>712</sup> აღნიშნული მაგალითი, ნათლად წარმოაჩენს იმ გარემოებას, რომ სასამართლო, არბიტრაჟის მხრიდან გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების განხილვისას, არ შემოიფარგლა მხოლოდ პროცედურული საკითხებით და არსებითად შეათვალა არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება. საყურადღებოა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებისას, მხარე სასამართლოში წარადგენს მხოლოდ საარბიტრაჟო შეთანხმებას და არბიტრაჟის გადაწყვეტილებას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ,<sup>713</sup> შესაბამისად, სასამართლო საქმის მასალებს არ ფლობს სრულად და შესაძლებელია საარბიტრაჟო საქმეში არსებობდეს საწინააღმდეგო მტკიცებულებები, რომელიც ამართლებდეს არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას.

ქართული სასამართლოს მხრიდან ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც სასამართლო აფასებს არბიტრაჟის მიერ გამოყენებული ღონისძიების პროპორციულობას. თბილისის სააპელაციო სასამართლომ არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე მსჯელობისას მიუთითა, რომ „სარჩელის უზრუნველყოფის არსიდან გამომდინარე, სასამართლო არჩევს უზრუნველყოფის ღონისძიებას სასარჩელო მოთხოვნის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე. უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლება უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის ადეკვატური“,<sup>714</sup> აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება იყო არაპროპორციული და უარი თქვა მის ცნობა-აღსრულებაზე.<sup>715</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების არაპროპორციულობა საჯარო წესრიგის დარღვევადაც კი შეუფასებია. სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, „საპროცესო სამართლებრივი საჯარო წესრიგი წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ყველა ძირითადი და უმნიშვნელოვანესი პრინციპის ერთობლიობას. სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენება მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გაუთვალისწინებლად ეწინააღმდეგება საპროცესო

<sup>712</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 13 მარტის განჩინება საქმეზე 2ბ/1408-17. ასევე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 10 აპრილი განჩინება საქმეზე 2ბ/1943-17.

<sup>713</sup> იხ. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, 21.4 და 44.2 მუხლები.

<sup>714</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 26 მაისის განჩინება, საქმე 2ბ/2598-15.

<sup>715</sup> იქვე.

კოდექსის მე-5 მუხლით განსაზღვრულ მხარეთა თანასწორობის პრინციპს და საპროცესო-სამართლებრივ საჯარო წესრიგს<sup>716</sup>.

სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში სასამართლოს მხრიდან ხდება არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების არსებითად შეფასება და არსებითი შეფასების შედეგად ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმა, რაც არ გამომდინარეობს ქართული კანონმდებლობიდან. ამას შესაძლებელია ის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას სათანადოდ არ ხდება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობების შეფასება ან/და ხდება არაპროპორციული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილია, რომ სასამართლომ თავი შეიკავოს არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებების არსებითი შეფასებისგან და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მოახდინოს მსგავსი ინტერვენცია.

---

<sup>716</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 01 ოქტომბრის განჩინება, საქმეზე 2ბ/5599-18.

## XII. დასკვნა

საარბიტრაჟო განხილვისას საარბიტრაჟო უზრუნველყოფის ღონისძიება ქმნის არა მხოლოდ მხარეთა უფლებების დაცვის მექანიზმს, არამედ მეტწილად განსაზღვრავს არბიტრაჟის, როგორც დავის გადანაცვების საშუალების, ეფექტიანობას. შესაბამისად, უზრუნველყოფის ღონისძიების ინსტიტუტის გამართული ფუნქციონირება არბიტრაჟისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რაც წარმოუდგენელია მართებული საკანონმდებლო მონესრიგებისა და საარბიტრაჟო/სასამართლო პრაქტიკის გარეშე.

უნდა აღინიშნოს, რომ საარბიტრაჟო უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით ქართული საკანონმდებლო მონესრიგება, UNCITRAL-ის მოდელური კანონის გავლენით, ძირითადად იზიარებს თანამედროვე საარბიტრაჟო სამართლის ტენდენციებს. თუმცა, როგორც კვლევის შედეგად გამოჩნდა, მოდელური კანონის პირდაპირი ინკორპორირება ქართულ სამართალში აჩენს გარკვეულ ბუნდოვანებას, ზოგიერთი საკითხის მონესრიგება აცდენილია მოდელური კანონის მიზნებსა და საერთაშორისო გამოცდილებას. ამასთან, არსებობს გარკვეული საკითხები, რომლებიც კანონით პირდაპირ არ არის მონესრიგებული და მათი სწორი დარეგულირება დამოკიდებულია საარბიტრაჟო/სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებაზე, რაც შეუძლებელია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების გარეშე.

1. უპირველესად, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით მიზანშეწონილია, რომ არბიტრაჟის შესახებ კანონის მე-17 მუხლს (არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება) შეეცვალოს სათაური და ეწოდოს „არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება“. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია ორი მიზეზით, რაც ნათლად გამოჩნდა კვლევის შედეგად (i) უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენება არა მხოლოდ სარჩელის უზრუნველსაყოფად, არამედ შესაძლებელია გამოიყენებულ იქნეს მოპასუხის ინტერესების დაცვის მიზნით და (ii) მე-17 მუხლი გარდა სარჩელის უზრუნველყოფისა, ითვალისწინებს მტკიცებულებების უზრუნველყოფასაც, რომელიც განსხვავდება სარჩელის უზრუნველყოფისგან და წარმოადგენს დამოუკიდებელ ინსტიტუტს.

2. მნიშვნელოვანია, რომ ქართულ საარბიტრაჟო პრაქტიკაში უზრუნველყოფის ღონისძიებების დანიშნულება გაფართოვდეს და საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენებულ იქნეს, არა მარტო მოსარჩელის, არამედ ორივე მხარის, როგორც მოსარჩელის, ასევე, მოპასუხის ინტერესების დაცვის მიზნით, როგორც ეს ხდება საერთაშორისო პრაქტიკაში. აღნიშნულს ასევე ხელს შეუწყობს პირველ პუნქტში გამოთქმული რეკომენდაცია არბიტრაჟის შესახებ კანონის მე-17 მუხლის სათაურის ცვლილების თაობაზე.

3. არბიტრაჟის ბუნებისა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია მხარეებს მიენიჭოთ უფლებამოსილება საარბიტრაჟო შეთანხმებით გამორიცხონ სასამართლოს უფლებამოსილება საარბიტრაჟო დავასთან მიმართებით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ. სხვაგვარად, აზრს დაკარგავს არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით განმტკიცებული მხარეთა უფლებამოსილება გამორიცხონ/შეზღუდონ არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა.

4. პირდაპირი საკანონმდებლო მოთხოვნის არ არსებობის მიუხედავად, რეკომენდირებულია, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას არბიტრაჟმა შეათვასოს მისი კომპეტენცია *Prima facie* სტანდარტის მიხედვით, რათა ერთი მხრივ, დაიცვას განმცხადებლის უფლება, რომელიც საჭიროებს უზრუნველყოფას, ხოლო მეორე მხრივ, არ შეზღუდოს მოპასუხის უფლებები ისე, რომ მას არ გააჩნდეს ამის უფლებამოსილება. ამასთან, მნიშვნელოვანია, არბიტრაჟების მიერ დეტალურად შეფასდეს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების, როგორც საკანონმდებლო და საარბიტრაჟო შეთანხმებით, ასევე საარბიტრაჟო პრაქტიკაში დადგენილი წინაპირობები, რათა უზრუნველყოფის ღონისძიება ემსახურებოდეს დასახულ მიზანს და არ იქნეს მხარის მიერ ბოროტად გამოყენებული.

5. კვლევის შედეგად ნათლად გამოჩნდა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები, რომლებსაც ითვალისწინებს კანონი, არ გამოიყენება იმ დატვირთვით, რა დატვირთვაც გააჩნია UNCITRAL-ის მოდელური კანონის საფუძველზე და გამოიყენება საერთაშორისო პრაქტიკაში, რაც პრობლემებს ქმნის მისი აღსრულების პროცესში და ამცირებს უზრუნველყოფის ღონისძიების ეფექტიანობას. რეკომენდირებულია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება მხარისათვის „Status quo” შენარჩუნების/აღდგენის დავალდებულების შესახებ და ეს ღონისძიება მიმართულ უნდა იქნეს მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობის აღდგენა/შენარჩუნებისკენ და არა უძრავ ქონებასთან მიმართებით, რისი შემთხვევებიც არის ქართულ რეალობაში. ამასთან, მნიშვნელოვანია არბიტრაჟისგან მოხდეს განსაზღვრა, რა მდგომარეობის შენარჩუნება/აღდგენა ევალება მხარეს და რა დრომდე, გადაწყვეტილების გამოტანამდე თუ მას შემდეგაც.

საქართველოს მისწრაფების გათვალისწინებით, გახდეს დავების გადაწყვეტის რეგიონალური ჰაბი, მნიშვნელოვანია გაანალიზებულ იქნეს უზრუნველყოფის ღონისძიებების ის სახეები, რომლებიც დამკვიდრებულია საერთაშორისო პრაქტიკაში, განსაკუთრებით კი Anti-Suit Injunctions და ხარჯების უზრუნველყოფა, რათა საერთაშორისო დავებში მონაწილე მხარეებისთვის უზრუნველყოფილ იქნეს მათი გამოყენების შესაძლებლობა ქართული კანონმდებლობის საფუძველზე.

გასაზიარებელია საერთაშორისო გამოცდილება არბიტრაჟის მხრიდან ყადაღის არ გამოყენების შესახებ, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ არბიტრაჟის შესახებ კანონი ამის უფლებამოსილებას არ ითვალისწინებს. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია სასამართლოს მხრიდან არბიტრაჟების სათანადო კონტროლის განხორციელება.

მისასალმებელია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც იძლევა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების უზრუნველყოფის შესაძლებლობას და მნიშვნელოვანია, ამ პრაქტიკის სააპელაციო სასამართლოში დამკვიდრება, რაც ხელს შეუწყობს, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო არბიტრაჟების მიერ გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების ეფექტურ განხორციელებას.

6. უზრუნველყოფის ღონისძიების შებრუნებისას, იმის გათვალისწინებით, რომ კანონი პირდაპირ არ განსაზღვრავს გარანტიის წარდგენის ვადას და იმ სამართლებრივ შედეგს, რაც შეიძლება დადგეს გარანტიის წარუდგენლობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სწორი საარბიტრაჟო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. მიზანშეწონილია, რომ სამოქალაქო საპროცესო რეგულირების გავლენით, ქართულ საარბიტრაჟო სამართალში გარანტიის წარუდგენლობა არ ჩამოყალიბდეს გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ავტომატურ საფუძველად.

სასამართლოს მხრიდან უზრუნველყოფის ღონისძიების შებრუნებისას გასათვალისწინებელია UNCITRAL-ის მოდელური კანონის რეგულირება, რომელიც სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში ანიჭებს ამის უფლებამოსილებას, როდესაც არბიტრაჟს არ უმსჯელია უზრუნველყოფის ღონისძიების შებრუნების თაობაზე. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ სახეზე არ არის გარემოებების არსებითი ცვლილება, რეკომენდირებულია, სასამართლომ თავი შეიკავოს უზრუნველყოფის ღონისძიების შებრუნების გამოყენებისგან, თუ არბიტრაჟს მიღებული აქვს გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების შებრუნების არ გამოყენებაზე.

7. ქართული რეალობის გათვალისწინებით, მისასალმებელია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დასაშვებად იქნა მიჩნეული სასამართლოს მხრიდან არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება. თუმცა, სასამართლომ ამ უფლებამოსილებით უნდა ისარგებლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღარ არსებობს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი და არბიტრაჟი აღარ ფუნქციონირებს ან შეუძლებელია მისგან ამ საკითხის განხილვა, შესაბამისად, შეუძლებელია მისი მხრიდან ამ საკითხზე მსჯელობა, რათა არ მოხდეს მხარის ინტერესების უსაფუძვლო შელახვა.



8. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა-აღსრულების საკანონმდებლო მონესრიგება 2009 წლიდან მოყოლებული არ არის ნათელი და აღნიშნული ხარვეზი ვერც 2015 წლის საკანონმდებლო ცვლილებებმა აღმოფხვრა სრულად. კანონში არსებული ბუნდოვანების გავლენით კი, ქართულ რეალობაში ჩამოყალიბებული პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს არბიტრაჟის მიერ მის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულებას, არ შეესაბამება UNCITRAL-ის მოდელური კანონის მონესრიგებას და საერთაშორისო სტანდარტს. ამ კუთხით, მიზანშეწონილია საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება, რომელიც ნათლად დაადგენს, რომ არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიება, მსგავსად საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისა, ექვამდებარება სასამართლოს მხრიდან კონტროლს და ცნობა-აღსრულებას.

9. და ბოლოს, ქართული სასამართლოს მხრიდან ხშირია უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებისას არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების არსებითი შეფასების შემთხვევები, რასაც პირდაპირ კრძალავს კანონი და რაც წარმოადგენს არბიტრაჟის უფლებამოსილებაში უხეშ ჩარევის და ეწინააღმდეგება UNCITRAL-ის მოდელური კანონის მიზნებსა და საერთაშორისო სტანდარტს. სასამართლო კონტროლი უნდა შემოიფარგლოს ფორმალური საკითხების შემოწმებით და სასამართლო არ უნდა მოქმედებდეს ისე, თითქოს ის იღებს გადაწყვეტილებას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ ან განიხილავს საჩივარს არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ.

## ბიბლიოგრაფია

### სამართლებრივი აქტები

#### საქართველოს კანონი

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 19/06/2009, დოკუმენტის ნომერი:1280.

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 17/04/1999, დოკუმენტის ნომერი: 656.

ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების შესახებ“ მე-2 მუხლი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მიღების თარიღი: 26/06/1997, დოკუმენტის ნომერი:786.

საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, მიღების თარიღი: 24/06/2016, დოკუმენტის ნომერი: 5594-II.

საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ, მიღების თარიღი: 18/03/2015, დოკუმენტის ნომერი: #3218.

### საერთაშორისო აქტები

Agreement Between the Government of Canada and Government of the Republic of Ecuador for the Promotion and Reciprocal Protection of Investments, 1996.

Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards (New York, 1958).

Convention on the settlement of investment disputes between States and nationals of other States, (Washington, 1965).

Council Regulation (EC) No 44/2001 of 22 December 2000 on jurisdiction and the recognition and enforcement of judgments in civil and commercial matters.

Geneva Convention on the Execution of Foreign Arbitral Awards, 1927.

IBA Rules on the Taking of evidence in International Commercial Arbitration, (Adopted by a resolution of the IBA Council June 1999).

The Geneva Protocol on Arbitration Clauses, 1923.

UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration 1985 With amendments as adopted in 2006.

UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration 1985.

### უცხო ქვეყნების კანონები

იტალიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი  
[www.jus.uio.no/lm/italy.arbitration/818.html](http://www.jus.uio.no/lm/italy.arbitration/818.html).

ჩინეთის არბიტრაჟის შესახებ კანონი [www.npc.gov.cn/englishnpc/Law/2007-12/12/content\\_1383756.htm](http://www.npc.gov.cn/englishnpc/Law/2007-12/12/content_1383756.htm).

ინგლისის საარბიტრაჟო აქტი, 1996. [www.legislation.gov.uk /ukpga /1996/23/section/38](http://www.legislation.gov.uk/ukpga/1996/23/section/38).

შვეიცარიის კერძო სამართლის შესახებ კანონი [www.swissarbitration.org](http://www.swissarbitration.org).

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. [https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_zpo/englisch\\_zpo.html#p3592](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html#p3592)

ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. [https://www.trans-lex.org/602320/ /austrian-arbitration-law-2006/#head\\_21](https://www.trans-lex.org/602320/ /austrian-arbitration-law-2006/#head_21)

კანადის აქტი კომერციული არბიტრაჟის შესახებ. <https://laws-lois.justice.gc.ca/eng/acts/C-34.6/FullText.html>

შვედეთის საარბიტრაჟო აქტი. <https://sccinstitute.com/media/37089/the-swedish-arbitration-act.pdf>

ბელგიის საპროცესო კოდექსი. [www.cepani.be/en/arbitration/belgian-judicial-code-provisions](http://www.cepani.be/en/arbitration/belgian-judicial-code-provisions)

ინდოეთის აქტი არბიტრაჟის და კონსილაციის შესახებ. <http://icadr.nic.in/file.php?123?12:1461580854>

იაპონიის საარბიტრაჟო კანონი. [www.japan.kantei.go.jp/policy/sihou/arbitrationlaw.pdf](http://www.japan.kantei.go.jp/policy/sihou/arbitrationlaw.pdf)

## საარბიტრაჟო წესები

International Chamber of Commerce, Arbitration Rules (2017).  
<https://iccwbo.org/dispute-resolution-services/arbitration/rules-of-arbitration/>

International Chamber of Commerce, Arbitration Rules (2012).  
<http://internationalarbitrationlaw.com/about-arbitration/international-arbitration-rules/2012-icc-arbitration-rules/>

London Court of International Arbitration, Arbitration Rules (2014).  
[http://www.lcia.org/dispute\\_resolution\\_services/lcia-arbitration-rules-2014.aspx](http://www.lcia.org/dispute_resolution_services/lcia-arbitration-rules-2014.aspx)

Stockholm Chamber of Commerce, Arbitration Rules (2017).  
<https://sccinstitute.com/dispute-resolution/rules/>

International Center for Dispute Resolution, Arbitration Rules (2014).  
[https://www.adr.org/sites/default/files/ICDR%20Rules\\_0.pdf](https://www.adr.org/sites/default/files/ICDR%20Rules_0.pdf)

Singapore International Arbitration Center, Arbitration Rules (2010).  
<http://www.siac.org.sg/our-rules/rules/siac-rules-2010>

Singapore International Arbitration Center, Arbitration Rules (2016).  
<http://www.siac.org.sg/our-rules/rules/siac-rules-2016>

UNCITRAL Arbitration Rules (2010).  
<http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/arb-rules-revised/arb-rules-revised-2010-e.pdf>

UNCITRAL Arbitration Rules (1976).  
<http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/arb-rules/arb-rules.pdf>

თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის საარბიტრაჟო წესები.  
<http://taiarb.com/uploads/library/Ow6YbfDbtVeAZ6l2fJM9H8wkX0xE4vO1.pdf>

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესები.  
<http://giac.ge/rules-and-legal-acts/arbitration-rules/>

თბილისის საარბიტრაჟო პალატის საარბიტრაჟო წესები.  
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1266719?publication=0>

მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო ლეგიას საარბიტრაჟო წესები.  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4273968?publication=0>

თბილისის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის საარბიტრაჟო დებულება.  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1568154?publication=0>

### **სამუშაო ჯგუფის ანგარიშები/განმარტებითი ბარათები**

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის (2009) პროექტზე.

განმარტებითი ბარათი, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის (2015) პროექტზე.

განმარტებითი ბარათი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის (2016) პროექტზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოს მოსამართლეთათვის, თბილისი, 2010 წელი.

### **UNCITRAL-ის მოდელური კანონის სამუშაო ჯგუფის ანგარიშები**

A/CN.9/WG.II/WP.108 - Settlement of commercial disputes - Possible uniform rules on certain issues concerning settlement of commercial disputes: conciliation, interim measures of protection, written form for arbitration agreement.

A/CN.9/468 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its thirty-second session, 20-31 March 2000.

A/CN.9/485 - Report of the Working Group on Arbitration on the work of the thirty-third session, 20 November - 1 December 2000.

A/CN.9/508 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its thirty-sixth session, 4-8 March 2002.

A/CN.9/523 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its thirty-seventh session, 7-11 October 2002.

A/CN.9/524 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its thirty-eighth session, 12-16 May 2003.

A/CN.9/545 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its thirty-ninth session, 10-14 November 2003.

A/CN.9/547 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its fortieth session, 23-27 February 2004.

A/CN.9/569 - Report of the Working Group on Arbitration and Conciliation on the work of its forty-first session, 13-17 September 2004.

A/CN.9/589 - Report of the Working Group on Arbitration and Conciliation on the work of its forty-third session, 3-7 October 2005.

Explanatory Note by the UNCITRAL Secretariat on the 1985 Model Law on International Commercial Arbitration as amended in 2006.

A/61/17 - Report of United Nations Commission on international Trade Law on the work of its thirty-ninth session, 2006.

A/CN.9/641 - Report of the Working Group on Arbitration and Conciliation on the work of its forty-seventh session, 10-14 September 2007.

### **სასამართლოს განჩინებები/გადაწყვეტილებები**

#### **საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებები**

##### **საკონსტიტუციო სასამართლო**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე #2/6/746, შპს „ჯორჯიან მანგანები“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

##### **საქართველოს უზენაესი სასამართლო**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 29 მაისის განჩინება საქმეზე Nას-827-1190-06.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 10 აპრილის განჩინება, საქმეზე N ას-258-516-08.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 თებერვლის განჩინება საქმეზე #ას-20-18-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 3 ივლისის განჩინება, საქმე N ას-538-511-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 09 ივლისის განჩინება, საქმეზე #ა-544-შ-17-2014.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინება, საქმეზე #ას-1095-1044-2014.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-1383-1303-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 30 იანვრის განჩინება საქმეზე #ას-1358-1278-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 21 თებერვლის განჩინება საქმეზე #ას-1556-1476-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 აპრილის განჩინება საქმეზე #ას-497-497-2018.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 27 აპრილის განჩინება საქმეზე #ას-413-413-2018.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 ოქტომბრის განჩინება, საქმეზე №ას-1586-2018.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-1041-2018.

### საქართველოს სააპელაციო სასამართლოები

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 11 მარტის განჩინება, საქმეზე N2ბ/687-10.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 30 მარტის განჩინება, საქმეზე N2ბ/796-11.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 24 აპრილის განჩინება, საქმეზე #2/ბ-352-2013.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 20 მაისის განჩინება, საქმეზე #2/6649-13.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 1 ივლისის განჩინება, საქმეზე #2ბ/3450-13.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 29 ივლისის განჩინება, საქმეზე #2/ბ-674-2013.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 2 ივნისის განჩინება, საქმეზე #2ბ/2154-14.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 მაისის განჩინება, საქმეზე # 2ბ/1889-15.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 26 მაისის განჩინება, საქმეზე 2ბ/2598-15.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 28 ივნისის განჩინება, საქმეზე #2ბ/2490-16.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 02 ნოემბრის განჩინება, საქმეზე #2/ბ-1037-2016.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 ნოემბრის განჩინება, საქმეზე #2ბ/5926-16.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ნოემბრის განჩინება, საქმეზე #2/ბ-1085-2016.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 13 მარტის განჩინება საქმეზე #2ბ/1408-17.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 10 აპრილის განჩინება საქმეზე #2ბ/1943-17.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 12 ივნისის განჩინება საქმეზე #2ბ/3172-17.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 09 ოქტომბრის განჩინება, საქმეზე #2/ბ-985.



თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 01 ოქტომბრის განჩინება, საქმეზე 2ბ/5599-18.

### თბილისის საქალაქო სასამართლო

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 25 დეკემბრის განჩინება, საქმეზე N 2/6528-12.

### უცხოური სასამართლოს გადაწყვეტილებები

Electricity Company of Sofia and Bulgaria (Belgium v. Bulgaria), PCIJ, Judgment of 5 December 1939.

Allianz SpA and Generali Assicurazioni Generali SpA v. West Tankers Inc., Judgment of CJEU case # C-185/07, 10 February, 2009.

Gazprom OAO v. Lithuania, Judgment of CJEU case #C-536/13, 13 May, 2015.

Howsan v. Dean Witter Reynolds, Inc., USA Supreme Court, 2002.

James Associates Ltd Anhui Machineri & Equipment Import and Export Corp. 2001. US: Dist. Court, D. Colorado 2001, October 11, 2001.

Mccreary Tire & Rubber Company v. Ceat S.p.a., Appellant, v. Mellon Bank, N.a. Garnishee, 501 F.2d 1032 (3d Cir. 1974). U.S. Court of Appeals, July 8, 1974.

### საარბიტრაჟო დადგენილებები/გადაწყვეტილებები

Biwater Gauffl (Tanzania) LTD V. United Republic of Tanzania, Procedural Order #1, ICSID Case No. ARB/05/22, 2006.

Burlington Resources Inc. and others v. Republic of Ecuador, Procedural order #1, ICSID Case No. ARB/08/5, 2009.

Ceskoslovenska Obchodni Banka, A.S. v. Slovak Republic, ICSID CASE No. ARB/97/4, Procedural Order No. 4, 1999.

Chevron Corporation and Texaco Petroleum Corporation v. The Republic of Ecuador, UNCITRAL, PCA Case No. 2009-23, Order on Interim Measures, 2010.

City Orient Limited v. Republic of Ecuador, Decision on Revocation of Provisional Measures, ICSID Case No. ARB/06/21 2008.

Emilio Agustin Maffezini v. Kingdom of Spain, ICSID case #ARB/97/7, Procedural Order #2. 1999.

EnCana Corporation v. Republic of Ecuador, Interim Award, LCIA Case No. UN3481, UNCITRAL, 2004.

Eskosol S.P.A in Liquidazione v. Italy, ICSID Case No. ARB/15/50, Procedural Order #3, 2017.

Esso v. Plowmann, Stephan Bond, Expert Report, 1995.

EuroGas Inc. and Belmont Resources Inc. v. Slovak Republic, Procedural Order #3, ICSID Case No. ARB/14/14, 2015.

Holiday Inns S.A. and others v. Morocco, ICSID Case No. ARB/72/1, Decision on Provisional Measures, 1972.

Hydro S.r.l. and others v. Republic of Albania, ICSID Case No. ARB/15/28, Decision on Provisional Measures, 2016.

ICC Case #11770, Procedural Order #1 (2001).

ICC Case #8786 Interim Award.

ICC Order #5, of April 2, 2002.

Occidental Petroleum Corp. v. Republic of Ecuador, Decision on Provisional Measures in ICSID Case # ARB/06/11, 2007.

Perenco Ecuador Ltd v. Republic of Ecuador, Decision on Provisional Measures, ICSID Case No. ARB/08/6, 2009.

Railroad Development Corp. v. Republic of Guatemala, Decision on provisional measures, ICSID CASE NO. ARB/07/23, 2008.

RSM Production Corporation and other v. Grenade, ICSID Case No ARB/10/6.

RSM Production Corporation v. Grenada, ICSID Case No ARB/05/14.

RSM Production Corporation v. Saint Lucia, ICSID Case No. ARB/12/10, Decision on Saint Lucia's Request for Security for Costs, 2014.

RSM Production Corporation v. Saint Lucia, ICSID Case No. ARB/12/10, Decision on Saint Lucia's Request for Security for Costs, 2014, Dissenting opinion of Edward Nottingham.

Sergei Paushok, CJCS Golden East Company, CJSC Vostokneftegaz Company v. The Government of Mongolia, Order on Interim Measures, 2008.

South American Silver Limited v. Bolivia, UNCITRAL, PCA Case No 2013/15 Procedural Order #10, 2016.

Teinver S.A., Transportes de Cercanías S.A. and Autobuses Urbanos del Sur S.A. v. The Argentine Republic, ICSID Case No. ARB/09/1, Decision on Provisional Measures, 2016.

Tokios Tokelés v. Ukraine, ICSID Case #ARB/02/18, Procedural Order #1, 2003.

Tokios Tokelés v. Ukraine, ICSID Case #ARB/02/18, Procedural Order #3, 2005.

თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის 2017 წლის 22 მაისის დადგენილება საქმეზე, #001418-2017.

### სამეცნიერო ლიტერატურა

#### ქართულ ენაზე

ბინდერი ვ., „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარები, ქართული სამართლის მიმოხილვა, N10/2007-2/3.

თითბერიძე გ., საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ კომენტარი, გამომცემლობა ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, 2017.

ინჯია ბ., ლაპიაშვილი ნ., არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი, სამეცნიერო რედაქტორი ლადო ჭანტურია, ზვიად კორძაძის გამომცემლობა, 2016.

მაჩაიძე ო., საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, ნელინდელი, 2015.

ტყემალაძე ს., კობალაძე მ. და სხვები, არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, 2018.

ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბილისი, 2012 წ.

ჩომახიძე ნ., საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, ნელინდელი, 2013.

ცატეროვა ნ., საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, I სპეციალური გამოშვება, 2012.

### უცხო ენაზე

Abascal J.M., The Art of Interim Measures, ICCA Congress Series N 13, General editor Berg Albert Jan van den Berg, 2006.

Baker S., Davis M., The UNCITRAL Arbitration Rules in Practice, Kluwer Law and Taxation Publishing, 1991.

Blackarby N. and Partasides C. with Redfern A. and Hunter M., Redfern and Hunter on International Arbitration, Oxford edition, 2015.

Blechman M., Assessment of ADR in Georgia, 2011.

Boog Ch., The Laws Governing Interim Measures in International Arbitration, Conflict of Laws in International Arbitration, European law publishers, 2011.

Born G., International Arbitration: Law and Practice, Kluwer Law International, 2012.

Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Volume I, II, Kluwer Law International, 2014.

Brown Ch., The Enforcement of Interim Measures ordered by Tribunals and Emergency Arbitraitros in International Arbitration, International Arbitration – The Coming of a New age?, Singapore 2012, ICCA Congress Series #17.

Caron D., Caplan L., The UNCITRAL Arbitration Rules, Oxford University Press, 2013.

Carter J., Fellas J., International Commercial Arbitration in New York, Oxford University Press, 2010.

Choong J., Weermantry R., The Hong Kong Arbitration Ordinance, Sweet & Maxwell Second Edition, 2015, p. 223.

Christoph Liebscher, Commentary on Austrian Arbitration law, Practitioner's Handbook on International Commercial Arbitration Edited by Frank-Bernd Weigand, 2<sup>nd</sup> edition, Oxford University Press, 2009.

Commission J., Moloo R., Procedural Issues in International Investment Arbitration, Oxford University Press, 2018, p. 30.

Croft C., Kee CH., Waincymer J., A Guide to the UNCITRAL Arbitration Rules, Cambridge University Press, 2013.

Dicey A.V., Morris J.H.C., The Conflicts of Law, Thomson Reuters, 2012.

Dr. Peter Binder, "International Commercial Arbitration and Conciliation in UNCITRAL Modal Law Jurisdiction", Third edition, 2009.

Fortier Y., Interim Measures: An Arbitrator's Provisional Views, Contemporary Issues in International Arbitration and Mediation: The Fordham Papers (2008).

Gaillard E., Anti-Suit Injunctions in International Commercial Arbitration, Juris Publishing, 2003.

Gaillard E., Commentary on France Arbitration Law, Practitioner's Handbook on International Commercial Arbitration, Edited by Frank-Bernd Weigand, 2<sup>nd</sup> edition, Oxford University Press, 2009.

Tsertsvadze G., Brief Commentary to the Georgian arbitration law 2009, Tbilisi 2011.

Girsberger D., Voser N., International Arbitration in Switzerland, Schulthess Juristische, 2<sup>nd</sup> edition, 2012, p. 2

History of ICSID Convention, World Bank Publications, Volume I, p. 206.

Hober K., Interim measures by Arbitrators, ICCA Congress Series N 13 General editor Albert Jan van den Berg, 2006.

Holtzmann H.M., Neuhaus J.E., Kristjansdottir E., & Walsh Th.W., A Guide to the 2006 Amendments to the the UNCITRAL Model Law on International Arbitration, Kluwer Law International, 2015.

Horvath G.J., Wilske S., Leinwather N., Dealing with Guerrilla Tactics at Different Stages of an Arbitration, Guerreilla Tactics in International Arbitration, edited by Horvath G., Wilske S., Kluwer Law International, 2013.

Houtte H.V., Commentary on Belgium Arbitration Law, Practitioner's Handbook on International Commercial Arbitration, Edited by Frank-Bernd Weigand, 2<sup>nd</sup> edition, Oxford University Press, 2009.

Jones D. Emergency Arbitrators and Court-Ordered Interim Measures, Defining Issues in International Arbitration edited by Betancourt J. C., Oxford University Press, 2016.

Julian D M Lew, Loukas A Mistelis, Stefan M Kroll, Comparative International Commercial Arbitration, Kluwer Law International, 2003.

Kaminskienė N., Application of Interim Measures in International Arbitration: The Lithuanian Approach, Jurisprudence. 2010, 1(119).

Karrer P., Straub P., Commentary on Switzerland Arbitration law, Practitioner's Handbook on International Commercial Arbitration" Edited by Frank-Bernd Weigand, Second edition, Oxford University Press, 2009.

Kaufmann – Kohler G., Rigozzi A., International Arbitration, Law and Practice in Switzerland, Oxford University Press, 2015.

Kreindler R., Schafer J., Interim Measures of Protection, Arbitration in Germany, The Model Law in Practice, 2007.

Kronke H., Nacimiento P., Dirk O., Port N.Ch., Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards, Kluwer Law International, 2010.

Lazic V., Meijer G., Commentary on Netherland Arbitration Law "Practitioner's Handbook on International Commercial Arbitration" Edited by Frank-Bernd Weigand, Second edition, Oxford University Press, 2009.

Lenci F., General Principles of Law on the legal Force of Provisional Measures in International Investment Arbitration, General Principles of Law and Investment Arbitration, Nijhoff International Investment Law Series, Volume 12, 2018.

Lookofsky J., Hertz K., Transnational Litigation and Commercial Arbitration, 4<sup>th</sup> edition, Djof Publishing, 2017.

Marie Canivet M., Goffin J., „Arbitration in Belgium" CMS Guide to Arbitration, Vol I, 2012.

Moser M.J., and Choong J., Commentary on China and Hong-Kong Arbitration Law, Practitioner's Handbook on International Commercial Arbitration, Edited by Frank-Bernd Weigand, 2<sup>nd</sup> edition, Oxford University Press, 2009.

Moses M.L, The principal and Practice of international Commercial Arbitration, Cambridge University Press, Second Edition, 2012.

O'Malley N., Rules on Evidence in International Arbitration, Informa Law, 2012.

Pasayat A., Alternative Dispute Resolution: Is It an Alternative Mechanism?, Alternative Dispute Resolution edited by Garg Sh., Oxford University Press 2018.

Paulson J., Petrochilos G., UNCITRAL Arbitration, Kluwer law International, 2018.

Redfern A., Hunter M., Redfern and Hunter on International Arbitration, Oxford University Press, 2009.

Rosenne S., Provisional Measures in International Law: The international Court of Justice and The International Tribunal of the Law of Seas, 2005.

Roth M., Commentary on the UNCITRAL Modal Law, Practitioner's Handbook on International Commercial Arbitration, Edited by Frank-Bernd Weigand, 2<sup>nd</sup> edition, Oxford University Press, 2009.

Schreuer Ch., The ICSID Convention: A Commentary, Cambridge University Press, 2001.

Schreuer Ch., The ICSID Convention: A Commentary, Oxford University Press, 2<sup>nd</sup> edition, 2009.

Schwarz F., Konard Ch., The Vienna Rules, A Commentary on International Arbitration in Austria, Kluwer Law International, 2009.

Segesser G., Kurth Ch., Interim Measure, International Arbitration in Switzerland, A Handbook for Practitioners, Edited by Gabrielle Kaufmann-Kohler and Blaise Stucki, 2004.

Seriki H., Injunctive Relief and International Arbitration, Informa Law from Roudledge, 2015.

Shaughnessy P., Interim Measures, International Arbitration in Sweden, edited by Franke U., Magnusson J. R., Wallin M., Kluwer Law International, 2013.

Smeureanu E.M., Confidentiality in International Commercial Arbitration, Wolters Kluwer, 2011.

Smit R., Robinson T., Whittacker J., International Commercial Arbitration in New York, Edited by Carter J., Fellas J., Second Edition, Oxford University Press, 2016.

Thomas J. Stipanowich, “Arbitration New Litigation”, University of Illinois, Law Review 2010.

Wang W., „International arbitration: The need for Uniform Interim measures of Relief,“ International Dispute Resolution Case and Materials, Carolina Academic Press, Second Edition, 2002.

Webster Th., Buhler M., Handbook of ICC Arbitration, third edition, Thomson Reuters (Professional), 2014.

Webster Th., Handbook of Investment Arbitration, Thomson Reuters, 2012.

Webster Th., Handbook of UNCITRAL Arbitration, Thomson Reuters, Second Edition, 2015.

Wilhelmsen L., H., International Commercial Arbitration and The Brussels I Regulation, Edward Elgar Publishing, 2018.

Wong J., The Issuance of Interim Measures in International Disputes: A Proposal Requiring a Reasonable Possibility of Success on the Underlying Merits, Georgia Journal of International and Comparative Law 33, 2004.

Zarra G., Parallel Proceedings in Investment Arbitration, Eleven International Publishing, 2017.

### **ელექტრონული წყაროები**

<http://icadr.nic.in/file.php?123?12:1461580854>

<http://iccwbo.org/dispute-resolution-services/arbitration/rules-of-arbitration/>

<http://investmentpolicyhub.unctad.org/Download/TreatyFile/609>

<http://japan.kantei.go.jp/policy/sihou/arbitrationlaw.pdf>,

<http://www.jus.uio.no/lm/italy.arbitration/818.html>

[http://www.lcia.org/Dispute\\_Resolution\\_Services/lcia-arbitration-rules-2014.aspx](http://www.lcia.org/Dispute_Resolution_Services/lcia-arbitration-rules-2014.aspx)

[http://www.lcia.org/dispute\\_resolution\\_services/lcia-arbitration-rules-2014.aspx#Article%2025](http://www.lcia.org/dispute_resolution_services/lcia-arbitration-rules-2014.aspx#Article%2025)

<http://www.legislation.gov.uk/ukpga/1996/23/section/38>



[http://www.npc.gov.cn/englishnpc/Law/2007-12/12/content\\_1383756.htm](http://www.npc.gov.cn/englishnpc/Law/2007-12/12/content_1383756.htm)

[http://www.npc.gov.cn/englishnpc/Law/2007-12/12/content\\_1383756.htm](http://www.npc.gov.cn/englishnpc/Law/2007-12/12/content_1383756.htm)

<http://www.sccinstitute.com/statistics/>

[http://www.siac.org.sg/our-rules/rules/siac-rules-2016,](http://www.siac.org.sg/our-rules/rules/siac-rules-2016)

<https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32001R0044:en:HTML>

<https://icsid.worldbank.org/en>

[https://icsid.worldbank.org/en/Documents/resources/ICSID%20Web%20Stats%202018%20\(English\).pdf,](https://icsid.worldbank.org/en/Documents/resources/ICSID%20Web%20Stats%202018%20(English).pdf)

<https://icsid.worldbank.org/en/Pages/about/Database-of-Member-States.aspx>

[https://icsid.worldbank.org/en/Pages/cases/searchcases.aspx,](https://icsid.worldbank.org/en/Pages/cases/searchcases.aspx)

<https://icsid.worldbank.org/en/Pages/process/Decisions-on-Provisional-Measures.aspx>

<https://info.parliament.ge/#law-drafting/11173>

<https://info.parliament.ge/#law-drafting/7666>

<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/53844>

<https://laws-lois.justice.gc.ca/eng/acts/C-34.6/FullText.html>

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1568154?publication=0>

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1908951?publication=0>

<https://sccinstitute.com/dispute-resolution/rules/>

<https://sccinstitute.com/dispute-resolution/rules/>

<https://sccinstitute.com/media/37089/the-swedish-arbitration-act.pdf>

<https://treaties.un.org/pages/LONViewDetails.aspx?src=LON&id=548&chapter=30&clang=en>

[https://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg\\_no=XXII-2&chapter=22&clang=en](https://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg_no=XXII-2&chapter=22&clang=en)

<https://www.cepani.be/en/arbitration/belgian-judicial-code-provisions>

[https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_zpo/englisch\\_zpo.html#p3592](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html#p3592)

[https://www.trans-lex.org/602320/\\_austrian-arbiration-law-2006/#head\\_21](https://www.trans-lex.org/602320/_austrian-arbiration-law-2006/#head_21)

[www.iccwbo.org/media-wall/news-speeches/icc-announces-2017-figures-confirming-global-reach-leading-position-complex-high-value-disputes/](http://www.iccwbo.org/media-wall/news-speeches/icc-announces-2017-figures-confirming-global-reach-leading-position-complex-high-value-disputes/)

[www.icdr.org/sites/default/files/document\\_repository/ICDR\\_Rules.pdf](http://www.icdr.org/sites/default/files/document_repository/ICDR_Rules.pdf)

[www.lcia.org/Dispute\\_Resolution\\_Services/schedule-of-costs-lcia-arbitration.aspx](http://www.lcia.org/Dispute_Resolution_Services/schedule-of-costs-lcia-arbitration.aspx),

[www.lcia.org/LCIA/history.aspx](http://www.lcia.org/LCIA/history.aspx)

[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)

[www.newyorkconvention.org/countries](http://www.newyorkconvention.org/countries)

[www.swissarbitration.org/files/34/Swiss%20International%20Arbitration%20Law/IPR\\_G\\_english](http://www.swissarbitration.org/files/34/Swiss%20International%20Arbitration%20Law/IPR_G_english)

[www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/arb-rules/arb-rules.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/arb-rules/arb-rules.pdf),

[www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/arb-rules/arb-rules.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/arb-rules/arb-rules.pdf),

[www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/NY-conv/New-York-Convention-E.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/NY-conv/New-York-Convention-E.pdf)

[www.uncitral.org/uncitral/en/uncitral\\_texts/arbitration/1985Model\\_arbitration.html](http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/arbitration/1985Model_arbitration.html)